

# მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები

## სარჩევი

ფილოსოფია .... 5
Philosophy.... 5
საქართველოს ისტორია .... 17
History of Georgia.... 17
ახალი და უახლესი ისტორია.... 22
Modern and Contemporary History .... 22
ძველი ენები და ცივილიზაციები .... 28
Anciant Languages and Civilisation.... 28
შუა საუკუნეების ისტორია.... 33
Medieval History .... 33
არქეოლოგია.... 38
Archaeology .... 38
ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერება.... 43
General and Applied Linguistics .... 43
ქართველური ენათმეცნიერება.... 49
Georgian (Kartvelian) Linguistics .... 49
ქართული ლიტერატურა .... 57
Georgian Literature.... 57
ინგლისური ფილოლოგია .... 65
English Philology .... 65
გერმანული ფილოლოგია .... 76

German Philology ........ 76
რომანული ფილოლოგია ........ 82
Romance Philology ........ 82
ბერძნულ-რომაული ფილოლოგია ........ 92
Greek-Roman Philology ........ 92
სლავური ფილოლოგია ........ 100
Slavic Philology ........ 100
თარგმნის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკა ........ 107
Translation Theory and Practice ........ 107
ლიტერატურათმცოდნეობა, ტექსტოლოგია  და სარედაქციო-საგამომცემლო საქმე ........ 114
Literary Studies, Textology and Publishing ........ 114
შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგია ........ 121
Philology of Medieval Christian East ........ 121
კავკასიოლოგია ........ 127
Caucasiology ........ 127
ამერიკისმცოდნეობა ........ 134
American Studies ........ 134
რუსეთისმცოდნეობა ........ 141
Russian Studies ........ 141
არაბისტიკა ........ 147
Arabic Studies ........ 147
ასიროლოგია ........ 153

Assyriology ........ 153
ირანისტიკა ........ 158
Iranian Studies ........ 158
თურქოლოგია ........ 164
Turkology ........ 164
თარგმანი და კულტურათშორისი ურთიერთობები (ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე) ........ 169
Translation and Intercultural Studies (based on Georgian and English Languages) ........ 169
კულტურული მემკვიდრეობა და თანამედროვეობა ........ 175
Cultural Heritage and Modernity ........ 175
სახვითი ხელოვნება ........ 183
Fine Arts ........ 183
კულტურის კვლევები ........ 189
კულტურული და სოციალური ანთროპოლოგია ........ 194
Cultural and Social Anthropology ........ 194
სკანდინავისტიკა ........ 200
Scuandinavian Studies ........ 200

| პროგრამის სახელწოდება | ფილოსოფია<br>Philosophy |
|---|---|
| **საფეხური** | სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** | • საერთო სამაგისტრო გამოცდა;<br>• ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ფილოსოფიის, თეოლოგიის, რელიგიის კვლევების, ისტორიის, კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტიური ფილოლოგიის, ფილოლოგიის, თავისუფალი მეცნიერებების, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის, პოლიტიკური მეცნიერების, კულტურის კვლევების, სოციალური ან/და კულტურული ანთროპოლოგიის, ამერიკისმცოდნეობის, ევროპისმცოდნეობის, ფიზიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირებს; ან შესაძლებელია ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამაზე ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე იმ პირთა მიღება, რომელთაც საბაკალავრო საფეხურზე გავლილი აქვთ ფილოსოფიის დამატებითი (minor) პროგრამა. ნებისმიერი მიმართულების/დარგის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი<br>• შიდა შესარჩევი კონკურსი, რომელიც გულისხმბს:<br>➢ ერთ-ერთი ევროპული ენის (ინგლისური/ გერმანული/ფრანგული) B1 დონეზე ცოდნის დადასტურებას გამოცდით, ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით. (სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე B2 დონემდე ენის ცოდნის გაუმჯობესების პერსპექტივით).<br>➢ სასპეციალიზაციო წერითი გამოცდის ჩაბარებას ფილოსოფიაში.<br>საგამოცდო პროგრამა, მისაღები გამოცდების საკითხები და ლიტერატურა განთავსებულია თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებგვერდზე. |
| **სწავლების ენა** | ქართული |
| **კვალიფიკაცია** | ფილოსოფიის მაგისტრი<br>Master of Philosophy |
| **სწავლების ხანგრძლივობა** | 4 სემესტრი |
| **ECTS** | 120 ECTS კრედიტი |
| **სწავლების გადასახადი** | 2250 ლარი |
| **პროგრამის განხორციელების** | თსუ სასწავლო კორპ. N1, ი. ჭავჭავაძის გამზ. N1; სასწავლოს კორპ N2, , ი. ჭავჭავაძის გამზ. N3. |

| | |
|---|---|
| **ადგილი** | |
| **პროგრამის განმახორციელებელი ერთეული** | ფილოსოფიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი |
| **საკონტაქტო პირი** | პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი: პროფ. დემურ ჯალაღონია; ასოც. პროფ. ანასტასია ზაქარიაძე |
| | ტელ.: +995 599257471; +995 599514166 |
| | ელფოსტა: demur.jalaghonia@tsu.ge;anastasia.zakariadze@tsu.ge |
| **მოდულები** | • პოლიტიკური ფილოსოფია<br>• ზნეობის ფილოსოფია და გამოყენებითი ეთიკა<br>• კულტურის ფილოსოფია |
| | **პროგრამის სტრუქტურა** |
| **კომპონენტის სტატუსი** | ECTS-მოცულობა |
| საერთო სავალდებულო | 30 ECTS კრედიტი |
| მოდულის სავალდებულო | 30 ECTS კრედიტი |
| არჩევითი | 30 ECTS კრედიტი |
| სამაგისტრო ნაშრომი | 30 ECTS კრედიტი |
| | |
| **პროგრამის მიზანი** | |

პროგრამა მიზანად ისახავს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულების ერთ-ერთი ფუნდამენტური დარგის - ფილოსოფიის მაგისტრების მომზადებას, რომელთა თეორიული, საკონსულტაციო და საექსპერტო, აგრეთვე პრაქტიკული საქმიანობა მომავალში ხელს შეუწყობს ქვეყანაში დემოკრატული ღირებულებების დამკვიდრებას.

პროგრამის მიზანია ღრმა, სისტემური და ახალი ცოდნის გადაცემა შემდეგი მიმართულებებით: პოლიტიკური ფილოსოფია, ზნეობის ფილოსოფია და გამოყენებითი ეთიკა, კულტურის ფილოსოფია.

სამაგისტრო პროგრამის თითოეულ სასპეციალიზაციო მოდულში ექსისტენცის ტრანსცენდირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ონტოლოგიური მოდუსია წარმოდგენილი, რომელთა გათვალისწინების გარეშე ფილოსოფია ვერ შეძლებს საკუთარი მოწოდების რეალიზებას და სამყაროში ადამიანის ადგილის სრულფასოვან განსაზღვრას.

პროგრამის მიზანია,

- მაგისტრანტებთან ღრმად გაანალიზდეს პოლიტიკური ფილოსოფიის, მორალის ფილოსოფიის და კულტურის ფილოსოფიის

ძირეული კატეგორიები,

- კრიტიკულად იქნას განხილული პრაქტიკული ფილოსოფიის ძირითადი მახასიათებლები,
- მოხდეს თანამედროვე სამყაროში იდენტობის მნიშვნელობის გაცნობიერება; თვითმყოფადობისა და მასზე სხვა კულტურების გავლენების პოზიტიური და ნეგატიური მხარეების გააზრება;
- პროგრამის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა პოსტმოდერნული პოსტულატების სისტემატურ და დიფერენცირებულ გააზრებას;
- ტრადიციული და თანამედროვე მეთოდოლოგიების გამოყენებით მოხდება ქართული და დასავლური (ევროპული და ამერიკული) ფილოსოფიური აზრის ინტერპრეტირება და შედარება.
- სამაგისტრო პროგრამა ორიენტირებულია ფილოსოფიური მიმდინარეობების, კონცეფციების, სტრატეგიების შესწავლაზე, რომელთა გარეშეც დღევანდელ ინტელექტუალურ გარემოში წარმოუდგენელია ფილოსოფიური პრობლემების თემატიზირება და გადაწყვეტა.

**I მოდულის მიზანი:**

პოლიტიკური ფილოსოფიის მოდული მიზნად ისახავს პოლიტიკური ფილოსოფიის სფეროს სისტემურ შესწავლას.

- იგი მიმოიხილავს და აანალიზებს სახელმწიფო მმართველობის, მოქალაქისა და სახელმწიფოს ურთიერთობათა სიღრმისეულ პრობლემებს; აანალიზებს პოლიტიკურ ღირებულებათა სისტემას, ახდენს მათ კონცეპტუალიზაციას, შეისწავლის პოლიტიკურ ღირებულებებთან დაკავშირებულ სინამდვილეს.
- დასავლეთის ქვეყნებში აპრობირებული პოლიტიკური ფილოსოფიის უახლეს მიღწევებზე დაყრდნობით პოლიტიკური დისკურსის ფარგლებში განიხილება და დიფერენცირდება ძალაუფლების ფენომენი, მმართველობის ფორმები, თავისუფლება, სამართლიანობა, თანასწორობა, წესრიგი და მათი რეალიზაციის მეთოდები და მიდგომები;
- ხდება დემოკრატიის, ტოტალიტარიზმისა და საერთაშორისო ურთიერთობათა ზოგადი ასპექტების შეპირისპირება; პოლიტიზაციის გლობალურ პროცესთან ერთად წარმოჩენილია პოლიტიკური სისტემების უძირითადესი შინაგანი წინააღმდეგობები, კრიტიკულად გაანალიზებულია პოლიტიკური დისკურსის სივრცეში წარმოშობილი დილემები.
- მაგისტრანტი ეცნობა და კრიტიკულად გაიაზრებს პოლიტიკური ფილოსოფიის განვითარების ეტაპებს, სოკრატე-პლატონიდან დაწყებული დღემდე, პოლიტიკური ფილოსოფიის დამფუძნებლებისა და კლასიკოსების შრომებს, ძალაუფლების თანამედროვე ფილოსოფიურ თეორიებს, თანამედროვე ევროპული და ამერიკული პოლიტიკური ფილოსოფიის პრობლემებს, პოლიტიკური იდეოლოგიების ფილოსოფიურ საფუძვლებს, მოდერნის, პოსტმოდერნის და თანამედროვე პოლიტიკური ფილოსოფიის ძირითად კონცეპტებს, რაც ხელს შეუწყობს ორიგინალური იდეების განვითარებას.

**II მოდულის მიზანი:**

ზნეობის ფილოსოფიისა და გამოყენებითი ეთიკის მოდული მიზნად ისახავს

- ზნეობის ფილოსოფიისა და გამოყენებითი ეთიკის სფეროს, მისი ძირითადი მიმართულებების, პრობლემატიკისა და სააზროვნო ტრადიციების, საეტაპო კონცეპტების ღრმა და სისტემურ შესწავლას ანტიკური ფილოსოფიიდან მოყოლებული, თანამედროვე პოსტმოდერნისტული ფილოსოფიური მიმდინარეობების ჩათვლით,
- ხდება ეთიკური პრობლემების დილემური, დისკუსიური ხასიათის სწავლა და სწავლება თანამედროვე სამართლებრივ, პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ კონტექსტში - თუ როგორ ხდება ზნეობის ფილოსოფიის კრიტერიუმების ცნობიერების ამა თუ იმ ნაირსახეობის, მრწამსისა და პრაქტიკის განმსაზღვრელ ფაქტორებად ჩამოყალიბება, რისთვისაც თანამედროვე კულტურა გაანალიზდება ზნეობის ფილოსოფიის კონცეპტუალური ჩარჩოს ფარგლებში. ხოლო თანამედროვე ეთიკური თეორიების ისტორიული საფუძვლების გახსნის გზით განხორციელდება თანამედროვე ეთიკური დილემების არსთან მათი დაკავშირება;
- მოდული სტუდენტს საშუალებას მისცემს გაერკვეს თანამედროვე ზნეობრივი პროცესების არსებით ტენდენციებში, შეიძინოს მისი გააზრებისათვის აუცილებელი ცოდნა და უნარ-ჩვევები.

**III მოდულის მიზანი:**

კულტურის ფილოსოფიის მოდულის მიზანია

- ხელოვნებასთან და ზოგადად კულტურასთან დაკავშირებული კონცეპტუალური საკითხების სისტემური და ღრმა შესწავლა.
- კულტურის ფილოსოფიის სააზროვნო ველში მოქცეული ამა თუ იმ მხატვრული მიმდინარეობის, კონცეფციის, კვლევითი სტრატეგიის, თანამედროვე კულტურული ვითარებისათვის დამახასიათებელი მოვლენების ღრმა და სისტემური გააზრება.
- მოდული განიხილავს კულტურის ფილოსოფიის სფეროს, რაც ხელი შეუწყობს ადამიანის პიროვნულ ორიენტაციას თანამედროვე სამყაროში; ჩამოუყალიბებს განსხვავებულ კულტურათა ,,ენების'', გაგების უნარს, რისი მეშვეობითაც მან უნდა შეძლოს კულტურათა და ხელოვნების სტილთა მრავალფეროვნების, მათი უნიკალობისა და თვითღირებულების შესახებ თვალსაზრისის ფორმირება;
- მოდულის მიზანია მაგისტრანტისთვის თანამედროვე საკაცობრიო ღირებულებებში ორიენტირებისა და კულტურათა დიალოგში მონაწილეობის უნარის გამომუშავება.

**სწავლის მეთოდები**

სასწავლო კომპონენტის განხორციელებისას გამოიყენება სწავლების სხვადასხვა მეთოდი. ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას.
სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, პრაქტიკული მეცადინეობის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, საკონტროლო წერის, დასკვნითი გამოცდის, სამაგისტრო ნაშრომის და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ჯგუფური მუშაობა, ახსნა-განმარტებითი და შედარებითი მეთოდი, ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, ჰერმენევიკის, დიალექტიკის, ფენომენოლოგიის მეთოდი, წერითი

| |
|---|
| დავალებები, დისკუსია/დებატები,  და სხვ.). |
| **შეფასების სისტემა** |
| სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით.<br>შეფასება ითვალისწინებს შუალედურ განმავითარებელ შეფასებას (60 ქულა) და დასკვნით გამოცდას (40 ქულა). შუალედური შეფასება ხორციელდება მინიმუმ სამი კომპონენტის მიხედვით. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები განსხვავებულია და მათი აღწერა მოცემულია კონკრეტული კურსის სილაბუსში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედურ შეფასებებში დაგროვებული აქვს მინიმუმ 21 ქულა. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდის (კომბინირებული - წერა/ზეპირი გამოცდის შემთხვევაში, თითოეული კომპონენტის) მაქსიმალური ქულის 50 %-ს.<br>სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.<br><br>შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:<br>(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;<br>(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;<br>(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;<br>(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;<br>(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;<br><br>არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:<br>ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;<br>(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.<br><br>სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი დამასრულებელ სემესტრში ამზადებს **სამაგისტრო ნაშრომს.** შესაბამისი მარეგულირებელი წესის თანახმად:<br>✓ სამაგისტრო ნაშრომი ფასდება  ერთიანად დასკვნითი შეფასებით 100-ქულიანი სისტემით;<br>✓ რეცენზენტი წერს ნაშრომის შესახებ რეცენზიას და აფასებს სტუდენტის ნაშრომს მაქსიმუმ 60 ქულით. 31 ქულაზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე არ დაიშვება;<br>✓ სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, საჯარო დაცვამდე სამაგისტრო ნაშრომი შემოწმებული უნდა იყოს Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით.<br>✓ ნაშრომი ფასდება კომისიის მიერ წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე; |

- ✓ სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტი წარმოადგენს ნაშრომის შედეგებს პრეზენტაციის სახით, რომელიც ფასდება კომისიის თითოეული წევრის მიერ (მაქსიმუმ 40 ქულა). ამ კომპონენტში სტუდენტის საბოლოო შეფასება იანგარიშება კომისიის ყველა წევრის შეფასების საშუალო არითმეტიკულით. მიღებული შეფასება დადებითად ითვლება, თუ კომისია სტუდენტის ნაშრომს შეაფასებს 20 და მეტი ქულით;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასებას წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და კომისიის საბოლოო შეფასების ჯამი, რომელიც ტოლია ან აღემატება 51 ქულას.
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია.

**სწავლის შედეგები**

ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამა, რომელიც სამი მოდულისაგან შედგება (სამივე მოდული წარმოადგენს პრაქტიკულ ფილოსოფიას), საბოლოო მიზნების მისაღწევად გამოყენებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტებით სისტემურად უზრუნველყოფს შემდეგი შედეგების მიღწევას:

ფუნდამენტური დარგის - ფილოსოფიის მაგისტრი-სპეციალისტის მომზადებას, რომლის თეორიული, საკონსულტაციო და საექსპერტო, აგრეთვე პრაქტიკული საქმიანობა ხელს შეუწყობს ქვეყანაში დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებას.
პროგრამით მომზადებული ფილოსოფიის მაგისტრი
სიღრმისეულად აანალიზებს პოლიტიკური ფილოსოფიის, მორალის ფილოსოფიის და კულტურის ფილოსოფიის უძირითადეს კატეგორიებს, განიხილავს და კრიტიკულად აფასებს პრაქტიკული ფილოსოფიის ძირითად მახასიათებლებს, იყენებს ტრადიციულ და თანამედროვე მეთოდოლოგიებს, ახდენს ქართული და დასავლური (ევროპული და ამერიკული) ფილოსოფიურ აზრის ინტერპრეტირებასა და შედარებას.
განმარტავს და სიღრმისეულად აანალიზებს პრაქტიკული ფილოსოფის მიმდინარეობებს, კონცეფციებს, სტრატეგიებს, სახელმწიფო მმართველობის, მოქალაქისა და სახელმწიფოს ურთიერთობათა პრობლემებს, განსაზღვრავს ზნეობის ფილოსოფიისა და გამოყენებითი ეთიკის სფეროს ძირითად მიმართულებებს, პრობლემატიკას და სააზროვნო ტრადიციებს, ამოიცნობს კულტურის ფილოსოფიის სააზროვნო ველში მოქცეული ამა თუ იმ მხატვრული მიმდინარეობის, კონცეფციის, კვლევითი სტრატეგიის, თანამედ-როვე კულტურული ვითარების დამახასიათებელ მოვლენებს,
ახდენს დემოკრატიის, ტოტალიტარიზმისა და საერთაშორისო ურთიერთობათა შეპირისპირებას ზოგად ასპექტში, კრიტიკულად განიხილავს პოლიტიკური ფილოსოფიის, კულტურის ფილოსოფიის, მორალის ფილოსოფიის განვითარების ეტაპებს, სოკრატე-პლატონიდან დაწყებული დღემდე; ფილოსოფიის დამფუძნებლების და კლასიკოსების შრომებს, პრაქტიკული ფილოსოფიისათვის აუცილებელ თანამედროვე ფილოსოფიურ თეორიებს.
პრაქტიკული ფილოსოფიის რთული და წინააღმდეგობრივი პრობლემატიკის კრიტიკული და კომპლექსური ანალიზი ინტერდისციპლინურ კონტექსტში, პრობლემის გადაჭრის გზების პოვნა, ფილოსოფიის პრობლემატიკის კვლევის, მათ შორის

ინფორმაციის მიღებისა და დამუშავების თანამედროვე მეთოდების გამოყენება, დარგის თანამედროვე გამოწვევებზე ადეკვატურად რეაგირება და ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებისთვის ხელშეწყობა უზრუნველყოფს პროგრამის კურსდამთავრებულის დასაქმებას ფილოსოფიის მაგისტრისათვის განკუთვნილ პოზიციებზე და აძლევს მას სწავლის გაგრძელების საშუალებას მესამე საფეხურზე.

**1. ცოდნა და გაცნობიერება**
(ცოდნა; გააზრება),

- პროგრამის კურსდამთავრებული ფილოსოფიის მაგისტრი აღწერს და აანალიზებს წამყვანი თეორეტიკოსების ნაშრომებს; პოლიტიკური ფილოსოფიის, კულტურისა და ზნეობის ფილოსოფიისა და გამოყენებითი ეთიკის ძირითად თეორიებსა და პრინციპებს;
- ხსნის ფილოსოფიური დისკურსების ფუნქციონირების თავისებურებებს, მათ მსგავსება–განსხვავებას, ფორმირებისა და განვითარების ისტორიულ–პოლიტიკურ პირობებს;
- დიფერენცირებულად განიხილავს პოლიტიკურ, ესთეტიკურ, ტრანსესთეტიკურ, კულტურის, მორალის კატეგორიებს და ქმნის ერთიან სისტემურ დისკურსს.
- არგუმენტირებულად აფასებს პოლიტიკურ და მორალურ ღირებულებათა სისტემებს და გაცნობიერებული აქვს მათი კონცეპტუალიზაცია.
- აფასებს თანამედროვე ფილოსოფიის ძირითად ტენდენციებსა და გამოწვევებს და კრიტიკულად წყვეტს პრობლემებს ფილოსოფიური კვლევის თანამედროვე მეთოდებით;
- კულტურის ფილოსოფიის, გამოყენებითი ეთიკის, ზნეობისა და პოლიტიკური ფილოსოფიის ღრმა და სისტემური ცოდნის საფუძველზე შეიმუშავებს ახალ იდეებს და ნახულობს ცალკეული პრობლემის გადაჭრის საშუალებას.
- ფლობს ერთ-ერთ ევროპულ ენას (ინგლისური/ გერმანული /ფრანგული) B2 დონეზე და იყენებს მას სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი მიზნებისთვის.

**ცოდნა და გაცნობიერება I მოდული**

- პროგრამის კურსდამთავრებული ფილოსოფიის მაგისტრი საფუძვლიანად აყალიბებს პოლიტიკური ფილოსოფიის განვითარების ეტაპებს სოკრატე-პლატონიდან დაწყებული დღემდე; აღწერს და განიხილავს პოლიტიკური ფილოსოფიის დამფუძნებლებისა და ,,მამებად" წოდებული კლასიკოსების შრომებს, მოდერნის და პოსტმოდერნის და თანამედროვე პოლიტიკური ფილოსოფიის საფუძვლებს, ძალაუფლების თანამედროვე ფილოსოფიურ თეორიებს;
- კრიტიკულად განიხილავს თავისუფლების, სამართლიანობის, თანასწორობის, წესრიგის კატეგორიებს, არჩევს, თუ როგორ ხდება მათი რეალიზაცია, მოქალაქისა და სახელმწიფოს ურთიერთობათა კვლევა;
- ხსნის პოლიტიკური იდეოლოგიების ფილოსოფიურ საფუძვლებს, განმარტავს სამართლიანობას, როგორც პოლიტიკური ფილოსოფიის კატეგორიას;
- განაზოგადებს და ერთმანეთს ადარებს აშშ–სა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების პოლიტიკური სისტემების ფუნქციონირების

თავისებურებებს, აღწერს მათ მსგავსება–განსხვავებას, ფორმირებისა და განვითარების ისტორიულ–პოლიტიკურ პირობებს, გლობალური პოლიტიკური წესრიგის ევოლუციას, გეოპოლიტიკურ და გეოსტრატეგიულ ტრანსფორმაციებს,

- ახდენს პოლიტიკური მორალის ღრმა ფილოსოფიური შრეების კლასიფიცირებას;

**ცოდნა და გაცნობიერება II მოდული**

- პროგრამის კურსდამთავრებული ფილოსოფიის მაგისტრი ამოიცნობს ზნეობის ფილოსოფიისა და გამოყენებითი ეთიკის ძირეულ პრობლემებს, აღწერს ზნეობის ფილოსოფიისა და გამოყენებითი ეთიკის სფეროს, მის ძირითად მიმართულებებს, პრობლემატიკასა და სააზროვნო ტრადიციებს, ანტიკური, აღმოსავლური და თანამედროვე ეთიკური სკოლებისა და მიმართულებებისათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს, კონცეპტებს, ამოცანებსა და სტილისტიკას.
- აღწერს თანამედროვე კულტურის პროცესების არსებით ტენდენციებს და თანამედროვეობის ზნეობრივ დისკურსს, მორალური ყოფიერების განხორციელების პოსტმოდერნულ ტექნოლოგიებს,
- აღწერს ზნეობის ფენომენის პოსტმოდერნული გააზრების ადგილსა და როლს თანამედროვე ფილოსოფიურ აზროვნებაში, ზნეობის ფილოსოფიის კონცეპტებს, გამოყენებითი ეთიკის ისტორიის საეტაპო კონცეპტებს თანამედროვე ზნეობის ფილოსოფიისა და გამოყენებითი ეთიკის დისკურსის სივრცეში,
- განიხილავს წარმოშობილ კოლიზიებსს და დილემებს, მოვალეობის ეთიკის პარადიგმას, ზნეობის მეტაფიზიკის აგების კანტიანურ ცდას; ქრისტიანული ეთიკის საგნობრივი ველს, როგორიცაა: თემისა და ეკლესიის ურთიერთმიმართება, ტაძრულობის პრინციპი,
- აღიარებს ადამიანის ეთიკური პასუხისმგებლობის საფუძველს, თანასწორობის ცნებას, უსაფრთხოებასა და კეთილდღეობას, ასოციაციასა და სეგრეგაციას, სუვერენიტეტის ცნებასა და შეზღუდულ ძალაუფლებას, თავისუფლებასა და ადამიანის უფლებებს, ადამიანის უფლებათა კონვენციებს, ადამიანის, მისი ღირსებისა და პიროვნული თვითღირებულების პრიორიტეტს.
- აღწერს და განსაზღვრავს ევთანაზიისა და სუიციდის პრობლემების ფილოსოფიურ-ანთროპოლოგიურ ხასიათს, პიროვნული თავისუფლებისა და თვითმკვლელობის საკითხს, ადამიანის ორგანიზმის ტელეოლოგიური მიზანშეწონილობისა და დეტერმინაციის პრობლემებს, ახალი სიცოცხლის შექმნისა და სიცოცხლის გახანგრძლივების ეთიკურ განზომილებას, გენდერული ორიენტაციების სამართლებრივ და ეთიკურ ჭრილს, ეკოლოგიის ეთიკურ პერსპექტივას; ხსნის ცხოველთა უფლებებს, ბიოცენტრიზმს, ეკოლოგიას, ეკოფემინიზმს, ბიორეგიონალიზმს, სოციალურ ეკოლოგიასა და უსაფრთხოებას, მდგრად განვითარებას.
- ამოიცნობს ბიზნეს საქმიანობის ეთიკურ და პოლიტიკურ პრობლემებს, აღწერს და განსაზღვრავს ბიზნეს კულტურის, ბიზნეს ეთიკისა და პოლიტიკური პრობლემების მიმართების თეორიებს; დამსაქმებლისა და დასაქმებულის მიმართების ეთიკურ ასპექტებს, საინფორმაციო სივრცეში ადამიანის მოღვაწეობის ეთიკურ პრინციპებს, პედაგოგიური მოღვაწეობის სპეციფიკას, პედაგოგის ეთიკური კოდექსის პრინციპებს, პედაგოგის პასუხისმგებლობის პრობლემას,

**ცოდნა და გაცნობიერება III მოდული**

- პროგრამის კურსდამთავრებული ფილოსოფიის მაგისტრი განსაზღვრავს ანტიკური ესთეტიკის ჩამოყალიბებისა და

განვითარების საფეხურებს; აღწერს პითაგორას, ჰერაკლიტეს, სოფისტების, პლატონის, არისტოტელეს ესთეტიკურ შეხედულებებს; მითოსური წარმოდგენების ტრანსფორმირებას ფილოსოფიურ-ესთეტიკურ თეორიებად; რომანტიზმის ესთეტიკური თავისებურებებს და მისი წარმოშობის სოციო–კულტურულ ასპექტებს; ახასიათებს შელინგის, შლეგელის, ნოვალისის ესთეტიკურ კონცეფციებს;

- განიხილავს ყოფიერებისა და აზროვნების ესთეტიზაციას; აღწერს კლასიკური და პოსტმოდერნული ესთეტიკის საფუძვლებს;
- აღწერს და განარჩევს თანამედროვე ესთეტიკის ძირითად მახასიათებლებს, ახასიათებს კლასიკურ ესთეტიკურ დისკურსს, ფრანკფურტის ფილოსოფიური სკოლის ე.წ. კრიტიკულ თეორიას,
- განმარტავს მარკუზეს, ადორნოს, ჰორკჰაიმერის კულტუროლოგიურ კონცეფციებს, ფენომენოლოგიური მიმდინარეობის მნიშვნელოვანი წარმომადგენლების: ჰუსერლის, გაიგერის, ნ. ჰარტმანის, ინგარდენის კონცეფციებს, მათ მნიშვნელობას თანამედროვე ევროპული კულტურის ჩამოყალიბებაში;
- ხსნის და განმარტავს კულტურის თანამედროვე ტრანსფორმაციების საფუძვლებს, კულტურის უახლეს კონცეფციებს, კულტურის არტეფაქტების შემეცნების თავისებურებებს, პოსტმოდერნული კულტურის ძირითად მახასიათებლებს;
- ფლობს და იყენებს კულტურის არსის, მისი სტრუქტურის, მორფოლოგიის, კულტურასთან დაკავშირებულ ძირითად ცნებებს, კულტურათა მრავალფეროვნების, მათი უნიკალურობისა და თვითმყოფადობის, კულტურათა დიალოგურობის, კულტურის შესწავლისა და გაგების სხვადასხვა მეთოდების ტექნიკას, აღწერს ღირებულების ცნების მნიშვნელობას კულტურის გაგებისათვის, იყენებს ჰერმენევტიკული მეთოდების ტექნიკას;

**უნარები**

- პროგრამის კურსდამთავრებული ფილოსოფიის მაგისტრი კომპლექსურად, ორიგინალური გზების ძიებით (კულტურისა და პოლიტიკური ფილოსოფიის, ზნეობის ფილოსოფიისა და გამოყენებითი ეთიკის სფეროში), კრიტიკული ანალიზის საფუძველზე წყვეტს პროფესიულ საკითხებსა და პრობლემებს, იღებს არგუმენტირებულ დასკვნებსა და გადაწყვეტილებებს,
- აფასებს პოლიტიკური ფილოსოფიის, ზნეობის ფილოსოფიისა და გამოყენებითი ეთიკის და კულტურის სფეროში დილემებს, საფრთხეებს, ძლიერ და სუსტ მხარეებს;
- ახორციელებს კვლევას დამოუკიდებლად, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, უახლესი, სინთეზურ-ანალიტიკური, ჰერმენევტიკული და ფენომენოლოგიური მეთოდების გამოყენებით და ახდენს სტრატეგიულ დაგეგმარებას,
- იკვლევს კლასიკურ და პოსტმოდერნულ პარადიგმებს შორის არსებულ საპირისპირო (წინააღმდეგობრივ) საფუძვლებს,
- განსაზღვრავს ფილოსოფიის უახლესი კვლევის ტაქტიკას, აფასებს გამოყენებითი დარგების მრავალფეროვნებას, მათ უნიკალურობასა და თვითღირებულებას საქართველოს მულტიკულტურულ რეალიაში წარმოშობილი კულტუროლოგიური, პოლიტიკური-ეთიკურ–ზნეობრივი გამოწვევების, პრობლემებისა და დილემების კრიტიკული ანალიზისას და განსაზღვრავს მათ გადაწყვეტაზე ორიენტირებულ ქმედებებს.
- მაგისტრი კითხულობს ერთ-ერთ ევროპულ ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) სასპეციალიზაციო სფეროში დარგობრივ სამეცნიერო ლიტერატურას და ამუშავებს მას,
- გამოაქვს საკუთარი ორიგინალური დასკვნები, ახდენს არგუმენტირებულად შედგენილი სამეცნიერო ხასიათის ტექსტის

პრეზენტაციას (საკონფერენციო მოხსენება, სამეცნიერო სტატია და სხვ.) და ერთვება დისკუსიაში, პოლიტიკური ფილოსოფიის, ზნეობის ფილოსოფიისა და გამოყენებითი ეთიკის და კულტურის ფილოსოფიის პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით.

**I მოდულის კურსდამთავრებული**

- განსაზღვრავს პოლიტიკური ფილოსოფიის კვლევის ტაქტიკებს პროფესიულ საქმიანობაში;
- დამოუკიდებლად, პროფესიულ დონეზე განასხვავებს კლასიკოსებისა და თანამედროვე პოლიტიკის ფილოსოფიის სფეროში არსებულ შრომებებს, ანალიზებს მათ კრიტიკულად და განიხილავს სპეციალიზებულ კონტექსტში;
- განიხილავს თანამედროვე სამყაროში არსებულ გლობალიზაცის პროცესს და იდენტობას, ჰერმენევტიკული, ფენომენოლოგიური, სინთეზური და ანალიტიკური მეთოდებით;
- არგუმენტირებულად აანალიზებს სხვადასხვა პოლიტიკურ კონცეფციებს (კომპარატივისტული ანალიზი);
- დამოუკიდებლად, ორიგინალური გზებით შეიმუშავებს პოლიტიკური ფილოსოფიის კომპლექსურ პრობლემებისა და დილემების გადაჭრის გზებს;
- პოლიტიკის ფილოსოფიის პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით მონაწილეობს დისკუსიაში, საჯარო გამოსვლა-პრეზენტაციებში, ქმნის სამეცნიერო ნაშრომს აკადემიური სტანდარტების დაცვით;
- იყენებს სწავლის და კვლევის პროცესში საინფორმაციო ტექნოლოგიებს.

**II მოდულის კურსდამთავრებული**

- იყენებს ზნეობის ფილოსოფიისა და გამოყენებითი ეთიკის კვლევის ტაქტიკებს პროფესიულ საქმიანობაში;
- ახდენს სტრატეგიულ დაგეგმარებას, დამოუკიდებლად განხორციელებს კვლევას უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;
- იყენებს ჰერმენევტიკულ, ფენომენოლოგიურ, სინთეზურ და ანალიტიკურ მეთოდებს,
- აანალიზებს საქართველოს მულტიკულტურულ რეალიაში წარმოშობილ ეთიკურ–ზნეობრივ გამოწვევებს, პრობლემებსა და დილემებს და შეიმუშავებს მათ გადაწყვეტაზე ორიენტირებულ ქმედებებს.
- მონაწილეობს დისკუსიაში და საჯარო გამოსვლა-პრეზენტაციებში ზნეობის ფილოსოფიისა და გამოყენებითი ეთიკის პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით,
- ქმნის სამეცნიერო ნაშრომს აკადემიური სტანდარტების დაცვით, იძლევა ფილოსოფიურ კითხვებზე არგუმენტირებულ პასუხებს,

- იყენებს სწავლის და კვლევის პროცესში საინფორმაციო ტექნოლოგიებს.

III მოდულის
კურსდამთავრებული

- ამოიცნობს კულტუროლოგიურ სივრცეში არსებულ დილემებსა და პრობლემებს და შეიმუშავებს მათი გადაწყვეტის სამეცნიერო გზებს;
- იყენებს კულტურის ფილოსოფიის კვლევის ტაქტიკებს თანამედროვე ხელოვნების ნაწარმოების ანალიზისას, მხატვრულ-ესთეტიკური ექსპერტიზისას;
- შეიმუშავებს კულტურის პოლიტიკის პროექტირებისა და ორგანიზების სამეცნიერო გზებს;
- იყენებს კლასიკოსების აზრებს, დებულებებსა და კონცეფციებს პროფესიულ დონეზე სპეციალიზებულ კონტექსტში;
- იყენებს ჰერმენევტიკულ, ფენომენოლოგიურ, სინთეზურ და ანალიტიკურ მეთოდებს,
- განმარტავს და ინტერპრეტირებას უკეთებს არტეფაქტებს, ახდენს მათ კომპარატივისტულ ანალიზს და შეიმუშავებს პრობლემის გადაწყვეტაზე ორიენტირებულ ქმედებებს.
- მონაწილეობს დისკუსიაში და საჯარო გამოსვლა-პრეზენტაციებში კულტურის ფილოსოფიის პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით,
- ქმნის სამეცნიერო ნაშრომს აკადემიური სტანდარტების დაცვით,
- იყენებს სწავლის და კვლევის პროცესში საინფორმაციო ტექნოლოგიებს.

*გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა*

- პროგრამის კურსდამთავრებული ფილოსოფიის მაგისტრი დამოუკიდებლად და ეფექტურად მოიპოვებს ინფორმაციას როგორც პირველადი, ისე მეორადი საინფორმაციო წყაროებიდან კვლევების დამოუკიდებლად ჩასატარებლად და მონაცემთა ინტეგრირებული ბაზის შესაქმნელად;
- ზუსტად გეგმავს და მართავს სამუშაო დროს, შეიმუშავებს სტრატეგიულ მიდგომებს პროფესიული ცოდნის გასაახლებლად, შემდგომი სწავლის პროცესისა და კვლევების დამოუკიდებლად სამართავად;
- იღებს დაკისრებულ მოვალეობებზე პასუხისმგებლობას პატიოსნებისა და ღირსების გრძნობით;
- პატივს სცემს მორალურ, ეთიკურ, კულტურულ და სამართლებრივ ნორმებს;
- გამოხატავს უცხო ფენომენის მიმართ შემწყნარებლობას, ტოლერანტობას განსხვავებული პოზიციის მიმართ.
- აფიქსირებს დოგმატიზმის, ფანატიზმის, სწორხაზოვანი აზროვნების, შეზღუდულობის უარყოფას და აღიარებს საკითხის პლურალისტური განხილვის საჭიროებას;
- მხარს უჭერს ზოგადსაკაცობრიო და მულტიკულტურულ ღირებულებებს და თავისი პროფესიული საქმიანობით ცდილობს მათ დამკვიდრებაში წვლილის შეტანას.

| დასაქმების სფეროები |
| --- |
| ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს შეუძლიათ იმუშაონ საჯარო სამსახურებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, მეცნიერების, კულტურის, პოლიტიკის, ანალიზისა და შეფასების ექსპერტებად. მათ შეუძლიათ დასაქმდნენ სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო კულტურულ-სოციალურ დაწესებულებაში, მეცნიერული მუშაობა გააგრძელონ კვლევით ინსტიტუტებში.<br><br>კურსდამთავრებულებს შეეძლებათ სწავლის გაგრძელება სწავლის სადოქტორო საფეხურზე ფილოსოფიის სპეციალობით. სურვილის შემთხვევაში და იმ პირობით, თუ იმგვარი პროფილის პროგრამები, როგორებიცაა: სოციალური, პოლიტიკური, კულტურის მეცნიერებები და ა.შ. დაუშვებენ წინაპირობებში ფილოსოფიის მაგისტრის მიღებას, მაგისტრატურაში მიღებული კომპეტენციები კურსდამთავრებულს აძლევს საშუალებას სწავლა გააგრძელოს ამ სპეციალობებითაც როგორც საქართველოს, ისე უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. |

| პროგრამის სახელწოდება | საქართველოს ისტორია<br>History of Georgia |
|---|---|
| **საფეხური** | სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** | • საერთო სამაგისტრო გამოცდა;<br>• ბაკალავრის, ან მასთან გათანაბრებული ხარისხი სწავლის ფართო სფეროებში:<br>1. ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები<br>2. სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია<br>3. განათლება; ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართალი შემავალ კვალიფიკაციებში;<br>• სასპეციალიზაციო წერითი გამოცდა;<br>• უცხოური (ინგლისური/ გერმანული /ფრანგული) ენის B1 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით (სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე B2 დონემდე ენის ცოდნის გაუმჯობესების პერსპექტივით). |
| **სწავლების ენა** | ქართული |
| **კვალიფიკაცია** | ისტორიის მაგისტრი<br>Master of History |
| **სწავლების ხანგრძლივობა** | 4 სემესტრი |
| **ECTS** | 120 ECTS კრედიტი |
| **სწავლების გადასახადი** | 2250 ლარი |
| **პროგრამის განხორციელების ადგილი** | თსუ სასწავლო კორპ. N1, ი. ჭავჭავაძის გამზ. N1; სასწავლოს კორპ N8, ი. ჭავჭავაძის გამზ. N13. |
| **პროგრამის განმახორციელებელი ერთეული** | საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი |
| **საკონტაქტო პირი** | პროგრამის ხელმძღვანელები/კოორდინატორები: პროფ. თედო დუნდუა; ასოც. პროფ. აპოლონ თაბუაშვილი; ასოც. პროფ. ბონდო კუპატაძე<br>ტელ.: +995 599103767; +995 599588168; +995 599232407<br>ელფოსტა: tedo.dundua@tsu.ge; apolon.tabuashvili@tsu.ge; bondo.kupatadze@tsu.ge |
| **მოდულები** | • ანტიკური და ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორია<br>• XIX-XXI საუკუნეების საქართველოს ისტორია |

**პროგრამის სტრუქტურა**

| კომპონენტის სტატუსი | ECTS-მოცულობა |
|---|---|
| საერთო სავალდებულო | 20 ECTS კრედიტი |
| მოდულის სავალდებულო | 40 ECTS კრედიტი |
| არჩევითი | 30 ECTS კრედიტი |
| სამაგისტრო ნაშრომი | 30 ECTS კრედიტი |
| | |

**პროგრამის მიზანი**

სამაგისტრო პროგრამის მიზნებია, შრომის ბაზრის და აკადემიური სივრცის მოთხოვნების შესაბამისად, კურსდამთავრებულისთვის საერთაშორისო დონის სტანდარტების ისეთი სისტემური ცოდნის და უნარების მიცემა, რომ მას შეეძლოს:

● საისტორიო კვლევის თანამედროვე მეთოდების გათავისება და პრაქტიკაში გამოყენება

● ანტიკური და ფეოდალური ხანის/XIX-XXI საუკუნეების საქართველოს ისტორიის (სტუდენტის მიერ არჩეული საპროგრამო მოდულის მიხედვით) მრავალფეროვანი წყაროების გამოყენებით, მათი კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, მცირე მასშტაბის კომპლექსური და მულტიდისციპლინური კვლევის ჩატარება

● საქართველოს ისტორიის ღრმა და სისტემურ დარგობრივ ცოდნაზე დაყრდნობით, ანტიკური და ფეოდალური ხანის/XIX-XXI საუკუნეების საქართველოს ისტორიის (სტუდენტის მიერ არჩეული საპროგრამო მოდულის მიხედვით) საკითხების სამეცნიერო ანალიზი და მოვლენების შეფასება

● ანტიკური და ფეოდალური ხანის/XIX-XXI საუკუნეების საქართველოს ისტორიის (სტუდენტის მიერ არჩეული საპროგრამო მოდულის მიხედვით) ევოლუციური პროცესების შედარება თანადროულ მსოფლიო ისტორიულ განვითარებასთან; სხვადასხვა ეპოქაში ევროპის განსხვავებულ საინტეგრაციო ზონებში საქართველოს ადგილის დანახვა

● ანტიკური და ფეოდალური ხანის/XIX-XXI საუკუნეების საქართველოს ისტორიის სფეროში (სტუდენტის მიერ არჩეული საპროგრამო მოდულის მიხედვით) კვლევის რეალიზაცია; აკადემიური ეთიკის ნორმების დაცვით, ფართო და სტრუქტურალიზებული ისტორიული ნარატივის წერილობითი და ვერბალური პრეზენტაცია

● დამოუკიდებელი აკადემიური მუშაობა და მუშაობა აკადემიურ ჯგუფებში; უახლესი ცოდნით აკადემიურ სფეროში საკუთარი წვლილის შეტანა, ცოდნის გაცვლა-გავრცელება აკადემიურ და არააკადემიურ საზოგადოებაში, საქართველოს ისტორიის პოპულარიზაცია

● მეცნიერების და აკადემიური თავისუფლების განსაკუთრებული მნიშვნელობის გათავისება სოციალურ ევოლუციაში; თვითშეფასება, საკუთარი და განსხვავებული აზრის პატივისცემა; განსხვავებული კულტურების და, ზოგადად, კულტურული მემკვიდრეობის პატივისცემა, საერთო-ევროპული ღირებულებების გათავისება

**სწავლის მეთოდები**

სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, შუალედური გამოცდების, პრეზენტაციების, რეფერატისა და დასკვნითი გამოცდის ფორმატში იყენებს შემდეგ მეთოდებს: ინტერაქტიური ლექცია, ახსნა-განმარტებითი მეთოდი; მასალის

მოძიება ელექტრონულად ან ბიბლიოთეკაში, ლიტერატურის მიმოხილვა, წიგნზე მუშაობა, სიახლეთა გარჩევა, კრიტიკული ანალიზი; წერითი მუშაობის მეთოდი – მონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, ესეს შესრულება; დემონსტრირების მეთოდი; დისკუსია/დებატები; ჯგუფური მუშაობა; ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი.

**შეფასების სისტემა**

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით.
შეფასება ითვალისწინებს შუალედურ განმავითარებელ შეფასებას (60 ქულა) და დასკვნით გამოცდას (40 ქულა). შუალედური შეფასება ხორციელდება მინიმუმ სამი კომპონენტის მიხედვით. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები განსხვავებულია და მათი აღწერა მოცემულია კონკრეტული კურსის სილაბუსში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედურ შეფასებებში დაგროვებული აქვს მინიმუმ 21 ქულა. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდის (კომბინირებული - წერა/ზეპირი გამოცდის შემთხვევაში, თითოეული კომპონენტის) მაქსიმალური ქულის 50 %-ს.
სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:
(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:
ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი დამასრულებელ სემესტრში ამზადებს **სამაგისტრო ნაშრომს.** შესაბამისი მარეგულირებელი წესის თანახმად:
- ✓ სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთიანად დასკვნითი შეფასებით 100-ქულიანი სისტემით;
- ✓ რეცენზენტი წერს ნაშრომის შესახებ რეცენზიას და აფასებს სტუდენტის ნაშრომს მაქსიმუმ 60 ქულით. 31 ქულაზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე არ დაიშვება;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, საჯარო დაცვამდე სამაგისტრო ნაშრომი შემოწმებული უნდა იყოს Turnitin

ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით.

- ✓ ნაშრომი ფასდება კომისიის მიერ წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტი წარმოადგენს ნაშრომის შედეგებს პრეზენტაციის სახით, რომელიც ფასდება კომისიის თითოეული წევრის მიერ (მაქსიმუმ 40 ქულა). ამ კომპონენტში სტუდენტის საბოლოო შეფასება იანგარიშება კომისიის ყველა წევრის შეფასების საშუალო არითმეტიკულით. მიღებული შეფასება დადებითად ითვლება, თუ კომისია სტუდენტის ნაშრომს შეაფასებს 20 და მეტი ქულით;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასებას წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და კომისიის საბოლოო შეფასების ჯამი, რომელიც ტოლია ან აღემატება 51 ქულას.
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია.

**სწავლის შედეგები**

სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

**ცოდნა და გაცნობიერება:**

- ფლობს და იყენებს საისტორიო კვლევის თანამედროვე მეთოდებს; განასხვავებს მათ სპეციფიკას შესწავლილი საპროგრამო მოდულის (ანტიკური და ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორია, XIX-XXI საუკუნეების საქართველოს ისტორია) მიხედვით, და იყენებს პრაქტიკაში.
- მოიძიებს, კითხულობს და კრიტიკულად აანალიზებს ანტიკური და ფეოდალური ხანის/XIX-XXI საუკუნეების საქართველოს ისტორიის (შესწავლილი საპროგრამო მოდულის მიხედვით) ქართულენოვან და უცხოენოვან წყაროებს, აცნობიერებს საისტორიო წყაროების ფალსიფიკაციის და მათზე იდეოლოგიური ზეგავლენის შესაძლებლობას; წყაროებზე დაყრდნობით ახორციელებს მცირე მასშტაბის კომპლექსურ და მულტიდისციპლინურ კვლევას.
- სიღრმისეულად მსჯელობს საქართველოს ისტორიული განვითარების პერიპეტიებზე, ანტიკური და ფეოდალური ხანის/XIX- XXI საუკუნეების საქართველოს ისტორიას (შესწავლილი საპროგრამო მოდულის მიხედვით) უდარებს მსოფლიო ევოლუციის სქემებს, აფასებს მოვლენებს.
- წერს ფართო და სტრუქტურალიზებულ კვლევითი ტიპის ნაშრომს ანტიკური და ფეოდალური ხანის/XIX-XXI საუკუნეების საქართველოს ისტორიის (შესწავლილი საპროგრამო მოდულის მიხედვით) შესახებ.

**უნარები:**

- თავისუფლად ორიენტირებს არქივებში, ბიბლიოთეკებსა და მუზეუმებში, იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიურ საშუალებებს მასალის მოძიებისას, ახდენს მოძიებული მასალის სისტემატიზაციას და კომენტირებას, აყალიბებს

დასაბუთებულ დასკვნებს.
- განსაზღვრავს სამეცნიერო პრობლემას, დამოუკიდებლად ახორციელებს კვლევას.
- ახდენს ისტორიული ტიპის ნარატივის წერილობით და ვერბალურ პრეზენტაციას, ამყარებს ზეპირ კომუნიკაციას ქართულ და ერთ-ერთ საერთაშორისო ენაზე შესაბამისი აკადემიური ტერმინოლოგიის და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.
- ხელს უწყობს ისტორიის პოპულარიზაციას.
- წარმართავს ლოგიკურ დისკუსიას.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:**
- ავითარებს საკუთარ შესაძლებლობებს, იღებს დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს და მათზე პასუხისმგებლობას, ახდენს დროის რაციონალურ ორგანიზებას, და გუნდური მუშაობის პრინციპის დაცვით – დარგობრივი ცოდნის ადაპტირებას სასწავლო თუ სამუშაო გარემოში.
- პატივს სცემს საკუთარ და განსხვავებულ აზრს, განსხვავებულ კულტურებს და, ზოგადად, კულტურულ მემკვიდრეობას.
- ითავისებს საერთო-ევროპულ ღირებულებებს, მეცნიერების განსაკუთრებულ მნიშვნელობას სოციალურ ევოლუციაში და აკადემიური ეთიკის პრინციპების დაცვის აუცილებლობას.

**დასაქმების სფეროები**

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულ მაგისტრს შეუძლია დასაქმდეს ზოგადსაგანმანათლებლო (საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დამატებითი მოთხოვნების შესრულების შემთხვევაში), პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, საჯარო სამსახურში, საზოგადოებრივ სექტორში; სხვადასხვა პროფილის სახელმწიფო და არასამთავრობო სტრუქტურები, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები, ფონდები, ბიბლიოთეკები, საჯარო სამსახური, ადგილობრივი, რეგიონული ადმინისტრაციები, კვლევითი ინსტიტუტები, არქივები, მუზეუმები, განათლების და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ტურიზმისა და მასმედიის სფერო, გამომცემლობები და სხვა. მას უფლება ეძლევა, სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში.

| პროგრამის სახელწოდება | ახალი და უახლესი ისტორია<br>Modern and Contemporary History |
|---|---|
| **საფეხური** | სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** | • საერთო სამაგისტრო გამოცდა<br>• ბაკალავრის აკადემიური ხარისხი<br>• სასპეციალიზაციო წერითი გამოცდა;<br>• უცხოური (ინგლისური/ გერმანული /ფრანგული) ენის B1 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით (სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე B2 დონემდე ენის ცოდნის გაუმჯობესების პერსპექტივით). |
| **სწავლების ენა** | ქართული |
| **კვალიფიკაცია** | ისტორიის მაგისტრი<br>Master of History |
| **სწავლების ხანგრძლივობა** | 4 სემესტრი |
| **ECTS** | 120 ECTS კრედიტი |
| **სწავლების გადასახადი** | 2250 ლარი |
| **პროგრამის განხორციელების ადგილი** | თსუ სასწავლო კორპ. N1, ი. ჭავჭავაძის გამზ. N1; სასწავლოს კორპ N8, , ი. ჭავჭავაძის გამზ. N13. |
| **პროგრამის განმახორციელებელი ერთეული** | მსოფლიო ინსტიტუტის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი |
| **საკონტაქტო პირი** | პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი: პროფ. თეიმურაზ პაპასქირი |
| | ტელ.: +995 577248840 |
| | ელფოსტა: teimuraz.papaskiri@tsu.ge |
| **მოდულები** | • ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია<br>• ახლო აღმოსავლეთის ისტორია (ახალი და უახლესი პერიოდი)<br>• შორეული აღმოსავლეთის ისტორია (ახალი და უახლესი პერიოდი)<br>• საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია ახალ და უახლეს პერიოდში |
| | **პროგრამის სტრუქტურა** |
| **კომპონენტის სტატუსი** | ECTS-მოცულობა |
| საერთო სავალდებულო | 30 ECTS კრედიტი |

| | |
|---|---|
| **მოდულის სავალდებულო** | 30-40 ECTS კრედიტი |
| **არჩევითი** | 20-30 ECTS კრედიტი |
| **სამაგისტრო ნაშრომი** | 30 ECTS კრედიტი |

**პროგრამის მიზანი**

სამაგისტრო პროგრამის მიზანს წარმოადგენს

- მაღალკვალიფიციური სპეციალისტ-მკვლევრების მომზადება ახალი და უახლესი ისტორიის დარგში.
- მისცეს მაგისტრატურის მსმენლებს ღრმა და სისტემური ცოდნა ახალი და უახლესი ისტორიის საკვანძო საკითხებზე როგორც მთლიანობაში, ისე რეგიონების მიხედვით. ამას ემსახურება ის სალექციო კურსები და სტუდენტთა პრაქ-ტიკული მუშაობა (როგორც უშუალოდ ლექტორთან, ისე დამოუკიდებლად), რომელიც გათვალისწინებულია წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამით.
- კურსდამთავრებულს ჰქონდეს სრული წარმოდგენა ახალი და უახლესი ისტორიის სფეროში არსებულ ძირითად თეორიულ მიდგომებზე, საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის ძირითად ეტაპებზე ახალ და უახლეს პერიოდში, გლობალიზაციასა და მის თანამდევ სხვადასხვა აპექტებზე, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის არსებულ ურთიერთობებზე, ქრისტიანულ და ისლამურ სამყაროს შორის განსხვავებებსა და მსგავსებებზე და ა.შ
- ჰქონდეს კონკრეტული ცოდნა ევროპისა და ამერიკის ქვეყნების, ახლო აღმოსავლეთის, შორეული აღმოსავლეთის ახალი და უახლესი პერიოდის ისტორიაზე და საერთაშორისო ურთიერთობების საკვანძო ეტაპებზე XIX-XX საუკუნეებში.
- პროფესიულ საქმიანობაში იცავდეს ეთიკურ ნორმებს; ისტორიული მოვლენების შეფასებისას და სენსიტიური თუ წინააღმდეგობრივი საკითხების განხილვისას ეყრდნობოდეს სამართლიანობის, ტოლერანტობის, პლურალიზმისა და ობიექტურობის პრინციპებს, აკადემიურ და ფართო საზოგადოებრივ წრეებში ახდენდეს ისტორიული ცოდნის პოპულარიზაციას.

**სწავლის მეთოდები**

სწავლის შედეგების მისაღწევად ახალი და უახლესი ისტორიის სამაგისტრო პროგრამა ლექციის, სემინარის, სამუშაო ჯგუფის, პრაქტიკული მეცადინეობის, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, დასკვნითი გამოცდის, სამაგისტრო ნაშრომის და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს და აქტივობას: ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი; პრაქტიკული მეთოდი; წიგნზე მუშაობის მეთოდი; წერითი მუშაობის მეთოდი; ელექტრონული სწავლება; დემონსტრირება; ევრისტიკული მეთოდი; დისკუსია/დებატები; ჯგუფური მუშაობა; ინდუქციური და დედუქციური მეთოდები; ანალიზი და სინთეზი; გუნდური მუშაობა; დამოუკიდებელი მუშაობა და სხვა.

გამოყენებული მეთოდები სრულად შეესაბამება უმაღლესი სწავლების II საფეხურის დონეს, კურსების შინაარსს და სწავლის შედეგებს.

**შეფასების სისტემა**

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით.
შეფასება ითვალისწინებს შუალედურ განმავითარებელ შეფასებას (60 ქულა) და დასკვნით გამოცდას (40 ქულა). შუალედური შეფასება ხორციელდება მინიმუმ სამი კომპონენტის მიხედვით. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები განსხვავებულია და მათი აღწერა მოცემულია კონკრეტული კურსის სილაბუსში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედურ შეფასებებში დაგროვებული აქვს მინიმუმ 21 ქულა. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდის (კომბინირებული - წერა/ზეპირი გამოცდის შემთხვევაში, თითოეული კომპონენტის) მაქსიმალური ქულის 50 %-ს.
სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:
(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:
ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი დამასრულებელ სემესტრში ამზადებს **სამაგისტრო ნაშრომს.** შესაბამისი მარეგულირებელი წესის თანახმად:

- ✓ სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთიანად დასკვნითი შეფასებით 100-ქულიანი სისტემით;
- ✓ რეცენზენტი წერს ნაშრომის შესახებ რეცენზიას და აფასებს სტუდენტის ნაშრომს მაქსიმუმ 60 ქულით. 31 ქულაზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე არ დაიშვება;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, საჯარო დაცვამდე სამაგისტრო ნაშრომი შემოწმებული უნდა იყოს Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით.
- ✓ ნაშრომი ფასდება კომისიის მიერ წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტი წარმოადგენს ნაშრომის შედეგებს პრეზენტაციის სახით, რომელიც ფასდება კომისიის თითოეული წევრის მიერ (მაქსიმუმ 40 ქულა). ამ კომპონენტში სტუდენტის საბოლოო შეფასება იანგარიშება კომისიის ყველა წევრის შეფასების საშუალო არითმეტიკულით. მიღებული შეფასება დადებითად ითვლება, თუ კომისია

სტუდენტის ნაშრომს შეაფასებს 20 და მეტი ქულით;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასებას წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და კომისიის საბოლოო შეფასების ჯამი, რომელიც ტოლია ან აღემატება 51 ქულას.
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია.

**სწავლის შედეგები**

მაგისტრატურის სასწავლო პროგრამის დასრულებისა და სამაგისტრო ნაშრომის დაცვის შედეგად მიღებული ცოდნის, კვალიფიკაცი-ისა და კომპეტენციის გამოყენებით პროგრამის კურსდამთავრებულს გააჩნია შემდეგი უნარები:

**ცოდნა და გაცნობიერება:**

- ღრმად და სისტემურად მსჯელობს ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებზე, სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ათვისებისა და გააზრების საფუძველზე, ახდენს მათ ინტერპრეტაციასა და ანალიზს, სხვადასხვა პერსპექტივიდან ადარებს ერთმანეთს განვითარებულ მოვლენებს და გამოკვეთს მათ გავლენას თანამედროვეობაზე სხვადასხვა კონტექსტში სფეროს ტრადიციული მიდგომებსა და უახლეს მიღწევებზე დაყრდნობით;
- სიღრმისეულად მიმოიხილავს ისტორიულ მეთოდებს, გამოკვეთს, ტრადიციულ მიდგომებსა და უახლეს მიღწევებზე დაყრდნობით, ისტორიული მეთოდების მნიშვნელობას ისტორიის შესწავლისას, ახასიათებს და კრიტიკულად აფასებს ისტორიის დარგში არსებული სამეცნიერო მიდგომებისა და თეორიების ჩამოყალიბება/განვითარების ძირითად ეტაპებს, თავისებურებასა და დინამიკას;
- განსაზღვრავს და აფიქსირებს ისტორიის არაერთგვაროვანი გადმოცემის მიდგომებს, ისტორიის ფალსიფიკაციისა და იდეოლოგიური გავლენის ფაქტებს.
- აანალიზებს გლობალიზაციას, როგორც ისტორიულ მოვლენას და ხსნის მის თანმდევ პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სოციალური ასპექტებს, გამოწვევებსა და დადებით მხარეებს; შედარებითი ანალიზის საფუძველზე, მსოფლიოში მიმდინარე გლობალურ პროცესებში განსაზღვრავს საქართველოს ადგილსა და როლს;
- განიხილავს და აანალიზებს ახალ და უახლეს პერიოდში აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის არსებულ ურთიერთობებს და პრობლემებს ისტორიულ კონტექსტში; მსჯელობს ქრისტიანულ და ისლამურ სამყაროს შორის განსხვავებებსა და მსგავსებებზე; აღწერს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის დაპირისპირების ისტორიულ საფუძვლებს და თანამედროვე პრობლემებს; მსჯელობს მუსლიმთა მიგრაციაზე ევროპაში, კულტურულ ასიმილაციასა და პოლიტიკური ინტეგრაციაზე და გამოაქვს სათანადო დასკვნები; აყალიბებს განსხვავებულ რელიგიათა თანაარსებობისა და დიალოგის შესაძლებლობას.

გარდა ამისა, მოდულების მიხედვით პროგრამის კურსდამთავრებულს გააჩნია შემდგომი კომპეტენციები:

I მოდული – ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია

ღრმად და სისტემურად სისტემურად მიმოიხილავს საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, ესპანეთის, გერმანიის, იტალიის, სსრ კავშირისა და აშშ-ს ისტორიის ცალკეულ მნიშვნელოვან ეტაპებს;

განიხილავს და აანალიზებს სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში ამა თუ იმ სახელმწიფოს დაწინაურების მიზეზებსა და შედეგებს.

II მოდული – ახლო აღმოსავლეთის ისტორია (ახალი და უახლესი პერიოდი)

- ღრმად და სისტემურად მსჯელობს ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ახალი და უახლესი ისტორიის ცალკეულ მნიშვნელოვან ეტაპებზე, განიხილავს და აანალიზებს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ახალი და უახლესი პერიოდის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ისტორიის საკვანძო პრობლემებს, ახასიათებს სამშვიდობო პროცესებს ახლო აღმოსავლეთში და განსაზღვრავს დასავლეთევროპული და ამერიკული დიპლომატიის როლს კონფლიქტების დარეგულირებაში;
- აანალიზებს პრინციპულ განსხვავებას ისლამს როგორც რელიგიურ სისტემასა და ისლამიზმს, როგორც პოლიტიკურ იდეოლოგიას შორის, განსაზღვრავს ისლამის, როგორც პოლიტიკური ბრძოლის იარაღის როლს და განიხილავს თანამედროვე ისლამური სამყაროს პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში ისლამური ფაქტორის გაძლიერების მიზეზებსა და შედეგებს, აანალიზებს რადიკალური ისლამისტური ორგანიზაციების იდეოლოგიურ საფუძვლებს, სტრატეგიასა და ტაქტიკას მათი მოქმედების კონკრეტული რეგიონის სოციალ-ეკონომიკურ თავისებურებათა გათვალისწინებით, ფლობს და იყენებს პოლიტიკური ისლამისათვის დამახასიათებელ ცნებით კატეგორიებსა და ტერმინოლოგიას, აანალიზებს ქრისტიანული საქართველოს ისლამურ სამყაროსთან მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის თავისებურებებს და კრიტიკულად განიხილავს ქართულ და აღმოსავლურ წყაროებს საქართველოსა და ისლამური სამყაროს ურთიერთობების შესწავლისას.

III მოდულის – შორეული აღმოსავლეთის ისტორია (ახალი და უახლესი პერიოდი)

- ღრმად და სისტემურად მსჯელობს ახალი და უახლეს პერიოდში შორეული აღმოსავლეთის რეგიონის ცალკეული მნიშვნელოვანი ეტაპებისა და სოციალურ, ეკონომიკურ თუ კულტურულ ისტორიას, აცნობიერებს და კრიტიკულად აფასებს რბილი ძალის დადებით და უარყოფით მხარეებს შორეული აღმოსავლეთის რეგიონში.
- ახდენს ბუდიზმის ძირითადი არსის, მისი დოგმების და მიმდინარეობების ინტერპრეტაციას და შედარებით ანალიზს.

IV მოდული – საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია ახალ და უახლეს პერიოდში

- ღრმად და სისტემურად მსჯელობს XIX-XX საუკუნეების დიპლომატიური ურთიერთობების ისტორიის საკვანძო საკითხებზე, ასევე კათოლიკური ეკლესიის მესვეურთა მიერ ახალ და უახლეს პერიოდში გატარებული პოლიტიკაზე;
- განიხილავს და აანალიზებს XIX საუკუნის ევროპული ურთიერთობების, აგრეთვე მსოფლიო ომებსშორისი

პერიოდისა და „ცივი ომის“ ხანის ძირითად მოვლენებს.

**უნარები:**

- საარქივო/საბიბლიოთეკო რესურსებისა და ელექტრონული სამეცნიერო ბაზების გამოყენებით დამოუკიდებლად მოიძიებს სხვადასხვა ისტორიულ (მათ შორის, ნაკლებადშესწავლილ/ახლადაღმოჩენილ) წყაროებში მოცემულ ინფორმაციას, კრიტიკულად აფასებს, ახდენს მათ სისტემატიზაციას, განსაზღვრავს ამა თუ იმ მოვლენების განვითარების ძირითად ფაქტორებს, აანალიზებს მათ და აყალიბებს საკუთარ დასკვნებს;
- გეგმავს და ახორციელებს კვლევას შესაბამისი ისტორიული მეთოდებისა და დადგენილი აკადემიური სტანდარტების გამოყენებით;
- წარმოადგენს კვლევის შედეგებს წერილობითი და ზეპირი ფორმით როგორც პროფესიული, ისე ფართო საზოგადოების წინაშე;
- პროფესიული საქმიანობის დროს ახდენს მშობლიურ და უცხოურ ენებზე კომუნიკაციას საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:**

- პატივს სცემს ცალკეულ ისტორიულ ეპოქაში სხვადასხვა ქვეყნებისა და ერების განსხვავებულ ღირებულებებს, იდეებს, შეხედულებებსა და კულტურას, როგორც მსოფლიო ფასეულობათა ნაწილს; იცავს ეთიკურ ნორმებს; ისტორიული მოვლენების შეფასებისას და სენსიტიური თუ წინააღმდეგობრივი საკითხების განხილვისას ეყრდნობა სამართლიანობის, ტოლერანტობის, პლურალიზმისა და ობიექტურობის პრინციპებს;
- გუნდური მუშაობის პრინციპების დაცვით, ახდენს ადაპტირებას მულტიდისციპლინურ სასწავლო თუ სამუშაო გარემოში, ავითარებს საკუთარ შესაძლებლობებს, იღებს დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებსა და მათზე პასუხისმგებლობას;
- სფეროსათვის აქტუალური ინფორმაციის სინთეზირებითა და აკადემიური ეთიკის ნორმების დაცვით, წერს სამეცნიერო ნაშრომს და შეაქვს წვლილი დარგში არსებული ცოდნის განვითარებაში.

**დასაქმების სფეროები**

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ახალი და უახლესი ისტორიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს – ისტორიის მაგისტრს შეუძლია დასაქმდეს ზოგადსაგანმანათლებლო (საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დამატებითი მოთხოვნების შესრულების შემთხვევაში), პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, საჯარო სამსახურში, მუზეუმში, ბიბლიოთეკაში, ტურიზმისა და ჟურნალისტიკის სფეროში, (მათშორის, სამთავრობო უწყებებში, საელჩოებში და ა.შ.) და საერთაშორისო სტრუქტურებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, კერძო სექტორში და ა.შ. გარდა ამისა, ისტორიის მაგისტრს შეუძლია სწავლის გაგრძელება სწავლების შემდგომ საფეხურზე – დოქტორანტურაში სხვადასხვა მიმართულებაზე.

| პროგრამის სახელწოდება | ძველი ენები და ცივილიზაციები<br>Anciant Languages and Civilisation |
|---|---|
| **საფეხური** | სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** | • საერთო სამაგისტრო გამოცდა;<br>• ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი;<br>• სასპეციალიზაციო წერითი გამოცდა;<br>• უცხოური (ინგლისური/ გერმანული /ფრანგული) ენის B1 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით (სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე B2 დონემდე ენის ცოდნის გაუმჯობესების პერსპექტივით). |
| **სწავლების ენა** | ქართული |
| **კვალიფიკაცია** | სიძველეთმცოდნეობის მაგისტრი<br>Master of Ancient Studies |
| **სწავლების ხანგრძლივობა** | 4 სემესტრი |
| **ECTS** | 120 ECTS კრედიტი |
| **სწავლების გადასახადი** | 2250 ლარი |
| **პროგრამის განხორციელების ადგილი** | თსუ სასწავლო კორპ. N1, ი. ჭავჭავაძის გამზ. N1; სასწავლო კორპ. N8, ი. ჭავჭავაძის გამზ. N13 |
| **პროგრამის განმახორციელებელი ერთეული** | მსოფლიოს ინსტიტუტის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი |
| **საკონტაქტო პირი** | პროგრამის ხელმძღვანელები/კოორდინატორები: პროფ. ლევან გორდეზიანი, პროფ. ირინე ტატიშვილი |
| | ტელ.: +995 577 75 82 80; +995 551355064 |
| | ელფოსტა: levan.gordeziani@tsu.ge; irine.tatishvili@tsu.ge |
| **პროგრამის სტრუქტურა** | |
| **კომპონენტის სტატუსი** | ECTS-მოცულობა |
| სავალდებულო | 20 ECTS კრედიტი |
| არჩევითი | 70 ECTS კრედიტი |
| სამაგისტრო ნაშრომი | 30 ECTS კრედიტი |
| | |
| **პროგრამის მიზანი** | |

სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს, ფართო არჩევითობისა და ფაქტობრივად თითოეული სტუდენტისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შეთავაზების მეშვეობით, მოამზადოს ახლო აღმოსავლეთისა და ხმელთაშუა ზღვისპირეთის ძველი ცივილიზაციების კომპლექსური სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ:

1. ისტორიულ, კულტუროლოგიურ, ქვეყანათმცოდნეობით, ფილოლოგიურ კვლევას თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებისა და უახლესი ინტერდისციპლინარული მეთოდების გამოყენებით, სწავლისა და მუშაობის გაგრძელებას როგორც ვიწრო სპეციალობით – სიძველეთმცოდნეობის რომელიმე ქვედარგში, ასევე ისეთ სფეროში, სადაც ფართო, ზოგადჰუმანიტარული თვალსაწიერია საჭირო;
2. კვლევებზე დაფუძნებული რეკომენდაციებით, პოზიტიური გავლენის მოხდენა სიძველეთმცოდნეობის ინტერდისციპლინარული სფეროს, ან მისი რომელიმე დარგის განვითარებაზე;
3. უახლესი ცოდნით აკადემიურ სფეროში საკუთარი წვლილის შეტანა და ცოდნის გაცვლა-გავრცელება აკადემიურ და არააკადემიურ საზოგადოებაში;

მიზნის მისაღწევად პროგრამა უზრუნველყოფს:
ა. ძველი ცივილიზაციების კვლევის ძირითადი ინსტრუმენტის –
„მკვდარი ენების“ (არჩევით: აქადური, შუმერული, ხათური, ხეთური, ურარტული, ძველი ბერძნული, ლათინური) შესწავლას (ან არჩეულ ენაში ცოდნის გაღრმავებას, თუ მაგისტრანტს ეს ენა შესაბამისი ძირითადი ან დამატებითი საბაკალავრო პროგრამის, ან არჩევითი კურსების ფარგლებში სწავლების წინა საფეხურზე უკვე შესწავლილი აქვს);
ბ. ამ ენებზე შედგენილი სხვადასხვა ჟანრისა და შინაარსის ტექსტების ნიმუშების კომპლექსურ შესწავლას;
გ. ახლო აღმოსავლეთისა და ხმელთაშუა ზღვისპირეთის ძველი ცივილიზაციების ისტორიის, რეგიონის ისტორიის საკვანძო მომენტებისა თუ პრობლემების შესწავლას.
სამაგისტრო პროგრამის აქტუალობას განაპირობებს საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიული და კულტურული კონტაქტები აღნიშნულ რეგიონებთან, ამ სამყაროს როლი და მნიშვნელობა ქართველი ხალხისა და ქართული კულტურის ფორმირების პროცესში.

**სწავლის მეთოდები**

სწავლის შედეგების მისაღწევად სამაგისტრო პროგრამა იყენებს სხვადასხვა მეთოდს: ზეპირსიტყვიერი/ვერბალური, ახსნა-განმარტებითი და დემონსტრირების მეთოდები, ლექცია-სემინარები, დამოუკიდებელი და ჯგუფური მუშაობა, დისკუსია, ელექტრონული სწავლება.
სემინარები ეთმობა კითხვა-პასუხებსა და დისკუსიას ლექციებზე განხილულ თემებზე, წერილობით სავარჯიშოებს (ტექსტის თარგმანი, გრამატიკული ანალიზი) და საშინაო დავალებების ანალიზს.
შუალედური და ფინალური შეფასება, როგორც განვლილი მასალის ცოდნის შემოწმების ფორმა.
დამატებითი საკონსულტაციო მუშაობა ზეპირი მეთოდით თეორიული მასალისა და პარაქტიკული დავალებების გარჩევით.

**შეფასების სისტემა**

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით.
შეფასება ითვალისწინებს შუალედურ განმავითარებელ შეფასებას (60 ქულა) და დასკვნით გამოცდას (40 ქულა). შუალედური შეფასება

ხორციელდება მინიმუმ სამი კომპონენტის მიხედვით. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები განსხვავებულია და მათი აღწერა მოცემულია კონკრეტული კურსის სილაბუსში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედურ შეფასებებში დაგროვებული აქვს მინიმუმ 21 ქულა. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდის (კომბინირებული - წერა/ზეპირი გამოცდის შემთხვევაში, თითოეული კომპონენტის) მაქსიმალური ქულის 50 %-ს.
სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:
(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:
ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი დამასრულებელ სემესტრში ამზადებს **სამაგისტრო ნაშრომს.** შესაბამისი მარეგულირებელი წესის თანახმად:

- ✓ სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთიანად დასკვნითი შეფასებით 100-ქულიანი სისტემით;
- ✓ რეცენზენტი წერს ნაშრომის შესახებ რეცენზიას და აფასებს სტუდენტის ნაშრომს მაქსიმუმ 60 ქულით. 31 ქულაზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე არ დაიშვება;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, საჯარო დაცვამდე სამაგისტრო ნაშრომი შემოწმებული უნდა იყოს Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით.
- ✓ ნაშრომი ფასდება კომისიის მიერ წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტი წარმოადგენს ნაშრომის შედეგებს პრეზენტაციის სახით, რომელიც ფასდება კომისიის თითოეული წევრის მიერ (მაქსიმუმ 40 ქულა). ამ კომპონენტში სტუდენტის საბოლოო შეფასება იანგარიშება კომისიის ყველა წევრის შეფასების საშუალო არითმეტიკულით. მიღებული შეფასება დადებითად ითვლება, თუ კომისია სტუდენტის ნაშრომს შეაფასებს 20 და მეტი ქულით;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასებას წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და კომისიის საბოლოო

შეფასების ჯამი, რომელიც ტოლია ან აღემატება 51 ქულას.

- ✓ სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია.

**სწავლის შედეგები**

**ცოდნა და გაცნობიერება:**

- ფლობს ძველი ცივილიზაციების კვლევის ძირითად ინსტრუმენტს –სულ ცოტა ერთ „მკვდარ ენას“ იმ დონეზე, რომ დამოუკიდებლად შეეძლოს სამეცნიერო მუშაობა ამ ენაზე შედგენილ ტექსტებთან;
- აცნობიერებს სხვადასხვა ტიპის წყაროს მიმართ განსაკუთრებული მიდგომის აუცილებლობას და მათთან მუშაობის მრავალფეროვან მეთოდოლოგიას.
- ავლენს ძველი სამყაროს ისტორიის, კულტურის, ძველი ადამიანის მსოფლაღქმის სიღრმისეულ ცოდნას, ახდენს შესაბამისი ფაქტებისა და მოვლენების ინტერპრეტაციასა და ანალიზს, მოკვეთს მათ გავლენას თანამედროვეობაზე სხვადასხვა კონტექსტში სფეროს ტრადიციული მიდგომებსა და უახლეს მიღწევებზე დაყრდნობით;
- ახასიათებს და კრიტიკულად აფასებს სიძველეთმცოდნეობის სფეროში არსებული მულტი და ინტერდისციპლინარული სამეცნიერო მიდგომებისა და თეორიების ჩამოყალიბება/ განვითარების ძირითად ეტაპებს, თავისებურებასა და დინამიკას;
- აცნობიერებს ძველი სამყაროს ისტორიის, კულტურის, რელიგიის არაერთგვაროვანი გადმოცემის მიდგომებს, ისტორიის ფალსიფიკაციისა და იდეოლოგიური გავლენის ფაქტებს.

**უნარები:**

- საარქივო/საბიბლიოთეკო რესურსებისა და ელექტრონული სამეცნიერო ბაზების გამოყენებით დამოუკიდებლად მოიძიებს სხვადასხვა ისტორიულ (მათ შორის, ნაკლებად შესწავლილ/ ახლადაღმოჩენილ) წყაროებში მოცემულ ინფორმაციას, ახდენს მათ სისტემატიზაციას და აყალიბებს საკუთარ დასკვნებს;
- გეგმავს და ახორციელებს კვლევას დარგის შესაბამისი მეთოდებისა დადადგენილი აკადემიური სტანდარტების გამოყენებით;
- წარმოადგენს კვლევის შედეგებს წერილობითი და ზეპირი ფორმით როგორც პროფესიული, ისე ფართო საზოგადოების წინაშე;
- პროფესიული საქმიანობის დროს ახდენს მშობლიურ და უცხოურ ენებზე კომუნიკაციას საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:**

- ძველი სამყაროს სენსიტიური და წინააღმდეგობრივი საკითხების განხილვისას ეყრდნობა პლურალიზმისა და ობიექტურობის პრინციპებს;
- გუნდური მუშაობის პრინციპების დაცვით, ახდენს ადაპტირებას მულტიდისციპლინურ სასწავლო თუ სამუშაო გარემოში,

| | |
|---|---|
| ავითარებს საკუთარ შესაძლებლობებს, იღებს დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებსა და მათზე პასუხისმგებლობას.<br>• სფეროსათვის აქტუალური ინფორმაციის სინთეზირებითა და აკადემიური ეთიკის ნორმების დაცვით წერს სამეცნიერო ნაშრომს და შეაქვს წვლილი დარგში არსებული ცოდნის განვითარებაში. |
| **დასაქმების სფეროები** |
| სიძველეთმცოდნეობის მაგისტრს შეუძლია დასაქმდეს ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, საჯარო სამსახურში, კერძო სექტორში, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებში და ა.შ. სიძველეთმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხი უტოლდება ისტორიის მაგისტრის აკადემიურ ხარისხს. მას უფლება ეძლევა, სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში. |

| პროგრამის სახელწოდება | შუა საუკუნეების ისტორია<br>Medieval History |
|---|---|
| **საფეხური** | სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** | • საერთო სამაგისტრო გამოცდა;<br>• ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;<br>• სასპეციალიზაციო წერითი გამოცდა;<br>• უცხოური (ინგლისური/ გერმანული /ფრანგული) ენის B1 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით (სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე B2 დონემდე ენის ცოდნის გაუმჯობესების პერსპექტივით). |
| **სწავლების ენა** | ქართული |
| **კვალიფიკაცია** | ისტორიის მაგისტრი/Master of History |
| **სწავლების ხანგრძლივობა** | 4 სემესტრი |
| **ECTS** | 120 ECTS კრედიტი |
| **სწავლების გადასახადი** | 2250 ლარი |
| **პროგრამის განხორციელების ადგილი** | თსუ სასწავლო კორპ. N1, ი. ჭავჭავაძის გამზ. N1; სასწავლო კორპ. N8, ი. ჭავჭავაძის გამზ. N13 |
| **პროგრამის განმახორციელებელი ერთეული** | მსოფლიოს ინსტიტუტის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი |
| **საკონტაქტო პირი** | პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი: პროფ. მურმან პაპაშვილი |
| | ტელ.: +995 599176498 |
| | ელფოსტა: murman.papashvili@tsu.ge |
| **პროგრამის სტრუქტურა** | |
| **კომპონენტის სტატუსი** | ECTS-მოცულობა |
| სავალდებულო | 60 ECTS კრედიტი |
| არჩევითი | 30 ECTS კრედიტი |
| სამაგისტრო ნაშრომი | 30 ECTS კრედიტი |
| | |
| **პროგრამის მიზანი** | |
| პროგრამის მიზნებია, უზრუნველყოს სტუდენტი დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების განვითარების ისტორიულ პროცესებზე საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრული ღრმა პროფესიული ცოდნითა და კომპეტენციებით, რათა მან შეძლოს: | |

1. შუა საუკუნეების ეპოქის საკვანძო ისტორიულ პროცესებში ცოდნის გაღრმავება რეგიონული განვითარების თავისებურებების აქცენტირებით;
2. მეთოდოლოგიური მომზადების გაღრმავება და სამეცნიერო კვლევებში მათი გამოყენება;
3. თანამედროვე მედიევისტიკის ძირითადი მიმართულებების, კონცეფციების, სპეციფიკისა სამეცნიერო/აკადემიურ პრაქტიკაში გამოყენება;
4. საკუთარი კვლევითი პროექტისათვის დისციპლინათაშორისი მიდგომების ჩარჩოებში თანამედროვე საისტორიო კვლევის მეთოდების, თეორიული და ისტორიოგრაფიული გააზრების საფუძველზე ევროპის შუა საუკუნეების ისტორიული წყაროების გამოყენებით სამეცნიერო კვლევითი მუშაობის მომზადება და ჩატარება;
5. შუა საუკუნეების ტექსტებისა და პირველწყაროების „ლათინური" (ლათინური ენა მედიევისტებისთვის 1 და 2) ან „ბერძნული" (ბერძნული მედიევისტებისთვის 1 და 2) ენიდან პირველადი თარგმნა და ანალიზი;
6. აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან ზეპირი და წერილობითი ფორმით მედიევისტიკის რთულ ისტორიული საკითხზე/პრობლემაზე საკუთარი კვლევის შედეგების, დასკვნებისა და არგუმენტების, აკადემიური ეთიკის დაცვით რეალიზაცია;
7. დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების კულტურული მრავალფეროვნებისა და მემკვიდრეობის, ევროპული ფასეულობების პატივისცემა და ტოლერანტობის გამოვლენა.

**სწავლის მეთოდები**

სწავლის შედეგების მისაღწევად შუა საუკუნეების ისტორიის სამაგისტრო პროგრამა ლექციის, სემინარის, სამუშაო ჯგუფის, პრაქტიკული მეცადინეობის, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, დასკვნითი გამოცდის, საბაკალავრო ნაშრომის და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს და აქტივობას: ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი; პრაქტიკული მეთოდი; წიგნზე მუშაობის მეთოდი; წერითი მუშაობის მეთოდი; ელექტრონული სწავლება; დემონსტრირება; ევრისტიკული მეთოდი; დისკუსია/დებატები; ჯგუფური მუშაობა; ინდუქციური და დედუქციური მეთოდები; ანალიზი და სინთეზი; გუნდური მუშაობა; დამოუკიდებელი მუშაობა და სხვა.
გამოყენებული მეთოდები სრულად შეესაბამება უმაღლესი სწავლების II საფეხურის დონეს, კურსების შინაარსს და სწავლის შედეგებს.

**შეფასების სისტემა**

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით.
შეფასება ითვალისწინებს შუალედურ განმავითარებელ შეფასებას (60 ქულა) და დასკვნით გამოცდას (40 ქულა). შუალედური შეფასება ხორციელდება მინიმუმ სამი კომპონენტის მიხედვით. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები განსხვავებულია და მათი აღწერა მოცემულია კონკრეტული კურსის სილაბუსში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედურ შეფასებებში დაგროვებული აქვს მინიმუმ 21 ქულა. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდის (კომბინირებული - წერა/ზეპირი გამოცდის შემთხვევაში, თითოეული კომპონენტის) მაქსიმალური ქულის 50 %-ს.

სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:
(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:
ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი დამასრულებელ სემესტრში ამზადებს **სამაგისტრო ნაშრომს.** შესაბამისი მარეგულირებელი წესის თანახმად:

- ✓ სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთიანად დასკვნითი შეფასებით 100-ქულიანი სისტემით;
- ✓ რეცენზენტი წერს ნაშრომის შესახებ რეცენზიას და აფასებს სტუდენტის ნაშრომს მაქსიმუმ 60 ქულით. 31 ქულაზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე არ დაიშვება;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, საჯარო დაცვამდე სამაგისტრო ნაშრომი შემოწმებული უნდა იყოს Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით.
- ✓ ნაშრომი ფასდება კომისიის მიერ წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტი წარმოადგენს ნაშრომის შედეგებს პრეზენტაციის სახით, რომელიც ფასდება კომისიის თითოეული წევრის მიერ (მაქსიმუმ 40 ქულა). ამ კომპონენტში სტუდენტის საბოლოო შეფასება იანგარიშება კომისიის ყველა წევრის შეფასების საშუალო არითმეტიკულით. მიღებული შეფასება დადებითად ითვლება, თუ კომისია სტუდენტის ნაშრომს შეაფასებს 20 და მეტი ქულით;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასებას წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და კომისიის საბოლოო შეფასების ჯამი, რომელიც ტოლია ან აღემატება 51 ქულას.
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია.

**სწავლის შედეგები**

**ცოდნა და გაცნობიერება:**

კურსდამთავრებული
- შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის პოლიტიკური, სოციალური, რელიგიური, კულტურული ისტორიის ღრმა და სისტემური ცოდნის საფუძველზე ერკვევა დასავლური ფეოდალური საზოგადოების თავისებურებებში;
- განსაზღვრავს თანამედროვე მედიევისტიკის სპეციფიკას, სხვადასხვა ისტორიოგრაფიული სკოლის კონცეფციებს და იყენებს მედიევისტიკის კვლევის სფეროში ძირითად მეთოდოლოგიურ პრინციპებს და ხერხებს; სიღრმისეულად მიმოიხილავს ისტორიულ მეთოდებს, გამოკვეთს, ტრადიციულ მიდგომებსა და უახლეს მიღწევებზე დაყრდნობით, ისტორიული მეთოდების მნიშვნელობას ისტორიის შესწავლისას, ახასიათებს და კრიტიკულად აფასებს ისტორიის დარგში არსებული სამეცნიერო მიდგომებისა და თეორიების ჩამოყალიბება/განვითარების ძირითად ეტაპებს, თავისებურებასა და დინამიკას;
- აღწერს მედიევისტიკის სფეროში არსებულ მიღწევებს, განვითარების პერსპექტივებს და აქტუალურ პრობლემებს;

**უნარები:**
- შესაბამისი ინფორმაციული ტექნოლოგიებით ფართო ონლაინ-რესურსების სპექტრში, ბიბლიოთეკებში, არქივებსა და სხვა დაწესებულებებში მოიძიებს უცხოურენოვან (ლათინურ/ბერძნულ და სხვა დასავლეთ ევროპულ ენაზე) პირველად მასალებს, აფასებს მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს, მათზე დაყრდნობით ახორციელებს მულტიდისციპლინარულ კვლევას;
- განსაზღვრავს საკუთარი კვლევითი პროექტისათვის აქტუალურ სამეცნიერო პრობლემას და კვლევის შესაბამისი მეთოდების გამოყენებით, თეორიული და ისტორიოგრაფიული მიდგომებით ავითარებს საკუთარ აზრს;
- განსაზღვრავს კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძვლებს, პირველადი და მეორადი წყაროების შეფასების, ასევე სპეციალური ლიტერატურის საფუძველზე აანალიზებს ისტორიულ პროცესებს;
- ამზადებს, როგორც ქართულ, ისე რომელიმე ევროპულ ენაზე (მედიევისტიკის სფეროში სამეცნიერო სტატიას, ასევე აკეთებს პრეზენტაციას, ამზადებს თეზისებსა და მოხსენებებს სამეცნიერო კონფერენციებისათვის;
- ასრულებს სამაგისტრო ნაშრომს, რომელშიც დასმულია/გადაწყვეტილია მედიევისტიკის სფეროს აქტუალური პრობლემა;
- ახდენს აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან ზეპირი და წერილობითი ფორმით მედიევისტიკის რთულ ისტორიული საკითხზე/პრობლემაზე საკუთარი კვლევის შედეგების, დასკვნებისა და არგუმენტების, აკადემიური ეთიკის დაცვით კომუნიკაციას.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:**
- საკვლევ საკითხთან მიმართებაში სწორად განმარტავს ახალი იდეებს, კონცეპტებსა და ვარაუდებს; კარგად ახდენს საკვლევი დროის ორგანიზებას და შეუძლია დამოუკიდებლად ცოდნის გაღრმავება;
- აფასებს და მხარს უჭერს აკადემიური პატიოსნების საყოველთაოდ აღიარებულ სტანდარტებს, სამეცნიერო კვლევის ეთიკურ შედეგებს და თავის ქცევას დისკუსიის/დებატების პროცესში წარმართავს სხვათა აზრის პატივისცემისა და საკუთარის კორექტულად გამოხატვის წესებით;
- ითავისებს შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის კულტურულ მრავალფეროვნებასა და მემკვიდრეობას, პატივს სცემს

| | |
|---|---|
| ევროპულ ფასეულობას, ახდენს მის ადაპტაციას და განავითარებს ტოლერანტობის განცდას. |
| **დასაქმების სფეროები** |
| თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შუა საუკუნეების ისტორიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს – შეუძლია დასაქმდეს ზოგადსაგანმანათლებლო (საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დამატებითი მოთხოვნების შესრულების შემთხვევაში), პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, საჯარო სამსახურში, მუზეუმში, ბიბლიოთეკაში, ტურიზმისა და ჟურნალისტიკის სფეროში, (მათ შორის, სამთავრობო უწყებებში, საელჩოებში და ა.შ.) და საერთაშორისო სტრუქტურებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, კერძო სექტორში და ა.შ. გარდა ამისა, ისტორიის მაგისტრს შეუძლია სწავლის გაგრძელება სწავლების შემდგომ საფეხურზე – დოქტორანტურაში სხვადასხვა მიმართულებაზე. |

| პროგრამის სახელწოდება | არქეოლოგია<br>Archaeology |
|---|---|
| **საფეხური** | სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** | • ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ან მათ დარგებსა და ქვედარგებში მინიჭებული ბაკალავრის (ან მასთან გათანაბრებული დიპლომირებული სპეციალისტის) ხარისხი, ან შესაძლებელია გავლილი ჰქონდეს არქეოლოგიის დამატებითი (minor) პროგრამა.<br>• საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება;<br>• გამოცდის ჩაბარება სპეციალობაში;<br>• უცხოური ენის (ინგლისური/ გერმანული/ფრანგული) B1 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით (სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე B2 დონემდე ენის ცოდნის გაუმჯობესების პერსპექტივით). |
| **სწავლების ენა** | ქართული |
| **კვალიფიკაცია** | არქეოლოგიის მაგისტრი<br>Master of Archaeology |
| **სწავლების ხანგრძლივობა** | 4 სემესტრი |
| **ECTS** | 120 ECTS კრედიტი |
| **სწავლების გადასახადი** | 2250 ლარი |
| **პროგრამის განხორციელების ადგილი** | თსუ სასწავლო კორპ. N1, ი. ჭავჭავაძის გამზ. N1; სასწავლო კორპ. N8, ი. ჭავჭავაძის გამზ. N13 |
| **პროგრამის განმახორციელებელი ერთეული** | არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი |
| **საკონტაქტო პირი** | პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი: პროფ. ვახტანგ ლიჩელი |
| | ტელ.: +995 599510809 |
| | ელფოსტა: vakhtang.licheli@tsu.ge |
| **პროგრამის სტრუქტურა** | |
| **კომპონენტის სტატუსი** | ECTS-მოცულობა |
| სავალდებულო | 60 ECTS კრედიტი |
| არჩევითი | 30 ECTS კრედიტი |
| სამაგისტრო ნაშრომი | 30 ECTS კრედიტი |

| |
|---|
| **პროგრამის მიზანი** |
| არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მიზანია აკადემიური სივრცისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად მოამზადოს კვალიფიციური სპეციალისტი, რომელსაც შეუძლია:<br>• არქეოლოგიური ცოდნის მნიშვნელობას გაანალიზება კაცობრიობის განვითარების ობიექტური კანონების დადგენისა და ისტორიული მოვლენების რეკონსტრუირების პროცესში;<br>• მატერიალური ნაშთის ზოგადი ქრონოლოგიური და კულტურული კუთვნილების განსაზღვრა, მისი სამეცნიერო და ეროვნული მნიშვნელობის დადგენა;<br>• ცივილიზაციათა კულტურულ–ისტორიული ევოლუციის ჭრილში კავკასიის რეგიონის, განსაკუთრებით კი საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელობის განსაზღვრა;<br>• არქეოლოგიური კვლევის მეთოდების გამოყენება სამეცნიერო კვლევის წარმოებისას;<br>• ისტორიული ხასიათის წერილობით ინფორმაციის მოძიება სხვადასხვა წყაროდან, მისი შეჯერება არქეოლოგიურ, მატერიალურ კულტურასთან და აღნიშნულის საფუძველზე მონაცემთა განზოგადება და საკუთარი დასკვნების ჩამოყალიბება;<br>• დამოუკიდებელი აკადემიური მუშაობა და მუშაობა აკადემიურ ჯგუფებში; უახლესი ცოდნით აკადემიურ სფეროში საკუთარი წვლილის შეტანა, ცოდნის გაცვლა- გავრცელება აკადემიურ და არააკადემიურ საზოგადოებაში;<br>• მეცნიერების და აკადემიური თავისუფლების განსაკუთრებული მნიშვნელობის გათავისება სოციალურ ევოლუციაში; თვითშეფასება, საკუთარი და განსხვავებული აზრის პატივისცემა; განსხვავებული კულტურების და, ზოგადად, კულტურული მემკვიდრეობის პატივისცემა, საერთო-ევროპული ღირებულებების გათავისება. |
| **სწავლის მეთოდები** |
| არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა სწავლის შედეგების მისაღწევად იყენებს სხვადასხვა მეთოდს; თეორიული სწავლების მეთოდებში: ლექციები – ვერბალური გადმოცემისა და ინტერაქციული სწავლების მეთოდი; წიგნზე მუშაობის მეთოდი; ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ანალიზი და სინთეზი; სასემინარო სამუშაო ჯგუფებში სტუდენტთა ჩართულობა (დებატები და დისკუსიები); სტუდენტთა მიერ მასალის ათვისებისათვის გამოყენებულია როგორც ზეპირი (სასემინარო), ასევე წერითი მეთოდები და პრეზენტაციები.<br>პრაქტიკული მეთოდების სწავლებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და მოიცავს როგორც საველე არქეოლოგიურ სამუშაოებს, საველე ანთროპოლოგიურ მასალებთან მუშაობას, კარტოგრაფირებისა და გეოდეზიის სამუშაოებს, ასევე ფონდებში მუშაობას. |
| **შეფასების სისტემა** |
| სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით.<br>შეფასება ითვალისწინებს შუალედურ განმავითარებელ შეფასებას (60 ქულა) და დასკვნით გამოცდას (40 ქულა). შუალედური შეფასება ხორციელდება მინიმუმ სამი კომპონენტის მიხედვით. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეფასების კომპონენტები და |

კრიტერიუმები განსხვავებულია და მათი აღწერა მოცემულია კონკრეტული კურსის სილაბუსში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედურ შეფასებებში დაგროვებული აქვს მინიმუმ 21 ქულა. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდის (კომბინირებული - წერა/ზეპირი გამოცდის შემთხვევაში, თითოეული კომპონენტის) მაქსიმალური ქულის 50 %-ს.
სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:
(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:
ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი დამასრულებელ სემესტრში ამზადებს **სამაგისტრო ნაშრომს.** შესაბამისი მარეგულირებელი წესის თანახმად:

- ✓ სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთიანად დასკვნითი შეფასებით 100-ქულიანი სისტემით;
- ✓ რეცენზენტი წერს ნაშრომის შესახებ რეცენზიას და აფასებს სტუდენტის ნაშრომს მაქსიმუმ 60 ქულით. 31 ქულაზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე არ დაიშვება;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, საჯარო დაცვამდე სამაგისტრო ნაშრომი შემოწმებული უნდა იყოს Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით.
- ✓ ნაშრომი ფასდება კომისიის მიერ წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტი წარმოადგენს ნაშრომის შედეგებს პრეზენტაციის სახით, რომელიც ფასდება კომისიის თითოეული წევრის მიერ (მაქსიმუმ 40 ქულა). ამ კომპონენტში სტუდენტის საბოლოო შეფასება იანგარიშება კომისიის ყველა წევრის შეფასების საშუალო არითმეტიკულით. მიღებული შეფასება დადებითად ითვლება, თუ კომისია სტუდენტის ნაშრომს შეაფასებს 20 და მეტი ქულით;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასებას წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და კომისიის საბოლოო შეფასების ჯამი, რომელიც ტოლია ან აღემატება 51 ქულას.

- ✓ სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია.

**სწავლის შედეგები**

**ცოდნა და გაცნობიერება:**

კურსდამთავრებული

- ღრმად და სისტემურად აანალიზებს არქეოლოგიური ცოდნის მნიშვნელობას კაცობრიობის განვითარების ობიექტური კანონების დადგენისა და ისტორიული მოვლენების რეკონსტრუირების საქმეში;
- არგუმენტირებულად განსაზღვრავს მთლიანად კავკასიის რეგიონისა და, განსაკუთრებით კი, საქართველოს როლსა და მნიშვნელობას ცივილიზაციათა კულტურულ-ისტორიული ევოლუციის ჭრილში;
- არტეფაქტებზე და სხვა მატერიალურ ძეგლებზევდაყრდნობით დამაჯერებლურად ახდენს ეპოქისა და კულტურული მოდელის რეკონსტრუქციას;
- სიღმისეულად მიმოიხილავს მსოფლიოში უძველესი საზოგადოებების კულტურულ მემკვიდრეობას;
- შესაბამისი მეთოდოლოგიის მეშვეობით არგუმენტირებულად განსაზღვრავს მატერიალური ნაშთის ზოგად ქრონოლოგიურ და კულტურულ კუთვნილებას, ადგენს მის მნიშვნელობას სამეცნიერო და ეროვნული თვალსაზრისით;
- აღწერს და დეტალურად ახასიათებს სხვადსახვა პერიოდის ნივთიერი კულტურის უმთავრესი არქეოლოგიური ძეგლებს; აღწერს და აანალიზებს ანტიკური არქეოლოგიის დარგში და თანამედროვე პერიოდში ჩატარებული კვლევა–ძიების ძირითადი მიღწევებს.

**უნარები:**

კურსდამთავრებული

- ფლობს მონაცემთა შეგროვების, ანალიზის და სათანადო დასკვნების გაკეთების სხვადასხვა მეთოდებსა და საშუალებებს;
- აგროვებს, განაზოგადებს, ამუშავებს, აანალიზებს და აფასებს მასალას, რაც საშუალებას აძლევს კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტისათვის მოიძოს ახალი, ორიგინალური გზები;
- მოიძიებს ისტორიული ხასიათის წერილობით ინფორმაციის სხვადასხვა წყაროდან, აჯერებს მას არქეოლოგიურ, მატერიალურ კულტურასთან და აღნიშნულის საფუძველზე განაზოგადებს და აყალიბებს საკუთარ დასკვნებს;
- საკუთარ და სხვათა ხედვას როგორც წერილობითი, ასევე ზეპირსიტყვიერი გზით წარუდგენს დარგის სპეციალისტებსა და არასპეციალისტებს სათანადო დარგობრივი ტერმინოლოგიის გამოყენებით;
- ადგენს საჯარო გამოსვლისა და სამეცნიერო ნაშრომის ტექსტს აკადემიური ნორმებისა და სტანდარტების

დაცვით;

- ადარებს სხვადასხვა მასშტაბისა და შინაარსის რუკებს და აფასებს მოვლენათა სივრცული გავრცელების თავისებურებებს; ატარებს კარტომეტრიულ გაზომვებს ტოპოგრაფიული რუკის გამოყენებით.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:**

კურსდამთავრებული

- დამოუკიდებლად ეძებს ინფორმაციას ნებისმიერი მასალის შესახებ როგორც ინტერნეტის საშუალებით, ასევე საველე პირობებში;
- მოქმედებს როგორც საკუთარი სამეცნიერო შეხედულების, ასევე განსხვავებული აზრის პატივისცემის პრინციპით;
- დამოუკიდებლად გეგმავს და წარმართავს კვლევით სამუშაოს საკუთარი და ჯგუფის სხვა წევრების შესაძლებლობების გათვალისწინებით.
- ოპერირებს გადარჩევისა და განზოგადების პრინციპებითა და საშუალებებით და დამოუკიდებლად წარმართავს კვლევას.

**დასაქმების სფეროები**

არქეოლოგიის მაგისტრს შეუძლია დასაქმდეს არქეოლოგიურ ექსპედიციებში – გათხრებზე, მუზეუმებში, არქივებში, სპეციალიზებულ ლაბორატორიებში და ზოგადად, სიძველეთმცოდნეობის დარგში არსებულ სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებში, შესაბამისი პროფილის სამეცნიერო- კვლევით დაწესებულებებში. გარდა ამისა, არქეოლოგიის მაგისტრს შეუძლია სწავლის გაგრძელება სწავლების შემდგომ საფეხურზე – დოქტორანტურაში სხვადასხვა მიმართულებაზე.

| პროგრამის სახელწოდება | ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერება<br>General and Applied Linguistics |
|---|---|
| საფეხური | სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა |
| პროგრამაზე დაშვების წინაპირობა | • ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი სწავლის შემდეგ ფართო სფეროებში შემავალ კვალიფიკაციებში: 1.ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები; 2.სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია; 3. განათლება; 4.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, მათემატიკა და სტატისტიკა. ან ბაკალავრს, რომელსაც გავლილი აქვს დამატებითი (minor) პროგრამა ქართულ ფილოლოგიაში;<br>• ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება;<br>• უცხოური (ინგლისური/ გერმანული /ფრანგული) ენის B1 / B2 დონეზე ცოდნის დადასტურება FCE ტესტური ფორმატის გამოცდით (მიღებული ქულის მიხედვით ენის ფლობის დონის განსაზღვრა : 71-100 B2; 51 - 70 B1) ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერტიფიკატით. ამასთან, B2 დონით შემომსვლელი მაგისტრანტები თავისუფლდებიან პროგრამის სასწავლო გეგმით შეთავაზებული ინგლისური/ გერმანული /ფრანგული B2.1 და B2.2 კურსების გავლის ვალდებულებისგან.<br>• წერითი გამოცდა სპეციალობაში |
| სწავლების ენა | ქართული |
| კვალიფიკაცია | ენათმეცნიერების მაგისტრი<br>Mastre of Linguistics |
| სწავლების ხანგრძლივობა | 4 სემესტრი |
| ECTS | 120 ECTS კრედიტი |
| სწავლების გადასახადი | 2250 ლარი |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | თსუ სასწავლო კორპ. N1, ი. ჭავჭავაძის გამზ. N1; სასწავლო კორპ. N8, ი. ჭავჭავაძის გამზ. N13 |
| პროგრამის განმახორციელებელი ერთეული | თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი |
| საკონტაქტო პირი | პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი: ასოც. პროფ: რუსუდან ასათიანი |
| | ტელ.: 558400424 |

| | |
|---|---|
| | ელფოსტა: rusudan.asatiani@tsu.ge |
| **პროგრამის სტრუქტურა** | |
| **კომპონენტის სტატუსი** | ECTS-მოცულობა |
| **სავალდებულო** | 60 ECTS კრედიტი |
| **არჩევითი** | 30 ECTS კრედიტი |
| **სამაგისტრო ნაშრომი** | 30 ECTS კრედიტი |

**პროგრამის მიზანი**

სამაგისტრო პროგრამის მიზანია, აღზარდოს პროფესიულ პრაქტიკაში დამოუკიდებელი, თვითკრიტიკული, ინიციატივიანი, პასუხისმგებლობის მქონე და კონკურენტუნარიანი სპეციალისტი - ენათმეცნიერი. ამ მიზნის მისაღწევად პროგრამა ორიენტირებულია

- სტუდენტს მისცეს არსებითი დარგობრივი ცოდნა და კვლევა- ძიების გამოცდილება ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების სფეროში გამოუმუშაოს ლინგვისტური პრობლემების დასმის, საჭირო რესურსების მოძიების, საკითხების კომპლექსურად შესწავლისა და გადაჭრის, ინფორმაციის ანალიზისა და სინთეზის საფუძველზე შესაბამისი განზოგადებების ჩამოყალიბებისა და დასკვნის უნარი.
- საფუძვლიანად მოამზადოს მაგისტრანტი ენათმეცნიერების სფეროში მისი პროფესიული სპეციალიზაციისთვის, რისთვისაც აძლევს მას, ერთი მხრივ, ლინგვისტიკის გამოყენებითი ასპექტების - კომპიუტერული ლინგვისტიკის, ექსპერიმენტული ფონეტიკის, სოციოლინგვისტიკის, ფსიქოლინგვისტიკის, ტექსტის ექსპერტიზისა და ლინგვოკრიმინალისტიკის - ძირითადი თეორიებისა და მეტაენის ცოდნას;
- მეორე მხრივ კი, უვითარებს თეორიული და შედარებითი ლინგვისტიკის დარგების-ფონეტიკა-ფონოლოგიის, მორფოსინტაქსის, სემანტიკა-პრაგმატიკის, ენათა ტიპოლოგიისა და უნივერსალიების, დიაქრონიული, ისტორიულ-შედარებითი მეთოდოლოგიის - ღრმა ცოდნას და ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარებს.
- გამოუმუშავებს კურსდამთავრებულს განათლების მუდმივი გაღრმავებისა და საკუთარი პროფესიული დონის ამაღლების პასუხისმგებლობას, სძენს მაღალ აკადემიურ ღირებულებებს.

**სწავლის მეთოდები**

ლექციები და მეცადინეობები ინტერაქტიულია და ორიენტირებულია სტუდენტების აქტიურ ჩართულობაზე. გამოიყენება ვერბალური, პრაქტიკული, ჯგუფური მუშაობის, ევრისტიკული, ინდუქცია/დედუქციისა და ანალიზი/სინთეზის მეთოდები, ასევე, დისკუსია/დებატებისა და კითხვა-პასუხების ინტერაქტიული პრაქტიკა, მათ შორის - მოწვეულ სტუმრებთან, დარგის თვალსაჩინო ქართველ თუ უცხოელ წარმომადგენლებთან. 6-7 თემის დასრულების შემდეგ ტარდება შემაჯამებელი შუალედური გამოცდა როგორც თეორიული ცოდნის, ასევე გამომუშავებული პრაქტიკული უნარ-ჩვევების შესაფასებლად. დასკვნით გამოცდამდე ყოველი სტუდენტი ამზადებს შერჩეულ თემაზე რეფერატს და წარმოადგენს შესაბამის პრეზენტაციას PPT პროგრამაში.

| შეფასების სისტემა |
| --- |
| სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით.<br>შეფასება ითვალისწინებს შუალედურ განმავითარებელ შეფასებას (60 ქულა) და დასკვნით გამოცდას (40 ქულა). შუალედური შეფასება ხორციელდება მინიმუმ სამი კომპონენტის მიხედვით. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები განსხვავებულია და მათი აღწერა მოცემულია კონკრეტული კურსის სილაბუსში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედურ შეფასებებში დაგროვებული აქვს მინიმუმ 21 ქულა. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდის (კომბინირებული - წერა/ზეპირი გამოცდის შემთხვევაში, თითოეული კომპონენტის) მაქსიმალური ქულის 50 %-ს.<br>სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.<br><br>შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:<br>(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;<br>(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;<br>(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;<br>(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;<br>(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;<br><br>არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:<br>ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;<br>(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.<br><br>სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი დამასრულებელ სემესტრში ამზადებს **სამაგისტრო ნაშრომს.** შესაბამისი მარეგულირებელი წესის თანახმად:<br>✓ სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთიანად დასკვნითი შეფასებით 100-ქულიანი სისტემით;<br>✓ რეცენზენტი წერს ნაშრომის შესახებ რეცენზიას და აფასებს სტუდენტის ნაშრომს მაქსიმუმ 60 ქულით. 31 ქულაზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე არ დაიშვება;<br>✓ სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, საჯარო დაცვამდე სამაგისტრო ნაშრომი შემოწმებული უნდა იყოს Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით.<br>✓ ნაშრომი ფასდება კომისიის მიერ წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე;<br>✓ სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტი წარმოადგენს ნაშრომის შედეგებს პრეზენტაციის სახით, რომელიც ფასდება |

კომისიის თითოეული წევრის მიერ (მაქსიმუმ 40 ქულა). ამ კომპონენტში სტუდენტის საბოლოო შეფასება იანგარიშება კომისიის ყველა წევრის შეფასების საშუალო არითმეტიკულით. მიღებული შეფასება დადებითად ითვლება, თუ კომისია სტუდენტის ნაშრომს შეაფასებს 20 და მეტი ქულით;

- ✓ სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასებას წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და კომისიის საბოლოო შეფასების ჯამი, რომელიც ტოლია ან აღემატება 51 ქულას.
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია.

**სწავლის შედეგები**

ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის დასრულების შედეგად მიღებული ცოდნა და მეცნიერული კვლევის უნარი კურსდამთავრებულს შესაძლებლობას მისცემს ყოველმხრივ გამოიყენოს, შეისწავლოს და სხვებისთვის ხელმისაწვდომი გახადოს ენათმეცნიერების ისტორიისა და თეორიის ყველა ფუნდამენტური მნიშვნელობის პრობლემა; სამაგისტრო კურსის გავლის შედეგად სტუდენტები შეიძენენ ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების საფუძვლების ისეთ ცოდნას, რომელიც მათ შესაბამის სფეროებში დამოუკიდებელი ორიენტაციის, კვლევის, საკითხების დასმის, მოსაზრებათა ორიგინალური განვითარებისა და პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობას მისცემს. კურსდამთავრებულები მომზადდებიან როგორც თანამედროვე ენათმეცნიერების ფართო დიაპაზონის სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ ენათა ტიპოლოგიურ კვლევას როგორც სინქრონიულ, ისე დიაქრონიულ ჭრილში, ასევე, ენათა ისტორიული მიმართებების კვლევას მიკრო და მაკრო ნათესაობის თვალსაზრისით. გამოყენებითი ასპექტების არჩევის შემთხვევაში მათ შეეძლებათ თავიანთი ცოდნის რეალიზაცია ექსპერიმენტული ლინგვისტიკის, ფსიქოლინგვისტიკის, სოციოლინგვისტიკის, კომპიუტერული ლინგვისტიკისა და, ასევე, ტექსტის ლინგვისტური ექსპერტიზისა და ლინგვოკრიმინალისტიკის სფეროში.

სწავლის გაგრძელება ცოდნის გაღრმავებისა და პროფესიული დონის ასამაღლებლად შესაძლებელია სწავლების სადოქტორო საფეხურზე.

**ცოდნა და გაცნობიერება:**

პროგრამის კურსდამთავრებული:

- არგუმენტირებულად და კრიტიკულად მსჯელობს თანამედროვე ლინგვისტური თეორიებისა და მეთოდების, ასევე, გამოყენებითი ენათმეცნიერების უახლესი მიღწევების შესახებ.
- აანალიზებს კონკრეტულ ენობრივ სტრუქტურებს სხვადასხვა ენობრივ დონეზე უახლეს თეორიულ საფუძვლებსა და მეთოდოლოგიებზე დაყრდნობით;
- მიმოიხილავს თანამედროვე გამოყენებითი ენათმეცნიერების ძირითად თეორიულ ჩარჩოებს, რაც აფართოებს მის ენათმეცნიერულ ხედვას და ეხმარება პრობლემური საკითხების კომპლექსურად გადაწყვეტაში.

**უნარები:**

პროგრამის კურსდამთავრებული:

- ზოგადი ენათმეცნიერებისა და გამოყენებითი ასპექტების სფეროში მიღებულ თეორიულ ცოდნას იყენებს პრაქტიკულ საქმიანობაში.
- დამოუკიდებლად წარმართავს კვლევას: შემოსაზღვრავს კვლევის ობიექტს, უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით მოიპოვებს შესაბამის მასალას, საკვლევი ამოცანის გადასაწყვეტად ირჩევს ეფექტიან მეთოდს, სათანადოდ აანალიზებს ენობრივ მასალას და აყალიბებს განზოგადებულ დებულებებსა და დასკვნებს.
- კვალიფიციურად წარმართავს პოლემიკას ენათმეცნიერების საკითხების შესახებ სპეციალიტებთან თუ არასპეციალისტებთან. წარმოადგენს პრეზენტაციებს უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით.
- როგორც თანამედროვე ენათმეცნიერების ფართო დიაპაზონის სპეციალისტი, ის ახორციელებს სხვადასხვა სტრუქტურის ენათა ტიპოლოგიურ კვლევასსინქრონიულსა თუ დიაქრონიულ ჭრილში და იკვლევს ენათა ისტორიულ მიმართებებს მიკრო და მაკრო ნათესაობის თვალსაზრისით.
- გამოყენებითი ენათმეცნიერების მიღწევათა გაანალიზების ფონზე პრაქტიკულად წყვეტს კონკრეტულ პრობლემურ ამოცანებს სოციოლინგვისტიკის, ფსიქოლონგვისტიკის, ლინგვოკრიმინალისტიკისა თუ კომპიუტერული ლინგვისტიკის სფეროში.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:**

- უახლეს ლინგვისტურ თეორიებსა და გამოყენებით ასპექტებში გარკვევის საფუძველზე მაგისტრი სწორად ხედავსახალ ღირებულებებს, კორექტულად აფასებს ამ ღირებულებებისადმი საკუთარ თუ სხვების დამოკიდებულებას და გარკვეული წვლილი შეაქვს ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში.
- იცავს აკადემიური ეთიკის პრინციპებს: განვითარებული აქვს მეცნიერთა მოსაზრებების დამოწმების კულტურა და არ მიმართავს პლაგიატს.
- მონაწილეობს პროფესიული ცოდნისა და შესაბამისი პრაქტიკის განვითარებაში, იყენებს უახლეს სტრატეგიულ მიდგომებს და/ან პრობლემის გადაჭრის ინოვაციურ გზებს, ეხმარება კოლეგებს და უზიარებს მათ საკუთარ გამოცდილებას,იღებს პასუხისმგებლობას საკუთარი თუ სხვების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე, ქმნის პირობებს საერთო გუნდური გადაწყვეტილების მისაღწევად.
- დამოუკიდებლად წარმართავს ენათმეცნიერების სფეროში განათლების მუდმივი გაღრმავებისა და საკუთარი პროფესიული დონის ამაღლების პროცესს უახლესი ინფორმაციის ავტონომიურად მოძიებისა და საერთაშორისო თუ ადგილობრივ აკადემიურ წრეებთან პროფესიული კონტაქტების დამყარების საშუალებით.

**დასაქმების სფეროები**

ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულები ლინგვისტურ კვლევა-ძიებასა დასწავლა- სწავლებას აგრძელებენ სხვადასხვა სახის სასწავლო თუ სამეცნიერო დაწესებულებებში, მზად არიან ენათმეცნიერების

სადოქტორო პროგრამის გასავლელად. ისინი, როგორც სპეციალისტები, საქმიანობენ ისეთ პრაქტიკული ღირებულებების მქონე სფეროებში, როგორებიცაა: სხვადასხვა ტიპის ტექსტების ლინგვისტური ექსპერტიზა და ლინგვოკრიმინალისტიკა, ფსიქოლინგვისტიკა და სოციოლინგვისტიკა; მათ, ასევე, წვლილი შეაქვთ ხელოვნური ინტელექტის შექმნისა და კომპიუტერული

ტექნოლოგიების განვითარების პროცესში: ისინი მონაწილეობენ სხვადასხვაგვარი კომპიუტერული პროექტებისა თუ პროგრამების შემუშავებაში მათიპროფესიული წინსვლა და საქმიანობა გრძელდება:

- საგანმანათლებლო დაწესებულებებში;
- ჰუმანიტარული პროფილის კვლევით ინსტიტუტებში;
- სამეცნიერო ბიბლიოთეკებში;
- არქივებში;
- ისტორიულ-ეთნოგრაფიულ, ლიტერატურულ და მემორიალურ მუზეუმებში;
- საგამომცემლო ორგანიზაციებში;
- კომპიუტერულ ცენტრებში;
- სასამართლო სისტემაში; და სხვა.

| პროგრამის სახელწოდება | ქართველური ენათმეცნიერება<br>Georgian (Kartvelian) Linguistics |
|---|---|
| საფეხური | სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა |
| პროგრამაზე დაშვების წინაპირობა | ა) საერთო სამაგისტრო გამოცდა;<br>ბ) ბაკალავრის ხარისხი ქართულ ფილოლოგიაში; / ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი (სწავლების ძირითადი დარგი ქართული ფილოლოგია/ფილოლოგია);<br>ან ბაკალავრი, რომელსაც გავლილი აქვს დამატებითი (minor) პროგრამა ქართულ ფილოლოგიაში;<br>გ) უცხოური (ინგლისური/ გერმანული /ფრანგული) ენის B1 / B2 დონეზე ცოდნის დადასტუ-რება FCE ტესტური ფორმატის გამოცდით (მიღებული ქულის მიხედვით ენის ფლობის დონის განსაზღვრა : 71-100 B2; 51 - 70 B1) ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერტიფიკატით. ამასთან, B2 დონით შემომსვლელი მაგისტრანტები თავისუფლდებიან პროგრამის სასწავლო გეგმით შეთავაზებული ინგლისური/ გერმანული /ფრანგული B2.1 და B2.2 კურსების გავლის ვალდებულებისგან.<br>დ) სასპეციალიზაციო გამოცდა ქართულ ენაში. |
| სწავლების ენა | ქართული |
| კვალიფიკაცია | ქართველური ენათმეცნიერების მაგისტრი<br>Master of Georgian (Kartvelian) Linguistics |
| სწავლების ხანგრძლივობა | 4 სემესტრი |
| ECTS | 120 ECTS კრედიტი |
| სწავლების გადასახადი | 2250 ლარი |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | თსუ სასწავლო კორპ. N1, ი. ჭავჭავაძის გამზ. N1; სასწავლო კორპ. N8, ი. ჭავჭავაძის გამზ. N13 |
| პროგრამის განმახორციელებელი ერთეული | ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი |
| საკონტაქტო პირი | პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი: პროფ. რამაზ ქურდაძე; პროფ. დარეჯან თვალთვაძე |
| | ტელ.: 599180903; 5 77 54 52 50 |
| | ელფოსტა: ramaz.kurdadze@tsu.ge; darejan.tvaltvadze@tsu.ge |
| მოდულები | პროგრამა შედგება სამი მოდულისაგან: |

| | |
|---|---|
| | I მოდული: ძველი და ახალი ქართული სალიტერატურო ენა.<br>II მოდული: ქართველური ენები და დიალექტები.<br>III მოდული: ქართულიენის პრაგმატიკა. |
| პროგრამის სტრუქტურა | |
| **კომპონენტის სტატუსი** | ECTS-მოცულობა |
| **საერთო სავალდებულო** | 30 ECTS კრედიტი |
| **მოდულის სავალდებულო** | 30 ECTS კრედიტი |
| **არჩევითი** | 30 ECTS კრედიტი |
| **სამაგისტრო ნაშრომი** | 30 |
| | |
| **პროგრამის მიზანი** | |

პროგრამის მიზანია შრომის ბაზრისა და აკადემიური სივრცის მოთხოვნების შესაბამისად, კურსდამთავრებულისთვის საერთაშორისო სტანდარტების სისტემური ცოდნის მიცემა და უნარების ჩამოყალიბება, რომ მან შეძლოს:

- ქართველური ენების, მათი სტრუქტურისა და ფუნქციონირების, ლექსიკოლოგიისა და ლექსიკოგრაფიის საკითხების საფუძვლიანი ცოდნის პრაქტიკულ და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში გამოყენება.
- ლინგვისტური კვლევის თანამედროვე მეთოდებით ოპერირება;
- პრაქტიკულ და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში უახლესი ტექნოლოგიების მიზნობრივად გამოყენება.
- ძველი და ახალი ქართული სალიტერატურო ენისა და დიალექტების, კოლხურის (მეგრულ-ლაზურის), სვანურის სტრუქტურისა და ლინგვოპრაგმატიკის საკითხებზე სამუშაოდ ემპირიული მასალის შეგროვება-დამუშავება (პროგრამის მოდულების მიხედვით).
- ენობრივი ფაქტებისა და მოვლენების სინქრონიულ-დიაქრონიული აღწერა, ქართული ენის ქვესისტემათა წყაროების (ძველი და ახალი ქართული სალიტერატურო ენის ძეგლები, კოლხური (მეგრულ-ლაზური), სვანური და ქართული დიალექტური ტექსტები) ტექსტოლოგიური, ლინგვისტური, ლინგვოკულტუროლოგიური და შედარებითი ანალიზი (პროგრამის მოდულების მიხედვით);
- შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი, ურთიერთ- საპირისპირო თვალსაზრისებს შორის ოპტიმალური ვარიანტის შერჩევა, ქართველური ენების მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციურ სინთეზი, პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით ლინგვისტური კვლევის სტრატეგიულად დაგეგმვა-წარმართვა და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება (პროგრამის მოდულების მიხედვით).
- აკადემიური ეთიკის ნორმების დაცვით სტრუქტურირებული ნაშრომის შექმნა, მისი წერილობითი და ზეპირი პრეზენტაცია ქართულდაერთ-ერთ ევროპულ ენაზე, აუდიტორიასთან კომუნიკაცია,პროფესიულ დისკუსიებში მონაწილეობა.
- ქართულის, როგორც სახელმწიფო ენისა და სხვა ქართველური ენების შესახებ ცოდნის ფართოდ გავრცელებაში საკუთარი წვლილის შეტანა.

- აკადემიური ეთიკის პრინციპების, ჰუმანისტური ღირებულებების გათავისება, დამოუკიდებელი და გუნდური მუშაობა, ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემა.

**სწავლის მეთოდები**

დარგობრივი ცოდნის გადაცემა-მიღებისათვის პროგრამის კურიკულუმში ჩარ- თული თითოეული დისციპლინა სწავლება-სწავლის მეთოდთა (ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი / წერითი მუშაობის / დემონსტრირების / თანამშრომლობითი სწავლების / პრაქტიკული / როლურ-სიტუაციური და სხვ.) საკუთარ ნაკრებს იყენებს, რომელსაც საგნის მიზნების შესაბამისად ქმნის და იგი, საგნის სწავლების ფორმატთან ერთად, ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში საგანგებოდაა წარმოდგენილი. პრობლემათა გადასაჭრელად დამეცნიერული შედეგების მისაღწევად პროგრამაში კომპლექსურად გამოიყენება ლოგიკის შემდეგი ძირითადი მეთოდები და მათზე დაფუძნებული ენათმეცნიერული მიდგომები: კლასიფიკაცია და ტიპოლოგიზაცია; ანალიზი და სინთეზი; ინდუქცია და დედუქცია; ანალოგია და შედარება; მტკიცება-დასაბუთება და ინტერპრეტაცია; აგრეთვე, ინტერაქტიური სწავლების მეთოდთაგან ყველაზე გავრცელებული– დისკუსია / დებატები და სხვ.

**შეფასების სისტემა**

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით.
შეფასება ითვალისწინებს შუალედურ განმავითარებელ შეფასებას (60 ქულა) და დასკვნით გამოცდას (40 ქულა). შუალედური შეფასება ხორციელდება მინიმუმ სამი კომპონენტის მიხედვით. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები განსხვავებულია და მათი აღწერა მოცემულია კონკრეტული კურსის სილაბუსში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედურ შეფასებებში დაგროვებული აქვს მინიმუმ 21 ქულა. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდის (კომბინირებული - წერა/ზეპირი გამოცდის შემთხვევაში, თითოეული კომპონენტის) მაქსიმალური ქულის 50 %-ს.
სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:
(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:
ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი

ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი დამასრულებელ სემესტრში ამზადებს **სამაგისტრო ნაშრომს.** შესაბამისი მარეგულირებელი წესის თანახმად:

- ✓ სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთიანად დასკვნითი შეფასებით 100-ქულიანი სისტემით;
- ✓ რეცენზენტი წერს ნაშრომის შესახებ რეცენზიას და აფასებს სტუდენტის ნაშრომს მაქსიმუმ 60 ქულით. 31 ქულაზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე არ დაიშვება;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, საჯარო დაცვამდე სამაგისტრო ნაშრომი შემოწმებული უნდა იყოს Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით.
- ✓ ნაშრომი ფასდება კომისიის მიერ წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტი წარმოადგენს ნაშრომის შედეგებს პრეზენტაციის სახით, რომელიც ფასდება კომისიის თითოეული წევრის მიერ (მაქსიმუმ 40 ქულა). ამ კომპონენტში სტუდენტის საბოლოო შეფასება იანგარიშება კომისიის ყველა წევრის შეფასების საშუალო არითმეტიკულით. მიღებული შეფასება დადებითად ითვლება, თუ კომისია სტუდენტის ნაშრომს შეაფასებს 20 და მეტი ქულით;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასებას წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და კომისიის საბოლოო შეფასების ჯამი, რომელიც ტოლია ან აღემატება 51 ქულას.
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია.

**სწავლის შედეგები**

ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა სამ მოდულს აერთიანებს: I მოდული – ძველი და ახალი ქართული სალიტერატურო ენა, II მოდული – ქართველური ენები და დიალექტები, III მოდული – ქართული ენის პრაგმატიკა. თითოეული მოდულის დასრულების შედეგად მიღებული თეორიული ცოდნა და პრაქტიკულიუნარებიკურსდამთავრებულს შესაძლებლობას აძლევს გაიაზროს ქართველური ენათმეცნიერების კონკრეტული პრობლემები, გამონახოს მათი გადაჭრის გზები, შეიმუშაოს ორიგინალური იდეები, განივითაროს კვლევის სტრატეგიულად დაგეგმვის უნარი, რაც ფუნდამენტური წინაპირობაა მისი წარმატებით დასაქმებისა და შემდგომ (სადოქტორო) საფეხურზე სწავლისა და კვლევის დამოუკიდებლად წარმართვისათვის. პროგრამის სწავლის შედეგები წარმოდგენილია სტუდენტის მიერ არჩეული პროგრამული მოდულის სწავლის შედეგების გათვალისწინებით.

**ცოდნა და გაცნობიერება**

აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის დასრულების შედეგად კურსდამთავრებული:

1. სისტემური ცოდნის საფუძველზე აღწერს ქართველურ ენებს, გამოყოფს და სიღრმისეულად განიხილავს ქართველური ენათმეცნიერების კარდინალურ საკითხებს, ახასიათებს ქართული ენის ქვესისტემებს, არგუმენტირებულად მსჯელობს ძველი და ახალი ქართული სალიტერატურო ენის ფონეტიკა-ფონოლოგიის, მორფოლოგიის, სინტაქსის, სტილისტიკის, სამწერლობო ქართულის ისტორიული გრამატიკის, ენათაინტერფერენციის, ქართველურ ენათა ლექსიკოლოგიისა და ლექსიკოგრაფიის საკითხებზე, ლინგვისტური კვლევის თანამედროვე მეთოდებსა და ტექნოლოგიებზე.

2. მრავალმხრივ მიმოიხილავს ქართული ენის ქვესისტემების ძირითად ენობრივ ფაქტებსა და მოვლენებს, სინქრონიულ და დიაქრონიულ დონეზე აღწერს და განიხილავს წერილობით წყაროებს:

   **I მოდულის** არჩევის შემთხვევაში
   - ახდენს ქართული ანბანის ძველი სახეობებით შესრულებული ხელნაწერი ტექსტის დეკოდირება-ტრანსმისიას, მის პალეოგრაფიულ-კოდიკოლოგიურ, ტექსტოლოგიურ, ლინგვისტურ და შედარებით ანალიზს. გამოყოფს და დეტალურად აღწერს სხვადასხვა დროს შექმნილი წერილობითი ძეგლების ენობრივ და სტილისტიკურ თავისებურებებს.

   **II მოდულის** არჩევის შემთხვევაში
   - დეტალურად აღწერს ქართული ენის დიალექტებისა და კოლხური (მეგრულ-ლაზური) და სვანური ენების სტრუქტურას, სიტყვათწარმოებასა და ლექსიკური პარადიგმატიკის ჯგუფებს, განიხილავს დიალექტურ, კოლხურ (მეგრულ-ლაზურ) და სვანურ ტექსტებსა და ლექსიკონებს.

   **III მოდულის** არჩევის შემთხვევაში
   - ამოიცნობს და განმარტავს სხვადასხვა ტიპის დისკურსში იმპლიცირებულ კულტურულ მნიშვნელობებს, აღწერს და მიმოიხილავს ქართულის, როგორც პოლივალენტოვანი ეროვნული ენის, ფუნქციურ-სტილური დიფერენციაციის ობიექტურ სურათსა და ეროვნული ენის მატარებლის სამეტყველო ქმედებათა თავისებურებებს.

3. სიღრმისეულად განიხილავს თანამედროვე სალიტერატურო ენის გრამატიკულ-ორთოგრაფიულ საკითხებს და მყარ სამეცნიერო საფუძველზე დაყრდნობით განსაზღვრავს თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა მნიშვნელობას ენის ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის:

   **I მოდულის არჩევის შემთხვევაში** სიღრმისეულად განიხილავს ენობრივ ნორმათა შემუშავებისა და განვითარების ისტორიას, ურთიერთკავშირს სალიტერატურო ენის გრამატიკული სისტემის განვითარებასა და ნორმათა ცვლილებებს შორის, ხსნის მათ თეორიულ საფუძვლებს.

   **II მოდულის არჩევის შემთხვევაში** განსაზღვრავს ენის ისტორიისა და დიალექტოლოგიის ურთიერთობას და ამ ურთიერთობით განპირობებულ მონაცემთა გამოყენებას თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციაში.

   **III მოდულის არჩევის შემთხვევაში** ფუნქციური ტექსტების (მათ შორის მედიადისკურსის) ლინგვისტური ანალიზის შედეგად ახდენს ტიპობრივ ენობრივ შეცდომათა ქართულისათვის არაბუნებრივი სტილური ტენდენციების

იდენტიფიცირებას და ადგენს მათი გაჩენის მიზეზებს.

4. საფუძვლიანად მიმოიხილავს ქართულ და/ან ერთ-ერთ ევროპულ ენაზე არსებულ დარგობრივ სამეცნიერო ლიტერატურას, ლექსიკონებს, საბიბლიოთეკო და ელექტრონულ რესურსებს, დარგის პრობლემურ საკითხებზე სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულგანსხვავებულ მოსაზრებებსა და თეორიებს.

**უნარები:**

5. საფუძვლიანად და სიღრმისეულად აანალიზებს ქართველური ენათმეცნიერების აქტუალურ პრობლემებს, ქართველური ენების ფონეტიკა- ფონოლოგიის, მორფოსინტაქსის, ლექსიკის საკვანძო საკითხებს; კომპლექსურად განსაზღვრავს ლექსიკონების შედგენის თეორიულ და პრაქტიკულ პრინციპებს:

   **I მოდულის არჩევის შემთხვევაში** სიღრმისეულად აანალიზებს ძველი და ახალი სალიტერატურო ქართული ენის ფონეტიკა-ფონოლოგიის, მორფოსინტაქსის, ლექსიკის საკვანძო საკითხებს, ენობრივ დონეთა შუალედურ სისტემებს,სალიტერატურო ენაზე უცხო ენათა გავლენის ფაქტებს;

   **II მოდულის არჩევის შემთხვევაში** სიღრმისეულად აანალიზებს ქართველურ ენათა ფონოლოგიური სისტემის, ფუძეენის რეკონსტრუქციის, ქართული ენის დიალექტების, კოლხური (მეგრულ-ლაზური) და სვანური ენების მორფოლოგიისა და სინტაქსის საკითხებს; გამოყოფს კოლხური (მეგრულ-ლაზური) და სვანური ლექსიკის ადგილსა და მნიშვნელობას ძირეულ (საერთოქართველურ) ლექსიკაში.

   **III მოდულის არჩევის შემთხვევაში** სიღრმისეულად აანალიზებს როგორც ინტერკულტურული, ასევე ერთი ლინგვოკულტურის ფარგლებში კომუნიკაციის წარუმატებლობის მიზეზებს, ზედმიწევნით მსჯელობს „ენათა შინაარსობრივ სხვაობასა“ და ენაში ასახული კულტურით შექმნილ მნიშვნელობებზე, ასაბუთებს ქართული კულტურული კონცეპტების ლექსიკონის შექმნის აუცილებლობას.

6. ქართული ენის მონაცემებსა და მათი კვლევის შესაბამის მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით ახდენს ინფორმაციის ინოვაციურ სინთეზს და კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით მონაცემთა კრიტიკული ანალიზის საფუძველზე აყალიბებს დასაბუთებულ დასკვნებს:

   **I მოდულის** არჩევის შემთხვევაში აანალიზებს და კომპლექსურად განიხილავს ძველი და ახალი სალიტერატურო ენისმონაცემებს ქართველური ენათმეცნიერების ფართო კონტექსტში.

   **II მოდულის** არჩევის შემთხვევაში აანალიზებს და კომპლექსურად განიხილავს ქართული ენის დიალექტების, კოლხური (მეგრულ-ლაზური) და სვანური ენების მონაცემებს ქართველური ენათმეცნიერების ფართო კონტექსტში.

   ლინგვოკულტუროლოგიური კუთხით განიხილავს ქართველური ენების მასალას როგორც ტრადიციული – სისტემურ-სტრუქტურული, ასევე ანთროპოცენტრული პარადიგმის ფარგლებში.

7. ადეკვატურად იყენებს ემპირიული მასალის შეგროვება-დამუშავების მეთოდებს, საფუძვლიანად აღწერს და მიზნობრივად აანალიზებს ტექსტს:

   **I მოდულის არჩევის** შემთხვევაში ძველი და ახალი ქართული სალიტერატურო ენის საკითხების სინქრონიული და დიაქრონიული კვლევისათვის ადეკვატურად იყენებს ქართული ენის კორპუსებს, ტექსტურ მონაცემთა ელექტრონულ ბაზებს, ბეჭდურ წყაროებსა და ხელნაწერთა ციფრულ კოლექციებს, აწარმოებს კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიურ კვლევას და ახდენს ტექსტისლინგვისტურ ანალიზს.

   **II მოდულის არჩევის შემთხვევაში** მიზნობრივად იყენებს დიალექტურ კორპუსებს, კოლხურის (მეგრულ-ლაზურის) და სვანურის ტექსტურ მონაცემთა ელექტრონულ ბაზებს, ბეჭდურ გამოცემებსა და ემპირიული მასალის შეგროვება-დამუშავების საველე მეთოდებს.

   **III მოდულის არჩევის შემთხვევაში** ქართული ენის კორპუსების, ტექსტურ მონაცემთა ელექტრონული ბაზებისა და ბეჭდური წყაროების დამუშავებით გამოავლენს ეროვნულ-კულტურულ კონცეპტებს, აღწერს ქართული დისკურსის ლინგვოკულტურულ შემადგენელთა სტრუქტურას, სემანტიკასა და ფუნქციონირებას.

8. კრიტიკულად აანალიზებს დარგობრივ სამეცნიერო ლიტერატურას, ახდენსმის სინთეზს, ინტერპრეტაციასა და კონტექსტუალიზაციას სხვადასხვა პერსპექტივიდან, მოიძიებს პრობლემის გადაწყვეტის ახალ, ორიგინალურ გზებს.

9. ახდენს კვლევის შედეგებისა და საკუთარი არგუმენტირებული მოსაზრების დემონსტრირებას, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ამზადებს პრეზენტაციას ქართველური ენათმეცნიერების საკითხების შესახებ, ამყარებს კომუნიკაციას აუდიტორიასთან და აწვდის ინფორმაციას აკადემიურ საზოგადოებას საკუთარი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების შესახებ ქართულ და ერთ-ერთ ევროპულ ენაზე. მონაწილეობს პროფესიულ დისკუსიებში.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:**

10. გეგმავს და ლინგვისტური კვლევის უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით დამოუკიდებლად ქმნის აკადემიური სტანდარტების შესაბამის სამეცნიერო ნაშრომს. პროფესიული პასუხისმგებლობით შეაქვს წვლილი სასპეციალიზაციო სფეროს დარგობრივი ცოდნისა და პროფესიული პრაქტიკის განვითარებაში; იცავს აკადემიური ეთიკის ნორმებსა და კოლეგიალური თანამშრომლობისპრინციპებს;

11. სხვადასხვა სასწავლო, საქმიან და საკვლევ გარემოში მოქმედებს ინდივიდუალურად და გუნდურად, მათ შორის, განსაზღვრულ ვადებსა დაინტენსიურ რეჟიმშიც.

12. ავლენს ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, ასევე, სხვა ქართველური ენების პატივისცემას და ზრუნავს მათ შესახებ ცოდნის ფართოდ გავრცელებასა და განვითარებაზე; ტოლერანტულია ენობრივი და კულტურული მრავალ- ფეროვნების

| |
|---|
| მიმართ. |
| **დასაქმების სფეროები** |
| აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს მუშაობა შეეძლება:<br>○ ზოგად და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში;<br>○ ჰუმანიტარული პროფილის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში;<br>○ ისტორიულ-ლიტერატურულ-ეთნოგრაფიულ და მემორიალურ მუზეუმებში;<br>○ საქართველოს ბიბლიოთეკებსა და არქივებში;<br>○ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში;<br>○ ქართული ენის სტილისტ-რედაქტორად გამომცემლობებში, რედაქციებსა და სხვა მსგავს დაწესებულებებში.<br>○ ენის ექსპერტად ციფრული ტექნოლოგიებისა და ტექსტურ მონაცემთაბაზების შექმნაზე მომუშავე სხვადასხვა საპროექტო ჯგუფებში“. |

| პროგრამის სახელწოდება | ქართული ლიტერატურა<br>Georgian Literature |
|---|---|
| საფეხური | სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა |
| პროგრამაზე დაშვების წინაპირობა | • საერთო სამაგისტრო გამოცდა;<br>• ბაკალავრის ხარისხი ქართულ ფილოლოგიაში; / ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი (სწავლების ძირითადი დარგი ქართული ფილოლოგია / ფილოლოგია) / ან ბაკალავრი, რომელსაც გავლილი აქვს დამატებითი (minor) პროგრამა ქართულ ფილოლოგიაში;<br>• გ) უცხოური (ინგლისური/ გერმანული /ფრანგული) ენის B1 / B2 დონეზე ცოდნის დადასტურება FCE ტესტური ფორმატის გამოცდით (მიღებული ქულის მიხედვით ენის ფლობის დონის განსაზღვრა : 71-100 B2; 51 - 70 B1) ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერტიფიკატით. ამასთან, B2 დონით შემომსვლელი მაგისტრანტები თავისუფლდებიან პროგრამის სასწავლო გეგმით შეთავაზებული ინგლისური/ გერმანული /ფრანგული B2.1 და B2.2 კურსების გავლის ვალდებულებისგან.<br>• სასპეციალიზაციო წერითი გამოცდა; |
| სწავლების ენა | ქართული |
| კვალიფიკაცია | ქართული ლიტერატურის მაგისტრი / Master of Georgian Literature |
| სწავლების ხანგრძლივობა | 4 სემესტრი |
| ECTS | 120 ECTS კრედიტი |
| სწავლების გადასახადი | 2250 ლარი |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | სასწავლო კორპ. N1, ი. ჭავჭავაძის გამზ. N1; სასწავლო კორპ. N8, ი. ჭავჭავაძის გამზ. N13 |
| პროგრამის განმახორციელებელი ერთეული | ქართული ლიტერატურის ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი |
| საკონტაქტო პირი | პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი: პროფ. ელგუჯა ხინთიბიძე |
| | ტელ.: +995 577412581 |
| | ელფოსტა: elguja.khintibidze@tsu.ge |
| მოდულები | • ძველი ქართული ლიტერატურა<br>• ახალი ქართული ლიტერატურა<br>• უახლესი ქართული ლიტერატურა |

| | |
|---|---|
| • ზეპირსიტყვიერება | |
| პროგრამის სტრუქტურა | |
| კომპონენტის სტატუსი | ECTS-მოცულობა |
| საერთო სავალდებულო | 25 ECTS კრედიტი |
| მოდულის სავალდებულო | 30 ECTS კრედიტი |
| არჩევითი | 35ECTS კრედიტი |
| სამაგისტრო ნაშრომი | 30 ECTS კრედიტი |
| | |
| პროგრამის მიზანი | |

პროგრამის მიზნებია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად კურსდამთავრებულის აღჭურვა საერთაშორისო კომპეტენციებზე დაფუძნებული სისტემური ცოდნითა და უნარებით, რომ მან შეძლოს:

1. ქართული ლიტერატურის ისტორიის, ლიტერატურული კრიტიკისა და ზეპირსიტყვიერების სფეროებში სამეცნიერო-კვლევითი ,პედაგოგიური და პრაქტიკული საქმიანობის დამოუკიდებლად წარმართვა;
2. მხატვრული ლიტერატურული ტექსტის პროფესიული კითხვისა და თეორიული კვლევის კულტურის ჩამოყალიბება.
3. ტექსტის სტრუქტურული, სტილისტური, ტიპოლოგიური და კომპოზიციური სტრუქტურის ცოდნის გაღრმავება;
4. კვლევის განსხვავებული მეთოდოლოგიური სისტემების საფუძვლიანად შესწავლა და ანალიზის განსხვავებული ხერხებით პროფესიულად ოპერირება;
5. ანალიტიკური აზროვნება და პროფესიული წერა (კ რიტიკული სტატია, პუბლიცისტური გამოკვლევა, ესე), ინტერპრეტაცია და დამოუკიდებელი კვლევის წარმოება.
6. მიღებული ცოდნისა და უნარის საფუძველზე ინტერდისციპლინური და ინტერკულტურული კვლევების წარმართვა;
7. ქართული ლიტერატურის ისტორიის, ლიტერატურული კრიტიკისა და ქართული ზეპირსიტყვიერების კონკრეტული საკითხების კვალიფიციური ცოდნით საზოგადოებაში ჰუმანიტარული ცოდნის გაღრმავება.

**I.ძველი ქართული ლიტერატურის მოდულის მიზნებია:**

1. ღრმად და საფუძვლიანად შეისწავლოს ძველი ქართული ორიგინალური ჰაგიოგრაფიული და ჰიმნოგრაფიულ-ლიტურგიკული მწერლობა, „ვეფხისტყაოსნის“ იდეურ-მსოფლმხედველობითი სამყარო და მიმართებები ანტიკურ და შუასაუკუნეების ევროპულ მწერლობასთან, ქართული ლიტერატურის პრობლემატიკა საზღვარგარეთულ ქართველოლოგიაში და XVII-XVIII ს.ს. ლიტერატურული მიმდინარეობები; მიმოიხილოს და გაანალიზოს ძველიქართული მწერლობის შესწავლის ისტორიის საკითხები.

2. კრიტიკულად გაიაზროს მეცნიერებაში დამუშავებული ქართული ლიტერატურის საკითხები, გააშუქოს უახლესი სამეცნიერო

ლიტერატურის ისტორიის პრობლემატიკა;

**II. ახალი ქართული ლიტერატურის მოდულის მიზნებია:**

3. მე-19 ს. ქართული მწერლობის პრობლემატიკისა და ამ ეპოქის ქართველ კლასიკოსთა შემოქმედების(ილიასმცოდნეობა, აკაკისმცოდნეობა, ვაჟასმცოდნეობა, რელიგიურ-თეოლოგიური ნაკადი) სისრულითა და სიღრმით შესწავლა.

4. მე-19 ს. ქართული მწერლობის ლიტერატურულ მიმართულებათა თავისებურებების (რომანტიზმი, რეალიზმი,კლასიციზმი, სენტიმენტალიზმი; ნატურალიზმის და სიმბოლიზმის არსებობის საკითხი მე-19 ს. ქართულ მწერლობაში) გაანალიზება.

**III .უახლესი ქართული ლიტერატურის მოდულის მიზნებია:**

5. მე-20 საუკუნის ქართული პროზისა და პოეზიის ისტორიის, ლიტერატურული სკოლების – მოდერნიზმი, ემიგრანტული მწერლობის სიღრმისეულად შესწავლა;
6. თანამედროვე ქართული მწერლობის მსოფლიო ლიტერატურის პრობლემატიკისადმი მიმართების შესწავლა და კრიტიკული გაანალიზება.

**IV.ზეპირსიტყვიერების მოდულის მიზნებია:**
7.˜ფოლკლორის თეორიის ძირითადი საკითხების (ტრადიცია, ჟანრების წარმოშობა, იმპროვიზაცია, ს ინკრეტიზმი, კონტამინაცია, ვარიანტულობა, დრო და სივრცე) ღრმა და სისტემური ცოდნის შეძენა;
8.˜ფოლკლორისტიკის ისტორიის: ზღაპრის მორფოლოგია, ამირანოლოგია, ქართულ-კავკასიური ფოლკლორული ურთიერთობანი საფუძვლიანად შესწავლა.

**სწავლის მეთოდები**

დარგობრივი ცოდნის გადაცემა-მიღებისათვის პროგრამის კურიკულუმში ჩართული თი- თოეული დისციპლინა სწავლება-სწავლის მეთოდთა (ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი / წერითი მუშაობის / დემონსტრირების / თანამშრომლობითი სწავლების / პრაქტიკული / როლურ-სიტუაციური და სხვ.) საკუთარ ნაკრებს იყენებს, რომელსაც საგნის მიზნების შესაბამისად ქმნის და იგი, საგნის სწავლების ფორმატთან ერთად, ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში საგანგებოდაა წარმოდგენილი.

**შეფასების სისტემა**

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით.
შეფასება ითვალისწინებს შუალედურ განმავითარებელ შეფასებას (60 ქულა) და დასკვნით გამოცდას (40 ქულა). შუალედური შეფასება ხორციელდება მინიმუმ სამი კომპონენტის მიხედვით. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები განსხვავებულია და მათი აღწერა მოცემულია კონკრეტული კურსის სილაბუსში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედურ შეფასებებში დაგროვებული აქვს მინიმუმ 21 ქულა. დასკვნითი გამოცდა

ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდის (კომბინირებული - წერა/ზეპირი გამოცდის შემთხვევაში, თითოეული კომპონენტის) მაქსიმალური ქულის 50 %-ს.
სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:
(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:
ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი დამასრულებელ სემესტრში ამზადებს **სამაგისტრო ნაშრომს.** შესაბამისი მარეგულირებელი წესის თანახმად:

- ✓ სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთიანად დასკვნითი შეფასებით 100-ქულიანი სისტემით;
- ✓ რეცენზენტი წერს ნაშრომის შესახებ რეცენზიას და აფასებს სტუდენტის ნაშრომს მაქსიმუმ 60 ქულით. 31 ქულაზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე არ დაიშვება;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, საჯარო დაცვამდე სამაგისტრო ნაშრომი შემოწმებული უნდა იყოს Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით.
- ✓ ნაშრომი ფასდება კომისიის მიერ წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტი წარმოადგენს ნაშრომის შედეგებს პრეზენტაციის სახით, რომელიც ფასდება კომისიის თითოეული წევრის მიერ (მაქსიმუმ 40 ქულა). ამ კომპონენტში სტუდენტის საბოლოო შეფასება იანგარიშება კომისიის ყველა წევრის შეფასების საშუალო არითმეტიკულით. მიღებული შეფასება დადებითად ითვლება, თუ კომისია სტუდენტის ნაშრომს შეაფასებს 20 და მეტი ქულით;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასებას წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და კომისიის საბოლოო შეფასების ჯამი, რომელიც ტოლია ან აღემატება 51 ქულას.
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია.

| |
|---|
| **სწავლის შედეგები** |

ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა ოთხ მოდულს აერთიანებს: I მოდული – ძველი ქართული ლიტერატურა, II მოდული – ახალი ქართული ლიტერატურა, III მოდული – უახლესი ქართული ლიტერატურა, IV მო დული - ზეპირსიტყვიერება. თითოეული მოდულის დასრულების შედეგად მიღებული თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები კურსდამთავრებულს შესაძლებლობას აძლევს, გაიაზროს ქართული ლიტერატურისა და ზეპირსიტყვიერების კონკრეტული პრობლემები, გამონახოს მათი გადაჭრის გზები, შეიმუშაოს ორიგინალური იდეები, განივითაროს კვლევის სტრატეგიულად დაგეგმვის უნარი, რაც ფუნდამენტური წინაპირობაა მისი წარმატებით დასაქმებისა და შემდგომ (სადოქტორო) საფეხურზე სწავლისა და კვლევის დამოუკიდებლად წარმართვისათვის.

პროგრამის სწავლის შედეგები წარმოდგენილია სტუდენტის მიერ არჩეული პროგრამული მოდულის სწავლის შედეგების გათვალისწინებით.

**ცოდნა და გაცნობიერება**

სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული: სიღრმისეული ცოდნის საფუძველზე აყალიბებს და აანალიზებს ქართული ლიტერატურის ისტორიისა და ზეპირსიტყვიერების მნიშვნელოვან საკითხებს, ძირითად თეორიებს და პრობლემატიკას, დამუშავებულს ქართულ და საზღვარგარეთულ მეცნიერებაში. ქართული მწერლობის მიმართების საკითხებს გვიანდელი შუასაუკუნეებისა და რენესანსის ეპოქების ძირითად თეოლოგიურ, ეთიკურ და ესთეტიკურ პრობლემატიკასთან.

სიღრმისეული და სისტემური ცოდნის საფუძველზე აღწერს ლიტერატურის ისტორიისა და ლიტერატურათმცოდნეობის, როგორც მეცნიერულ დისციპლინათა სპეციფიკასა და გამოყენებით მნიშვნელობას მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში.

ახდენს ცალკეული პრობლემის განხილვისა და გადაჭრის გზების მოძიებას საკუთარი კვლევის შედეგების, დასკვნებისა და არგუმენტების საშუალებით, როგორც წერითი, ისე ზეპირი კომუნიკაციით.

საფუძვლიანად მიმოიხილავს ქართულ და/ან ერთ-ერთ ევროპულ ენაზე არსებულ დარგობრივ სამეცნიერო ლიტერატურას, ლექსიკონებს, საბიბლიოთეკო და ელექტრონულ რესურსებს, დარგის პრობლემურ საკითხებზე სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ განსხვავებულ მოსაზრებებსა და თეორიებს.

**I მოდულის არჩევის შემთხვევაში**

სიღრმისეული ცოდნის საფუძველზე მიმოიხილავს ძველი ქართული ლიტერატურის უმთავრესი სფეროების და ქართული მწერლობის საზღვარგარეთულ ქართველოლოგიაში შესწავლისა და დამუშავების პრობლემებს. ქართული მწერლობის განვითარების ძირითად ეტაპებს, შეუძლია დამოუკიდებელი დასკვნების

ჩამოყალიბება ჰაგიოგრაფიის, ჰიმნოგრაფიისა და ძველი ქართული საერო ლიტერატურის ძირითად პრობლემატიკათა სფეროში.

**II მოდულის არჩევის შემთხვევაში**

სიღრმისეული ცოდნის საფუძველზე აყალიბებს ქართული რომანტიზმისა და რეალიზმის ძირითად ასპექტებს, ფილოლოგიურ, ფილოსოფიურ, ესთეტიკურ, პუბლიცისტურ და თეოლოგიურ პრობლემატიკას ევრო-ამერიკულ კულტურულ სივრცესთან ინტერტექსტუალურ მიმართებებში. განიხილავს ახალი ქართული მწერლობის კლასიკოსების (ილია, აკაკი, ვაჟა) ლიტერატურულ მემკვიდრეობას - კრიტიკულ- ლიტერატურულ ნააზრევს, ლირიკას, ეპოსს, პროზასა და დრამატურგიას თანამედროვეობის გლობალურ პრობლემათა კონტექსტში.

**III მოდულის არჩევის შემთხვევაში**

საფუძვლიანად მიმოიხილავს XX საუკუნის ქართული პროზისა და პოეზიის ფორმაციის გზას და ლიტერატურის ისტორიას, XX საუკუნის ქართული მწერლობის უმთავრესი მიმდინარეობებს (კერძოდ, მოდერნიზმს) ინტერკულტურულ სამეცნიერო კონტექსტში, თანამედროვე ქართული პროზის, პუბლიცისტური მწერლობის (მემუარები, ესეები) და ლიტერატურათმცოდნეობითი ნააზრევის ჟანრობრივ და ესთეტიკურ თავისებურებებს. მიმოიხილავს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ქართველი ემიგრანტი მწერლების შემოქმედებას იმ ქვეყანათა კულტურული სივრცის გათვალისწინებით.

**IV მოდულის არჩევის შემთხვევაში**

სიღრმისეული ცოდნის საფუძველზე აღწერს და მიმოიხილავს ქართული ფოლკლორისტიკის აღმოცენებისა და განვითარების ძირითად ეტაპებს; ქართული ზეპირსიტყვიერების ადგილსა და როლს კავკასიის ხალხთა ისტორიაში, ყოფასა და კულტურაში. საკუთარი დასკვნების საფუძველზე ხსნის განმარტავს ფოლკლორის თეორიის ძირითად საკითხებს (ტრადიცია, ჟანრების წარმოშობა, იმპროვიზაცია, სინკრეტიზმი, კონტამინაცია, ვარიანტულობა, დრო და სივრცე), შედარებით ისტორიულ-ტიპოლოგიურ და სხვა თანამედროვე სამეცნიერო თეორიებს (სტრუქტურალისტურ, რიტუალისტურ და ფუნქციონალისტურ თეორიებს).

**უნარები:**

ქართული ლიტერატურის მაგისტრი იყენებს ახალ მეთოდებს და აუცილებელ ტერმინოლოგიურ აპარატს ლიტერატურული და ფოლკლორული ტექსტების კვლევისას. კრიტიკულად აანალიზებს ქართველ და უცხოელ მეცნიერთა შეხედულებებს. გამოყოფს ქართული ლიტერატურის ისტორიის პრობლემური საკითხების გადაჭრის ინოვაციურ გზებს.ახდენს ლიტერატურათმცოდნეობითი არგუმენტების კრიტიკულ შეჯამებასა და შეფასებას.გამოყოფს ინფორმაციაში კონცეპტუალურ პრიორიტეტებს, იყენებს საინფორმაციო ტექნოლოგიებს, როგორც საკომუნიკაციო და სასწავლო ინსტრუმენტს.

**I მოდული**

აანალიზებს ძველი ქართული ლიტერატურის უმთავრეს სფეროებს; საერო და სასულიერო ლიტერატურულ თხზულებებს. იაზრებს ძველ ქართულ ლიტერატურას მსოფლიო ლიტერატურის საერთო კონტექსტში, არგუმენტირებულად ასაბუთებს მეცნიერებაში დამუშავებული ქართული ლიტერატურის ისტორიის ტრადიციულ და უახლეს სამეცნიერო პრობლემატიკას და კრიტიკულად აანალიზებს მათ.

II მოდული

აანალიზებს იმ პრობლემატიკასა და ლიტერატურულ მიმართულებათა თავისებურებებს, რომლებიც მე-19 ს. ქართული მწერლობისა და ამ ეპოქის ქართველ კლასიკოსთა შემოქმედების შესწავლისას იჩენს თავს. ამოიცნობს და აანალიზებს ახალი ქართული ლიტერატურის პერიოდიზაციისა და ძველ და უახლეს პერიოდებთან მიმართებებისა და თავისებურებების პრობლემებს.

III მოდული

ღრმა და სისტემური ცოდნის საფუძველზე აანალიზებს მე-20 საუკუნის ქართული მწერლობის ისტორიას. ამოიცნობს და აყალიბებს თანამედროვე ქართული ლიტერატურული პროცესის აქტუალურ პრობლემებს. ახდენს ლიტერატურული ნაწარმოების შეფასებას საკუთარი კვლევის შედეგებით, დასკვნებითა, არგუმენტირებით და ლიტერატურათმცოდნეობითი ტრადიციული აზრების, დებულებებისა და კონცეფციების გათვალისწინებით.

IV მოდული

აანალიზებს ფოლკლორის თეორიის ძირითადი საკითხებს, ღრმა და სისტემური ცოდნის საფუძველზე აყალიბებს ფოლკლორული ტექსტს შედარებით-ისტორიულ, ტიპოლოგიურ, სტრუქტურალისტურ და ფუნქციონალისტურ თეორიებზე დაყრდნობით;

ამოიცნობს და განმარტავს ხალხური ეპოსის წარმოშობისა და ჩამოყალიბების ძირითად ასპექტებს, კომპლექსურ პრობლემებს, შეიმუშავებს კვლევით პროექტებს ქართული ზეპირსიტყვიერების მსოფლიოს ფოლკლორულ და ეპიკურ-ლიტერატურულ თხზულებათა ურთიერთმიმართებით.

2. კრიტიკულად აანალიზებს დარგობრივ სამეცნიერო ლიტერატურას, ახდენს მის სინთეზს, ინტერპრეტაციასა და კონტექსტუალიზაციას სხვადასხვა პერსპექტივიდან, მოიძიებს პრობლემის გადაწყვეტის ახალ, ორიგინალურ გზებს.

3. ახდენს კვლევის შედეგებისა და საკუთარი არგუმენტირებული მოსაზრების დემონსტრირებას, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ამზადებს პრეზენტაციას ქართული ლიტერატურის საკითხების შესახებ, ამყარებს კომუნიკაციას აუდიტორიასთან და აწვდის ინფორმაციას აკადემიურ საზოგადოებას საკუთარი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების შესახებ ქართულ და ერთ-ერთ ევროპულ ენაზე. მონაწილეობს პროფესიულ დისკუსიებში.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:**

- ზუსტად გეგმავს და მართავს სამუშაო დროს, შეიმუშავებს სტრატეგიულ მიდგომებს პროფესიული ცოდნის გასაახლებლად, შემდგომი სწავლის პროცესისა და კვლევების დამოუკიდებლად სამართავად;
- იღებს დაკისრებულ მოვალეობებზე პასუხისმგებლობას პატიოსნებისა და ღირსების გრძნობით; პატივს სცემს მორალურ, ეთიკურ, კულტურულ და სამართლებრივ ნორმებს;
- გამოხატავს უცხო ფენომენის მიმართ შემწყნარებლობას,ტოლერანტობას განსხვავებული პოზიციის მიმართ. უარყოფს

| |
|---|
| დოგმატიზმს, ფანატიზმს, სწორხაზოვან აზროვნებას, შეზღუდულობას და აღიარებს საკითხის პლურალისტური განხილვის საჭიროებას;<br>• მხარს უჭერს ზოგადსაკაცობრიო და მულტიკულტურულ ღირებულებებს და თავისი პროფესიული საქმიანობით ცდილობს მათ დამკვიდრებაში წვლილის შეტანას. |
| **დასაქმების სფეროები** |
| აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს მუშაობა შეეძლება:<br>• ზოგად და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში;<br>• ჰუმანიტარული პროფილის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში;<br>• ისტორიულ-ლიტერატურულ-ეთნოგრაფიულ და მემორიალურ მუზეუმებში;<br>• საქართველოს ბიბლიოთეკებსა და არქივებში;<br>• სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში;<br>• რედაქტორად გამომცემლობაში, რედაქციებსა და სხვა მსგავს დაწესებულებებში. |

| პროგრამის სახელწოდება | ინგლისური ფილოლოგია<br>English Philology |
|---|---|
| საფეხური | სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა |
| პროგრამაზე დაშვების წინაპირობა | • საერთო სამაგისტრო გამოცდა;<br>• ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი სწავლის ფართო სფეროებში:<br>1. ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები;<br>2. სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია;<br>3. განათლება;<br>4. ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართალი.<br>ან შესაძლებელია გავლილი ჰქონდეს დამატებითი (minor) პროგრამა ინგლისურ ფილოლოგიაში.<br>• სასპეციალიზაციო გამოცდა, რომელიც ტარდება სპეციალობების მიხედვით, ინგლისური ენის თეორიასა და ლიტერატურაში/ ლექსიკოგრაფიის თეორიასა და ისტორიაში.<br>• ინგლისური ენის ცოდნის B2 დონეზე დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატის წარმოდგენით.<br>• უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის პროგრამაზე მიღება ხდება საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, რომელიც გულისხმობს ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღებად მათ მიერ ქართული ენის გამოცდის B2 დონეზე ჩაბარებას. |
| სწავლების ენა | ქართული |
| კვალიფიკაცია | ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრი/ ლექსიკოგრაფიის მაგისტრი<br>Master of English Philology / Master of Lexicography |
| სწავლების ხანგრძლივობა | 4 სემესტრი |
| ECTS | 120 ECTS კრედიტი |
| სწავლების გადასახადი | 2250 ლარი |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | თსუ სასწავლო კორპ. N5, ი. ჭავჭავაძის გამზ. N36 |
| პროგრამის განმახორციელებელი ერთეული | დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, ინგლისური ფილოლოგიის კათედრა |

| | |
|---|---|
| **საკონტაქტო პირი** | პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი: პროფ. მანანა რუსიეშვილი |
| | ტელ.: +995 599168339 |
| | ელფოსტა: manana.ruseishvili@tsu.ge |
| **მოდულები** | • ინგლისური ენის თეორია<br>• ინგლისური ლიტერატურა<br>• ლექსიკოგრაფია |
| **პროგრამის სტრუქტურა** | |
| **კომპონენტის სტატუსი** | ECTS-მოცულობა |
| საერთო სავალდებულო | 35 ECTS კრედიტი |
| მოდულის სავალდებულო | 30 ECTS კრედიტი |
| არჩევითი | 25 ECTS კრედიტი |
| სამაგისტრო ნაშრომი | 30 ECTS კრედიტი |
| | |
| **პროგრამის მიზანი** | |

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაზაზე მოქმედი ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ზოგადი მიზანია მოამზადოს მაგისტრი, რომელსაც, არჩეული მოდელის მიხედვით, ექნება თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ფილოლოგიური და/ან ლექსიკოგრაფიული კომპეტენცია, კვლევის უნარი და დარგის ღრმა, სისტემური ცოდნა. ამით უზრუნველყოფილი იქნება მაგისტრის წარმატებული შრომითი დასაქმება როგორც სამეცნიერო არეალზე, ასევე პრაქტიკულ და გამოყენებით სფეროებში.

სამაგისტრო პროგრამის მიზნები და ორიენტირები სრულად თანხვდება თსუ განვითარების გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმას, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ძირითად ამოცანებს და სტრატეგიულ ხედვას, უზრუნველყოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი, მომავალზე ორიენტირებული ინტერდისციპლინული განათლების მიღების შესაძლებლობა, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება.

ამასთან ერთად, პროგრამის აგების დროს გათვალისწინებულია როგორც ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი, აგრეთვე, დიდი ბრიტანეთის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციები.(Benchmark Statements- Languages and Related tudies) http://www.qaa.ac.uk/academicinfrastructure/benchmark/honours/ და ევროპის მოწინავე უნივერსიტეტების გამოცდილება.

როგორც აღინიშნა, პროგრამა სამი მოდულისაგან შედგება, ესენია: ინგლისური ენის თეორია, ინგლისური ლიტერატურა, ლექსიკოგრაფია. სამაგისტრო პროგრამის ინგლისური ენის თეორიისა და ინგლისური ლიტერატურის მოდულების სასწავლო მასალა ინგლისურენოვანია; ლექსიკოგრაფიის მოდულის ზოგიერთი კურსი კი სრულად იკითხება ინგლისურ ენაზე.

პროგრამის ზოგადი და უმთავრესი მიზანია კურსდამთავრებულისთვის საერთაშორისო სტანდარტის ღრმა, სისტემური ცოდნის მიცემა და უნარების ჩამოყალიბება, რომ მან შეძლოს:

- ინგლისური ენის კომპეტენტური და ეფექტური გამოყენება საკვლევ-აკადემიური და პროფესიული საკომუნიკაციო მიზნებისათვის (პროგრამაში გაერთიანებული ყველა მოდულისათვის სავალდებულო პრაქტიკული ინგლისური ენის კურსი გულისხმობს ინგლისური ენის ჩვევბისა და კონტექსტურ-სიტუაციური აქტუალიზაციის ადეკვატური უნარ-ჩვევების სრულყოფას ენის ფლობის ყველა ასპექტში (კითხვა, წერა, ლაპარაკი და მოსმენა). პროგრამა იზიარებს შეხედულებას, რომლის მიხედვითაც ინგლისური ენა განიხილება არა როგორც მხოლოდ პრაქტიკულად დასაუფლებელი სასწავლო საგანი (ამას ემსახურება მისთვის გამოყოფილი 15 კრედიტი, რომლის დაძლევის შემდეგაც მაგისტრანტის პრაქტიკული ცოდნა ინგლისურ ენაში უნდა პასუხობდეს საერთო ევროპული ჩარჩოს C1 (Proficient Use) დონეს), არამედ, ასევე, როგორც გასაღები და საშუალება სამაგისტრო პროგრამის ინგლისურენოვანი აკადემიური კურსების პროგრამის შესასწავლად.
- ინტერკულტურული კომუნიკაციისა და მისი ენობრივი საფუძვლების, ინგლისური ლიტერატურული ტექსტისა და კონტექსტის ძირითადი მახასიათებლების, გერმანიკული ენების დიაქრონული განვითარების შესახებ ფუნდამენტური და თანამედროვე თეორიებისა და მეთოდების კრიტიკულად განხილვა და გააზრება;
- მულტიდისციპლინურ გარემოში სფეროსთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტა, პრობლემის გადაჭრის ორიგინალური გზის ძიება და კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება; პროგრამის და მოდულის სავალდებულო საგნების მასალის კრიტიკული გააზრება, კონკრეტული კონტექსტისათვის რელევანტური და ორიგინალური მოდგომის ჩამოყალიბება. პროგრამის მოდულის სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი;
- აკადემიური ეთიკისა და კეთილსინდისიერების ნორმების დაცვით არჩეული დარგის თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი სამაგისტრო ნაშრომის შექმნა, წერილობითი და ზეპირი პრეზენტაცია, საკუთარი დასკვნების, არგუმენტების და კვლევის შედეგების წარდგენა აკადემიური, პროფესიული და არაპროფესიული საზოგადოებისთვის;
- სამიზნე აუდიტორიასთან ეფექტიანი კომუნიკაცია, პროფესიულ დისკუსიებში მონაწილეობა ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- აკადემიური ეთიკის პრინციპების, ჰუმანისტური ღირებულებების გათავისება, დამოუკიდებელი და გუნდური მუშაობა, ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემა.

**ინგლისური ენის თეორიის მოდულით გათვალისწინებული პროგრამის მიზნებია მაგისტრანტის აღჭურვა:**

- დასავლეთ ევროპის ლინგვისტური აზროვნების ევოლუციის გადამწყვეტი ეტაპებისა და მიზეზების, ლინგვისტურ ცვლილებათა მიზეზებისა და მექნიზმების შესახებ ღრმა და სისტემური ცოდნით;
- ენათმეცნიერების თანამედროვე თეორიების (ლექსიკური სემანტიკის, პრაგმატიკის, ტექსტის ლინგვისტიკისა და ნარატივის თეორიების, სოციოლინგვისტიკის) პოსტულატების შესახებ თანამედროვე და სისტემური ცოდნით;

ამ მოდულის ენობრივ სპეციალიზაციაში თავიდანვე გათვალისწინებულია კემბრიჯის უნივერსიტეტში არსებული: ა) ინგლისური ენის ფაკულტეტის და ბ) ინგლისური ენისა და გამოყენებითი ლინგვისტიკის კვლევითი ცენტრის გამოცდილება(Cambridge University. Faculty of English. Research Centre for English and Applied Linguistics) http://www.rceal.cam.ac.uk/; ინგლისური ენის თეორიის მოდულის წარმატებით დასრულების შემდეგ მაგისტრანტს მიენიჭება ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრის კვალიფიკაცია.

**ინგლისური ლიტერატურის მოდული, რომელიც ეყრდნობა ოქსფორდის უნივერსიტეტის ინგლისური ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამას ლიტერატურის ისტორიაში, მიზნად ისახავს სტუდენტს მისცეს**

- ინგლისური ლიტერატურის როგორც ტრადიციული, ისე თანამედროვე მიმართულებების შესახებ საფუძვლიანი და კონკურენტუნარიანი ცოდნა, რაც მას საშუალებას მისცემს აწარმოოს კვლევა ინგლისურენოვანი ლიტერატურის მისთვის საინტერესო მიმართულებით.
- ღრმა და ამომწურავი ცოდნა ინგლისური ლიტერატურის კლასიკოსების, ინგლისური მოდერნისტული ლიტერატურისა და, ასევე, უახლესი ლიტერატურული პროცესის შესახებ.
- ინგლისური ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების ღრმა, სისტემური და საფუძვლიანი ცოდნა მათი ლინგვისტურ და სოციოკულტურულ კონტექსტში გააზრებით;
- მიღებულ ღრმა ცოდნაზე დაყრდნობით შეიმუშავოს ახალი, ორიგინალური იდეები, გააცნობიეროს ცალკეული, ინგლისურ ლიტერატურასთან დაკავშირებული კონკრეტული პრობლემის გადაჭრის ორიგინალური გზები;

ინგლისური ლიტერატურის მოდულის წარმატებით დასრულების შემდეგ მაგისტრანტს მიენიჭება ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრის კვალიფიკაცია.

**ლექსიკოგრაფიის მოდული მიზნად ისახავს** თანამედროვე თეორიული და ტექნოლოგიური ცოდნით აღჭურვილი კადრების მომზადებას ორენოვანი, თარგმნითი (ინგლისურ-ქართული) ლექსიკოგრაფიისათვის, რამაც ხელი უნდა შეუწყოს იმ ხარვეზის გამოსწორებას, რაც დღეს არსებობს ამ სფეროში. ამ მოდულის პროგრამა შესაძლებლობას აძლევს მაგისტრანტს, მიიღოს ღრმა და ამომწურავი ცოდნა ლექსიკოგრაფიის თეორიასა და პრაქტიკის ძირითადი პოსტულატების შესახებ. თანამედროვე ტენდენციის გათვალისწინებით, მოდულის ძირითადი კურსები მოიცავს ლექსიკოგრაფიის ისტორიის, მეტალექსიკოგრაფიის, ციფრული ჰუმანიტარიის, ტერმინოლოგიის თანამედროვე სტანდარტების, ლექსიკოგრაფიის პრაქტიკულ კურსებს, რომლებიც, გარდა საგნისთვის დამახასიათებელი რელევანტური თეორიული პოსტულატების სწავლებისა, უზრუნველყოფენ მაგისტრის გათვითცნობიერებას თანამედროვე ციფრულ ტექნოლოგიებსა და სტატისტიკურ მეთოდებში.

მოდულის მიზანია მისცეს მაგისტრანტს ლექსიკოგრაფიული პრინციპების ღრმა და სისტემურ ცოდნა შემდეგი მიმართულებებით:

- ლექსიკონების ტიპები, ინგლისური და ქართული ლექსიკოგრაფიული ტრადიციები და თანამედროვე ტენდენციები; ზოგადი და სპეციალიზებული ლექსიკონების თანამედროვე მომხმარებლის მოთხოვნილებები და საჭიროებები; ლექსიკოგრაფიასა და კორპუს-ლინგვისტიკაში გამოყენებული თანამედროვე ტექნოლოგიები; ბეჭდური და ელექტრონული ლექსიკონების მეტალექსიკოგრაფიულ პარამეტრები, მათ მედიო-, მიკრო- და მაკროსტრუქტურები;
- სიტყვა-სტატიის კომპონენტების გამოკვლევის მეთოდები;
- ტერმინთმცოდნეობის , ტერმინთსაცავებისა და ტერმინთბანკების აგების მეთოდები და ტერმინების შესახებ ქართული და ევროპული თეორიები, ტრადიციები და მიდგომები;
- ლექსიკოგრაფიაში გამოყენებული თანამედროვე კვლევის ტექნოლოგიები და მეთოდები; ტექსტური ან ვიდეო-აუდიო მასალების პროგრამული დამუშავება საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, მონაცემთა სტრუქტურირებული, ანოტირებული ბაზები და საანოტაციო ინსტრუმენტები;

ანალოგიური პროგრამები არსებობს ბირმინგემის, ათენისა და სხვა უნივერსიტეტებში. www.cels.bham.ac.uk/prospectus/inhouse MA/MA LangandLex.htm; www.enl.uoa.gr/swf/en_indexloader.html.
ლექსიკოგრაფიის მოდულის წარმატებით დასრულების შემდეგ მაგისტრანტს მიენიჭება ლექსიკოგრაფიის მაგისტრის კვალიფიკაცია.

**სწავლის მეთოდები**

სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, სემინარის, პრაქტიკული მეცადინეობის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, თარგმანის, სამაგისტრო ნაშრომის, დასკვნითი გამოცდის და სხვ. ფორამატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს:

- ვერბალური მეთოდი
- წიგნზე მუშაობის მეთოდი
- დისკუსია/დებატები –დისკუსიის მეთოდი უვითარებს სტუდენტს ინგლისურ ენაზე კამათისა და საკუთარი აზრის არგუმენტირებულად დასაბუთების უნარს.
- ჯგუფური მუშაობა პროექტზე - ეს სტრატეგია არამარტო უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში, არამედ ხელს უწყობს გუნდურ მუშაობას, ჯგუფის წევრებს შორის პასუხისმგებლობების გადანაწილებას, სხვათა აზრის პატივისცემას, ინტერპერსონალური ეთიკის ნორმების დაცვას და ა.შ.
- ევრისტიკული მეთოდი – ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას, რაც სტუდენტს უვითარებს არამარტო ლოგიკური და არგუმენტირებულ მსჯელობის უნარს, არამედ ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის მოძიების უნარს.
- როლური და სიტუაციური თამაშები - სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მას ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ხელს უწყობს სტუდენტის მაქსიმალურ მოტივირებას და მობილიზებას იმიტირებულ სიტუაციაში ჩასართველად.
- დემონსტრირების მეთოდი – შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი ხელს უწყობს არა მარტო სასწავლო მასალის თვალსაჩინოდ აღქმას, არამედ სტუდენტს უვითარებს საკითხის/პრობლემის არსის ვიზუალურად წარმოაჩენის უნარს.
- ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი - აღნიშნული მეთოდების გამოყენება სასწავლო და კვლევით პროცესში სტუდენტს უვითარებს აზრის განზოგადებისა და კონკრეტიზაციის, საკითხის დეტალური ანალიზისა და პრობლემის მთლინობაში დანახვის უნარებს.
- ახსნა–განმარტებითი მეთოდი – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ.
- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება – ხელს უწყობს თეორიული მასალის პრაქტიკულ განხორციელებას.
- წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს თეზისების შედგენას, რეფერატის, ან ესეს შესრულება და ა.შ.

პროგრამის სასწავლო კომპონენტის განხორციელებისას გამოიყენება სწავლების სხვადასხვა მეთოდი. ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. პროგრამის შემადგენელი კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლების პროცესში გამოყენებული ფორმატი და

სწავლების მეთოდები მითითებულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება დროის მართებულ განაწილებას და სწავლების მეთოდების სწორად შერჩევას სამუშაო ჯგუფებში, პრაქტიკულ მეცადინეობებსა და პრეზენტაციებისას, რადგან სწორად დაგეგმილი და განხორციელებული ზეპირი კომუნიკაცია საუდიტორიო მუშაობას უფრო ეფექტურს ხდის.

**შეფასების სისტემა**

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით.
შეფასება ითვალისწინებს შუალედურ განმავითარებელ შეფასებას (60 ქულა) და დასკვნით გამოცდას (40 ქულა). შუალედური შეფასება ხორციელდება მინიმუმ სამი კომპონენტის მიხედვით. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები განსხვავებულია და მათი აღწერა მოცემულია კონკრეტული კურსის სილაბუსში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედურ შეფასებებში დაგროვებული აქვს მინიმუმ 21 ქულა. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდის (კომბინირებული - წერა/ზეპირი გამოცდის შემთხვევაში, თითოეული კომპონენტის) მაქსიმალური ქულის 50 %-ს.
სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:
(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:
ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი დამასრულებელ სემესტრში ამზადებს **სამაგისტრო ნაშრომს.** შესაბამისი მარეგულირებელი წესის თანახმად:

- ✓ სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთიანად დასკვნითი შეფასებით 100-ქულიანი სისტემით;
- ✓ რეცენზენტი წერს ნაშრომის შესახებ რეცენზიას და აფასებს სტუდენტის ნაშრომს მაქსიმუმ 60 ქულით. 31 ქულაზე ნაკლები

შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე არ დაიშვება;

- ✓ სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, საჯარო დაცვამდე სამაგისტრო ნაშრომი შემოწმებული უნდა იყოს Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით.
- ✓ ნაშრომი ფასდება კომისიის მიერ წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტი წარმოადგენს ნაშრომის შედეგებს პრეზენტაციის სახით, რომელიც ფასდება კომისიის თითოეული წევრის მიერ (მაქსიმუმ 40 ქულა). ამ კომპონენტში სტუდენტის საბოლოო შეფასება იანგარიშება კომისიის ყველა წევრის შეფასების საშუალო არითმეტიკულით. მიღებული შეფასება დადებითად ითვლება, თუ კომისია სტუდენტის ნაშრომს შეაფასებს 20 და მეტი ქულით;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასებას წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და კომისიის საბოლოო შეფასების ჯამი, რომელიც ტოლია ან აღემატება 51 ქულას.
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია.

**სწავლის შედეგები**

**ა) ცოდნა და გაცნობიერება**

პროგრამისთვის საერთო ზოგადი კომპეტენციები:

ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული პროგრამის სავალდებულო, მოდულის სავალდებულო დისციპლინების მასალის ათვისების საფუძველზე მაგისტრი ამჟღავნებს არჩეული სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნას. კერძოდ, სამივე მოდულისთვის პროგრამის საერთო სავალდებულო საგნების შემდეგ კურსდამთავრებული:

1. ფლობს ინგლისური ენის თეორიული სისტემისა და პრაქტიკული სტრუქტურების მაღალ (C1) დონეს, ყველა იმ კომპონენტის გათვალისწინებით, რასაც ეს დონე გულისხმობს ენის შესწავლისა და მოქმედების ოთხივე ასპექტში (საუბარი, წერა, მოსმენა და კითხვა);
2. იყენებს ინგლისურ ენას პრაქტიკული და თეორიული მიზნებისათვის აკადემიური პრობლემების გაცნობის, შესწავლის, კვლევისა და როგორც პროფესიულ, ისე არაპროფესიულ საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის;
3. განსაზღვრავს, აღწერს და მიმოიხილავს ინტერკულტურული კომუნიკაციის, ინგლისური ლიტერატურული ტექსტისა და კონტექსტის ძირითად მახასიათებლებს, გერმანიკული ენების დიაქრონული განვითარების შესახებ ფუნდამენტურ და თანამედროვე თეორიებსა და მეთოდებს; აცნობიერებს ინტერკულტურული კომუნიკაციის მნიშვნელობას; აფასებს ინტერკულტურული და ინტერდისციპლინური კომუნიკაციის თეორიულ პერსპექტივას ლინგვისტური და ინტერდიციპლინური პოზიციებიდან.
4. არჩეული დარგის შესაბამისად (ენის თეორიის, ინგლისური ლიტერატურის თუ ლექსიკოგრაფიის მოდული) კრიტიკულად აანალიზებს მასალას, აღწერს, გამიჯნავს და შეარჩევს დასმული თეორიული პრობლემის გადასაწყვეტად საჭირო რელევანტურ ვარიანტს, ახდენს სხვადასხვა თეორიული თვალთახედვის სინთეზირებას; ადარებს და განმარტავს

აკადემიური კურსის პროფილისთვის დამახასიათებელ მნიშვნელოვან ტერმინებს.

5. გამიჯნავს, ადარებს და მსჯელობს იმ საერთო ნიშნებზე, რაც ინგლისურ ენას უახლოებს ერთის მხრივ, გერმანიკულ ენებს, მეორეს მხრივ კი სხვა ევროპულ ენებს; კრიტიკულად კითხულობს შესასწავლი პერიოდის ავტორების მთავარ ტექსტებს, ახდენს მათ ინტერპრეტირებას და ესმის მათი მნიშვნელობა ინგლისურენოვანი ლიტერატურის კონტექსტისთვის; გამიჯნავს, გადაჭრის ლექსიკოგრაფიისათვის მნიშვნელოვან პრობლემებს დარგის თანამედროვე მეთოდიკისა და საშუალებების მომარჯვებით.

**ინგლისური ენის თეორიის მოდული:**

ამ მოდულის აკადემიური კურსების გავლის შემდეგ კურსდამთვრებული:

1. მიმოიხილავს და საფუძვლიანად აანალიზებს დასავლეთ ევროპის ლინგვისტური აზროვნების ევოლუციის გადამწყვეტ ეტაპებს და მიზეზებს, ლინგვისტურ ცვლილებათა მიზეზებს და მექანიზმებს;
2. კრიტიკულად მიმოიხილავს ენათმეცნიერების თანამედროვე თეორიების (ლექსიკური სემანტიკის, პრაგმატიკის, ტექსტის ლინგვისტიკის, სოციოლინგვისტიკის) პოსტულატებს; მიღებულ თანამედროვე და ღრმა ცოდნაზე დაყრდნობით, შეიმუშავებს ახალ, ორიგინალური იდეებს, აცნობიერებს და წამოაყენებს ინგლისური ენის თეორიასთან დაკავშირებული კონკრეტული პრობლემის გადაჭრის ორიგინალურ გზებს.

**ინგლისური ლიტერატურის მოდული:**

ამ მოდულით გათვალისწინებული კურსების დასრულების შემდეგ, კურსდამთვრებული:

1. ერკვევა ინგლისური ლიტერატურის (როგორც კლასიკოსების, ასევე უახლესი ლიტერატურის) თანამედროვე ლიტერატურათმცოდნე-ობის მიღწევებში;
2. ინგლისურ ენაზე ამუშავებს მხატვრულ და სამეცნიერო ლიტერატურას.
3. ლინგვისტურ და სოციოკულტურულ კონტექსტში გაიაზრებს ინგლისური ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს;
4. ამჟღავნებს როგორც ინგლისური ლიტერატურის კლასიკოსების, ასევე ინგლისური მოდერნისტული ლიტერატურისა და, უახლესი ლიტერატურული პროცესის შესახებ ღრმა, სისტემურ და საფუძვლიან ცოდნას; შეუძლია შეიმუშავოს ახალი, ორიგინალური იდეები, გააცნობიეროს ცალკეული, ინგლისურ ლიტერატურასთან დაკავშირებული კონკრეტული პრობლემის გადაჭრის ორიგინალური გზები;

**ენისა და ლექსიკოგრაფიის მოდული**

ენისა და ლექსიკოგრაფიის მოდულის დასრულების შემდეგ, მაგისტრი

1. ამჟღავნებს სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის თემატიკასთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი საკითხების სისტემურ ცოდნას ლინგვისტური და ლექსიკოგრაფიული მეთოდების, სიტყვის სემანტიკური სტრუქტურის, მნიშვნელობის თეორიის, ეტიმოლოგიის, სტილისტური პარამეტრების გასახსნელად და ლექსიკონის სტატიის სიღრმისეულად გასაანალიზებლად;
2. ამჟღავნებს ციფრული ჰუმანიტარიის დარგის, მისი კვლევის ტექნოლოგიებისა და მეთოდების შესახებ ცოდნას, პროგრამული

თვალსაზრისით ამუშავებს კურსის მიერ განსაზღვრულ მასალას, საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ქმნის მონაცემთა სტრუქტურირებულ, ანოტირებულ ბაზას საანოტაციო ინსტრუმენტებაზე დაყრდნობით;

3. ანსხვავებს, ადარებს, აპირისპირებს და აანალიზებს მსოფლიო პრაქტიკაში აღიარებულ ლექსიკოგრაფიულ პრინციპებს განმარტებითი, თარგმნითი, დარგობრივი, ფრაზეოლოგიური, სლენგური და სხვა ტიპის ლექსიკონების შესადგენად; აცნობიერებს როგორც ზოგადი, ისე სპეციალიზებული ლექსიკონების თანამედროვე მომხმარებლის მოთხოვნილებებსა და საჭიროებებს, კრიტიკულად აფასებს ლექსიკონს, როგორც პროდუქტს ამ სფეროში გამოყენებული ლექსიკოგრაფიული და ენობრივი არსენალის მოშველიებით;
4. განსაზღვრავს, ახასიათებს, ადარებს და აფასებს და ანზოგადებს ლექსიკონების ტიპებს, არგუმენტირებულად მსჯელობს მათზე; სიღრმისეულად აანალიზებს ინგლისური და ქართული ლექსიკოგრაფიულ ტრადიციებსა და თანამედროვე ტენდენციებს;განასხვავებს, აანალიზებს და ანზოგადებს ბეჭდური და ელექტრონული ლექსიკონების მეტალექსიკოგრაფიულ პარამეტრებს, მათ მედიო-, მიკრო- და მაკროსტრუქტურებს;
5. მსჯელობს ინგლისური და ქართული ლექსიკოგრაფიული ტრადიციებისა და მათ წიაღში აღმოცენებული უმნიშვნელოვანელი ლექსიკოგრაფიული ნაწარმოებების შესახებ; მოიძიებს დარგის სპეციფიკასთან დაკავშირებული პრობლემის გადაჭრის ორიგინალურ გზებს და ახდენს მათ რეალიზებას.
6. ღრმად და სისტემურად იაზრებს, ახასიათებს და წარადგენს ტერმინთმცოდნეობის, ტერმინთსაცავებისა და ტერმინთბანკების აგების მეთოდებსა და ტერმინების, კორპუსლინგვისტიკის ქართულ და ევროპულ თეორიებს, ტრადიციებსა და მიდგომებს;

**ბ) უნარები**

**ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული**

1. შესწავლილი მოდულის შესაბამისად საფუძვლიანად და სიღრმისეულად აანალიზებს თანამედროვე ინგლისური ენის თეორიის, ლიტერატურისა და ლექსიკოგრაფიის თანამედროვე ფუნდამენტურ და აქტუალურ პრობლემებს;
2. ამოიცნობს და დარგში მიღებული კვლევის მეთოდების გამოყენებით გადაჭრის არსებულ კომპლექსურ პრობლემებს და გვთავაზობს მათი გადაჭრის გზას; კარგად ფლობს არჩეული დარგისთვის სპეციფიკურ ტერმინოლოგიასა და დარგობრივ სფეროში მუშაობის მეთოდებს. შეძენილ ცოდნას იყენებს ახალ, გაუთვალისწინებელ გარემოში ან (მომიჯნავე) მულტიდისციპლინურ და მულტიკულტურულ კონტექსტში; ეძებს პრობლემების გადაწყვეტის ახალ, ორიგინალურ გზებს, დამოუკიდებლად ახორციელებს კვლევას დარგის უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;
3. არჩეული სპეციალობის მონაცემებსა და მათი კვლევის შესაბამის მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით ახდენს ინფორმაციის ინოვაციურ სინთეზს და კრიტიკულად აანალიზებს კონკრეტული საკითხების შესახებ მონაცემებს; აყალიბებს დასაბუთებულ დასკვნებს;სწორად გეგმავს ლინგვისტური, ლიტერატურული თუ ლექსიკოგრაფიული პრობლემის საკვლევ ეტაპებს და წარმართავს კვლევას.
4. ინგლისურ ენას იყენებს მთელი რიგი წერილობითი კორესპონდენციისა და ზეპირმეტყველების მიზნებისათვის, აქვს საუბრის თავისუფლად წარმართვის უნარ-ჩვევები, ინგლისურ ენაზე სხვადასხვა ტიპის ტექსტების (მათ შორის, სამეცნიერო

ლიტერატურის) წაკითხვის, მოსმენის, გაგების, თარგმნის, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და რეპროდუქციის უნარი C1 დონეზე. შეუძლია პროფესიულ საქმიანობაში ან შემდგომი სწავლის პროცესში ამ ენების ფართო აკადემიური მიზნებისთვის ეფექტურად გამოყენება.

5. მონაწილეობს დისკუსიაში პროფესიულ დონეზე, უზიარებს თავის დასკვნებს, არგუმენტაციას და კვლევის მეთოდებს აკადემიურ, სამეცნიერო და პროფესიულ წრეებს ქართულ და უცხოურ ენებზე.
6. აქტიურად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს დარგობრივ სფეროში.
7. საფუძვლიანად მიმოიხილავს ქართულ და/ან ინგლისურ ენაზე არსებულ დარგობრივ სამეცნიერო ლიტერატურას, ლექსიკონებს, საბიბლიოთეკო და ელექტრონულ რესურსებს, დარგის პრობლემურ საკითხებზე სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ განსხვავებულ მოსაზრებებსადა თეორიებს.

**გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**

1. სტრატეგიულად გეგმავს და აორგანიზებს სამუშაო დროს: თავისი კომპეტენციის სფეროში სამუშაოს დაწყებამდე დამოუკიდებლად ადგენს სამუშაოს შესრულების გეგმას, გამოყოფს პრიორიტეტებს, მუშაობის პროცესში ახერხებს საჭირო რესურსების უზრუნველყოფასა და გამოყენებას.
2. კარგად აცნობიერებს ცოდნის გაღრმავების აუცილებლობას; დამოუკიდებლად, რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით წარმართავს სწავლის პროცესს; თანმიმდევრულად და მრავალმხრივად აფასებს საკუთარი სწავლის პროცესის თავისებურებებს. ადგენს შემდგომი სწავლის საჭიროებებს. მუშაობს საკუთარ თავზე და ახერხებს მაგისტრატურაში მიღებული ცოდნისა და უნარების დარგობრივ საქმიანობაში დამოუკიდებლად სრულყოფას;
3. აცნობიერებს პროფესიულ, სოციალურ და ეთიკურ პასუხისმგებლობებს და სათანადო აკადემიურ და ეთიკურ ნორმებს. იცავს აკადემიური პატიოსნებისა და ეთიკის სტანდარტებს; ინტერპერსონალური ურთიერთობების ეთიკას. მას აქვს კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმის, ადეკვატური გაგებისა და პატივისცემის უნარი; ახასიათებს ტოლერანტობა, განსხვავებული კონფესიების, კულტურებისა და აზრის პატივისცემა; დემოკრატიული ფასეულობების პატივისცემა; აფასებს ღირებულებებისადმი თავის და სხვების დამოკიდებულებას და წვლილი შეაქვს ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში.

**დასაქმების სფეროები**

აღნიშნული დარგობრივი ცოდნით, მისი პრაქტიკაში გამოყენების უნარით და ზოგად ტრანსფერული უნარებით თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს ეძლევა შესაძლებლობა თავისი პროფილის მიხედვით დასაქმდეს სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და უმაღლეს სასწავლებლებში; აგრეთვე, სახელმწიფო და საზოგადოებრივ სტრუქტურებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, გამომცემლობებში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სისტემებში, ბიბლიოთეკებში, მუზეუმებში, ტურისტულ ფირმებში, სხვადასხვა კომპანიებში ყველა იმ თანამდებობაზე, რომელიც გათვალისწინებულ იქნება მაგისტრის ხარისხის მქონე სპეციალისტთათვის; ამავდროულად, ზემოაღნიშნულ დაწესებულებებში მაგისტრის ხარისხი სტუდენტებს კარიერული წინსვლის შესაძლებლობას აძლევს. ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრი

შესაძლებელია აგრეთვე თავისი პროფილით დასაქმედეს პედაგოგიურ სექტორში (შესაბამისი დამატებითი პედაგოგიური პროგრამის გავლისა და მასწავლებლის სასერთიფიკაციო გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში); ასევე თარჯიმნებად, რისი მოთხოვნილებაც დღევანდელი საქართველოს შრომით ბაზარზე არსებობს. უფრო კონკრეტულად:

ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრი (ინგლისური ენის თეორიისა ან ინგლისურის ლიტერატურის მოდულის დასრულების შემდეგ) შეიძლება დასაქმდეს: სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და უმაღლეს სასწავლებლებში; ინგლისურენოვან გაზეთებსა და ჟურნალებში რედაქტორებად, ტელევიზიებში მთარგმნელებად, ანალიტიკოსებად, კორესპონდენტებად. საელჩოებში, სახელმწიფო და კერძო სექტორის დაწესებულებებში თარჯიმნებად, ექსპერტ-ანალიტიკოსებად, რეფერენტებად.

ლექსიკოგრაფიის მაგისტრი (ლექსიკოგრაფიის მოდულის დასრულების შემდეგ) შეიძლება დასაქმდეს: საუნივერსიტეტო ლექსიკოგრაფიულ ცენტრში, გამომცემლობებში, შეუძლია დამოუკიდებლად იმუშაოს საკუთარ ლექსიკოგრაფიულ პროექტზე, ხელი მოჰკიდოს მთარგმნელობით საქმიანობას.

| პროგრამის სახელწოდება | გერმანული ფილოლოგია<br>German Philology |
|---|---|
| **საფეხური** | სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** | • საერთო სამაგისტრო გამოცდა;<br>• ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი.<br>• გერმანულ ენაში **უცხოური ენების სწავლის, სწავლებისა და შეფასების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს** $B^2$ დონის ენობრივი კომპეტენციის დამადასტურებელი შიდა საუნივერსიტეტო უცხოურის ენის გამოცდა ან ენის კომპეტენციის დამადასტურებელი სერთიფიკატის წარდგენა. უცხოური ენის გამოცდისაგან კანდიდატის განთავისუფლება ასევე შესაძლებელია, თუ მას ბაკალვრიატი გავლილი აქვს გერმანულენოვან უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში.<br>• სასპეციალიზაციო წერითი გამოცდა. |
| **სწავლების ენა** | ქართული |
| **კვალიფიკაცია** | გერმანული ფილოლოგიის მაგისტრი<br>Master of German Philology |
| **სწავლების ხანგრძლივობა** | 4 სემესტრი |
| **ECTS** | 120 ECTS კრედიტი |
| **სწავლების გადასახადი** | 2250 ლარი |
| **პროგრამის განხორციელების ადგილი** | თსუ სასწავლო კორპ. N5, ი. ჭავჭავაძის გამზ. N36 |
| **პროგრამის განმახორციელებელი ერთეული** | დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, გერმანული ფილოლოგიის კათედრა |
| **საკონტაქტო პირი** | პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი: პროფ. ლალი ქეცბა-ხუნდაძე, პროგრამის კოორდინატორი: ასოც. პროფ. ნინო ქიმერიძე |
| | ტელ.: +995 599102757 |
| | ელფოსტა: lali.ketsba.khundadze@tsu.ge , n ino.kimeridze@tsu.ge |
| **მოდულები** | • გერმანული ენათმეცნიერება<br>• გერმანული ლიტერატურათმცოდნეობა |
| | **პროგრამის სტრუქტურა** |
| **კომპონენტის სტატუსი** | ECTS-მოცულობა |

| | |
|---|---|
| საერთო სავალდებულო | 25 ECTS კრედიტი |
| მოდულის სავალდებულო | 40 ECTS კრედიტი |
| არჩევითი | 25 ECTS კრედიტი |
| სამაგისტრო ნაშრომი | 30 ECTS კრედიტი |

**პროგრამის მიზანი**

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის გერმანული ფილოლოგია მიზანი განსაზღვრულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიისა და სტრატეგიული გეგმის საფუძველზე. საგანმანათლებლო პროგრამა მიზნად ისახავს ღრმა და სისტემური უახლესი ცოდნის, დარგობრივი და მაღალი ენობრივი კომპეტენციის, კვლევითი და პრაქტიკული უნარების მქონე სპეციალისტების მომზადებას საზოგადოებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით. საგანმანათლებლო პროგრამა მკვეთრად ორიენტირებულია კვლევებსა და თეორიულ სწავლებაზე. შესაბამისად, სტუდენტს:

1. შესძენს საკომუნიკაციო და დარგობრივი ენის პრაქტიკულ ცოდნას, რომელიც შეესაბამება უცხოური ენის სწავლისა და სწავლების ევროსაბჭოს სარეკომენდაციო ჩარჩოს ენობრივი კომპეტენციის $C^{1}$ დონეს და მიზნად ისახავს კურსდამთავრებულის კვლევითი უნარებისა და კომპეტენციების გაღრმავებას;
2. ჩამოუყალიბებს გერმანული ენათმეცნიერების უახლესი თეორიებისა და კვლევის მეთოდების ღრმა დარგობრივ ცოდნას ლინგვისტიკის უახლესი პრობლემატიკის ტექსტზე ორიენტირებული და შედარებითი კვლევების მიზნით;
3. ჩამოუყალიბებს გერმანული ლიტერატურათმცოდნეობის უახლესი თეორიებისა და კვლევის მეთოდების ღრმა დარგობრივ ცოდნას ლიტერატურის თეორიის უახლესი პრობლემატიკის ტექსტზე ორიენტირებული და შედარებითი კვლევების მიზნით;
4. ჩამოუყალიბებს თარგმანის თანამედროვე გერმანული თეორიებისა და კვლევის ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნეობითი მეთოდების საფუძველზე დარგობრივ ცოდნას თარგმანმცოდნეობის უახლესი პრობლემატიკის კულტურათაშორისი კვლევის მიზნით;
5. გაუღრმავებს ფილოლოგიური კომპეტენციების გამოყენებით ტექსტზე დაფუძნებული ანალიზისა და ინტერპრეტაციის ტექნიკებს, რომელთაც იყენებს ტექსტზე ორიენტირებული კვლევების ფარგლებში;
6. გამოუმუშავებს ლინგვისტიკის, ლიტერატურათ- და თარგმანმცოდნეობის თანამედროვე თეორიებისა და მეთოდების გამოყენებით, ტექსტის კვლევებზე დამყარებული, შედარებითი და დისციპლინათაშორისი პრაქტიკული ხასიათის პროექტებისა და საკვალიფიკაციო ნაშრომის შემუშავების უნარს.

**სწავლის მეთოდები**

- ლექცია;
- სემინარი/სამუშაო ჯგუფი;
- დამოუკიდებელი მუშაობა;
- ჯგუფური ან ინდივიდუალური კონსულტაცია;
- სწავლება საინფორმაციო ტექნოლოგიების მეშვეობით;

- წყვილში ან გუნდური მუშაობა;
- გონებრივი იერიში;
- შემთხვევის ანალიზი;
- ჯგუფური დისკუსია წინასწარ მომზადებულ თემაზე;
- ურთიერთშეფასება;
- ტექსტების, დოკუმენტებისა და სხვა სასწავლო მასალის ან მათი ამონარიდების კომენტირება მათი კონტექსტუალიზაციის, ინტერპრეტაციის ან ანალიზის მიზნით;
- განსაზღვრულ თემაზე ინფორმაციის მოძიება, შერჩევა და შეფასება, მაგალითად, საბიბლიოთეკო რესურსების, დარგობრივი ბიბლიოგრაფიების (მათ შორის ონლაინ-ბაზების) გამოყენებით;
- ბეჭდურ, ციფრულან/დასხვა ფორმატში წარმოდგენილი სხვადასხვა პირველადი ტექსტის, დამხმარე სამეცნიერო ლიტერატურისა და სხვა სასწავლო მასალის უშუალო შესწავლა /კრიტიკული წაკითხვა (გააზრება);
- დისკუსია და დებატები;
- ჯგუფური და/ან ინდივიდუალური კვლევითი პროექტის დაგეგმვა და განხორციელება ხელმძღვანელის კონსულტირებით;
- ორენოვანი და სხვა სახის ლექსიკონებით სწავლება;
- აუდიო-ვიდეო მასალების გამოყენება;
- მოწვეული მომხსენებელი;
- შებრუნებული გაკვეთილი;
- აქტიური სწავლა;
- შერეული სწავლა;
- ელექტრონული სწავლება;
- სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება;

**შეფასების სისტემა**

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით.
შეფასება ითვალისწინებს შუალედურ განმავითარებელ შეფასებას (60 ქულა) და დასკვნით გამოცდას (40 ქულა). შუალედური შეფასება ხორციელდება მინიმუმ სამი კომპონენტის მიხედვით. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები განსხვავებულია და მათი აღწერა მოცემულია კონკრეტული კურსის სილაბუსში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედურ შეფასებებში დაგროვებული აქვს მინიმუმ 21 ქულა. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდის (კომბინირებული - წერა/ზეპირი გამოცდის შემთხვევაში, თითოეული კომპონენტის) მაქსიმალური ქულის 50 %-ს.
სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:
(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:
ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი დამასრულებელ სემესტრში ამზადებს **სამაგისტრო ნაშრომს.** შესაბამისი მარეგულირებელი წესის თანახმად:

- ✓ სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთიანად დასკვნითი შეფასებით 100-ქულიანი სისტემით;
- ✓ რეცენზენტი წერს ნაშრომის შესახებ რეცენზიას და აფასებს სტუდენტის ნაშრომს მაქსიმუმ 60 ქულით. 31 ქულაზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე არ დაიშვება;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, საჯარო დაცვამდე სამაგისტრო ნაშრომი შემოწმებული უნდა იყოს Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით.
- ✓ ნაშრომი ფასდება კომისიის მიერ წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტი წარმოადგენს ნაშრომის შედეგებს პრეზენტაციის სახით, რომელიც ფასდება კომისიის თითოეული წევრის მიერ (მაქსიმუმ 40 ქულა). ამ კომპონენტში სტუდენტის საბოლოო შეფასება იანგარიშება კომისიის ყველა წევრის შეფასების საშუალო არითმეტიკულით. მიღებული შეფასება დადებითად ითვლება, თუ კომისია სტუდენტის ნაშრომს შეაფასებს 20 და მეტი ქულით;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასებას წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და კომისიის საბოლოო შეფასების ჯამი, რომელიც ტოლია ან აღემატება 51 ქულას.
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია.

**სწავლის შედეგები**

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის *გერმანული ფილოლოგია* კურსდამთავრებულს აქვს ღრმა, სისტემური, დარგობრივი

ცოდნა გერმანული ენათმეცნიერებასა ან ლიტერატურათმცოდნეობაში გერმანულენოვანი ქვეყნების კულტურასთან მიმართებაში და დარგობრივი, დისციპლინათშორისი, ტექსტზე დაფუძნებული კვლევითი უნარები.
*ა) ცოდნა და გაცნობიერება*

კურსდამთავრებული:
1.1. ღრმად და სისტემურად მიმოიხილავს და დისციპლინათშორის მიმართებებს ადგენს გერმანული ენათმეცნიერების ან ლიტერატურისა- და თარგმანმცოდნეობის ძირითად თეორიებსა და მეთოდებს შორის;
1.2. სისტემურად აღწერს და კრიტიკულად მიმოიხილავს თანამედროვე გერმანული ენათმეცნიერების, ლიტერატურათ- და თარგმანმცოდნეობის მნიშვნელოვან მიმართულებებსა და საკვანძო საკითხებს თანამედროვე ფილოლოგიური ტენდენციების და კვლევების კონტექსტში;
1.3. დამოუკიდებლად განსაზღვრავს და აყალიბებს ენობრივ და კულტურულ მსგავსებასა და განსხვავებას ქართული და გერმანული რეალობის ფარგლებში ვერბალური, არავერბალური და კულტურის სხვადასხვა არტეფაქტების საფუძველზე.

*ბ) უნარები*

2.1. ანალიზისა და სინთეზის საფუძველზე ქმნის, თარგმნის და განმარტავს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის პროცესში ტექსტებს ქართულსა და გერმანულ ენებზე, მონაწილეობს დარგობრივ დისკუსიაში, არგუმენტირებული მსჯელობისას მიზნობრივად იყენებს დარგობრივ ტერმინოლოგიას;
2.2. კრიტიკულად აანალიზებს და მიმოიხილავს უახლეს დარგობრივ გერმანულენოვან კვლევებს ლინგვისტიკაში ან ლიტერატურის თეორიასა თუ თარგმანმცოდნეობაში, აკეთებს დასკვნებს და იყენებს მათ შერჩეული საკვლევი პრობლემატიკის თეორიულ საფუძვლად;
2.3. დამოუკიდებლად მოიძიებს, შეარჩევს, აჯგუფებს და შეისწავლის საკვლევ საკითხთან დაკავშირებულ უახლეს სამეცნიერო ლიტერატურას ქართულ, გერმანულ და სხვა უცხოურ ენებზე, კრიტიკულად აფასებს შეგროვებულ მონაცემებს, უსადაგებს საკვლევ ტექსტ(ებ)ს, გამოაქვს დასკვნები და აყალიბებს კვლევის ზოგად შედეგებს;
2.4. თარგმნის გერმანულ ენაზე და გერმანული ენიდან თეორიულ-მეთოდოლოგიურ ლიტერატურას, საკვლევ მასალას, ითვალისწინებს რა კულტურების განსხვავებას აკადემიური კეთილსინდისიერების ფარგლებში ასრულებს თარგმანს;
2.5. ეფექტურად იყენებს დარგობრივი ინფორმაციის გადაცემის პროცესში ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს სხვადასხვა (აკადემიურ და არააკადემიურ) საკომუნიკაციო სივრცეში, შესაბამის სამიზნე ჯგუფში და ჯგუფისთვის;

*გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა*
3.1. დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას აკადემიური და პროფესიული განვითარების თაობაზე, შესაბამისად, ამჟღავნებს შემდგომ საფეხურზე სწავლისა და კვლევის გაგრძელების, თვითორგანიზებისა და დროის მართვის უნარს;
3.2. სწავლისა და კვლევის პროცესში იცავს პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს,

ტოლერანტულია კულტურათა განსხვავების მიმართ, პატივს სცემს ოპონენტის მოსაზრებას და ეთიკის ნორმების ფარგლებში აფიქსირებს საკუთარ პოზიციას საკითხის საჯარო განხილვისას.

**დასაქმების სფეროები**

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ექნება დასაქმდეს:

- კვლევით ინსტიტუტებში (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ლიტერატურისა და ენათმეცნიერების ინსტიტუტები);
- ნებისმიერ სამთავრობო, არასამთავრობო ან საჯარო დაწესებულებებში იმ პოზიციაზე, სადაც მოითხოვება მაგისტრის აკადემიური ხარისხი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, მათ შორის გერმანული ფილოლოგიის აკადემიური ხარისხი და არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებითი წინაპირობები;
- *მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის* (60 კრედიტიანი) გავლის შემდგომ გერმანული ენის მასწავლებლის პოზიციაზე საჯარო ან კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში;
- საგანმანათლებლო დაწესებულებებში რეფერენტის, მოხელის პოზიციაზე;
- ბიბლიოთეკებში, არქივებსა და მუზეუმებში;
- გერმანულენოვან გიდად (გამყოლად) ტურისტულ ბიუროში;
- რედაქტორად გამომცემლობებში;
- კულტურის სფეროს კერძო და საჯარო სამსახურებში (მთარგმნელად, რეფერენტად);
- საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტებში;
- რეფერენტად სხვადასხვა სახის მასმედიაში;
- მთარგმნელად სათარჯიმნო და სანოტარო ბიუროებში, სხვადასხვა საერთაშორისო კომპანიებსა და ორგანიზაციებში.

<table>
<tr><th>პროგრამის სახელწოდება</th><th>რომანული ფილოლოგია<br>Romance Philology</th></tr>
<tr><td>საფეხური</td><td>სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა</td></tr>
<tr><td>პროგრამაზე დაშვების წინაპირობა</td><td><ul>
<li>საერთო სამაგისტრო გამოცდა;</li>
<li>ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი სწავლის ფართო სფეროებში: ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები; სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია; განათლება; ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართალი. პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ასევე ბაკალავრს, რომელსაც გავლილი აქვს დამატებითი (minor) პროგრამა ფრანგულ ფილოლოგიაში/იტალიურ ფილოლოგიაში/ იტალიანისტიკაში/ ესპანურ ფილოლოგიაში/ ესპანისტიკაში.</li>
<li>უცხოური ენის ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით: ფრანგული ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის მოდულებზე ჩაბარების მსურველებმა უნდა დაადასტურონ ფრანგული ენის ცოდნა B2 დონეზე, ხოლო იტალიური ან ესპანური ფილოლოგიის მოდულზე ჩაბარების მსურველებმა - ინგლისური/ გერმანული/ ფრანგული ენის ცოდნა B1 დონეზე, სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე B2 დონემდე ენის ცოდნის გაუმჯობესების პერსპექტივით.</li>
<li>გამოცდა სპეციალობაში: ფრანგულ/ იტალიურ /ესპანურ ენასა და ლიტერატურაში. შენიშვნა: იტალიური ენისა და ლიტერატურის და ესპანური ენისა და ლიტერატურის მოდულებზე სპეციალობის საგამოცდო პროგრამა, დარგობრივ ცოდნასთან ერთად, ამოწმებს ესპანური და იტალიური ენების ფლობას B2 დონეზე.</li>
</ul>
პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია ასევე მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. ასევე, პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების შესაბამისად.
უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიღება ერთიანი სამაგისტრო გამოცდის გარეშე ხდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, რაც გულისხმობს </td></tr>
</table>

| | |
|---|---|
| | ქართულენოვან პროგრამებზე ქართულის, როგორც უცხო/მეორე ენის ფლობის B2 დონის დადასტურებას გამოცდით. |
| **სწავლების ენა** | ქართული |
| **კვალიფიკაცია** | ფრანგული ფილოლოგიის მაგისტრი / იტალიური ფილოლოგიის მაგისტრი / ესპანური ფილოლოგიის მაგისტრი<br>Master of French Philology/ Master of Italian Philology/ Master of Spanish Philology; |
| **სწავლების ხანგრძლივობა** | 4 სემესტრი |
| **ECTS** | 120 ECTS კრედიტი |
| **სწავლების გადასახადი** | 2250 ლარი |
| **პროგრამის განხორციელების ადგილი** | თსუ სასწავლო კორპ. N5, ი. ჭავჭავაძის გამზ. N36 |
| **პროგრამის განმახორციელებელი ერთეული** | დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, რომანული ფილოლოგიის კათედრა |
| **საკონტაქტო პირი** | პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი: პროფ. ბელა ხაბეიშვილი |
| | ტელ.: +995 599199397 |
| | ელფოსტა: bela.khabeishvili@tsu.ge |
| **მოდულები** | • ფრანგული თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერება<br>• ფრანგული და კომპარატისტული ლიტერატურა<br>• იტალიური ენა და ლიტერატურა<br>• ესპანური ენა და ლიტერატურა |
| **პროგრამის სტრუქტურა** | |
| **კომპონენტის სტატუსი** | ECTS-მოცულობა |
| საერთო სავალდებულო | 20 ECTS კრედიტი |
| მოდულის სავალდებულო | 40 ECTS კრედიტი |
| არჩევითი | 30 ECTS კრედიტი |
| სამაგისტრო ნაშრომი | 30 ECTS კრედიტი |
| | |
| **პროგრამის მიზანი** | |

რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის საერთო მიზნები:

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაზაზე მოქმედი

რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მიზანია:

1. მოამზადოს მაგისტრი რომანული ფილოლოგიის დარგში კვლევებისათვის, შესძინოს ეროვნულ და საერთაშორისო კონტექსტში აქტუალურ საკითხებზე კვლევის წარმოების შესაბამისი თეორიული და მეთოდოლოგიური ცოდნა და უნარები;
2. მაგისტრი აღჭურვოს ფილოლოგიის დარგში ღრმა და სისტემური ცოდნით, შესძინოს მას ლინგვისტური და ლიტერატურთმცოდნეობითი კომპეტენციები;
3. აღჭურვოს მაგისტრი თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი მთარგმნელობითი სფეროს კომპეტენციებით; განუვითაროს, როგორც ლინგვისტური, ასევე ლიტერატურული ტექსტების თარგმნის უნარები;
4. განუვითაროს კრიტიკული აზროვნების და ანალიზის უნარი, როგორც სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში, ასევე თარგმანის შეფასებისა და კრიტიკის მიმართულებით.
5. თანამედროვე, ევროპულ სამეცნიერო-მეთოდოლოგიურ ნაშრომებზე დაყრდნობით, მოამზადოს კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, როგორც შრომით ბაზარზე დასასაქმებლად, ასევე სწავლის გასაგრძელებლად.

I მოდულის - ფრანგული გამოყენებითი და თეორიული ენათმეცნიერების - მიზანია:

1. მოამზადოს ფრანგული ენის სპეციალისტი, რომელიც აღჭურვილია გამოყენებითი და თეორიული ენათმეცნიერების სფეროს დარგობრივი კომპეტენციებით, რაც მას ეროვნულ და საერთაშორისო შრომით ბაზარზე კონკურენტული ოპერირებისა და, სურვილის შემთხვევაში, სადოქტორო აკადემიურ საფეხურზე სწავლის გაგრძელების საშუალებას მისცემს.
2. მისცეს მაგისტრანტს ღრმა და სისტემური ცოდნა ენათმეცნიერული კვლევის უახლესი მეთოდებში, ლინგვისტურ თეორიებში, კონცეფციებში; განუვითაროს თეორიული ცოდნის გაანალიზებისა და პრაქტიკაში გამოყენების უნარი.
3. აღჭურვოს ფრანგულ ენაზე ზეპირი და წერითი კომუნიკაციის უნარებით C1 დონეზე უცხოური ენების სწავლის, სწავლებისა და შეფასების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მიხედვით; ასწავლოს ლინგვისტური ცოდნის გამოყენება ახალ, გაუთვალისწინებელ გარემოში, (მომიჯნავე) მულტიდისციპლინურ კონტექსტში, სამეცნიერო და კვლევითი მიზნებისათვის; უზრუნველყოს სასწავლო-სამეცნიერო მასალის აღქმის, წერისა და მეტყველების უნარების სრულყოფა C1 დონეზე, რათა მაგისტრანტმა შეძლოს აღნიშნულ საკვალიფიკაციო დონეზე რთული უცხოენოვანი მასალის გაგება, დამუშავება, ანალიზი და მიღებული ცოდნის რეალიზაცია როგორც ქართულ ასევე უცხოურ სამეცნიერო-კვლევით სივრცეში.
4. შესძინოს ფრანგულენოვანი დარგობრივი ტერმინოლოგიის შესაბამისი ცოდნა თანამედროვე ბაზარზე ყველაზე მოთხოვნადი მიმართულებებით (პოლიტიკა, ეკონომიკა, კონფლიქტოლოგია, მარკეტინგი, ხელოვნება, ტურიზმი საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მიმართულებები);
5. შესძინოს საკომუნიკაციო და ანალიტიკური კომპეტენციები მთარგმნელობითი მიმართულებით ლინგვისტური ცოდნის პრაქტიკაში რეალიზაციის მიზნით (წერითი თარგმანი, თანმიმდევრული ზეპირი თარგმანი, საქმიანი კორესპონდენციის სფერო, პრესის თარგმანი, საკონფერენციო თარგმანი).
6. შეასწავლოს მაგისტრანტს ღირებულებათა საფუძველზე სამეცნიერო სივრცეში და შრომის ბაზრისთვის აქტუალური კონკრეტული თეორიული თუ პრაქტიკული პრობლემის გადაჭრის ახალი ორიგინალური გზების მოძიება; სამაგისტრო ნაშრომის მოთხოვნათა შესაბამისობაში კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების

გამოყენებით.

II მოდულის - ფრანგული და კომპარატისტული ლიტერატურის - მიზნებია:

1. სტუდენტს შეასწავლოს ფრანგული და კომპარატისტული ლიტერატურის ისტორიისა და თეორიის, თარგმნის ისტორიისა და კრიტიკის უახლესი კვლევის მეთოდები და მიღწევები;
2. სხვადასხვა ჟანრის ლიტერატურული ტექსტების ინტერდისციპლინური და ინტერკულტურული მეთოდოლოგიები;
3. სტუდენტს გამოუმუშავოს ტექსტების ანალიზის, სინთეზისა და ინტერპრეტაციის უნარები ლიტერატურული კვლევის მეთოდების გამოყენებით; სტუდენტს მისცეს ლიტერატურის ტექსტების მიმართ კრიტიკული მიდგომისთვის საჭირო თეორიული და მეთოდოლოგიური საშუალებების ცოდნა;
4. მოამზადოს თეორიული და პრაქტიკული ცოდნით შეიარაღებული სტუდენტი, რომელიც შესაძლებელია დასაქმდეს ისეთ სფეროებში, როგორიცაა: კულტურის სფერო, კერძო და საჯარო სამსახურები, საგამომცემლო საქმე (საგამომცემლო პროექტის ხელმძღვანელი, კორექტორი, სტილისტი, რედაქტორი), მთარგმნელობითი საქმიანობა (მხატვრული ტექსტის მთარგმნელი, თარგმნის ექსპერტი);

III მოდულის - ესპანური ენისა და ლიტერატურის - მიზანია:

1. სტუდენტს მისცეს ესპანური ფილოლოგიის დარგობრივი სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა; გააცნოს საენათმეცნიერო და ლიტერატურათმცოდნეობით სამეცნიერო აპარატი და დარგობრივ სფეროში მუშაობის უახლესი მეთოდები; დაანახოს ესპანური ფილოლოგიის დარგის მნიშვნელობა და ამოცანები, დარგობრივი სფეროს მთავარ პრინციპები, თეორიები და კონცეფციები;
2. სტუდენტს შეასწავლოს ესპანეთისა და ლათინური ამერიკის ესპანური ენის სისტემის ფუნქციონირების, თანამედროვე ესპანური ენის ლექსიკური შემადგენლობის, ლექსიკის სხვადასხვა შრეების ფუნქციონირების წესები;
3. სტუდენტს შეასწავლოს სხვადასხვა ტიპის ესპანურენოვანი ტექსტის ლინგვისტური ანალიზის თავისებურებები;
4. სტუდენტს შესძინოს ესპანურენოვანი ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების ღრმა, სისტემური და საფუძვლიანი ცოდნა მათი ლინგვისტურ და სოციოკულტურულ კონტექსტში გააზრებით;
5. მოამზადოს მაგისტრი, რომელიც მიღებულ ღრმა ცოდნაზე დაყრდნობით შეიმუშავებს ახალ, ორიგინალურ იდეებს, გააცნობიერებს ცალკეულ, ესპანურენოვან ლიტერატურასთან დაკავშირებულ კონკრეტული პრობლემის გადაჭრის ორიგინალურ გზებს და შეძლებს მათი წვლილის შეფასებას დასავლეთ ევროპის ლიტერატურასთან მიმართებაში.
6. მოამზადოს მაგისტრი, რომელიც დაუფლებულია სასპეციალიზაციო ესპანურ ენას C1 დონეზე საერთო ევროპული სარეკომენდაციო საბჭოს მიერ შემუშავებული ენის ცოდნის დონეთა განმსაზღვრელი ჩარჩოს მიხედვით, რასაც იყენებს აკადემიური და კვლევითი მიზნებისთვის.

IV მოდულის - იტალიური ენისა და ლიტერატურის - მიზანია:

იტალიური ენისა და ლიტერატურის მოდული მასში ჩართული აკადემიური რესურსითა და სასწავლო კომპონენტით მიზნად

ისახავს:

1. მოამზადოს იტალიური ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი, რომელიც აღჭურვილია იმგვარი დარგობრივი კომპეტენციებითა და უნარებით, რომელიც უზრუნველყოფს მის შრომით ბაზარზე დასაქმებას, ან, სურვილის შემთხვევაში, სწავლის გაგრძელებას დოქტორანტურის საფეხურზე.
2. მოამზადოს მაგისტრანტი, რომელმაც იცის იტალიური ლიტერატურის მნიშვნელოვანი მიმდინარეობები და მათი საუკეთესო ნიმუშები, შეუძლია მათი ანალიზი და განხილვა მსოფლიო ისტორიულ-ლიტერატურულ კონტექსტში, აქვს ლინგვისტური თეორიების სიღრმისეული ცოდნა, ასევე მათი განხილვისა და ანალიზის უნარი.
3. მოამზადოს მაგისტრანტი, რომელსაც შეუძლია იტალიური ენის თეორიულ და იტალიური ლიტერატურის სფეროში მიღებული ცოდნის საფუძველზე მოახდინოს საკვლევი საკითხის იდენტიფიცირება, აწარმოოს დამოუკიდებელი კვლევა და გააკეთოს შესაბამისი დასკვნები; შეიმუშაოს ახალი, ორიგინალური იდეები.
4. მოამზადოს პასუხისმგებლობით აღჭურვილი კურსდამთავ-რებული, რომელიც პატივს სცემს აკადემიური პატიოსნების სტანდარტებს, შეუძლია დამოუკიდებლად აწარმოოს კვლევა და პასუხისმგებლობა აიღოს სხვების პროფესიულ განვითარებაზე.

**სწავლის მეთოდები**

სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, სემინარის, ინდივიდუალური მუშაობის, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, თარგმანის, სამაგისტრო ნაშრომის, დასკვნითი გამოცდის და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (კრიტიკული მასალის სინთეზურად და ანალიტიკურად დამუშავების მეთოდი, თემატური მსჯელობისა და არგუმენტირების მეთოდი, ნაშრომის ზეპირი პრეზენტაციისთვის საჭირო ახსნა-განმარტებითი მეთოდი და სხვ.)

**შეფასების სისტემა**

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით.
შეფასება ითვალისწინებს შუალედურ განმავითარებელ შეფასებას (60 ქულა) და დასკვნით გამოცდას (40 ქულა). შუალედური შეფასება ხორციელდება მინიმუმ სამი კომპონენტის მიხედვით. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები განსხვავებულია და მათი აღწერა მოცემულია კონკრეტული კურსის სილაბუსში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედურ შეფასებებში დაგროვებული აქვს მინიმუმ 21 ქულა. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდის (კომბინირებული - წერა/ზეპირი გამოცდის შემთხვევაში, თითოეული კომპონენტის) მაქსიმალური ქულის 50 %-ს.
სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:
(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;
(B) მალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:
ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი დამასრულებელ სემესტრში ამზადებს **სამაგისტრო ნაშრომს.** შესაბამისი მარეგულირებელი წესის თანახმად:

- ✓ სამაგისტრო ნაშრომი ფასდება  ერთიანად დასკვნითი შეფასებით 100-ქულიანი სისტემით;
- ✓ რეცენზენტი წერს ნაშრომის შესახებ რეცენზიას და აფასებს სტუდენტის ნაშრომს მაქსიმუმ 60 ქულით. 31 ქულაზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე არ დაიშვება;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, საჯარო დაცვამდე სამაგისტრო ნაშრომი შემოწმებული უნდა იყოს Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით.
- ✓ ნაშრომი ფასდება კომისიის მიერ წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტი წარმოადგენს ნაშრომის შედეგებს პრეზენტაციის სახით, რომელიც ფასდება კომისიის თითოეული წევრის მიერ (მაქსიმუმ 40 ქულა). ამ კომპონენტში სტუდენტის საბოლოო შეფასება იანგარიშება კომისიის ყველა წევრის შეფასების საშუალო არითმეტიკულით. მიღებული შეფასება დადებითად ითვლება, თუ კომისია სტუდენტის ნაშრომს შეაფასებს 20 და მეტი ქულით;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასებას წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და კომისიის საბოლოო შეფასების ჯამი, რომელიც ტოლია ან აღემატება 51 ქულას.
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია.

**სწავლის შედეგები**

**ცოდნა და გაცნობიერება:**

რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს, კურიკულუმით გათვალისწინებული საენათმეცნიერო და ლიტერატურათმცოდნეობითი თეორიული და პრაქტიკული სასწავლო დისციპლინების შესწავლის საფუძველზე, აქვს ფილოლოგიის დარგობრივი სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელსაც იყენებს სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისა და თანამედროვე შრომითი ბაზრის მოთხოვნათა შესაბამისად.

რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული:

1. ფლობს, პროგრამის თითოეული მოდულის შესაბამისად, ფრანგულ/ ესპანურ/ იტალიურ ენას სწავლის, სწავლებისა და შეფასების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს C1 დონეზე, რაც ნიშნავს, რომ დამოუკიდებლად ოპერირებს შესაბამის დონეზე პროფესიულ და სამეცნიერო -კვლევით საქმიანობაში ზეპირი და წერითი კომუნიკაციის კონტექსტში;

2. აღწერს და შედარებით ტიპოლოგიური ჭრილში აანალიზებს რომანულ ენათა ჯგუფის საერთო სტრუქტურულ მახასიათებელთა სისტემატიზაციის პრინციპებს, რომანული და ქართული ენების ძირითად ლინგვისტურ პროცესებს, ლინგვისტური სტრუქტურების ურთიერთზეგავლენას;

3. სიღრმისეულად და სისტემურად განსაზღვრავს რომანული ენების სოციოლინგვისტურ ასპექტებს; აღწერს სოციალური ფაქტორების გავლენას ენაზე, ეთნოსოციოლოგიური მიდგომის ზოგად კონცეფციებს, სოციალურ დიალექტოლოგიასთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებს.

4. ფართო ინტერდისციპლინარულ კონტექსტში, ლინგვისტურ და ლიტერატურულ მასალათა დამუშავებისა და ანალიზის საფუძველზე აღწერს და მიმოიხილავს, კონტრასტული და კომპარატისტული კვლევის მეთოდოლოგიასა და პრინციპებს; საფუძვლიანად იცნობს ტექსტის კვლევის თეორიებსა და მეთოდებს, მათი გამოყენების გზებს ტექსტის ანალიზის პროცესში.

**ფრანგული გამოყენებითი და თეორიული ენათმეცნიერების მოდული:**

5. სიღრმისეულად აღწერს ფრანგული ენის თეორიულ ასპექტებს; განასხვავებს და აანალიზებს ენათმეცნიერების დარგში ფონოლოგიური, სოციო-ლინგვისტური, სემანტიკური, ფსიქოლინგვისტური, ტექსტის, დისკურსის კვლევის პრინციპებს; მიმოიხილავს აქტუალურ ენათმეცნიერულ მიდგომებს, სხვადასხვა მეთოდებს და კრიტიკულად იაზრებს მათი გამოყენების მნიშვნელობას თანამედროვე სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ინტერდისციპლინურ კონტექსტში;
6. ასახელებს და ახასიათებს სხვადასხვა თემატური ჩარჩოს (პოლიტიკა, იურისდიქცია, ეკონომიკა, კონფლიქტოლოგია, მარკეტინგი, ტურიზმი, ხელოვნება და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მიმართულებები) მყარ ლექსიკურ შესიტყვებებსა და კონსტრუქციებს; მათი ლექსიკო-სემანტიკური ანალიზისა და ინტერპრეტაციის მეთოდებს; იცის ლექსიკოლოგიურ-ლექსიკოგრაფიული ბაზის შემუშავების პრინციპები ქართული ექვივალენტური ანალოგების შემუშავების მიზნით.
7. საფუძვლიანად იცნობს თარგმანმცოდნეობის ლინგვისტურ თეორიებს, თანმიმდევრული და სინქრონული თარგმანის

თეორიულ პრინციპებს. აცნობიერებს დარგობრივ და ზოგადლინგვისტურ ცოდნის მნიშვნელობას მთარგმნელობით კონტექსტში;

**ფრანგული და კომპარატისტული ლიტერატურის მოდული:**

8. ინტერდისციპლინური კურსებიდან შეძენილი ცოდნის საფუძველზე, განსაზღვრავს, აღწერს და მიმოიხილავს ლიტერატურისმცოდნეობით საკითხებთან დაკავშირებულ საკვანძო და აქტუალურ თემებს და პრობლემატიკას;
9. ლიტერატურული კვლევის უახლესი მეთოდებისა და თანამედროვე მიდგომების საფუძველზე აანალიზებს და კომპარატისტულ ჭრილში მიმოიხილავს ლიტერატურულ ტექსტებს შორის არსებულ ისტორიულ და თემატურ კავშირებს; განიხილავს დარგთაშორის მიმართებებს ესთეტიკური და ფილოსოფიური საფუძვლების გათვალისწინებით. შეძენილი ცოდნისა და კომპეტენციების საფუძველზე აცნობიერებს ევროპული ლიტერატურის გავლენას ქართულ ლიტერატურულ პროცესებზე და მის მნიშვნელობას მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში.
10. მხატვრული თარგმანის ისტორიის, თეორიისა და კრიტიკის ღრმა და სისტემური ცოდნის საფუძველზე აცნობიერებს და აანალიზებს თარგმანის ღირებულებას ორიგინალური ტექსტთან მიმართებაში.

**იტალიური ენისა და ლიტერატურის მოდული**

11. ამოიცნობს და ახასიათებს დარგობრივი ტექსტების სპეციფიკურ ლექსიკას, გრამატიკულ მახასიათებლებს იურიდიული და ეკონომიკური ხასიათის წერილობით და ზეპირ დოკუმენტებში; აცნობიერებს მათ მნიშვნელობას იტალიურიდან ქართულ ენაზე და პირიქით თარგმნის პროცესში.
12. ტექსტის ლინგვისტიკის, პრაგმატიკის, კოგნიტიური მეტაფორის კომპონენტების შესწავლის საფუძვლებზე განსაზღვრავს იტალიურენოვანი ტექსტის მახასიათებლებს, აღწერს ტექსტის ტიპოლოგიურ თვისებებს, ახასიათებს კომპონენტთა თავისებურებებს ლინგვისტურ და ექსტრალინგვისტურ კონტექსტში.
13. მიმოიხილავს იტალიის XVIII-XX საუკუნეების ისეთ ლიტერატურულ მოვლენებს, როგორიცაა: მაგიური რეალიზმი, რომანტიზმი, ნეორეალიზმი. ავლენს აღნიშნული ლიტერატურული პროცესებისა და ნაწარმოებების საკვანძო პრობლემატიკის კვლევის, ანალიზისა და შეფასების სისტემურ ცოდნას თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობითი მეთოდებისა და თეორიული მიდგომების შესაბამისად. აცნობიერებს მათ იდეურ მიზანდასახულობას, მათთვის ნიშანდობლივი თემებისა და მოტივების საშუალებით თანამედროვეობის აქტუალური სოციალური, პოლიტიკური და ეთიკური პრობლემატიკის ასახვისა და განსჯის სპეციფიკას.

**ესპანური ენისა და ლიტერატურის მოდული**

14. განსაზღვრავს, აღწერს და მიმოიხილავს ესპანური ენის ენათმეცნიერულ საკითხებთან დაკავშირებულ საკვანძო და აქტუალურ თემებსა და უახლეს პრობლემატიკას, კვლევის უახლეს მეთოდებსა და თანამედროვე მიდგომებს, ავლენს ღრმა და სისტემურ ცოდნას: ესპანური ენის პრაგმატიკის პრობლემატიკის ირგვლივ, ასხვავებს და გამოყოფს ესპანეთისა და ლათინური

ამერიკის ქვეყნების ენის სახასიათო და კასტილიურიდან განსხვავებულ ელემენტებს.

15. სტუდენტი მიმოიხილავს აღორძინებისა და ბაროკოს, XX საუკუნის პირველი ნახევრის ეპოქების ესპანეთში მიმდინარე ისტორიულ და კულტურული პროცესებს, ამოიცნობს და აანალიზებს ესპანურენოვან ლიტერატურულ მიმდინარეობებსა და სტილებს მათი მახასიათებლებითა და ავტორებით; აანალიზებს ესპანურენოვან ლიტერატურულ ტექსტებს როგორც ესპანეთის ისტორიულ ჭრილში, ასევე დასავლური ლიტერატურის ისტორიის კონტექსტში.

უნარი:

16. ფრანგული/ესპანური/იტალიური ფილოლოგიის მაგისტრი პროგრამით მიღებული შესაბამისი ღრმა და სისტემური ცოდნის საფუძველზე ამოიცნობს და ფილოლოგიური კვლევების უახლესი მეთოდებისა და მიდგომების საფუძველზე გადაჭრის ზოგადად რომანული ფილოლოგიის და კერძოდ, ფრანგული/იტალიური/ესპანური ფილოლოგიის კომპლექსურ პრობლემებს, რომლებიც ეხება ენათმეცნიერების, ლიტერატურათმცოდნეობის და მთარგმნელობით საკითხებს.

17. ფრანგული/ესპანური/იტალიური ფილოლოგიის მაგისტრი დამოუკიდებლად მოიძიებს რელევანტურ სამეცნიერო ლიტერატურას; წყაროთა დამუშავების გზით სხვადასხვა პერსპექტივიდან ახდენს საკითხთა სინთეზს, ინტერპრეტაციასა და კონტექსტუალიზაციას. კრიტიკული ანალიზის შედეგად გამოაქვს რელევანტური დასკვნები და ახალი და ორიგინალური იდეების საფუძველზე ახორციელებს კვლევითი და ანალიტიკური ხასიათის პროექტს. ავლენს კომპარატივისტული და კონტრასტული კვლევის უნარს.

18. ფრანგული/ესპანური/იტალიური ფილოლოგიის მაგისტრი პრაქტიკულად იყენებს შესაბამის სასპეციალიზაციო ენას C1 დონეზე წერილობითი და ზეპირმეტყველების შესაბამისი მიზნებისათვის; აქვს საუბრის თავისუფლად წარმართვის უნარ-ჩვევები, სხვადასხვა ტიპის ტექსტების, დარგობრივი და სამეცნიერო ლიტერატურის, წაკითხვის, მოსმენის, გაგების, თარგმნის, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და რეპროდუქციის უნარი; ეფექტურად იყენებს ამ ენებს პროფესიულ საქმიანობაში ან შემდგომი სწავლის პროცესში ფართო აკადემიური მიზნებისთვის.

19. ფრანგული/ესპანური/იტალიური ფილოლოგიის მაგისტრი აცნობიერებს პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი თეორიული და პრაქტიკული მასალის შესაბამისობას და სათანადო უნარების გამომუშავების აუცილებლობას კვლევის პროცესში და თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნათა კონტექსტში სათანადო ოპერირებისათვის.

20. ფრანგული ფილოლოგიის მაგისტრი თარგმანმცოდნეობის ლინგვისტური და ლიტერატურულ თეორიული ცოდნის საფუძველზე თარგმნის მხატვრულ და სამეცნიერო ლიტერატურას, დარგობრივ დოკუმენტებს, დამოუკიდებლად წარმართავს ზეპირი და წერითი თარგმნის პროცესს.

| |
|---|
| **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:**<br>21. ფრანგული/იტალიური/ ესპანური ფილოლოგიის მაგისტრი აცნობიერებს პროფესიულ და სოციალურ პასუხისმგებლობებს და იცავს სათანადო აკადემიურ ეთიკურ ნორმებს;<br>22. აფასებს კულტურულ განსხვავებებსა და მრავალფეროვნებას, რაც მას უვითარებს განსხვავებული კულტურისადმი პატივისცემას, ტოლერანტობის გრძნობას ინტერკულტურულ გარემოში.<br>23. აცნობიერებს სამაგისტრო საფეხურზე სწავლისა და კვლევის პროცესის თავისებურებებს, მათი თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასების საფუძველზე ადგენს შემდგომი სწავლის, კვლევისა და პროფესიული განვითარების საჭიროებებს.<br>24. ავლენს ნაცნობ და უცნობ (არაპროგნოზირებად), მათ შორის ინტერდისციპლინურ და ინტერკულტურულ გარემოში დროისა და შრომის ორგანიზების უნარს. |
| **დასაქმების სფეროები** |
| აღნიშნული დარგობრივი ცოდნით, მისი პრაქტიკაში გამოყენების უნარით და ზოგად ტრანსფერული უნარებით თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული ფრანგული/ესპანური/იტალიური ფილოლოგიის მაგისტრი მზადდება, როგორც ფართო პროფილის სპეციალისტი რომანული ფილოლოგიის დარგში, რომელიც თვისი პროფილის მიხედვით შესაძლებელია დასაქმდეს სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და უმაღლეს სასწავლებლებში; აგრეთვე, სახელმწიფო და საზოგადოებრივ სტრუქტურებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, გამომცემლობებში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სისტემებში, ბიბლიოთეკებში, მუზეუმებში, ტურისტულ ფირმებში, სხვადასხვა კომპანიებში ყველა იმ თანამდებობაზე, რომელიც გათვალისწინებულ იქნება მაგისტრის ხარისხის მქონე სპეციალისტთათვის; ამავდროულად, ზემოაღნიშნულ დაწესებულებებში მაგისტრის ხარისხი სტუდენტებს კარიერული წინსვლის შესაძლებლობას აძლევს. ფრანგული/ესპანური/იტალიური ფილოლოგიის მაგისტრი შესაძლებელია აგრეთვე თავისი პროფილით დასაქმდეს პედაგოგიურ სექტორში (მასწავლებლის სასერთიფიკაციო გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში); ასევე თარჯიმნებად, რისი მოთხოვნილებაც დღევანდელი საქართველოს შრომით ბაზარზე არსებობს. |

| პროგრამის სახელწოდება | ბერძნულ-რომაული ფილოლოგია<br>Greek-Roman Philology |
|---|---|
| საფეხური | სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა |
| პროგრამაზე დაშვების წინაპირობა | • საერთო სამაგისტრო გამოცდა;<br>• ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ნებისმიერი მიმართულებით;<br>• უცხოური ენის (ინგლისურის/გერმანულის/ფრანგულის) B1 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით (სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე B2 დონემდე ენის ცოდნის გაუმჯობესების პერსპექტივით).<br>• წერითი გამოცდა სპეციალობაში.<br><br>საქართველოს განათლებისა და შრომის ბაზრის თავისებურებების და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, სამაგისტრო პროგრამაზე დაიშვებიან ნებისმიერი მიმართულების კურსდამთავრებულები, მაგრამ წერითი გამოცდა სპეციალობაში ადგენს მაგისტრანტობის კანდიდატების მზაობას, სწავლა განაგრძონ ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის მიმართულებით. კერძოდ, გამოცდა სპეციალობაში ამოწმებს რამდენად იცნობს მაგისტრანტობის კანდიდატი ანტიკურ, ბიზანტიურ და ახალბერძნულ ლიტერატურას, ძველ ბერძნულ / ლათინურ / ახალბერძნულ ენას.<br>წერითი გამოცდის ბილეთი მოიცავს ოთხ საკითხს: 1. ანტიკური ლიტერატურა; 2. ბიზანტიური ლიტერატურა; 3. ახალი ბერძნული ლიტერატურა; 4. საშუალო სირთულის ტექსტი სათარგმნად ძველი ბერძნული / ლათინური / ახალბერძნული ენიდან (სტუდენტი ირჩევს მოდულის შესაბამის ენას).<br>კლასიკური ფილოლოგიის მოდულზე სწავლის გაგრძელების მსურველისთვის სავალდებულოა ერთ-ერთი კლასიკური ენა, ახალი ბერძნული ფილოლოგიის მოდულისთვის - ახალი ბერძნული, ხოლო ბიზანტიური ფილოლოგიის მოდულზე სწავლის გაგრძელების მსურველს შეუძლია არჩევანის გაკეთება კლასიკურ და ახალ ბერძნულ ენებს შორის. |
| სწავლების ენა | ქართული |
| კვალიფიკაცია | კლასიკური ფილოლოგიის მაგისტრი ან ბიზანტიური ფილოლოგიის მაგისტრი ან ახალი ბერძნული ფილოლოგიის მაგისტრი (სტუდენტის მიერ არჩეული მოდულის მიხედვით) |

| | |
|---|---|
| | Master of Classics or Master of Byzantine Philology or Master of Modern Greek Philology |
| **სწავლების ხანგრძლივობა** | 4 სემესტრი |
| **ECTS** | 120 ECTS კრედიტი |
| **სწავლების გადასახადი** | 2250 ლარი |
| **პროგრამის განხორციელების ადგილი** | თსუ სასწავლო კორპ. N8, ი. ჭავჭავაძის გამზ. N13 |
| **პროგრამის განმახორციელებელი ერთეული** | კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი |
| **საკონტაქტო პირი** | პროგრამის კოორდინატორი: ასოც. პროფ. ირინე დარჩია; პროგრამის ხელმძღვანელები: პროფ. თინა დოლიძე, მოწვ. ლექტ. მაგდა მჭედლიძე, ასოც. პროფ. ანა ჩიქოვანი |
| | ტელ.: +995 577553374 |
| | ელფოსტა: irine.darchia@tsu.ge |
| **მოდულები** | • კლასიკური ფილოლოგია<br>• ბიზანტიური ფილოლოგია<br>• ახალი ბერძნული ფილოლოგია |
| **პროგრამის სტრუქტურა** | |
| **კურსის სტატუსი** | ECTS-მოცულობა |
| საერთო სავალდებულო | 30  ECTS კრედიტი |
| მოდულის სავალდებულო | 30 ECTS კრედიტი |
| არჩევითი | 30 ECTS კრედიტი |
| სამაგისტრო ნაშრომი | 30 ECTS კრედიტი |
| | |
| **პროგრამის მიზანი** | |
| ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს ბერძნულ–რომაული ფილოლოგიის – კლასიკური, ბიზანტიური ან ახალბერძნული ფილოლოგიის – სპეციალისტების მომზადებას, რომელთა დარგობრივი ცოდნა, სხვადასხვა (კოგნიტური, მეთოდოლოგიური, ტექნოლოგიური, სისტემური, საკომუნიკაციო, სოციალური და სხვ.) უნარები და ზოგადი კომპეტენციები უზრუნველყოფს მათ დასაქმებას დიდაქტიკურ და სამეცნიერო, მთარგმნელობით, საგამომცემლო, მასმედიის სფეროებში, სასულიერო–საგანმანათლებლო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, საჯარო სექტორში და სხვ. ბერძნულ–რომაული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა იძლევა სწავლის შესაბამისი დეტალური სფეროების ღრმა და სისტემურ ცოდნას და სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის ჩვევებს, ხოლო პროგრამის მულტიდისციპლინური პროფილის გამო კურსდამთავრებულებს აქვთ არა მხოლოდ კლასიკური, ბიზანტიური ან ახალბერძნული ფილოლოგიის, არამედ ზოგადად ფილოლოგიურ და ჰუმანიტარულ | |

მეცნიერებათა ფართო პროფილით სწავლის გაგრძელების პერსპექტივა.
ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა მიზნებია:

1. ბერძნულ-რომაული სამყაროს ენობრივი, ლიტერატურული, კულტურული თავისებურებებისა და ძირითადი მახასიათებლების - შესწავლა და გააზრება სინქრონულ და დიაქრონულ ჭრილში;
2. ანტიკურობის გავლენისა და მნიშვნელობის შესწავლა ბიზანტიური და ახალი ბერძნული ლიტერატურისა და კულტურის ფორმირების პროცესში;
3. ანტიკური, ბიზანტიური და ახალი ბერძნული ლიტერატურის ნიმუშების თარგმნა კლასიკური (ძველი ბერძნული და ლათინური), შუასაუკუნეების ბერძნული და ლათინური, ახალი ბერძნული ენებიდან ქართულად და, ამგვარად, წვლილის შეტანა საზოგადოების კულტურული განვითარების პროცესში;
4. დიდაქტიკურ და სამეცნიერო, მთარგმნელობით, საგამომცემლო, მასმედიის სფეროებში, სასულიერო–საგანმანათლებლო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, საჯარო სექტორში საქმიანობა სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შეძენილი ცოდნის, სხვადასხვა (კოგნიტური, მეთოდოლოგიური, ტექნოლოგიური, სისტემური, საკომუნიკაციო, სოციალური და სხვ.) უნარების გამოყენებით.

ბერძნულ–რომაული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულთა თეორიული და პრაქტიკული საქმიანობა მომავალში ხელს შეუწყობს: ანტიკური, ბიზანტიური და თანამედროვე ბერძნული კულტურული ღირებულებების შესწავლასა და ბერძნულ–რომაული ფილოლოგიის განვითარებას; ქართული ლიტერატურის, ხელოვნებისა და კულტურის სიღრმისეულ გააზრებას ანტიკურობის, ბიზანტიური და ევროპული ცივილიზაციის კონტექსტში; საქართველოსა და საბერძნეთს შორის უკვე არსებული ურთიერთობების, ქართულ–ბერძნული მრავალსაუკუნოვანი და მრავალმხრივი კავშირების გაღრმავებას.
სამაგისტრო პროგრამის აქტუალობას განაპირობებს: საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიული და კულტურული კონტაქტები როგორც ანტიკურ საბერძნეთთან და რომთან, ისე ბიზანტიასთან და თანამედროვე საბერძნეთთან; საქართველოში მნიშვნელოვანი ბერძნული დიასპორის არსებობა; ანტიკური და ბიზანტიური სამყაროს როლი და მნიშვნელობა როგორც ევროპული ცივილიზაციის, ისე ქართული კულტურის ფორმირების პროცესში, ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის როლი და ადგილი მსოფლიოს ყველა წამყვანი უნივერსიტეტის კურიკულუმში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მრავალწლოვანი სამეცნიერო კონტაქტები კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის წამყვან საერთაშორისო სამეცნიერო და სასწავლო ცენტრებთან და ამ ტრადიციის გაღრმავების აუცილებლობა.

**სწავლის მეთოდები**

სწავლების პროცესში გამოყენებულია დასავლეთის წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილება და განათლების მეცნიერებების განვითარების უახლესი ვითარების გათვალისწინებით ჩამოყალიბებული შემდეგი მიდგომები: დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, თანამშრომლობითი სწავლება, შემთხვევის ანალიზი, გონებრივი იერიში, დემონსტრირების მეთოდი, ანალიზი და სინთეზი, ახსნა–განმარტებითი მეთოდი, ელექტრონული სწავლება და სხვ. აღნიშნული მეთოდების გამოყენება ხდება ლექციის, სემინარის, პრაქტიკუმის, სამუშაო ჯგუფის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, თარგმანის, სამაგისტრო ნაშრომის და სხვ. ფორმატში.

სისტემატურად ეწყობა ექსკურსიები საქართველოს იმ მუზეუმებში, სადაც დაცულია ბერძნულ–რომაულ სამყაროსთან დაკავშირებული სხვადასხვა ტიპის ექსპონატები. პროგრამა ითვალისწინებს აგრეთვე საქართველოს იმ ადგილებისა და ისტორიული ძეგლების მონახულებას, რომლებიც ბერძნულ–რომაულ სამყაროს და ქართულ–ბერძნულ მრავალსაუკუნოვან ურთიერთობებს უკავშირდება.
გარდა ამისა, სასწავლო პროცესის გაღრმავებისა და გამრავალფეროვნების მიზნით ყოველწლიურად ეწყობა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები, ლიტერატურული საღამოები, ბერძნულ–რომაულ სამყაროსთან დაკავშირებული მხატვრული ფილმებისა და სპექტაკლების ჩვენება და მათი განხილვა. მუშაობს ანტიკური დრამის სტუდენტური სტუდია „ოდეონი“. სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში გამარჯვებული მოხსენებები ქვეყნდება სტუდენტთა სამეცნიერო კრებულ „მნემოსინეში“. 2022 წლის 6-8 ივნისს სტუდენტთა ყოველწლიურ კონფერენციას „ანტიკურობის თანამედროვეობა“ ექნება საერთაშორისო ფორმატი.

ქართველ პედაგოგებთან ერთად ლექციებსა და სემინარებს სისტემატურად ატარებენ საბერძნეთიდან, იტალიიდან, გერმანიიდან, დიდი ბრიტანეთიდან, კვიპროსიდან და სხვა ქვეყნებიდან მოწვეული სპეციალისტები. წარჩინებული სტუდენტები კვალიფიკაციის ასამაღლებლად იგზავნებიან საბერძნეთისა და კვიპროსის უმაღლეს სასწავლებლებსა და საზაფხულო სკოლებში.

**შეფასების სისტემა**

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით.
შეფასება ითვალისწინებს შუალედურ განმავითარებელ შეფასებას (60 ქულა) და დასკვნით გამოცდას (40 ქულა). შუალედური შეფასება ხორციელდება მინიმუმ სამი კომპონენტის მიხედვით. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები განსხვავებულია და მათი აღწერა მოცემულია კონკრეტული კურსის სილაბუსში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედურ შეფასებებში დაგროვებული აქვს მინიმუმ 21 ქულა. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდის (კომბინირებული - წერა/ზეპირი გამოცდის შემთხვევაში, თითოეული კომპონენტის) მაქსიმალური ქულის 50 %-ს.
სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:
(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:

ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი დამასრულებელ სემესტრში ამზადებს **სამაგისტრო ნაშრომს.** შესაბამისი მარეგულირებელი წესის თანახმად:

- ✓ სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთიანად დასკვნითი შეფასებით 100-ქულიანი სისტემით;
- ✓ რეცენზენტი წერს ნაშრომის შესახებ რეცენზიას და აფასებს სტუდენტის ნაშრომს მაქსიმუმ 60 ქულით. 31 ქულაზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე არ დაიშვება;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, საჯარო დაცვამდე სამაგისტრო ნაშრომი შემოწმებული უნდა იყოს Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით.
- ✓ ნაშრომი ფასდება კომისიის მიერ წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტი წარმოადგენს ნაშრომის შედეგებს პრეზენტაციის სახით, რომელიც ფასდება კომისიის თითოეული წევრის მიერ (მაქსიმუმ 40 ქულა). ამ კომპონენტში სტუდენტის საბოლოო შეფასება იანგარიშება კომისიის ყველა წევრის შეფასების საშუალო არითმეტიკულით. მიღებული შეფასება დადებითად ითვლება, თუ კომისია სტუდენტის ნაშრომს შეაფასებს 20 და მეტი ქულით;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასებას წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და კომისიის საბოლოო შეფასების ჯამი, რომელიც ტოლია ან აღემატება 51 ქულას.
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია.

**სწავლის შედეგები**

საქართველოს კანონმდებლობის და ენის დაუფლების დარგობრივი მახასიათებლის თანახმად, მაგისტრატურის საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას შეიცვალოს სპეციალობა ან აიმაღლოს კვალიფიკაცია. ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა, ერთი მხრივ, მისი აქტუალობიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოს განათლებისა და შრომის ბაზრის შეზღუდვების გათვალისწინებით, იძლევა საშუალებას, რომ მის ფარგლებში სტუდენტების ნაწილმა აიმაღლოს კვალიფიკაცია, ხოლო მეორე ნაწილმა შეიცვალოს სპეციალობა.

პროგრამის სამივე მოდულის კურსდამთავრებულები შეძლებენ სწავლის გაგრძელებას დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე, კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს და ევროპული კვალიფიკაციების მერვე დონის შესაბამისად, შესაბამის პროგრამაზე დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით.

*ა) ცოდნა და გაცნობიერება*
**კლასიკური, ბიზანტიური და ახალი ბერძნული ფილოლოგიის პროგრამის კურსდამთავრებული:**

1. განსაზღვრავს, აღწერს და მიმოიხილავს ანტიკური, ბიზანტიური და თანამედროვე ბერძნული სამყაროს ძირითად მახასიათებლებს;
2. აცნობიერებს ანტიკურობის გავლენას და მნიშვნელობას ბიზანტიური და თანამედროვე ბერძნული ლიტერატურისა და კულტურის ფორმირებისა და განვითარების პროცესში;

**კლასიკური ფილოლოგიის მოდულის კურსდამთავრებული:**
**3.1**. ავლენს ძველბერძნულ/ლათინურ ენებთან და ანტიკურ ლიტერატურასთან დაკავშირებულ ღრმა და სისტემურ ცოდნას, რომელიც მოიცავს ენობრივ, ლიტერატურათმცოდნეობით და კულტურულ ასპექტებსა და კომპეტენციებს.
4.1. განსაზღვრავს, აღწერს და მიმოიხილავს ძველ ბერძნულ/ლათინურ ენებსა და ანტიკურ ლიტერატურასთან დაკავშირებულ საკვანძო საკითხებს, აქტუალურ თემებსა და უახლეს პრობლემატიკას, კვლევის უახლეს მეთოდებსა და თანამედროვე მიდგომებს.

**ბიზანტიური ფილოლოგიის მოდულის კურსდამთავრებული:**

3.2. ავლენს ბიზანტიური (შუა საუკუნეების) ბერძნულ და შუა საუკუნეების ლათინურ ენებთან, ბიზანტიურ ლიტერატურასთან დაკავშირებულ ღრმა და სისტემურ ცოდნას, რომელიც მოიცავს ენობრივ, ლიტერატურათმცოდნეობით, საღვთისმეტყველო და კულტურულ ასპექტებსა და კომპეტენციებს.
4.2. განსაზღვრავს, აღწერს და მიმოიხილავს ბიზანტიური (შუა საუკუნეების) ბერძნულ და შუა საუკუნეების ლათინურ ენებთან, ბიზანტიურ ლიტერატურასთან დაკავშირებულ საკვანძო საკითხებს, აქტუალურ თემებსა და უახლეს პრობლემატიკას, კვლევის უახლეს მეთოდებსა და თანამედროვე მიდგომებს.

**ახალი ბერძნული ფილოლოგიის მოდულის კურსდამთავრებული:**
3.3. ავლენს ახალ ბერძნულ ენასთან და თანამედროვე ბერძნულ ლიტერატურასთან დაკავშირებულ ღრმა და სისტემურ ცოდნას, რომელიც მოიცავს ენობრივ, ლიტერატურათმცოდნეობით და კულტურულ ასპექტებსა და კომპეტენციებს.
4.3. განსაზღვრავს, აღწერს და მიმოიხილავს ახალ ბერძნულ ენასა და ლიტერატურასთან დაკავშირებულ საკვანძო საკითხებს, აქტუალურ თემებსა და უახლეს პრობლემატიკას, კვლევის უახლეს მეთოდებსა და თანამედროვე მიდგომებს.

*ბ) უნარები*
**კლასიკური, ბიზანტიური და ახალი ბერძნული პროგრამის კურსდამთავრებული:**

5. სწავლის, კვლევისა და საქმიანობის პროცესში აანალიზებს როგორც პირველად, ისე მეორად წყაროებს, ლიტერატურულ მასალასა და

შესაბამის სამეცნიერო ლიტერატურას და ახდენს მათ სინთეზს, ინტერპრეტაციასა და კონტექსტუალიზაციას კვლევის უახლესი, მათ შორის ციფრული მეთოდების გამოყენებით;
6. ავლენს ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის მიმართულებით არსებული ენობრივი / ლიტერატურათმცოდნეობითი / კულტუროლოგიური ხასიათის სამეცნიერო პრობლემის იდენტიფიცირებისა და გადაჭრის, ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის, პრეზენტაციის უნარს ბერძნულ-რომაული სამყაროს შესაბამისი პერიოდის კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით;
7. ავითარებს ახალ იდეებს ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის ენობრივი / ლიტერატურული / კულტუროლოგიური ხასიათის სამეცნიერო პრობლემასთან დაკავშირებით, რომლებსაც აყალიბებს სამაგისტრო ნაშრომში, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით და წარუდგენს აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით.

**კლასიკური ფილოლოგიის მოდულის კურსდამთავრებული:**
8.1. თარგმნის ძველი ბერძნული/ლათინური ენებიდან ქართულად შესაბამისი ლექსიკონის/ლექსიკონების გამოყენებით და ამზადებს თარგმნილი ტექსტის/ტექსტების ენობრივი და ლიტერატურათმცოდნეობითი ხასიათის კომენტარებს;
9.1. კრიტიკულად გაიაზრებს ანტიკურ ლიტერატურასა და კულტურასთან, თანამედროვე სამყაროში მის რეცეფციასთან დაკავშირებულ გამოწვევებსა და უახლეს მიღწევებს;

**ბიზანტიური ფილოლოგიის მოდულის კურსდამთავრებული:**
8.2. თარგმნის ბიზანტიური (შუა საუკუნეების) ბერძნული და შუა საუკუნეების ლათინური ენებიდან ქართულად შესაბამისი ლექსიკონის/ლექსიკონების გამოყენებით და ამზადებს თარგმნილი ტექსტის/ტექსტების ენობრივი, ლიტერატურათმცოდნეობითი და საღვთისმეტყველო ხასიათის კომენტარებს.
9.2. კრიტიკულად გაიაზრებს ბიზანტიურ ლიტერატურასა და კულტურასთან დაკავშირებულ გამოწვევებსა და უახლეს მიღწევებს;

**ახალი ბერძნული ფილოლოგიის მოდულის კურსდამთავრებული:**
8.3. იყენებს ახალ ბერძნულ ენას როგორც წერითი, ისე ზეპირი კომუნიკაციის დროს სხვადასხვა მიზნისა და აუდიტორიისათვის;
9.3. კრიტიკულად გაიაზრებს თანამედროვე ბერძნულ ლიტერატურასა და კულტურასთან, თანამედროვე ბერძნულ ლიტერატურასა და კულტურაში ანტიკურობის რეცეფციასთან დაკავშირებულ გამოწვევებსა და უახლეს მიღწევებს;

*გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა*
კლასიკური, ბიზანტიური და ახალი ბერძნული ფილოლოგიის პროგრამის კურსდამთავრებული:

10. ამჟღავნებს დამოუკიდებლად სწავლის, კვლევისა და მუშაობის უნარს, რითიც წვლილი შეაქვს ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის დარგობრივი ცოდნისა და პროფესიული პრაქტიკის განვითარებაში;

| |
|---|
| 11. ამჟღავნებს ტოლერანტობას განსხვავებული აზრის, კულტურებისა და კონფესიების მიმართ. |
| **დასაქმების სფეროები** |
| ბერძნულ–რომაული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შეძენილი მრავალმხრივი დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) უნარების დახმარებით, კურსდამთავრებულს საშუალება ექნება დასაქმდეს უცხო ენების შემსწავლელ და/ან მთარგმნელობით ცენტრში, სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი პროფილის მქონე ორგანიზაციაში, გამომცემლობაში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში (პრესა, ტელევიზია, რადიო, ინტერნეტ–გამოცემები და სხვ.), სხვადასხვა პროფილის ფონდში, არასამთავრობო ორგანიზაციასა და სახელმწიფო სექტორში, კერძო კომპანიაში, სასულიერო–საგანმანათლებლო ცენტრებში, ბერძნულ–ქართულ კომპანიებში, საბერძნეთის, კვიპროსისა და საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებში და სხვ. |

| პროგრამის სახელწოდება | სლავური ფილოლოგია<br>Slavic Philology |
|---|---|
| **საფეხური** | სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** | • საერთო სამაგისტრო გამოცდა;<br>• ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში, განათლების მიმართულებით, ან მათ დარგებსა და ქვედარგებში; ან შესაძლებელია გავლილი ჰქონდეს რუსული ფილოლოგიის დამატებითი (Minor) პროგრამა.<br>• სასპეციალიზაციო წერითი გამოცდა;<br>• უცხოური ენის (ინგლისურის/გერმანულის/ფრანგულის) B1 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით (სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე B2 დონემდე ენის ცოდნის გაუმჯობესების პერსპექტივით) |
| **სწავლების ენა** | ქართული |
| **კვალიფიკაცია** | სლავური ფილოლოგიის მაგისტრი<br>Master of Slavic Philology |
| **სწავლების ხანგრძლივობა** | 4 სემესტრი |
| **ECTS** | 120 ECTS კრედიტი |
| **სწავლების გადასახადი** | 2250 ლარი |
| **პროგრამის განხორციელების ადგილი** | თსუ სასწავლო კორპ. N8, ი. ჭავჭავაძის გამზ. N13 |
| **პროგრამის განმახორციელებელი ერთეული** | სლავისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი |
| **საკონტაქტო პირი** | პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი: ასოც. პროფ. მარინა ალექსიძე<br>ტელ.: +995 599482032<br>ელფოსტა: marine.aleksidze@tsu.ge |
| **მოდულები** | • რუსული ფილოლოგია<br>• პოლონური ფილოლოგია<br>• უკრაინული ფილოლოგია |
| **პროგრამის სტრუქტურა** | |

| კომპონენტის სტატუსი | ECTS-მოცულობა |
|---|---|
| საერთო სავალდებულო | 30 ECTS კრედიტი |
| მოდულის სავალდებულო | 30 ECTS კრედიტი |
| არჩევითი | 30 ECTS კრედიტი |
| სამაგისტრო ნაშრომი | 30 ECTS კრედიტი |

**პროგრამის მიზანი**

სლავური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მიზანია თანამედროვე შრომის ბაზრისა და აკადემიური სივრცის, ასევე დარგში საერთაშორისო სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისი ღრმა და სისტემური ცოდნით აღჭურვილი, კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულის მომზადება, რომელიც ფლობს სლავურ ფილოლოგიაში ისეთ კომპლექსურ ცოდნას, დარგობრივ და ზოგად ტრანსფერულ უნარებს, რომელთა მეშვეობით მაგისტრი:

1. ავლენს სისტემურ ცოდნას ძველი სლავური ენისა და ქრისტიანობის მიღების შემდგომი სლავური კულტურისთვის დამახასიათებელ საერთო და განსხვავებულ ტენდენციებსა და ნიშნებზე ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში; მიმოხილავს იმ მნიშვნელოვან წვლილს, რაც სლავურმა კულტურამ ევროპულ და, ზოგადად, მსოფლიო კულტურაში შეიტანა.
2. საფუძვლიანად ერკვევა მოდულის მაპროფილებელი ენის ზოგადთეორიულ ასპექტებში, ენობრივი სისტემის არსებით მახასიათებლებსა და კვლევის ტრადიციულ და თანამედროვე მეთოდებში, აქვს რუსული/პოლონური/უკრაინული ენის წერითი და ზეპირი კომუნიკაციური და მთარგმნელობითი უნარები და ეფექტურად იყენებს მათ პროფესიულ პრაქტიკულ თუ აკადემიურ-კვლევით საქმიანობაში, რაც მისი წარმატებული დასაქმების წინაპირობაა;
3. სიღრმისეულად სწვდება სლავურ სამყაროში მიმდინარე ენობრივი და ლიტერატურული, ასევე ისტორიულ-კულტურული მოვლენებისა და პროცესების არსს, აანალიზებს მათ თანამედროვე სამეცნიერო კვლევის მეთოდების გამოყენებით.
4. დარგობრივ სფეროშისაკითხების კომპლექსურად შესწავლისა და გადაჭრის, ინფორმაციის ანალიზისა და სინთეზის, კრიტიკული შეფასებისა და სხვა ტრანსფერული უნარების, მოდულის ენის საკომუნიკაციო და აკადემიური მიზნებისთვის პროფესიულ დონეზე ცოდნის საფუძველზე წარმატებით საქმდება საგანმანათლებლო, სასწავლო თუსამეცნიერო–კვლევითი პროფილის მქონე დაწესებულებებში, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საჯარო და კერძო სექტორში, ან აგრძელებს სწავლას სადოქტორო საფეხურზე გათავისებული აქვს ცოდნის მუდმივი გაღრმავებისა და საკუთარი პროფესიული დონის ამაღლების პასუხისმგებლობა, მაღალი აკადემიური და პროფესიული ეთიკა.

**სწავლის მეთოდები**

სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფში მონაწილეობის, სემინარის, პრაქტიკულ მეცადინეობებზე საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, სამაგისტრო ნაშრომის, დასკვნითი გამოცდის და სხვ. ფორმატში იყენებს ვერბალურ, წიგნზე მუშაობის, ინდუქცია-დედუქციის, ანალიზისა და სინთეზის, ახსნა–განმარტებით,

ჯგუფურ, დისკუსიასა და დებატებში მონაწილეობის, დემონსტრირების, როლური და სიტუაციური თამაშებისა და სხვა მეთოდებს. ამასთან, სწავლების პროცესში გამოყენებულია დემონსტრირების თანამედროვე ტექნოლოგიები.

დარგობრივი ცოდნის შეძენისას პროგრამის კურიკულუმში ჩართული თითოეული დისციპლინა, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ირჩევს სწავლების მეთოდოლოგიურ მიდგომებს, რაც, უწინარეს ყოვლისა, გამოიხატება სწავლებისა და სწავლის სტრატეგიის განსაზღვრაში და დროის მართებულად ორგანიზებაში, ცოდნის მაღალი ხარისხის მისაღწევად.

პროგრამის შემადგენელი კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლების პროცესში გამოყენებული ფორმატი და სწავლების მეთოდები მითითებულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება დროის მართებულ განაწილებას და სწავლების მეთოდთა სწორად შერჩევას სამუშაო ჯგუფებში, პრაქტიკულ მეცადინეობებსა და პრეზენტაციებისას, რადგან სწორად დაგეგმილი და განხორციელებული ზეპირი კომუნიკაცია საუდიორიო მუშაობას უფრო ეფექტურს ხდის. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ასევე, ენის სწავლების სტრატეგიის მართებულად შერჩევას, მისი თითოეული ეტაპის მომზადებას, სწორად დაგეგმვას, მოსალოდნელი შედეგების რეალისტურ გათვლას და მათ ეტაპობრივ რეალიზებას.
სასპეციალიზაციო სფეროს ცოდნის გაღრმავებისმიზნით ყოველწლიურად ეწყობა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები, მუშაობს სტუდენტთა სამეცნიერო წრეები

**შეფასების სისტემა**

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით.
შეფასება ითვალისწინებს შუალედურ განმავითარებელ შეფასებას (60 ქულა) და დასკვნით გამოცდას (40 ქულა). შუალედური შეფასება ხორციელდება მინიმუმ სამი კომპონენტის მიხედვით. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები განსხვავებულია და მათი აღწერა მოცემულია კონკრეტული კურსის სილაბუსში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედურ შეფასებებში დაგროვებული აქვს მინიმუმ 21 ქულა. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდის (კომბინირებული - წერა/ზეპირი გამოცდის შემთხვევაში, თითოეული კომპონენტის) მაქსიმალური ქულის 50 %-ს.
სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:
(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:
ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი დამასრულებელ სემესტრში ამზადებს **სამაგისტრო ნაშრომს.** შესაბამისი მარეგულირებელი წესის თანახმად:

- ✓ სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთიანად დასკვნითი შეფასებით 100-ქულიანი სისტემით;
- ✓ რეცენზენტი წერს ნაშრომის შესახებ რეცენზიას და აფასებს სტუდენტის ნაშრომს მაქსიმუმ 60 ქულით. 31 ქულაზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე არ დაიშვება;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, საჯარო დაცვამდე სამაგისტრო ნაშრომი შემოწმებული უნდა იყოს Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით.
- ✓ ნაშრომი ფასდება კომისიის მიერ წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტი წარმოადგენს ნაშრომის შედეგებს პრეზენტაციის სახით, რომელიც ფასდება კომისიის თითოეული წევრის მიერ (მაქსიმუმ 40 ქულა). ამ კომპონენტში სტუდენტის საბოლოო შეფასება იანგარიშება კომისიის ყველა წევრის შეფასების საშუალო არითმეტიკულით. მიღებული შეფასება დადებითად ითვლება, თუ კომისია სტუდენტის ნაშრომს შეაფასებს 20 და მეტი ქულით;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასებას წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და კომისიის საბოლოო შეფასების ჯამი, რომელიც ტოლია ან აღემატება 51 ქულას.
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია.

**სწავლის შედეგები**

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება განათლების სამაგისტრო დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. სწავლის შედეგებში ასახულია ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციები, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოს სამაგისტრო საფეხურის აღმწერისა და ენის ფლობის დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად. სლავური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მიზნების მისაღწევად გამოყენებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტები უზრუნველყოფენ შემდეგი შედეგების მიღწევას:

**ცოდნა და გაცნობიერება**
პროგრამის კურსდამთავრებული

1. სისტემურად მიმოიხილავს სლავური ტომების მიერ ქრისტიანობის მიღების ისტორიასთან დაკავშირებულ საკვანძო საკითხებს; აღწერს ქრისტიანობის გავრცელების შემდგომ დაწყებულ მნიშვნელოვან პოზიტიურ ცვლილებებს სლავურ კულტურაში ზოგადად, კერძოდ კი ლიტერატურისა და საგანმანათლებლო კერების დაარსების კუთხით; ჩამოთვლის სლავი ტომების დაყოფის მთავარ ფაქტორებს სოციალური, პოლიტიკური და თეოლოგიური ასპექტების გათვალისწინებით; განიხილავს სხვადასხვა სლავური ტომების საერთო გენეზისის მქონე კულტურის როგორც საერთო, ისე განსხვავებულ ნიშნებსა და თავისებურებებს;
2. გადმოსცემს ძირითად ცნობებს ძველი სლავური ენის და სლავური დამწერლობის აღმოცენების და შემდგომი ფუნქციონირების ისტორიიდან; ჩამოთვლის ძველი სლავური ენის სისტემის ფონეტიკურ და გრამატიკულ აგებულების ძირითად პრინციპებს მათი წარმოშობის თვალსაზრისით და მათი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე; აღწერს ძირითად მსგავსებას და განსხვავებას სლავურ ენებს შორის მათში წინარე სლავური ენის მემკვიდრეობის შენარჩუნების სპეციფიკის გათვალისწინებით;
3. განსაზღვრავს სლავური ქვეყნების (რუსეთი, პოლონეთი, უკრაინა) მე-19 - მე-20 საუკუნეების მასობრივი ლიტერატურის ძირითად ნიშნებს, ჟანრობრივ სისტემას, მისი შესწავლის მიდგომებს და ადგილს აღნიშნული ეპოქის მხატვრულ კულტურაში. აღწერს მასობრივი ლიტერატურის მეთოდოლოგიური მიდგომებით შესწავლის ძირითად პრინციპებს, საკვანძო ტენდენციებს, ტექსტებს, ფიგურებსა და მოვლენებს.
4. სისტემურად აღწერს რუსული/პოლონურ/უკრაინული ლიტერატურის უმნიშვნელოვანეს სკოლებს, ცალკეულ ავტორებსა და მათ პროზაულ-პოეტურ ნაწარმოებებს, კონკრეტული ნაწარმოებების სოციალური კონტექსტის განმაპირობებელ ისტორიულ ფაქტებს, მხატვრულ სახეებს, წამყვან ჟანრებს; ვრცლად მიმოიხილავს აღნიშნული პერიოდის ლიტერატურული ძეგლების მთავარ იდეებსა და ტენდენციებს, მათ მიმართებას ქართულ ლიტერატურულ პროცესთან.
5. აღწერს რუსული ლინგვისტური მეცნიერების განვითარების ძირითად ეტაპებს; ახდენს 18-20 ს-ის რუსული ენათმეცნიერების ძირითადი პრობლემატიკის ინტერპრეტირებას; მიმოიხილავს თანამედროვე რუსული ენის აქტუალურ პრობლემათა წრეს და მათი გადაჭრის განსხვავებულ მიდგომებს.

**ბ) უნარები**

1. ერთმანეთს უდარებს აღმოსავლეთ სლავური და დასავლეთ სლავური ხალხების ძირითად მსგავსებებსა და განსხვავებებს განათლების, ლიტერატურის, სამონასტრო კულტურისა და ხელოვნების დარგში; აღნიშნული პერიოდის ლიტერატურული ძეგლების ანალიზის საფუძველზე ახდენს იმ ეპოქის სოციალური და თეოლოგიური მოვლენების რეკონსტრუქციას და სწორად აღქმას;
2. კითხულობს ძველ სლავური კირილიცით დაწერილ საშუალო სირთულის ტექსტებს სათანადო ისტორიულ ფონეტიკურ-მორფოლოგიური კომენტარების დართვით; ახდენს ძველი სლავური ენის ფაქტების კვალიფიკაციას მათი წარმოშობის და სისტემური მნივნელობის შესაბამისად; ერთმანეთს ადარებს თანამედროვე სლავური ენების ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც ერთი სათავეებიდან - წინარე სლავური ენიდან - მოდიან;

3. აანალიზებს ძირითად განსხვავებებს სამეცნიერო ნაშრომის აკადემიურ სტილსა და განსხვავებული ფუნქციური მიმართულების ტექსტებს შორის; ქმნის აკადემიური კვლევით განპირობებულ ტექსტებს: ავლენს სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობის უნარებს სამეცნიერო მუშაობის ძირითადი ტერმინების და ცნებების გამოყენებით; ადარებს სხვადასხვა ჟანრის სამეცნიერო ნაშრომებს;
4. ქმნის მედია პროდუქციას ინფორმაციის თანამედროვე პროგრამული უზრუნველყოფისა და ტექნიკის გამოყენებით; მაქსიმალური ეფექტურობით ავლენს პროფესიულ-პირად და ვერბალურ ურთიერთქმედების უნარებს; აანალიზებს მედიას კულტურისა და პუბლიცისტური სამეტყველო აქტივობის თვალსაზრისით
5. ღრმად აანალიზებს მხატვრული ტექსტის კვლევით ფორმებს და ძირითად ცნებებს, სტილისტიკის პრინციპებსა და კატეგორიებს; ტექსტის თეორიული ანალიზის საფუძველზე, ავლენს სხვადასხვა დონეებზე მხატვრული ნაწარმოებების ქვეტექსტური სტრუქტურების გამოვლენისა და ნაწარმოებებში ქვეტექსტური სტრუქტურის მნიშვნელობის განსაზღვრის უნარს, ასხვავებს ავტორთა ქვეტექსტური სტრუქტურების თავისებურებებს.
6. ისმენს, კითხულობს, თარგმნის, განმარტავს, ადგენს მოდულის მაპროფილებელ ენაში (პოლონური/უკრაინული)სხვადასხვა ხასიათის ტექსტებს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის პროცესში, ზეპირი და წერითი თარგმანისა და კულტურათშორისი კომუნიკაციის სხვადასხვა ტექნიკის გამოყენებით. ათვისებული ლექსიკური მარაგს მაქსიმალურად თავისუფლად იყენებს საუბრისა და დისკუსიის წარმართვისას დაწერილობით ფორმით აზრის გამოთქმის პროცესში; განსაზღვრავს და ახასიათებს პოლონურიდან/უკრაინულიდან ქართულად და პირუკუ წერილობითი და ზეპირი თარგმანის ზოგად პრინციპებსა და სპეციფიკას, თარგმნის სხვადასხვა სირთულის ტექსტებს (საგაზეთო, პუბლიცისტური, მხატვრული) ამ სპეციფიკის გათვალისწინებით.

**გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**

1. აქვს პროფესიული ზრდის მოთხოვნილება; ზრუნავს დარგში უახლესი მეცნიერული მიღწევების გაცნობისა და ათვისებისათვის. ზრუნავს საკუთარ აკადემიურ და პროფესიონალურ განვითარებაზე;

**დასაქმების სფეროები**

სლავური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შეძენილი მრავალმხრივი დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) უნარების დახმარებით, კურსდამთავრებული შესაძლებელია დასაქმდეს საქართველოს ყველა სახელმწიფო თუ არასამთავრობო საზო-გადოებრივ დაწესებულებაში, კერძოდ:

- საგანმანათლებლო, სასწავლოდასამეცნიერო–კვლევითი პროფილის მქონე ორგანიზაციებში (სამაგისტრო განათლების შესაბამის პოზიციებზე);
- დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და მისიებში, საერთაშორისო კომპანიებშითარჯიმნის პოზიციაზე;
- სათარჯიმნო და სანოტარო ბიუროებში;
- კულტურის სფეროს დაწესებულებებში;
- ტურიზმის სფეროში;

- ბიბლიოთეკებში, არქივებსა და მუზეუმებში;
- საგამომცემლო დაწესებულებებსა დარედაქციებში;
- მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში (პრესა, ტელევიზია, რადიო, ინტერნეტ–გამოცემები და სხვ.);
- საჯარო და კერძო სექტორშისასპეციალიზაციო და ზოგადტრანსფერული უნარების საფუძველზე;

| პროგრამის სახელწოდება | თარგმნის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკა<br>Translation Theory and Practice |
|---|---|
| საფეხური | სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა |
| პროგრამაზე დაშვების წინაპირობა | პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ხარისხი ან უნდა იყოს დიპლომირებული სპეციალისტი რომელიმე შემდეგი მიმართულებით:განათლების მეცნიერება (0111); 0231 ენის დაუფლება; 0232 ლიტერატურა და ლინგვისტიკა; კულტურის კვლევები (0314.1.4); ჟურნალისტიკა (0321.1.1); მასობრივი კომუნიკაცია; (შინაარსი)(0321.1.2); საბიბლიოთეკო, საარქივო კვლევები და ინფორმაციის მართვა; (0322); ევროპისმცოდნეობა (0388.1.1); ამერიკისმცოდნეობა (0388.1.2) ან შესაძლებელია გავლილი ჰქონდეს დამატებითი (minor) პროგრამა ქართულ, ინგლისურ, გერმანულ ან რუსულ ფილოლოგიაში.<br>• პროგრამაზე დაშვება შესაძლებელია მხოლოდ საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში.<br>• სავალდებულოა ინგლისური/გერმანული ენის B2 დონეზე ცოდნის დადასტურება<br>• პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველმა უნდა ჩააბაროს პროგრამაზე მისაღები გამოცდა „თარგმანის თეორიასა და ისტორიაში." |
| სწავლების ენა | ქართული |
| კვალიფიკაცია | თარგმანმცოდნეობის მაგისტრი / Master of Translation Studies |
| სწავლების ხანგრძლივობა | 4 სემესტრი |
| ECTS | 120 ECTS კრედიტი |
| სწავლების გადასახადი | 2250 ლარი |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | თსუ სასწავლო კორპ. N5, ი. ჭავჭავაძის გამზ. N35 |
| პროგრამის განმახორციელებელი ერთეული | თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი |
| საკონტაქტო პირი | პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი: პროფ. ნანა გაფრინდაშვილი |
| | ტელ.: +995 599172720 |
| | ელფოსტა: nana.gaprindashvili@tsu.ge |
| მოდულები | • დარგობრივი თარგმანი (ინგლისურენოვანი/გერმანულენოვანი იურიდიული დოკუმენტების თარგმანი) |

| |
|---|
| • ფართო პროფილის თარგმანი (გერმანული/რუსული ენები) |

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| კომპონენტის სტატუსი | ECTS-მოცულობა |
| საერთო სავალდებულო | 35 ECTS კრედიტი |
| მოდულის სავალდებულო | 25 ECTS კრედიტი |
| არჩევითი | 30 ECTS კრედიტი |
| სამაგისტრო ნაშრომი | 30 ECTS კრედიტი |
| | |

**პროგრამის მიზანი**

სამაგისტრო პროგრამის „თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკა“ მიზანია:

1. მოამზადოს ეროვნულ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე ორიენტირებული კონკურენტუნარიანი თარგმანმცოდნეები და პრაქტიკოსი მთარგმნელები, რომელთაც ექნებათ სფეროს უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ღრმა, სისტემური დარგობრივი ცოდნა და მისი კრიტიკული გააზრების უნარი ინოვაციებისა და ახალი ორიგინალური იდეების განსავითარებლად. აღჭურვოს ისინი თარგმნის პროცესის მახასიათებლების ღრმა ცოდნითა და გააზრებით; შესძინოს მათ თარგმანმცოდნეობის უახლესი კვლევის მეთოდებისა და მიდგომების ცოდნა, რასაც წარმატებით გამოიყენებენ კვლევითი დასკვნების გასაკეთებლად.

2. გამოუმუშაოს თარგმანმცოდნეებს რთული თარგმანმცოდნეობითი პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების მოძიების უნარი; კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და განხორციელების უნარი აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვით; რთული ან არასრული ინფორმაციის კრიტიკულად გააანალიზებისა და ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის უნარი, რათა მათ შეძლონ წარმატებით ივლიონ თარგმანმცოდნეობის პრობლემები, განახორციელონ პრაქტიკული მთარგმნელობითი საქმიანობა და დააკმაყოფილონ შრომით ბაზარზე ინდივიდუალური, სოციალური ან ინსტიტუციური საჭიროებები.

3. გამოუმუშაოს კვლევისა და თარგმნის სტრატეგიის ფორმირებისა და განვითარების პროცესში მაღალი პროფესიული სტანდარტებით პასუხისმგებლობის, ზნეობრივი და ეთიკური ნორმების დაცვის, საკუთარი სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობების გაცნობიერების უნარი; აკადემიური და პროფესიული საზოგადოების წინაშე საკუთარი დასკვნების, არგუმენტების და კვლევის შედეგების წარდგენისას აკადემიური ეთიკის სტანდარტების განუხრელად დაცვის პასუხისმგებლობა.

**სწავლის მეთოდები**

სწავლება-სწავლის პროცესში, პროგრამის კომპონენტის სპეციფიკის გათვალისწინებით, გამოიყენებული იქნება ცოდნის გადაცემის ისეთი მეთოდები, როგორიცაა: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, ინდივიდუალური მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, ელექტრონული რესურსით სწავლება და სხვ., სწავლება-სწავლის მეთოდები მოიცავს სხვადასხვა აქტივობებს: დისკუსია-დებატები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBS), შემთხვევის შესწავლა-ანალიზი (Case Study), ჯგუფში (Collaborative) მუშაობა, დისკუსია,

გონებრივი იერიში (Brain storming), წერითი მუშაობა, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, დემონსტრირება და სხვ. მათი კომბინირება მიმართულია სასწავლო პროცესის აქტივიზებაზე და სასწავლო პროცესში სტუდენტთა მონაწილეობის სტიმულირებაზე, კვლევითი უნარების, ცოდნით აქტიური ოპერირებისა და პრაქტიკული გამოყენების, სიტუაციის და ინფორმაციის ანალიზისა და ინტერპრეტაციის, შედეგების დაკონკრეტების, განზოგადებისა და ახსნის, მსჯელობისა და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების, პრობლემების გადაჭრისა და გადაწყვეტილების მიღების, გუნდური და დამოუკიდებელი მუშაობის, კომუნიკაციის დამყარებისა და დისკუსიის წარმართვის, თვითპრეზენტაციის და თვითშეფასების და სხვა უნარ–ჩვევების ჩამოყალიბებაზე და მაქსიმალურ განვითარებაზე. აღნიშნული მეთოდებით სტუდენტები ეჩვევიან მიზნების დასახვას და მათი მიღწევის ადეკვატური გზებისა და მეთოდების გამოყენებას, შესასრულებელი სამუშაოს სტრუქტურირებას, ეტაპობრივ დაგეგმვას და დროის ორგანიზებას, საჭირო ინფორმაციის მოპოვებისთვის საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების აქტიურ გამოყენებას, დასახული ამოცანის რელევანტური ინფორმაციის, მონაცემების და ლიტერატურის მოძიებას, ინფორმაციის/მონაცემების ანალიზს შესაბამისი მეთოდების გამოყენებით, ვერბალურ/წერით კომუნიკაციას, პრეზენტაციის მომზადება-მოწყობას, კომპეტენციის თვითპრეზენტაციას, დასკვნების და მოსაზრებების ჩამოყალიბებას და არგუმენტირებულ დაცვას, მსჯელობას. პროგრამის კომპონენტის შესწავლისას გამოყენებული მეთოდები (მითითებულია პროგრამის კომპონენტების სილაბუსებში) უზრუნველყოფენ პროგრამის კომპონენტით დაგეგმილი დარგობრივი და/ან ზოგადი კომპეტენციების მიღწევას, ხოლო პროგრამის ყველა კომპონენტში გამოყენებული მეთოდების ერთობლიობა – პროგრამით დაგეგმილი დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) კომპეტენციის ჩამოყალიბებას.

სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული სასწავლო კურსების სწავლების პროცესი წარიმართება ინტერაქტიური მეთოდებით. სასწავლო პროცესში, უპირატესად, გამოიყენება სწავლების შემდეგი ფორმები: ლექცია (თეორიული მეცადინეობა), სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მეცადინეობა, სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა, ნაშრომის სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და დაცვა.

სალექციო მეთოდი წარმოადგენს შესასწავლი თემის შესახებ სისტემატიზებული ცოდნის, კონცეფციებისა და თეორიების მომცველი ინფორმაციის სტუდენტური აუდიტორიისათვის სიტყვიერი გადაცემის ეფექტურ მეთოდს. იგი მსმენელისათვის გადაცემული საბაზო თეორიული ინფორმაციის საფუძველზე ქმნის საგნის შემდგომში დამოუკიდებლად შესწავლის წინაპირობას. ლექციაზე მოსმენილი მასალა მთლიანი ცოდნის სისტემად ყალიბდება სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობა სტუდენტს უყალიბებს დამოუკიდებელი აზროვნების, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების უნარებს;

პრაქტიკული მეცადინეობის დანიშნულებაა კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტის საშუალებით თეორიული მასალის თანდათანობითი შესწავლა, რაც თეორიული მასალის დამოუკიდებლად გამოყენების ჩვევების გამომუშავების საფუძველია. პრაქტიკული მუშაობის მეთოდი გულისხმობს სტუდენტების პრაქტიკულ მოქმედებებს, რომელიც ორიენტირებულია მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და განვითარებაზე.

სამუშაო ჯგუფში მუშაობის მეთოდი აქტიურად გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც საკითხის სხვადასხვა პერსპექტივიდან შესწავლა, ახალი იდეებისა და მიდგომების მოძებნაა საჭირო. ასევე, როდესაც საჭიროა ჯგუფური მუშაობისა და კომუნიკაციის უნარების გამომუშავება. იგი საჭიროებს ისეთ უნარებს, როგორიცაა მოსმენა, ინსტრუქციის დაცვა, უკუკავშირი, თანამშრომლობა, აზრის გაზიარება. ვინაიდან ჯგუფი რამდენიმე ადამიანს აერთიანებს, ჯგუფური მუშაობის დაწყებისას საჭიროა ჯგუფის მუშაობის წესების და ნორმების ჩამოყალიბება, რომელსაც ჯგუფის წევრები დაიცავენ; ეს ნორმები უნდა არეგულირებდეს ჯგუფის წევრებს

შორის ურთიერთობას და ყველა წევრს თანაბარი მონაწილეობის საშუალებას უნდა აძლევდეს;

დემონსტრირება გულისხმობს დავალების, პროცედურის უშუალო შესრულებას, რასაც თან ლექტორის ახსნა - განმარტება ახლავს. დემონსტრაცია მოიცავს ზეპირ ახსნა - განმარტებას (ინსტრუქტაჟს) და კონკრეტული დავალების კეთებას ფაქტების, პროცესებისა და კონცეფციების ახსნის მიზნით. ის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პრაქტიკული უნარების სწავლებისას.
დისკუსია წარმოადგენს აქტივობას, როდესაც (როგორც წესი) ლექტორის ხელმძღვანელობით მიმდინარეობს სხვადასხვა წინადადების, მიდგომის, იდეის, პრობლემების გადაჭრის მეთოდების ჯგუფური განხილვა და ნიშნავს საწინააღმდეგო პოზიციების პოლემიკას, სხვადასხვა აზრის ზეპირ (იშვიათად წერით) გამოხატვას. დისკუსია მიმდინარეობს ლექტორსა და სტუდენტებს, ან მხოლოდ სტუდენტებს შორის.
სავარჯიშო (ზეპირი სავარჯიშო, წერითი სავარჯიშო) გულისხმობს გონებრივი და პრაქტიკული აქტივობების (სამუშაოების) მრავაჯერად გამეორებას პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენის ან განვითარების მიზნით.
ინდუქცია გულისხმობს ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლების პროცესში აზრის მსვლელობა კონკრეტულიდან ზოგადისაკენ, კერძო ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული.
დედუქცია გულისხმობს ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლების პროცესში აზრის მსვლელობა ზოგადიდან კონკრეტულისაკენ არის მიმართული.
ანალიზი გულისხმობს სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლას, რითაც მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება;
სინთეზი გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს აქტივობა ხელს უწყობს პრობლების, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას;
ელექტრონული სწავლება არ ითვალისწინებს განსაზღვრულ ადგილზე სტუდენტისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებასა და საგანმანათლებლო პროცესის ადმინისტრირებაში ჩართული პერსონალის ერთდროულად ყოფნას.

ელექტრონული სწავლება ითვალისწინებს სასწავლო პროცესის სწავლის მართვის სისტემის გამოყენებით წარმართვას. სწავლის მართვის სისტემა არის ინტერნეტზე დამყარებული კომპიუტერული პროგრამა, რომელიც აუცილებელია საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და წარმართვისათვის, კერძოდ, სასწავლო მასალების მიწოდებისათვის, სტუდენტის სტუდენტთან ან/და უმაღლესი საგანამანათლებლო დაწესებულების პერსონალთან კომუნიკაციისათვის, ტესტირებისათვის, კონსულტირებისათვის, სტუდენტთა პროგრესის მონიტორინგისათვის და სხვა მიზნებისათვის.

**შეფასების სისტემა**

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით.
შეფასება ითვალისწინებს შუალედურ განმავითარებელ შეფასებას (60 ქულა) და დასკვნით გამოცდას (40 ქულა). შუალედური შეფასება

ხორციელდება მინიმუმ სამი კომპონენტის მიხედვით. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები განსხვავებულია და მათი აღწერა მოცემულია კონკრეტული კურსის სილაბუსში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედურ შეფასებებში დაგროვებული აქვს მინიმუმ 21 ქულა. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდის (კომბინირებული - წერა/ზეპირი გამოცდის შემთხვევაში, თითოეული კომპონენტის) მაქსიმალური ქულის 50 %-ს.
სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:
(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:
ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი დამასრულებელ სემესტრში ამზადებს **სამაგისტრო ნაშრომს.** შესაბამისი მარეგულირებელი წესის თანახმად:
- ✓ სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთიანად დასკვნითი შეფასებით 100-ქულიანი სისტემით;
- ✓ რეცენზენტი წერს ნაშრომის შესახებ რეცენზიას და აფასებს სტუდენტის ნაშრომს მაქსიმუმ 60 ქულით. 31 ქულაზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე არ დაიშვება;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, საჯარო დაცვამდე სამაგისტრო ნაშრომი შემოწმებული უნდა იყოს Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით.
- ✓ ნაშრომი ფასდება კომისიის მიერ წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტი წარმოადგენს ნაშრომის შედეგებს პრეზენტაციის სახით, რომელიც ფასდება კომისიის თითოეული წევრის მიერ (მაქსიმუმ 40 ქულა). ამ კომპონენტში სტუდენტის საბოლოო შეფასება იანგარიშება კომისიის ყველა წევრის შეფასების საშუალო არითმეტიკულით. მიღებული შეფასება დადებითად ითვლება, თუ კომისია სტუდენტის ნაშრომს შეაფასებს 20 და მეტი ქულით;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასებას წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და კომისიის საბოლოო

შეფასების ჯამი, რომელიც ტოლია ან აღემატება 51 ქულას.
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია.

**სწავლის შედეგები**

პროგრამის სასწავლო კომპონენტების დასრულების შემდეგ სტუდენტს აქვს თარგმანმცოდნეობის სფეროს ღრმა, სისტემური ცოდნა და უახლეს მიღწევების კრიტიკული გააზრების უნარი, რათა განავითაროსახალი,ორიგინალური იდეები. შეუძლია უცნობ ან მულტიდისციპლინურ გარემოში რთული პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური ძიება, კვლევის განხორციელება, რთული ან არასრული ინფორმაციის, უახლესი კვლევების კრიტიკული ანალიზი, ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი, შეფასება და დასკვნების ჩამოყალიბება, სადაც ასახული იქნება სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობები. შეუძლია საკუთარი დასკვნების, არგუმენტების და კვლევის შედეგების წარდგენა აკადემიური და პროფესიული საზოგადოებისთვის აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით. მოქმედებს აკადემიური კეთილსინდისირების პრინციპების დაცვით, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით. შეუძლია თარგმანმცოდნეობის სფეროს განვითარებასა და პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი ღირებულებების ფორმირებაში წვლილის შეტანა, საკუთარი სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა. მაგისტრანტს შეუძლია სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში ამავე სპეციალობით ან მომიჯნავე სპეციალობებზე.

**ცოდნა და გაცნობიერება:**

1. იყენებს თარგმანმცოდნეობის ძირითად კონცეფციებსა და თეორიებს, სფეროსათვის დამახასიათებელ უახლეს კვლევის მეთოდებს, თარგმანის ისტორიის ძირითად საკითხებს თარგმანის თეორიული და პრაქტიკული პრობლემების გადასაჭრელად, ინოვაციური თეორიული და პრაქტიკული პროექტების განსახორციელებლად.
2. მაღალი ენობრივი კომპეტენციით ადარებს ორიგინალსა და თარგმანს, აღწერს და ხსნის მათ შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებებს; აანალიზებს კვლევის მასალებს თარგმანის თეორიასა და ისტორიაში.

**უნარები:**

3. დამოუკიდებლად გეგმავს და ახორციელებს თარგმანმცოდნეობით კვლევებს; რთული ან არასრული ინფორმაციის პირობებში კრიტიკულად აანალიზებს და აფასებს მოპოვებულ ინფორმაციას; წარმატებით არჩევს და უსადაგებს საკვლევ პრობლემას თარგმანმცოდნეობის თანამედროვე კონცეფციებსა და კვლევის მეთოდებს; იყენებს შესაბამის თემატურ და სფეროს შესატყვის ცნებებს, ტერმინოლოგიასა და ფრაზეოლოგიას, სპეციალიზებულ წყაროებს და ა.შ.;
4. იყენებს სტრატეგიულ, მეთოდოლოგიურ და თემატურ კომპეტენციებს თარგმნის მთელი ციკლის განმავლობაში (თარგმნამდე, საკუთრივ თარგმნისას და მის შემდეგ) მაღალი ხარისხის პროდუქტის მისაღებად; ახორციელებს კონკრეტული მთარგმნელობითი სიტუაციიდან გამომდინარე როგორც ტიპურ, ასევე არასტანდარტულ მთარგმნელობით ოპერაციებს; აანალიზებს წყაროს დოკუმენტს, ახდენს პოტენციური ტექსტური და შემეცნებითი სირთულეების იდენტიფიცირებას და

სტრატეგიებისა და რესურსების შეფასებას; განსაზღვრავს თარგმანის ტექსტის ორიგინალთან სემანტიკური, სტრუქტურული და გრამატიკული შესაბამისობის ხარისხს. დამოუკიდებლად ასრულებს სხვადასხვა ტიპის ტექსტის თარგმანს ლექსიკური ეკვივალენტობის, ამოსავალი და თარგმანის ენების სტილისტური მახასიათებლებისა და გრამატიკული ნორმების დაცვით.

5. ასაბუთებს საკუთარ მთარგმნელობით გადაწყვეტილებებსა და არჩევანს, ახდენს პრეზენტაციას შესრულებული სამუშაოს შესახებ თანამედროვე ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენებით;
6. მონაწილეობს დისკუსიაში, მსჯელობს არგუმენტირებულად სიტუაციისა და შესაბამისი მონაცემების კრიტიკული ანალიზისა და შეფასების საფუძველზე.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:**

7. მაღალი პროფესიული პასუხისმგებლობით მართავს საკუთარ დროსა და დატვირთვას, იცავს ვადებსა და ინსტრუქციებს, იღრმავებს ცოდნას, აახლებს და ივითარებს კომპეტენციებს, გეგმავს თავის პროფესიულ განვითარებას.
8. იცავს და იყენებს მთარგმნელობით საქმიანობაში პროფესიულ, ზნეობრივ და ეთიკურ ნორმებს.
9.

**დასაქმების სფეროები**

ქშრომით ბაზარზე არის მოთხოვნა ამ პროფილის სპეციალისტებზე. მათ შეიძლება იმუშაონ სხვადასხვა ტიპის საერთაშორისო, სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებში, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, უმაღლეს სასწავლებლებში, ნოტარიატებში, ბიბლიოთეკებში, მუზეუმებში, მასმედიის საშუალებებში, გამომცემლობებში ექსპერტებად, მთარგმნელებად, რედაქტორებად, სტილისტებად და სხვ. ან აწარმოონ დამოუკიდებელი მეცნიერული კვლევა.

| პროგრამის სახელწოდება | ლიტერატურათმცოდნეობა, ტექსტოლოგია და სარედაქციო-საგამომცემლო საქმე<br>Literary Studies, Textology and Publishing |
|---|---|
| **საფეხური** | სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** | • საერთო სამაგისტრო გამოცდა;<br>• ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი სწავლის ფართო სფეროებში:<br>1. ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები;<br>2. სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია;<br>3. განათლება;<br>ან ბაკალავრი, რომელსაც გავლილი აქვს დამატებითი (minor) პროგრამა ქართულ ფილოლოგიაში;<br><br>• უცხოური (ინგლისური/ გერმანული /ფრანგული) ენის **B1 / B2** დონეზე ცოდნის დადასტურება FCE ტესტური ფორმატის გამოცდით (მიღებული ქულის მიხედვით ენის ფლობის დონის განსაზღვრა : 71-100 – B2; 51 - 70 – B1) ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერტიფიკატით. ამასთან, B2 დონით შემომსვლელი მაგისტრანტები თავისუფლდებიან პროგრამის სასწავლო გეგმით შეთავაზებული ინგლისური/ გერმანული /ფრანგული B2.1 და B2.2 კურსების გავლის ვალდებულებისგან.<br><br>• სასპეციალიზაციო წერითი გამოცდა ლიტერატურის თეორიაში. |
| **სწავლების ენა** | ქართული |
| **კვალიფიკაცია** | ლიტერატურათმცოდნეობის მაგისტრი/ Master of Literary Studies<br>(მოდულისთვის ზოგადი და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა);<br>ფილოლოგიის მაგისტრი / Master of Philology<br>(მოდულისთვის ტექსტოლოგია და სარედაქციო-საგამომცემლო საქმე). |
| **სწავლების ხანგრძლივობა** | 4 სემესტრი |
| **ECTS** | 120 ECTS კრედიტი |
| სწავლების გადასახადი | 2250 ლარი |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | თსუ სასწავლო კორპ. N1, ი. ჭავჭავაძის გამზ. N1; სასწავლო კორპ. N8, ი. ჭავჭავაძის გამზ. N13 |
| პროგრამის განმახორციელებელი | თეორიული და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი |

| | |
|---|---|
| ერთეული | |
| საკონტაქტო პირი | პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი: პროფ. ირმა რატიანი |
| | ტელ.: +995 551325005 |
| | ელფოსტა: irma.ratiani@tsu.ge |
| მოდულები | • ზოგადი და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა,<br>• ტექსტოლოგია და სარედაქციო–საგამომცემლო საქმე. |
| პროგრამის სტრუქტურა | |
| კომპონენტის სტატუსი | ECTS-მოცულობა |
| საერთო სავალდებულო | 30 ECTS კრედიტი |
| მოდულის სავალდებულო | 30 ECTS კრედიტი |
| არჩევითი | 30 ECTS კრედიტი |
| სამაგისტრო ნაშრომი | 30 ECTS კრედიტი |

**პროგრამის მიზანი**

სამაგისტრო პროგრამას „ლიტერატურათმცოდნეობა, ტექსტოლოგია და სარედაქციო-საგამომცემლო საქმე" ახორციელებს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თეორიული და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. პროგრამა თავისი არსითა და დანიშნულებით მულტიმეთოდოლოგიურია და ორიენტირებულია საქართველოს დასაქმების ბაზარზე.

პროგრამის მიზანია, მოამზადოს მაგისტრები როგორც თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევების ძირითადი თეორიული მიმართულებების – ინტერკულტურული და კულტურათაშორისი კვლევების, ისე სპეციფიკური ფილოლოგიური საქმიანობის – ტექსტოლოგიური კვლევებისა და სარედაქციო-საგამომცემლო მუშაობის მიმართულებით, აღჭურვოს ისინი საჭირო ღრმა და ფუნდამენტური თეორიული და პრაქტიკული ცოდნით დარგში, რათა შეძლონ წარმატებული პროფესიული დასაქმება ან სწავლის გაგრძელება სადოქტორო საფეხურზე.

სამაგისტრო პროგრამის „ლიტერატურათმცოდნეობა, ტექსტოლოგია და სარედაქციო-საგამომცემლო საქმე" საერთო მიზნებია: აკადემიური სფეროსა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, კურსდამთავრებულების აღჭურვა საერთაშორისო კომპეტენციებზე დაფუძნებული დარგის სისტემური ცოდნითა და უნარებით, რათა მათ შეძლონ:

1. ზოგადი და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის, ტექსტოლოგიისა და/ან საგამომცემლო საქმის მიმართულებით სამეცნიერო-კვლევითი, პედაგოგიური და პრაქტიკული საქმიანობა დარგის კონცეპტუალური ცოდნით, ლიტერატურის, როგორც კულტურათაშორისი კომუნიკაციის ფორმის, მასშტაბურად გააზრებითა და მხატვრული ტექსტის სხვადასხვა თანამედროვე კრიტიკული მეთოდით (ინტერპრეტაციული, კომპარატივისტული, ტიპოლოგიური, ჰოლისტიკური და სხვ.) ანალიზის მეშვეობით;

2. თანამედროვე თეორიული მეთოდოლოგიების (ნარატოლოგია, პოსტსტრუქტურალიზმი, პოსტმოდერნისტული აზროვნება, სემიოტიკა, ფსიქოანალიზი, რეცეფციული ესთეტიკა და სხვ.) თეორიული ასპექტებისა და თანამედროვე ევროპული თეორიული ტენდენციების ქართულ ლიტერატურათმცოდნეობით ტრადიციებთან მიმართება **და ქართული** ლიტერატურათმცოდნეობითი სკოლის მიღწევების მსოფლიო ლიტერატურათმცოდნეობითი დიალოგის კონტექსტში გააზრება;
3. თეორიული,ზოგადი და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის, ტექსტოლოგიისა და/ან სარედაქციო-საგამომცემლო საქმის მიმართულებით ინტერდისციპლინარულ კვლევებში ჩართვა, ინდივიდუალური კვლევითი ინტერესი დასავლურ თეორიულ თუ პრაქტიკულ მოთხოვნებთან ადეკვატური სინთეზი, დარგის აქტუალური თეორიებით ოპერირება და მიმდინარე ლიტერატურული პროცესების კვლევა;
4. ლიტერატურათმცოდნეობის, ტექსტოლოგიისა და სარედაქციო-საგამომცემლო საქმის კვლევების განხორციელებისას, მულტიპერსპექტიული მიდგომების საშუალებით, კრიტიკული აზრის დამკვიდრებაში მონაწილეობის მიღება დასარედაქციო-საგამომცემლო საქმიანობის, როგორც ჰუმანიტარულიაზროვნების აუცილებელი წარმოებისას, ტექსტის გამოსაცემად მომზადება-რედაქტირების ინოვაციური მეთოდების განხორციელებაში წვლილის შეტანა;
5. დარგის უახლესი ცოდნით და მაღალი პასუხისმგებლობით აკადემიურ სფეროში საკუთარი წვლილის შეტანა; აკადემიურ კეთილსინდისიერების დაცვით, კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემით ფილოლოგიური და ლიტერატურათმცოდნეობითი ცოდნის გაცვლა- გავრცელება აკადემიურ დასაზოგადოების ფართო წრეებში.

გარდა ზემოაღნიშნული საერთო მიზნებისა, პროგრამა მიზნად ისახავს, მეორე მოდულით – ***ტექსტოლოგიისა და სარედაქციო-საგამომცემლო საქმით*** მომზადებულმა კურსდამთავრებულებმა შეძლონ:

1. ტექსტოლოგიური კვლევის თეორიების, ტექნოლოგიებისა და სარედაქციო საქმის სტრატეგიებისა და მენეჯმენტის ფუნდამენტური ცოდნის საფუძველზე ტექსტის რედაქტირების, კორექტირებისა და სტილისტური დამუშავების თეორიული და პრაქტიკული მეთოდების გამოყენება პროფესიულისაქმიანობისას,
2. აკადემიური წერის სხვადასხვა სტილის საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება ტექსტის რედაქტირებისა და აკადემიური გამოცემის სტრუქტურირებისას;
3. ტექსტის განსხვავებული რედაქციებისა და ვარიანტების შედარებით, მათი სისტემატიზირებით, შეჯერებული რედაქციის დადგენადა აკადემიური მოთხოვნების შესაბამისად გამოსაცემად მომზადება.

**სწავლის მეთოდები**

სწავლების პროცესში დავეყრდნობით სალექციო და სამუშაო ჯგუფების, შუალედური და ფინალური წერითი გამოცდების, პრეზენტაციების ფორმებს. გამოყენებული იქნება ვერბალური გადაცემის, გონებრივი იერიშის, წიგნზე მუშაობის, ანალიზის, სინთეზის, ახსნა-განმარტებისა და ჯგუფური მუშაობის მეთოდები. გამოყენებული იქნება დარგობრივი ლიტერატურათმცოდნეობითი მეთოდები – აღწერითი, შედარებითი, შეპირისპირებითი მეთოდები.

**შეფასების სისტემა**

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით.
შეფასება ითვალისწინებს შუალედურ განმავითარებელ შეფასებას (60 ქულა) და დასკვნით გამოცდას (40 ქულა). შუალედური შეფასება ხორციელდება მინიმუმ სამი კომპონენტის მიხედვით. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები განსხვავებულია და მათი აღწერა მოცემულია კონკრეტული კურსის სილაბუსში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედურ შეფასებებში დაგროვებული აქვს მინიმუმ 21 ქულა. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდის (კომბინირებული - წერა/ზეპირი გამოცდის შემთხვევაში, თითოეული კომპონენტის) მაქსიმალური ქულის 50 %-ს.
სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:
(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:
ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი დამასრულებელ სემესტრში ამზადებს **სამაგისტრო ნაშრომს.** შესაბამისი მარეგულირებელი წესის თანახმად:

- ✓ სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთიანად დასკვნითი შეფასებით 100-ქულიანი სისტემით;
- ✓ რეცენზენტი წერს ნაშრომის შესახებ რეცენზიას და აფასებს სტუდენტის ნაშრომს მაქსიმუმ 60 ქულით. 31 ქულაზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე არ დაიშვება;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, საჯარო დაცვამდე სამაგისტრო ნაშრომი შემოწმებული უნდა იყოს Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით.
- ✓ ნაშრომი ფასდება კომისიის მიერ წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტი წარმოადგენს ნაშრომის შედეგებს პრეზენტაციის სახით, რომელიც ფასდება კომისიის თითოეული წევრის მიერ (მაქსიმუმ 40 ქულა). ამ კომპონენტში სტუდენტის საბოლოო შეფასება იანგარიშება

კომისიის ყველა წევრის შეფასების საშუალო არითმეტიკულით. მიღებული შეფასება დადებითად ითვლება, თუ კომისია სტუდენტის ნაშრომს შეაფასებს 20 და მეტი ქულით;

- ✓ სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასებას წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და კომისიის საბოლოო შეფასების ჯამი, რომელიც ტოლია ან აღემატება 51 ქულას.
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია.

**სწავლის შედეგები**

სამაგისტრო პროგრამით „ლიტერატურათმცოდნეობა, ტექსტოლოგია და სარედაქციო საქმე" მომზადებული მაგისტრი ფლობს შემდეგ დარგობრივ კომპეტენციებს:

**ცოდნა და გაცნობიერება:**

- აღწერს ლიტერატურის თანამედროვე თეორიების/კონცეპტების ძირითად მახასიათებლებს/კატეგორიებს, კომპარატივისტიკის მეთოდოლოგიურ და თეორიულ მახასიათებლებს, თანამედროვე ტექსტოლოგიის, ციფრული გამოცემის ძირითად ეტაპებსა და თავისებურებებს.
- განსაზღვრავს ნარატოლოგიის, პოსტსტრუქტურალიზმის, პოსტმოდერნისტული აზროვნების, სემიოტიკის, ფსიქოანალიზის, რეცეფციული ესთეტიკისა და სხვ. ძირეულ თეორიულ ასპექტებს,
- აანალიზებს მათი ჩამოყალიბებისა და ტრანსფორმაციის ფილოსოფიურ, ესთეტიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ დისკურსებს;
- სიღრმისეულად და არგუმენტირებულად განიხილავს ლიტერატურის თეორიისა და კომპარატივისტიკის კვლევით ღირებულებას ფიქციური და ფაქტუალური ტექსტების შესასწავლად, ბეჭდურ და ციფრულ აკადემიურ გამოცემებს შორის არსებულ პარადიგმულ სხვაობას.
- ხსნის და აღწერს ქართული ლიტერატურის განვითარების ძირითად ტენდენციებსა და ჟანრობრივ მახასიათებლებს; მასში მიმდინარე პროცესების რიგ მეთოდოლოგიურ თავისებურებებს მსოფლიოში მიმდინარე ლიტერატურულ-კულტურული პროცესების გათვალისწინებით.

**I მოდული:**

- სიღრმისეულადმიმოიხილავს განსხვავებულ ესთეტიკურ სისტემებს, სხვადასხვა ეპოქისთვის ნიშანდობლივ კონცეპტუალურ მოდელებს, ლიტერატურულ სააზროვნო სივრცეს, სკოლებს, მიმდინარეობებს, ჟანრულ სისტემასა და თეორიულ შეხედულებებს;
- განიხილავს დროისა და სივრცის, ქრონოტოპის თეორიებს პლატონისა და არისტოტელეს ეპოქიდან ბერგსონის ეპოქებამდე, მათ ფილოსოფიურ, სამეცნიერო და ლიტერატურულ მოდიფიკაციებს;
- იაზრებს / გამოკვეთს პრობლემას ინტერდისციპლინურ კონტექსტში სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით;

II მოდული:

- განსაზღვრავს საგამომცემლო საქმის თეორიულ ასპექტებს, სარედაქციო პროცესს და მის სისტემას, კონცეფციებს, პრინციპებსა და მიმართულებებს,
- მიმოიხილავს ბეჭდვითი საქმის განვითარების არსებით მომენტებს, საგამომცემლო პროცესის ტექნოლოგიას, წიგნის დიზაინის საფუძვლებს, რედაქტირების სხვადასხვა ფორმებსა და სახეებს;
- ტექსტოლოგიური კვლევის თეორიების, ტექნოლოგიებისა და სარედაქციო საქმის სტრატეგიებისა და მენეჯმენტის ფუნდამენტური ცოდნის საფუძველზე განიხილავს და ადარებს განსხვავებულ რედაქციებს და ახდენს გამოცემების სისტემატიზირებას;

**უნარები:**

სამაგისტრო პროგრამით მომზადებული მაგისტრი

1. სიღრმისეულად ფლობს დარგის უახლეს მეთოდებსა და თეორიებს, აანალიზებს ტიპოლოგიურად მსგავსმოტივებს საერთაშორისო კონტექსტში, გამოკვეთს განსხვავებულ ნარატივებს და ადგენს მათ თავისებურებებს. მაღალი აკადემიური სიზუსტით ოპერირებს ადეკვატური ტერმინოლოგიურიაპარატით ლიტერატურული ტექსტების კვლევისას და კვლევის შედეგების პრეზენტაციისას.
2. კრიტიკულად ამუშავებს დარგობრივ სამეცნიერო ლიტერატურას და ადგენს სამეცნიერო ხასიათის ინსტრუმენტს აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან წარმატებული კომუნიკაციისთვის.

I მოდული:

1. კრიტიკულად და არგუმენტირებულად აანალიზებს ქართველი და უცხოელი ლიტერატურათმცოდნე თეორეტიკოსების შეხედულებებსა და სამეცნიერო ნაშრომებს; გამოყოფს კონცეპტუალურ დარგობრივ პრიორიტეტებს, აყალიბებს ქართული ლიტერატურული ტენდენციების პრობლემურ საკითხებს და გამოყოფს საკვლევი პრობლემის გადაჭრის თანამედროვე და ინოვაციურ მიდგომებს.
2. აანალიზებს და აფასებს ლიტერატურათმცოდნეობის ცალკეულ პრობლემებს მსოფლიო ლიტერატურული პროცესების ჭრილში, ინტერდისციპლინურ კონტექსტში დარგის მომიჯნავე დისციპლინებთან მიმართებით (ფილოსოფია, ესთეტიკა, კულტურა, ანთროპოლოგია, ფოლკლორი) სხვადასხვა მეთოდის – ინტერპრეტაციული, კომპარატივისტული, ტიპოლოგიური, ჰოლისტიკური და სხვ. – გამოყენებით;

II მოდული:

1. ადგენს ტექსტის რედაქტირების, კორექტირებისადა სტილისტური დამუშავების სტრატეგიებს; აწესრიგებს ტექსტს

გამოსაცემად – არედაქტირებს, აკორექტირებს და სტილისტურად ამუშავებს; აფასებს საგამომცემლო საქმიანობას, როგორც ჰუმანიტარული აზროვნების აუცილებელი პრაქტიკული პროდუქტის, მუშაობის სპეციფიკას.

2. საგამომცემლო საქმის სფეროში მსოფლიოს წამყვანი ბრენდების გამოცდილების გათვალისწინები მაგისტრი შეისწავლის და აანალიზებს თანამედროვე ქართული წიგნის ბაზრის სამოქმედო პრინციპებსა და მოთხოვნილებებს, საგამომცემლო ოპერაციებს; საავტორო უფლებებს, რეკლამასა და საგამომცემლო საქმის მარკეტინგსა და მენეჯმენტს.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:**

1. პასუხისმგებლობის მაღალი ხარისხით გეგმავს და მართავს სამუშაო დროს, შეიმუშავებს სტრატეგიულ მიდგომებს პროფესიული ცოდნის გასაახლებლად, შემდგომი სწავლის პროცესისა და კვლევების დამოუკიდებლად წარსამართად.
2. ამჟღავნებს დარგისათვის სპეციფიკური ეთიკური პრობლემების ცოდნას და გამოხატავს ეთიკურ პოზიციას – ავლენს უცხოს მიმართ შემწყნარებლობას, ტოლერანტულია განსხვავებული აზრის მიმართ, ემიჯნება ფანატიკურ და ფუნდამენტალისტურ შეხედულებებს.
3. პროფესიული საქმიანობისას იცავს აკადემიური ეთიკის ნორმებს და აკადემიურ კეთილსინდისიერებას.

**დასაქმების სფეროები**

აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს, როგორც მკვლევარსა და ლექტორს, მუშაობა შეეძლება:
• საჯარო სკოლაში (პედაგოგთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდეგ), უმაღლეს
სასწავლებლებში - შესაბამისი მიმართულების შესაბამის აკადემიურ თანამდებობაზე;
• ჰუმანიტარული პროფილის კვლევით ინსტიტუტებში;
• საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკასა და ნებისმიერ სხვა ბიბლიოთეკაში;
• მუზეუმებში;
• საგამომცემლო ორგანიზაციებში, ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში;
• რადიოსა და ტელევიზიაში რედაქტორად და კონსულტანტად;
• საქართველოს ცენტრალურ არქივსა და სხვა არქივებში;
• საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულ სასულიერო აკადემიასა თუ სემინარიაში;
• არასამთავრობო და კერძო სტრუქტურებში ლიტერატურულ და საგამომცემლო ექსპერტად.

| პროგრამის სახელწოდება | შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგია<br>Philology of Medieval Christian East |
|---|---|
| საფეხური | სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა |
| პროგრამაზე დაშვების წინაპირობა | • საერთო სამაგისტრო გამოცდა.<br>• ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი სწავლის ფართო სფეროებში:<br>1. ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები;<br>2. სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია;<br>3. განათლება;<br>4. ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართალი.<br>ან ბაკალავრი, რომელსაც გავლილი აქვს დამატებითი (minor) პროგრამა ქართულ ფილოლოგიაში;<br>• უცხოური (ინგლისური/ გერმანული /ფრანგული) ენის **B1 / B2** დონეზე ცოდნის დადასტურება FCE ტესტური ფორმატის გამოცდით (მიღებული ქულის მიხედვით ენის ფლობის დონის განსაზღვრა : 71-100 – B2; 51 - 70 – B1) ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერტიფიკატით. ამასთან, B2 დონით შემომსვლელი მაგისტრანტები თავისუფლდებიან პროგრამის სასწავლო გეგმით შეთავაზებული ინგლისური/ გერმანული /ფრანგული B2.1 და B2.2 კურსების გავლის ვალდებულებისგან.<br>• სასპეციალიზაციო წერითი გამოცდა ლიტერატურის თეორიაში. |
| სწავლების ენა | ქართული |
| კვალიფიკაცია | ფილოლოგიის მაგისტრი<br>Master of Philology |
| სწავლების ხანგრძლივობა | 4 სემესტრი |
| ECTS | 120 ECTS კრედიტი |
| სწავლების გადასახადი | 2250 ლარი |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | თსუ სასწავლო კორპ. N1, ი. ჭავჭავაძის გამზ. N1; სასწავლო კორპ. N8, ი. ჭავჭავაძის გამზ. N13 |
| პროგრამის განმახორციელებელი ერთეული | ინტერდისციპლინური აკადემიური პერსონალი |
| საკონტაქტო პირი | პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი: ასოც. პროფ. ნათია ჩანტლაძე; ასოც. პროფ. ანა ხარანაული |

| | |
|---|---|
| | ტელ.: +995 599963442; +995 558567789 |
| | ელფოსტა: natia.chantladze@tsu.ge ; ana.kharanauli@tsu.ge |
| მოდულები | • შუა საუკუნეების ქართული ფილოლოგია<br>• შუა საუკუნეების სომხური ფილოლოგია |
| პროგრამის სტრუქტურა | |
| კომპონენტის სტატუსი | ECTS-მოცულობა |
| საერთო სავალდებულო | 30 ECTS კრედიტი |
| მოდულის სავალდებულო | 30 ECTS კრედიტი |
| არჩევითი | 30 ECTS კრედიტი |
| სამაგისტრო ნაშრომი | 30 ECTS კრედიტი |
| | |
| პროგრამის მიზანი | |

პროგრამის მიზნებია აკადემიური სფეროსა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად კურსდამთავრებულების აღჭურვა საერთაშორისო კომპეტენციებზე დაფუძნებული სისტემური ცოდნით, მეთოდოლოგიითა და უნარებით; ღრმა და სისტემური ცოდნის მიცემა შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგიაში; ანალიტიკური აზროვნების განვითარება, დამოუკიდებელი მეცნიერული ანალიზისა და კომუნიკაციური უნარების განვითარება. ყოველივე ამის საფუძველზე მათ შეეძლებათ:

1. შუა საუკუნეების ქრისტიანულ აღმოსავლეთში „ლინგვაფრანკასა“ დანაციონალური ენების ურთიერთმიმართების განხილვა, იმგზების გაანალიზება, რომლითაც ვითარდებოდა ნაციონალური მწერლობა დიგლოსიის პირობებში; შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის სააზროვნო ინტერესების აღწერა; ცალკეულ ქვეყნებსა და კულტურებში ამ ინტერესებს შორის არჩევანის განმაპირობებელი პრიორიტეტების დადგენა და ურთიერთშედარება.
2. ძველი ქართული ენის, ასევე ძველი ბერძნული ენის / ძველი სომხური ენის ღრმა და სისტემური ცოდნის საფუძველზე შუა საუკუნეების ქრისტიანულ აღმოსავლეთში თარგმანის როლის აღწერა: თარგმანის, როგორც კულტურული ტრანსფერის მამოძრავებელი ძალისა და თარგმანის, როგორც სამწერლობო ენის ჩამოყალიბებისა და დახვეწის საშუალების.
3. ქართული / სომხური ენის კულტურულ-საზოგადოებრივი გარემოს განსაზღვრა, აღწერა, გააანალიზება და სომხურ და/ან ქართულ და ბიზანტიურ კულტურულ-საზოგადოებრივ გარემოსთან შედარება, რაც მოიცავს ლინგვისტურ, ლიტმცოდნეობით, ტექსტოლოგიურ, ისტორიოგრფიულ, წყაროთმცოდნეობით კომპეტენციებს.
4. ტექსტის კითხვა და ინტერპრეტაცია; პირველწყაროებზე დამოუკიდებელი სამეცნიერო მუშაობა და სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი; კვლევის მეთოდების მეთოდების დაუფლებითა და უახლესი სამეცნიერო ცოდნით საქართველოში შუა საუკუნეების ქრისტიანული ფილოლოგიის შემდგომი განვითარების ხელშეწყობა; საკუთარი წვლილის შეტანა აკადემიურ სფეროს განვითარებაში და ცოდნის გაცვლა-გავრცელება აკადემიურ საზოგადოებასა და ფართო წრეებში; შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგიური და მთარგმნელობითი ტრადიციების

კომპარატივისტულ კვლევებში წარმატებული ჩართვა; შუა საუკუნეების ქრისტიანული კავკასიის კვლევების საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირება.

**სწავლის მეთოდები**

სწავლის შედეგების მისაღწევად სამაგისტრო პროგრამა "შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგია" ლექციის, სამუშაო ჯგუფის, პრაქტიკული მეცადინეობის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, თარგმანის, საკონტროლო წერის, დასკვნითი გამოცდის, სამაგისტრო ნაშრომის და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ჯგუფური მუშაობა, ევრისტიკული მეთოდი, დისკუსია/დებატები, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, წერითი დავალებები და სხვ.).

**შეფასების სისტემა**

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით.
შეფასება ითვალისწინებს შუალედურ განმავითარებელ შეფასებას (60 ქულა) და დასკვნით გამოცდას (40 ქულა). შუალედური შეფასება ხორციელდება მინიმუმ სამი კომპონენტის მიხედვით. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები განსხვავებულია და მათი აღწერა მოცემულია კონკრეტული კურსის სილაბუსში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედურ შეფასებებში დაგროვებული აქვს მინიმუმ 21 ქულა. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდის (კომბინირებული - წერა/ზეპირი გამოცდის შემთხვევაში, თითოეული კომპონენტის) მაქსიმალური ქულის 50 %-ს.
სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:
(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:
ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი დამასრულებელ სემესტრში ამზადებს **სამაგისტრო ნაშრომს.** შესაბამისი მარეგულირებელი წესის თანახმად:

- ✓ სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთიანად დასკვნითი შეფასებით 100-ქულიანი სისტემით;
- ✓ რეცენზენტი წერს ნაშრომის შესახებ რეცენზიას და აფასებს სტუდენტის ნაშრომს მაქსიმუმ 60 ქულით. 31 ქულაზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე არ დაიშვება;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, საჯარო დაცვამდე სამაგისტრო ნაშრომი შემოწმებული უნდა იყოს Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით.
- ✓ ნაშრომი ფასდება კომისიის მიერ წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტი წარმოადგენს ნაშრომის შედეგებს პრეზენტაციის სახით, რომელიც ფასდება კომისიის თითოეული წევრის მიერ (მაქსიმუმ 40 ქულა). ამ კომპონენტში სტუდენტის საბოლოო შეფასება იანგარიშება კომისიის ყველა წევრის შეფასების საშუალო არითმეტიკულით. მიღებული შეფასება დადებითად ითვლება, თუ კომისია სტუდენტის ნაშრომს შეაფასებს 20 და მეტი ქულით;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასებას წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და კომისიის საბოლოო შეფასების ჯამი, რომელიც ტოლია ან აღემატება 51 ქულას.
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია.

**სწავლის შედეგები**

**ცოდნა და გაცნობიერება:**

- ძველი ქართული ენის ღრმა, აგრეთვე ძველი ბერძნული / ძველი სომხური ენების სტრუქტურების ფართო, სისტემური ცოდნის საფუძველზე სამეცნიერო მეტაენით აღწერს და ახასიათებს გრამატიკულ პროცესებს როგორც ქართულ, ასევე სომხურ და ბერძნულ ენებში, ქართულ-ბერძნულ-სომხურ ენობრივ კონტაქტებს და ამ კონტაქტების გავლენას ნაციონალურ ენებზე. განიხილავს შესაბამის სამეცნიერო ლიტერატურას და კრიტიკულად მიმოიხილავს მეცნიერულ პოზიციებს.
- პირველწყაროებზე დაყრდნობით და კვლევის უახლესი მეთოდების გამოყენებით აღწერს და განიხილავს ძველ ქართულ,ძველ ბერძნულ / ძველ სომხურ ენებზე შექმნილ ტექსტებს და მათ მატარებელ მატერიალურ წყაროებს,მათზე დაყრდნობით მსჯელობს ეპიგრაფიკის, კოდიკოლოგიისა და პალეოგრაფიის, ტექსტის ენის, ტექსტის ჰერმენევტიკის, ლიტერატურული და ტექსტოლოგიური კრიტიკისა და თარგმანმცოდნეობის ზოგად და კონკრეტულ საკითხებზე. საფუძვლიანად და ღრმად ერკვევა წყაროთმცოდნეობისა და პალეოგრაფია-კოდიკოლოგიის პრობლემატიკაში.
- აღწერს და ახასიათებს შუა საუკუნეების სააზროვნო პროცესებს, ფილოლოგიური კვლევის მეთოდების შესწავლის საფუძველზე, პირველწყაროებზე დაყრდნობით განიხილავს სხვადასხვა ფილოლოგიურ, ფილოსოფიურ და თეოლოგიურ პრობლემას და კონცეპტუალურად აფასებს მათ. ავლენს შუა საუკუნეების სასულიერო მწერლობისა და ძველი ქართული სამწერლობო კერების ისტორიის, ტექსტოლოგიის საფუძვლების ცოდნას.

**უნარები:**

- იყენებს ძველი ენების ცოდნას, როგორც ინსტრუმენტს ტექსტის ანალიზისა და კომენტარის დროს.
- იყენებს შესწავლილ ენებს (ქართულთან ერთად) სამეცნიერო ხასიათის ტექსტის შესადგენად.
- კრიტიკულად აანალიზებს ქართული, ბერძნული / სომხური ენების ისტორიებს და მათ მამოძრავებელ იმპულსებს, სამეცნიერო აზრს კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით.
- კითხულობს და აანალიზებს ქართულ-ბერძნულ-სომხურენოვან ტექსტებს, დარგობრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით ახდენს მათ ინტერპრეტაციას შუა საუკუნეები ენობრივი, ლიტერატურული, კულტურული და ისტორიული პერსპექტივიდან.
- ფართოდ იაზრებს შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის, კერძოდ, ქრისტიანული კავკასიის ზოგად ლიტერატურულ, კულტურულ, რელიგიურ პრობლემატიკას. შესაბამისი კვლევის მეთოდების გამოყენებით ახდენს ქართულ-ბერძნულ-სომხური ლიტერატურული და რელიგიური ურთიერთობების კონტექსტუალიზაციას სინქრონიასა და დიაქრონიაში.
- ავლენს ინდივიდუალური თუ ჯგუფური მუშაობის პირობებში აბსტრაქტული მონაცემებისა და კონცეფციების,კვლევის მეთოდების საჭიროებისამებრ ტრანსფორმაციისა და პრობლემის გადაჭრის უნარს;
- ავითარებს ინოვაციურ მიდგომებს, ახალ და ორიგინალურ იდეებს, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით აყალიბებს მათ საკვალიფიკაციო ნაშრომში და პროფესიული ეთიკის და აკადემიური კეთილსინდისიერებისპრინციპების დაცვით წარუდგენს აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას შეძენილი კომპეტენციების საფუძველზე ცვლად და არაპროგნოზირებად გარემოში იცვლის სასპეციალიზაციო ორიენტაციას და კვლევით სამუშაოს ასრულებს მომიჯნავე დარგებში - ბიზანტინისტიკა, არმენოლოგია, მედიევისტიკა, კულტურის კვლევები და სხვა.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:**

- ამჟღავნებს ნაცნობ და უცნობ გარემოში დამოუკიდებელი სწავლის, კვლევის და მუშაობის უნარს და ამით შეაქვს წვლილი შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგიის დარგობრივი ცოდნის განვითარებაში.
- პროფესიული საქმიანობისას იცავს აკადემიური ეთიკის ნორმებს, ახდენს ობიექტური, მიუკერძოებელი კვლევის ჩვევებისა და აკადემიური კეთილსინდისიერების დემონსტრირებას. ქართულ- ბერძნულ-სომხური ურთიერთობების სხვადასხვა ასპექტების აღწერისა და გაანალიზებისას, სტუდენტს შეუძლია განსხვავებული შეხედულებების მიღება, ადეკვატურად აფასებს მათ, განსაზღვრავს საკუთარ პოზიციას და მზადაა პასუხი გასცეს სამეცნიერო პოლემიკის დროს გაჩენილ შეკითხვებს, მას შეუძლია განსხვავებული აზრის მოსმენა, საკუთარ მსჯელობაში შესწორებების შეტანა.
- აღიარებს კულტურათშორისი განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების მნიშვნელობას (სწავლობს რა ქართულ ენასა და მასთან დაკავშირებულ საზოგადოებრივ-კულტურულ გარემოს ბერძნულ/სომხურ ენებსა და მათთან დაკავშირებულ საზოგადოებრივ-კულტურულ გარემოსთან შედარება- შეპირისპირებით), ამჟღავნებს ტოლერანტობას

| |
|---|
| განსხვავებული აზრის, კულტურებისა და კონფესიების მიმართ. |
| **დასაქმების სფეროები** |
| შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულ მაგისტრს შეუძლია დასაქმდეს სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, არქივებში, მუზეუმებში, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ზოგადსაგანმანათლებლო (საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დამატებითი მოთხოვნების შესრულების შემთხვევაში), და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, საჯარო სამსახურში, საზოგადოებრივ სექტორში; სხვადასხვა პროფილის სახელმწიფო და არასამთავრობო სტრუქტურებში, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, სამეცნიერო-კვლევით ფონდებში, ბიბლიოთეკებში, მასმედიის სფეროში, გამომცემლობებში და სხვა. მას უფლება ეძლევა, სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში. |

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | კავკასიოლოგია<br>Caucasiology |
| საფეხური | სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა |
| პროგრამაზე დაშვების წინაპირობა | ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ენის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი სწავლის ფართო სფეროებში:<br>1. ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები;<br>2. სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია;<br><br>პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლება აქვს ასევე ბაკალავრს, რომელსაც გავლილი აქვს დამატებითი (minor) პროგრამა კავკასიოლოგიაში;<br><br>➢ ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება;<br>➢ უცხოური ენის (ინგლისური/ გერმანული/ფრანგული) B1 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით (სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე B2 დონემდე ენის ცოდნის გაუმჯობესების პერსპექტივით); |
| სწავლების ენა | ქართული |
| კვალიფიკაცია | კავკასიოლოგიის მაგისტრი<br>Master of Caucasiology |
| სწავლების ხანგრძლივობა | 4 სემესტრი |
| ECTS | 120 ECTS კრედიტი |
| სწავლების გადასახადი | 2250 ლარი |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის იბერია-კავკასიური ენათმეცნიერების კაბინეტი და მუზეუმი. ი. ჭავჭავაძის გამზ N19, ბინა N22 |
| პროგრამის განმახორციელებელი ერთეული | კავკასიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი |
| საკონტაქტო პირი | პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი: პროფ. მერაბ ჩუხუა<br>ტელ.: 595 08 95 89<br>ელფოსტა: merab.chukhua@tsu.ge |

| | |
|---|---|
| მოდულები | • იბერიულ–კავკასიური ენათმეცნიერება და არეალური ლინგვისტიკა<br>• კავკასიის ხალხთა ისტორია |
| პროგრამის სტრუქტურა | |
| კომპონენტის სტატუსი | ECTS-მოცულობა |
| საერთო სავალდებულო | 30 ECTS კრედიტი |
| მოდულის სავალდებულო | 45 ECTS კრედიტი |
| არჩევითი | 15 ECTS კრედიტი |
| სამაგისტრო ნაშრომი | 30 ECTS კრედიტი |
| | |
| პროგრამის მიზანი | |

კავკასიოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მიზანია თანამედროვე შრომის ბაზრისა და აკადემიური სივრცის, ასევე დარგში საერთაშორისო სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისი ღრმა და სისტემური ცოდნით აღჭურვილი, კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულის მომზადება, რომელიც სასპეციალიზაციო დარგის ინტერდისციპლინურობის გათვალისწინებით ფლობს რეგიონის შესახებ კომპლექსურ ცოდნას, დარგობრივ და ზოგად ტრანსფერულ უნარებს, რომელთა მეშვეობით მათ შეუძლიათ:

1. კვლევის თანამედროვე მეთოდების ათვისება და პრაქტიკაში გამოყენება; კავკასიოლოგიის საკვანძო საკითხებში ცოდნის გაღრმავება რეგიონში გავრცელებული ავტოქთონური ენების თავისებურებათა აქცენტირებით;
2. მეთოდოლოგიური მომზადების გაღრმავება და სამეცნიერო კვლევებში მათი გამოყენება; მრავალფეროვანი ენობრივი წყაროების გამოყენებით, მათი კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, მცირე მასშტაბის კომპლექსური კვლევის ჩატარება;
3. თანამედროვე კავკასიოლოგიის ძირითადი მიმართულებების, კონცეფციების, სპეციფიკისა და სადისკუსიო თემების საფუძვლიანი ცოდნა (სტუდენტის მიერ არჩეული საპროგრამო მოდულის მიხედვით) და პრაქტიკაში გამოყენება;
4. საკუთარი კვლევითი პროექტისათვის დისციპლინათაშორისი მიდგომების ჩარჩოებში თანამედროვე კავკასიოლოგიური კვლევა-ძიებების მეთოდების, თეორიული და საველე ენობრივი მასალების გააზრების საფუძველზე ქართულ-დასავლური პრაქტიკის პოზიტიური შედეგების გამოყენებით სამეცნიერო კვლევითი მუშაობის მომზადება და ჩატარება;
5. გამოქვეყნებული ენობრივი ტექსტების, კორპუსული ლინგვისტიკისა და ენობრივი პირველწყაროების მოხმობით ამათუიმ ენის დესკრიფციული აღწერა და სათანადო ანალიზი; სტრუქტურიზებული ლინგვისტური ნარატივის წერილობითი და ვერბალური პრეზენტაცია.
6. აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან ზეპირი და წერილობითი ფორმით კავკასიოლოგიის ფუნდამენტურ საკითხებზე/პრობლემებზე საკუთარი კვლევის შედეგების, დასკვნებისა და არგუმენტების, აკადემიური ეთიკის დაცვით რეალიზაცია; დამოუკიდებელი აკადემიური მუშაობა და მუშაობა აკადემიურ ჯგუფებში; უახლესი ცოდნით აკადემიურ სფეროში საკუთარი წვლილის შეტანა, ცოდნის გაცვლა-გავრცელება აკადემიურ და არააკადემიურ საზოგადოებაში, კავკასიოლოგიის პოპულარიზაცია;

თვითშეფასება, საკუთარი და განსხვავებული აზრის პატივისცემა; კავკასიის რეგიონის ენობრივი, ეთნიკური მრავალფეროვნებისა და კულტურული მემკვიდრეობის, ადგილობრივი მენტალობა-ფასეულობების პატივისცემა, კეთილმეზობლური დამოკიდებულებისა და ტოლერანტობის გამოვლენა.

**სწავლის მეთოდები**

სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფში მონაწილეობის, სემინარის, პრაქტიკულ მეცადინეობებზე საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, სამაგისტრო ნაშრომის, დასკვნითი გამოცდის და სხვ. ფორმატში იყენებს ვერბალურ, წიგნზე მუშაობის, ინდუქცია-დედუქციის, ანალიზისა და სინთეზის, ახსნა-განმარტებით, ჯგუფურ, დისკუსიასა და დებატებში მონაწილეობის, დემონსტრირების, როლური და სიტუაციური თამაშებისა და სხვა მე¬თო-დებს. ამასთან, სწავლების პროცესში გამოყენებულია დემონსტრირების თანამედროვე ტექნოლოგიები.

დისკუსია/დებატების პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხს სასწავლო პროცესში, მათ აქტივობას, სტუდენტს უვითარებს კამათისა და საკუთარი აზრის არგუმენტირებულად დასაბუთების უნარს; ჯგუფური მუშაობისსტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში; ევრისტიკული მეთოდი სტუდენტს ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზას ასწავლის; როლური და სიტუაციური თამაშები განსაკუთრებით ეფექტურია ენის სწავლების პროცესში და ხელს უწყობს სტუდენტის მაქსიმალურ მოტივირებას და მობილიზებას იმიტირებულ სიტუაციაში ჩასართველად. დემონსტრირების მეთოდი აუდიო და ვიზუალური გზით გვეხმარება, თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური.
პროგრამის სასწავლო კომპონენტის განხორციელებისას გამოიყენება სწავლების სხვადასხვა მეთოდი. ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. დარგობრივი ცოდნის შეძენისას პროგრამის კურიკულუმში ჩართული თითოეული დისციპლინა, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ირჩევს სწავლების მეთოდოლოგიურ მიდგომებს, რაც, უწინარეს ყოვლისა, გამოიხატება სწავლებისა და სწავლის სტრატეგიის განსაზღვრაში და დროის მართებულად ორგანიზებაში, ცოდნის მაღალი ხარისხის მისაღწევად. პროგრამის შემადგენელი კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლების პროცესში გამოყენებული ფორმატი და სწავლების მეთოდები მითითებულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება დროის მართებულ განაწილებას და სწავლების მეთოდთა სწორად შერჩევას სამუშაო ჯგუფებში, პრაქტიკულ მეცადინეობებსა და პრეზენტაციებისას, რადგან სწორად დაგეგმილი და განხორიციელებული ზეპირი კომუნიკაცია საუდიტორიო მუშაობას უფრო ეფექტურს ხდის.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ენის სწავლების სტრატეგიის მართებულად შერჩევას, მისი თითოეული ეტაპის მომზადებას, სწორად დაგეგმვას, მოსალოდნელი შედეგების რეალისტურ გათვლას და მათ ეტაპობრივ რეალიზებას.

**შეფასების სისტემა**

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით.

შეფასება ითვალისწინებს შუალედურ განმავითარებელ შეფასებას (60 ქულა) და დასკვნით გამოცდას (40 ქულა). შუალედური შეფასება ხორციელდება მინიმუმ სამი კომპონენტის მიხედვით. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები განსხვავებულია და მათი აღწერა მოცემულია კონკრეტული კურსის სილაბუსში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედურ შეფასებებში დაგროვებული აქვს მინიმუმ 21 ქულა. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდის (კომბინირებული - წერა/ზეპირი გამოცდის შემთხვევაში, თითოეული კომპონენტის) მაქსიმალური ქულის 50 %-ს.
სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:
(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:
ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი დამასრულებელ სემესტრში ამზადებს **სამაგისტრო ნაშრომს.** შესაბამისი მარეგულირებელი წესის თანახმად:

- ✓ სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთიანად დასკვნითი შეფასებით 100-ქულიანი სისტემით;
- ✓ რეცენზენტი წერს ნაშრომის შესახებ რეცენზიას და აფასებს სტუდენტის ნაშრომს მაქსიმუმ 60 ქულით. 31 ქულაზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე არ დაიშვება;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, საჯარო დაცვამდე სამაგისტრო ნაშრომი შემოწმებული უნდა იყოს Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით.
- ✓ ნაშრომი ფასდება კომისიის მიერ წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტი წარმოადგენს ნაშრომის შედეგებს პრეზენტაციის სახით, რომელიც ფასდება კომისიის თითოეული წევრის მიერ (მაქსიმუმ 40 ქულა). ამ კომპონენტში სტუდენტის საბოლოო შეფასება იანგარიშება კომისიის ყველა წევრის შეფასების საშუალო არითმეტიკულით. მიღებული შეფასება დადებითად ითვლება, თუ კომისია სტუდენტის ნაშრომს შეაფასებს 20 და მეტი ქულით;

- ✓ სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასებას წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და კომისიის საბოლოო შეფასების ჯამი, რომელიც ტოლია ან აღემატება 51 ქულას.
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია.

სწავლის შედეგები

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება განათლების სამაგისტრო დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას
სწავლის შედეგებში ასახულია ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციები, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოს სამაგისტრო საფეხურის აღმწერისა და ენის ფლობის დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად.
კავკასიოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მიზნების მისაღწევად გამოყენებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტები უზრუნველყოფენ შემდეგი შედეგების მიღწევას:

**ცოდნა და გაცნობიერება:**

პროგრამის კურსდამთავრებული

1. გადმოსცემს იბერიულ-კავკასიური ენების შესახებ ღრმა ცოდნას და აჩვენებს კავკასიის ენდემური ენების თავისებურებებს. ფლობს კავკასიოლოგიის თანამედროვე მეთოდებს, განასხვავებს მათ სპეციფიკას პროგრამის საჭიროების მიხედვით და იყენებს პრაქტიკაში.

2. ითავისებს თანამედროვე კავკასიოლოგიის სპეციფიკას, კრიტიკულად მიმოიხილავს სხვადასხვა ლინგვისტური სკოლების კონცეფციებს და იყენებს დარგის ძირითად მეთოდოლოგიურ პრინციპებსა და ხერხებს. მოიძიებს და აანალიზებს იბერიულ-კავკასიურ ენებზე არსებულ ქართულენოვან და უცხოენოვან წყაროებს, აცნობიერებს შესაძლო მიკერძოებულ დამოკიდებულებებს და სხვადასხვა შემოწმებულ წყაროებზე დაყრდნობით ახორციელებს მცირე მასშტაბის კომპლექსურ კვლევებს.

3. აღწერს ლინგვისტური კავკასიოლოგიის სფეროში არსებულ მიღწევებს, განვითარების პერსპექტივებს და აქტუალურ პრობლემებს; კრიტიკულად აფასებს ლინგვისტური კავკასიოლოგიის მდგომარეობას მსოფლიოს მასშტაბით.
4. შესაბამისი ინფორმაციული ტექნოლოგიებით ფართო ონლაინ-რესურსების სპექტრში, ბიბლიოთეკებში, არქივებსა და საველე პირობებში მოიძიებს ავთენტურ ენობრივ მასალებს და მათზე დაყრდნობით ახორციელებს კომპლექსურ კვლევას და წერს მკაცრად ანალიტიკურ და კვლევითი ხასიათის სტრუქტურიზებულ სადისერტაციო ნაშრომს (განვლილი პროგრამული მოდულის მიხედვით) კავკასიოლოგიური კვლევების არჩეულ თემაზე.

**უნარები:**

5. განსაზღვრავს საკუთარი კვლევითი პროექტისათვის აქტუალურ სამეცნიერო პრობლემას და კვლევის შესაბამისი მეთოდების გამოყენებით, ზოგადთეორიული და შედარებითი მიდგომებით ახდენს მოძიებული მასალის სისტემატიზაციას და კომენტირებას, ავითარებს საკუთარ აზრს, აყალიბებს დასაბუთებულ დასკვნებს.

6. შესაბამისი აკადემიური ტერმინოლოგიის და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, ამზადებს როგორც ქართულ, ისე რუსულ ან რომელიმე ევროპულ ენაზე (ინგლისური/გერმანული/ფრანგული) კავკასიოლოგიური პროფილის სამეცნიერო ტექსტს (რეფერატი, აბსტრაქტი და სხვ.), ასევე აკეთებს მშობლიურ ენაზე პრეზენტაციას, ამზადებს თეზისებსა და მოხსენებებს სამეცნიერო კონფერენციებისათვის.

7. ასრულებს მსხვილმასშტაბიან და ხარისხიან სამაგისტრო ნაშრომს, რომელშიც გადაწყვეტილია ლინგვისტური კავკასიოლოგიის აქტუალური პრობლემა; ხელს უწყობს კავკასიოლოგიის პოპულარიზაციას.

8. სამეცნიერო სივრცეში წარმართავს ლოგიკურ დისკუსიას; ახდენს აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან ზეპირი და წერილობითი ფორმით კავკასიოლოგიის რელევანტურ საკითხებზე/პრობლემებზე საკუთარ კვლევათა შედეგების, დასკვნებისა და არგუმენტების, აკადემიური ეთიკის დაცვით კომუნიკაციას.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:**

სამეცნიერო სივრცეში წარმართავს ლოგიკურ დისკუსიას; ახდენს აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან ზეპირი და წერილობითი ფორმით კავკასიოლოგიის რელევანტურ საკითხებზე/პრობლემებზე საკუთარ კვლევათა შედეგების, დასკვნებისა და არგუმენტების, აკადემიური ეთიკის დაცვით კომუნიკაციას.

აფასებს და მხარს უჭერს აკადემიური პატიოსნების საყოველთაოდ აღიარებულ სტანდარტებს, სამეცნიერო კვლევის ეთიკურ შედეგებს და თავის ქცევას დისკუსიის/დებატების პროცესში წარმართავს განსხვავებული აზრის პატივისცემისა და საკუთარის კორექტულად გამოხატვის დაცვით.

ითავისებს რა დასავლურ ღირებულებებს, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს თანამედროვე კავკასიის რეგიონის ენობრივ-ეთნიკურ მრავალფეროვნებასა და კულტურულ მემკვიდრეობას, პატივს სცემს მეზობელ ხალხთა ფასეულობებს, ახდენს მასთან ადაპტაციას და განავითარებს საერთოკავკასიური ტოლერანტობის განცდას.

**დასაქმების სფეროები**

კავკასიოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შეძენილი მრავალმხრივი დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) უნარების დახმარებით, კურსდამთავრებული შესაძლებელია დასაქმდეს საქართველოს ყველა სახელმწიფო თუ არასამთავრობო საზოგადო-

ებრივ დაწესებულებაში, კერძოდ:

- საგანმანათლებლო, სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი პროფილის მქონე ორგანიზაციებში (სამაგისტრო განათლების შესაბამის პოზიციებზე);
- ბიბლიოთეკებში, არქივებსა და მუზეუმებში;
- დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და მისიებში, საერთაშორისო კომპანიებში თარჯიმნის პოზიციაზე;
- სათარჯიმნო და სანოტარო ბიუროებში;
- კულტურის სფეროს დაწესებულებებში;
- ტურიზმის სფეროში;
- საგამომცემლო დაწესებულებებსა და რედაქციებში;
- მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში (პრესა, ტელევიზია, რადიო, ინტერნეტ–გამოცემები და სხვ.);
- საჯარო და კერძო სექტორში სასპეციალიზაციო და ზოგადტრანსფერული უნარების საფუძველზე.

| | |
|---|---|
| **პროგრამის სახელწოდება** | ამერიკისმცოდნეობა<br>American Studies |
| **საფეხური** | სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** | • საერთო სამაგისტრო გამოცდა;<br>• ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი ამერიკისმცოდნეობაში; ასევე ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში, განათლებაში, მათ დარგებში/ქვედარგებში; ბიზნეს ადმინისტრირებაში, ზოგიერთ მიმართულებათშორის დარგში: კულტურის კვლევები, რეგიონმცოდნეობა.<br>• სასპეციალიზაციო წერითი გამოცდა<br>• ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით |
| **სწავლების ენა** | ქართული |
| **კვალიფიკაცია** | ამერიკისმცოდნეობის მაგისტრი<br>MA in American Studies |
| **სწავლების ხანგრძლივობა** | 4 სემესტრი |
| **ECTS** | 120 ECTS კრედიტი |
| **სწავლების გადასახადი** | 2250 ლარი |
| **პროგრამის განხორციელების ადგილი** | თსუ სასწავლო კორპ. N2, ი. ჭავჭავაძის გამზირის N3 |
| **პროგრამის განმახორციელებელი ერთეული** | ამერიკისმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი |
| **საკონტაქტო პირი** | პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი: ასოც. პროფ. ელენე მეძმარიშვილი<br>ტელ.: +995 599988423<br>ელფოსტა: elene.medzmariashvili@tsu.ge |
| | **პროგრამის სტრუქტურა** |
| **კომპონენტის სტატუსი** | ECTS-მოცულობა |
| სავალდებულო | 60 ECTS კრედიტი |
| არჩევითი | 30 ECTS კრედიტი |
| სამაგისტრო ნაშრომი | 30 ECTS კრედიტი |

| |
|---|
| **პროგრამის მიზანი** |
| ამერიკისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის მიზანია თანამედროვე შრომის ბაზრისა და აკადემიური სივრცის, ასევე დარგში საერთაშორისო სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისი ღრმა და სისტემური ცოდნით აღჭურვილი, კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულის მომზადება, რომელიც სასპეციალიზაციო დარგის ინტერდისციპლინურობის გათვალისწინებით ფლობს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების შესახებ კომპლექსურ ცოდნას, დარგობრივ და ზოგად ტრანსფერულ უნარებს, რომელთა მეშვეობით:<br><br>1. პროფესიულ დონეზე გარკვეულია აშშ-ისა და ლათინური ამერიკის ძირითადი ქვეყნების პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების ზოგადთეორიულ ასპექტებში, ამერიკელი ერის თვითმყოფადობის, მულტიკულტურული, პოლიეთნიკური, პოლიკონფესიური საზოგადოების მახასიათებლებსა და კვლევის ტრადიციულ და თანამედროვე მეთოდებში; აქვს პოლიტიკური და სოციალური ინსტიტუტების, კულტურისა და პრესის, ლიტერატურის ღრმა, ინტეგრირებული და სისტემური ცოდნა, ინგლისური ენის (სურვილისამებრ, ესპანური ენისაც) მაღალი დონის წერითი და ზეპირი კომუნიკაციური და მთარგმნელობითი უნარები და ეფექტურად იყენებს მათ პროფესიულ პრაქტიკულ თუ აკადემიურ-კვლევით საქმიანობაში, რაც მისი წარმატებული დასაქმების წინაპირობაა;<br><br>2. სიღრმისეულად სწვდება ამერიკულ სამყაროში მიმდინარე პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, ისტორიული, ლიტერატურული, კულტურული და თანამედროვე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენებისა და პროცესების არსს, აანალიზებს მათ თანამედროვე სამეცნიერო კვლევის მეთოდების გამოყენებით.<br><br>3. აქვს ამერიკის შეერთებული შტატების ფაქტორის, ლათინური ამერიკის ქვეყნების ადგილისა და როლის აღქმისა და გააზრების უნარი თანამედროვე მსოფლიოს სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში; აანალიზებს ამერიკული საზოგადოების ისტორიულ-კულტურული განვითარების თავისებურებებს; მიღებული ცოდნისა და უნარების საფუძველზე წარმართავს ინტერდისციპლინურ და ინტერკულტურულ კვლევებს.<br><br>4. დარგობრივ სფეროში საკითხების კომპლექსურად შესწავლისა და გადაჭრის, ინფორმაციის ანალიზისა და სინთეზის, კრიტიკული შეფასებისა და სხვა ტრანსფერული უნარების, ამერიკისმცოდნისთვის აუცილებელი სასპეციალიზაციო ენის საკომუნიკაციო და აკადემიური მიზნებისთვის პროფესიულ დონეზე ცოდნის საფუძველზე წარმატებით საქმდება საგანმანათლებლო, სასწავლო თუ სამეცნიერო–კვლევითი პროფილის მქონე დაწესებულებებში, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საჯარო და კერძო სექტორში, ან აგრძელებს სწავლას სადოქტორო საფეხურზე სოციალურ-პოლიტიკურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა პროფილით. |

5. გათავისებული აქვს ცოდნის მუდმივი გაღრმავებისა და საკუთარი პროფესიული დონის ამაღლების პასუხისმგებლობა, მაღალი აკადემიური და პროფესიული ეთიკა, აქვს კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული და კონფესიური მრავალფეროვნების, განსხვავებული აზრის პატივისცემის უნარი; ახასიათებს ტოლერანტობა, მაღალი დემოკრატიული ღირებულებები.

**სწავლის მეთოდები**

სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფში მონაწილეობის, სემინარის, პრაქტიკულ მეცადინეობებზე საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, სამაგისტრო ნაშრომის, დასკვნითი გამოცდის და სხვ. ფორმატში იყენებს ვერბალურ, წიგნზე მუშაობის, ინდუქცია-დედუქციის, ანალიზისა და სინთეზის, ახსნა–განმარტებით, ჯგუფურ, დისკუსიასა და დებატებში მონაწილეობის, დემონსტრირების, როლური და სიტუაციური თამაშებისა და სხვა მეთოდებს. ამასთან, სწავლების პროცესში გამოყენებულია დემონსტრირების თანამედროვე ტექნოლოგიები.
დარგობრივი ცოდნისა და ინგლისური (და ესპანური, არცევის შემთხვევაში) ენის დაუფლების დახვეწისა და სრულყოფის მიზნით პროგრამა სტუდენტებს ხელს უწყობს სტაჟირებაში საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ევროპული ქვეყნების უნივერსიტეტებში;
სასპეციალიზაციო სფეროს ცოდნის გაღრმავების მიზნით ყოველწლიურად ეწყობა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები, მუშაობს სტუდენტთა სამეცნიერო წრე. სტუდენტები ინფორმირებული და ჩართული არიან ამერიკისმცოდნეობის ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენციებისა და ინსტიტუტთან არსებული მუდმივმოქმედი სამეცნიერო სემინარის მუშაობაში; ესწრებიან და მონაწილეობენ ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული ცნობილი ამერიკელი, ევროპელი და ქართველი. მეცნიერების, პოლიტიკოსების, საზოგადოებრივი მოღვაწეების საჯარო ლექციებსა თუ არაფორმალურ შეხვედრებში, ამერიკული მხატვრული, დოკუმენტური და სასწავლო ფილმების ჩვენებებსა და განხილვებში. ასევე შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ რუზველტის ინსტიტუტის (ნიდერლანდები) მიერ ორგანიზებულ სტუდენტთა სასწავლო და სამეცნიერო აქტივობებში, იმუშაონ ამ ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

**შეფასების სისტემა**

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით.
შეფასება ითვალისწინებს შუალედურ განმავითარებელ შეფასებას (60 ქულა) და დასკვნით გამოცდას (40 ქულა). შუალედური შეფასება ხორციელდება მინიმუმ სამი კომპონენტის მიხედვით. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები განსხვავებულია და მათი აღწერა მოცემულია კონკრეტული კურსის სილაბუსში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედურ შეფასებებში დაგროვებული აქვს მინიმუმ 21 ქულა. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდის (კომბინირებული - წერა/ზეპირი გამოცდის შემთხვევაში, თითოეული კომპონენტის) მაქსიმალური ქულის 50 %-ს.
სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:
(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:
ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი დამასრულებელ სემესტრში ამზადებს **სამაგისტრო ნაშრომს.** შესაბამისი მარეგულირებელი წესის თანახმად:

- ✓ სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთიანად დასკვნითი შეფასებით 100-ქულიანი სისტემით;
- ✓ რეცენზენტი წერს ნაშრომის შესახებ რეცენზიას და აფასებს სტუდენტის ნაშრომს მაქსიმუმ 60 ქულით. 31 ქულაზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე არ დაიშვება;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, საჯარო დაცვამდე სამაგისტრო ნაშრომი შემოწმებული უნდა იყოს Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით.
- ✓ ნაშრომი ფასდება კომისიის მიერ წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტი წარმოადგენს ნაშრომის შედეგებს პრეზენტაციის სახით, რომელიც ფასდება კომისიის თითოეული წევრის მიერ (მაქსიმუმ 40 ქულა). ამ კომპონენტში სტუდენტის საბოლოო შეფასება იანგარიშება კომისიის ყველა წევრის შეფასების საშუალო არითმეტიკულით. მიღებული შეფასება დადებითად ითვლება, თუ კომისია სტუდენტის ნაშრომს შეაფასებს 20 და მეტი ქულით;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასებას წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და კომისიის საბოლოო შეფასების ჯამი, რომელიც ტოლია ან აღემატება 51 ქულას.
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია.

**სწავლის შედეგები**

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება განათლების სამაგისტრო დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას (ამერიკისმცოდნეობა).

სწავლის შედეგებში ასახულია ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციები, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოს სამაგისტრო საფეხურის აღმწერისა და ენის ფლობის დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად.
ამერიკისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის მიზნების მისაღწევად გამოყენებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტები უზრუნველყოფს შემდეგი შედეგების მიღწევას:

**ა) ცოდნა და გაცნობიერება**

პროგრამის კურსდამთავრებული ამერიკისმცოდნეობის მაგისტრი:

1. ღრმად და სისტემურად მიმოიხილავს ამერიკისმცოდნეობის ზოგადთეორიულ ასპექტებს, აღწერს ამერიკისმცოდნეობის სხვადასხვა მიმართულებაში არსებული ნააზრევის არსებით მახასიათებლებსა და კვლევის მეთოდებს, აშშ-ისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების ცხოვრების ცალკეული სფეროების საკითხებთან დაკავშირებულ თანამედროვე მიდგომებს; აცნობიერებს და აღრმავებს ცოდნას მათი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ; საფუძვლიანად ერკვევა ამერიკული პოლიტიკის ერთ-ერთი ფუძემდებლური ელემენტის - კონსერვატიზმის დახმარებით თანამედროვე ამერიკული პოლიტიკის ურთულეს საკითხებში და განიხილავს მას როგორც ლიბერალიზმის ალტერნატივას; აანალიზებს პრესის, პოლიტიკურ, ლიტერატურულ ტექსტებს, ისტორიულ და სხვ. წყაროებს.
2. არგუმენტირებულად მსჯელობს შეერთებული შტატების საზოგადოების თავისებურებებზე, პოლიტიკურ და სოციალურ ინსტიტუტებზე, საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე, კულტურაზე, პრაგმატიზმზე როგორც ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამერიკულ ღირებულებაზე; ისეთ კომპლექსურ საკითხებზე, როგორიცაა ქალთა მოძრაობა, თანასწორი შესაძლებლობები, მიგრაციული პროცესები და საიმიგრაციო პოლიტიკა და მასთან ერთად განსაზღვრავს და აანალიზებს ამერიკაში თანამედროვე ქართული იმიგრაციის პრობლემატიკას, მის ადგილს ამერიკულ საზოგადოებაში; აანალიზებს შტატებისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების განვითარების საერთო ტენდენციებს; მიმოიხილავს მათი კვლევის შედეგებს; განსაზღვრავს შტატების საგარეო პოლიტიკის ინტერესების სფეროს, აღწერს მისი განვითარების კანონზომიერებებს, კვლევის სოციალურ-პოლიტიკურ, ჰუმანიტარულ და ინტერდისციპლინურ მეთოდებს.
3. განიხილავს შეერთებული შტატების ფუძემდებლურ დოკუმენტებს როგორც ქვეყნის პოლიტიკურ, სამართლებრივ და იდეოლოგიურ საფუძველს; აანალიზებს მათ; იღრმავებს ცოდნას და საფუძვლიანად მსჯელობს ამერიკულ ეკონომიკაზე, სოციალურ, ქალთა საკითხებზე, ლიტერატურაზე, კულტურაზე შესაბამისი ცნებების ადეკვატური გამოყენებით; ღრმად აანალიზებს დემოკრატიული ღირებულებების როლს თანამედროვე შეერთებული შტატების პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში; აიდენტიფიცირებს ამერიკული დემოკრატიის პრობლემებს; სრულად განსაზღვრავს სოციალური რეალობის ტრანსფორმაციას და მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა პრობლემას,

*ბ) უნარები*

4. ამოიცნობს/იდენტიფიცირებას ახდენს მოცემულ დარგობრივ სფეროში (პოლიტიკა, სოციალური საკითხები, ისტორია, ლიტერატურა, ეკონომიკა, ფილოსოფია, კულტურა და ა.შ.) კომპლექსურ პრობლემებს და ჭრის მათ დარგში მიღებული კვლევის მეთოდების გამოყენებით; იყენებს ცოდნას ახალ, გაუთვალისწინებელ გარემოში ან (მომიჯნავე)

მულტიდისციპლინურ კონტექსტში; იძიებს კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალ ორიგინალურ გზებს, მათ შორის, დამოუკიდებლად იკვლევს უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; ამუშავებს წყაროებს ინტერდისციპლინარული სფეროსთვის დამახასიათებელი კვლევითი მეთოდების გამოყენებით და ახორციელებს კვლევითი ან ანალიტიკური ხასიათის პროექტს.

5. კრიტიკულად აფასებს აშშ-ისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების თანამედროვე საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული მოვლენებისა და პროცესების არსს; აანალიზებს მათ თანამედროვე სამეცნიერო კვლევის მეთოდების გამოყენებით. სწავლისა და კვლევის პროცესში ახდენს საჭირო ინფორმაციის/წყაროების/ტექსტური მასალის სინთეზს, სტრუქტურირებას, არგუმენტირებასა და კომენტირებას, ინტერპრეტაციასა და კონტექსტუალიზაციას სხვადასხვა პერსპექტივიდან.
6. ავლენს პრობლემის გადაჭრის, ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის, ეფექტიანი კომუნიკაციის, პრეზენტაციისა და ინტერაქციის უნარებს შესაბამისი გარემოს, კულტურათაშორისი განსხვავებებისა და კულტურათა თავისებურებების გათვალისწინებით; ავითარებს შესასწავლი და საკვლევი პრობლემის მიმართ ინოვაციურ მიდგომებს და წარუდგენს აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით. სწავლა-კვლევისას ეფექტურად იყენებს თანამედროვე ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს და ინგლისური (არჩევის შემთხვევაში ასევე ესპანური) ენის ცოდნას დარგობრივი კვლევითი და აკადემიური მიზნებისთვის.და საზოგადოებრივ გარემოსთან დაკავშირებულ გამოწვევებსა და განვითარების უახლეს ტენდენციებს.

**გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**

7. აღიარებს და იცავს პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს; ავლენს კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმის, განსხვავებული კონფესიების, კულტურებისა და აზრის ადეკვატური გაგებისა და პატივისცემის უნარს.
8. ზრუნავს პროფესიული ცოდნის მუდმივ განახლებაზე, ავლენს დამოუკიდებლად სწავლა-კვლევის, თვითორგანიზებისა და ნაცნობ და უცნობ (არაპროგნოზირებად, სტრესულ), მათ შორის, ინტერდისციპლინურ და ინტერკულტურულ გარემოში დროის ეფექტურად მართვისა და შრომის მაღალ დონეზე ორგანიზების უნარს, რითიც წვლილი შეაქვს სასპეციალიზაციო სფეროს დარგობრივი ცოდნის განვითარებაში.

**დასაქმების სფეროები**

ამერიკისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შეძენილი მრავალმხრივი დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) უნარების დახმარებით, კურსდამთავრებული შესაძლებელია დასაქმდეს საქართველოს ყველა სახელმწიფო თუ არასამთავრობო საზო-გადოებრივ დაწესებულებაში, კერძოდ:

- საგანმანათლებლო, სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი პროფილის მქონე ორგანიზაციებში (სამაგისტრო განათლების შესაბამის პოზიციებზე) მაღალი კვალიფიკაციის პედაგოგად, მეცნიერ-თანამშრომლად;
- საჯარო და კერძო სექტორში სასპეციალიზაციო და ზოგადტრანსფერული უნარების საფუძველზე, ექსპერტად პოლიტიკის, სოციალური საკითხების, კულტურის სფეროში; რეგიონმცოდნედ, პრეს-მდივნად, საზოგადოებასთან ურთიერთობის

მენეჯერად.

- დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და მისიებში დიპლომატის, საერთაშორისო კომპანიებში - GR, PR მენეჯერის, რეფერენტ-თარჯიმნის პოზიციაზე;
- კულტურის სფეროს დაწესებულებებში პრეს-მდივნად, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და არტ-მენეჯერად;
- ტურიზმის სფეროში;
- საგამომცემლო დაწესებულებებსა და რედაქციებში;
- მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში (პრესა, ტელევიზია, რადიო, ინტერნეტ–გამოცემები და სხვ.), ჟურნალისტ-საერთაშორისო მიმომხილველად;
- ბიბლიოთეკებში, არქივებსა და მუზეუმებში.

| პროგრამის სახელწოდება | რუსეთისმცოდნეობა<br>Russian Studies |
|---|---|
| **საფეხური** | სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** | • საერთო სამაგისტრო გამოცდა (მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვა ტესტის სამ ნაწილში);<br>• ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი სოციალურ/ჰუმანიტარულ მეცნიერებებში (საერთაშორისო ურთიერთობები, პოლიტიკური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა, სამართალი, საზოგადოებრივი გეოგრაფია, ეკონომიკა, კულტურის კვლევები, ისტორია, ფილოლოგია, ფილოსოფია, ხელოვნებათმცოდნეობა, რუსეთისმცოდნეობა, კავკასიოლოგია, ამერიკისმცოდნეობა და ა.შ.); უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კვალიფიკაციის/განათლების შემთხვევაში ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად აღიარებული საგანმანათლებლო დოკუმენტი. (წინაპირობა ვრცელდება მობილობით/შიდა მობილობით გადმოსვლის მსურველ მაგისტრანტობის კანდიდატებზეც).<br>• უცხო ენის (ინგლისური/გერმანული/ფრანგული) B1 დონეზე ცოდნის დადასტურება თსუ-ს ენების შემსწავლელი ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოცდით ან/და საერთაშორისო აღიარების მქონე სერტიფიკატით (TOEFL, IELTS ან სხვა მათი ეკვივალენტური).<br>• სპეციალობის გამოცდა (მინ. 51 ქულის მიღება). **გამოცდის ფორმატი:** ა) ერთი კონკრეტული თეორიული საკითხი რუსეთის ისტორიიდან (25 ქულა); ბ) ორი ისტორიული დოკუმენტის ანალიზი (თითოეული 25 ქულა, ჯამში 50 ქულა). კონკურსანტი გაეცნობა ისტორიული დოკუმენტის ტექსტს და უპასუხებს დასმულ კითხვებს, სადაც მითითებული იქნება ყოველი კითხვის შესაბამისი ქულა; გ) ესსე საგამოცდო ბილეთში მითითებულ თავისუფალ თემაზე რუსულ ენაზე (25 ქულა).<br>• საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე მაგისტრანტობის კანდიდატი აბარებს გამოცდას ქართულ ენაში. გამოცდიდან თავისუფლდება მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელიც წარმოადგენს ენის ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს ან ზოგადი განათლება მიღებული აქვს ქართულენოვან სკოლაში.<br>• თსუ რექტორის ბრძანებით განსაზღვრული საგანაცხადო დოკუმენტაცია. |
| **სწავლების ენა** | ქართული |

| | |
|---|---|
| **კვალიფიკაცია** | რუსეთისმცოდნეობის მაგისტრი<br>MA in Russian Studies |
| **სწავლების ხანგრძლივობა** | 4 სემესტრი |
| **ECTS** | 120 ECTS კრედიტი |
| **სწავლების გადასახადი** | 2250 ლარი |
| **პროგრამის განხორციელების ადგილი** | თსუ სასწავლო კორპ. N1, ი. ჭავჭავაძის N1 |
| **პროგრამის განმახორციელებელი ერთეული** | სლავისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი |
| **საკონტაქტო პირი** | პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი: ასოც. პროფ. დალი კანდელაკი |
| | ტელ.: +995 577278838 |
| | ელფოსტა: dali.kandelaki@tsu.ge |
| **პროგრამის სტრუქტურა** | |
| **კომპონენტის სტატუსი** | ECTS-მოცულობა |
| სავალდებულო | 50 ECTS კრედიტი |
| არჩევითი | 40 ECTS კრედიტი |
| სამაგისტრო ნაშრომი | 30 ECTS კრედიტი |

**პროგრამის მიზანი**

პროგრამის მიზანია:

- რუსეთისმცოდნეობის სფეროში სტუდენტისათვის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი მრავალმხრივი, ინტერდისციპლინური ღრმა და სისტემური ცოდნის მიცემა, რომელიც მას დამოუკიდებელი ორიენტაციის, კვლევის, საკითხის დასმის, მოსაზრებების ორიგინალური განვითარებისა და პრაქტიკული გამოყენების საშუალებას მისცემს;
- საზოგადოებისათვის კონკურენტუნარიანი, დარგობრივი კომპეტენციებით, სათანადო ცოდნითა და დამოუკიდებელი კვლევის უნარ–ჩვევებით აღჭურვილი პროფესიული კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს რუსეთის ისტორიის, პოლიტიკის, ეკონომიკის, სამართლის, კულტურის და სხვა საკითხების ექსპერტიზას, ასევე, ახალი, ინოვაციური იდეების შექმნას, საკუთარი წვლილის შეტანას დარგის განვითარებაში;
- სტუდენტის მრავალმხრივი ინტერესების დაკმაყოფილება, მისთვის პიროვნული და აკადემიური თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, ეთიკური იდეალების, კრიტიკული, შემოქმედებითი და პროგრესული აზროვნების გამომუშავება;

**სწავლის მეთოდები**

სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფში მუშაობის, საშინაო დავალების, პრეზენტაციის, რეფერატის, სამაგისტრო ნაშრომის, შუალედური და დასკვნითი გამოცდების და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს:

- ვერბალური მეთოდი,
- პრაქტიკული მეთოდი,
- დემონსტრირების მეთოდი,
- დისკუსია/დებატები,
- გონებრივი იერიში,
- ჯგუფური მუშაობა,
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება,
- შემთხვევის ანალიზი,
- ინდუქციური და დედუქციური მეთოდები,
- ლექცია
- წერითი მუშაობის მეთოდი
- აუდიო-ვიზუალური მუშაობა
- ელექტრონული სწავლება - თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგებზე დაფუძნებული სწავლის მართვის სისტემის e-learning.tsu.ge-s გამოყენებით სასწავლო მასალების მიწოდება, კონსულტირება.

პროგრამის ცალკეული სასწავლო კომპონენტები - რუსულენოვანია.

**შეფასების სისტემა**

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით.
შეფასება ითვალისწინებს შუალედურ განმავითარებელ შეფასებას (60 ქულა) და დასკვნით გამოცდას (40 ქულა). შუალედური შეფასება ხორციელდება მინიმუმ სამი კომპონენტის მიხედვით. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები განსხვავებულია და მათი აღწერა მოცემულია კონკრეტული კურსის სილაბუსში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედურ შეფასებებში დაგროვებული აქვს მინიმუმ 21 ქულა. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდის (კომბინირებული - წერა/ზეპირი გამოცდის შემთხვევაში, თითოეული კომპონენტის) მაქსიმალური ქულის 50 %-ს.
სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:
(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:
ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი დამასრულებელ სემესტრში ამზადებს **სამაგისტრო ნაშრომს.** შესაბამისი მარეგულირებელი წესის თანახმად:

- ✓ სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთიანად დასკვნითი შეფასებით 100-ქულიანი სისტემით;
- ✓ რეცენზენტი წერს ნაშრომის შესახებ რეცენზიას და აფასებს სტუდენტის ნაშრომს მაქსიმუმ 60 ქულით. 31 ქულაზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე არ დაიშვება;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, საჯარო დაცვამდე სამაგისტრო ნაშრომი შემოწმებული უნდა იყოს Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით.
- ✓ ნაშრომი ფასდება კომისიის მიერ წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტი წარმოადგენს ნაშრომის შედეგებს პრეზენტაციის სახით, რომელიც ფასდება კომისიის თითოეული წევრის მიერ (მაქსიმუმ 40 ქულა). ამ კომპონენტში სტუდენტის საბოლოო შეფასება იანგარიშება კომისიის ყველა წევრის შეფასების საშუალო არითმეტიკულით. მიღებული შეფასება დადებითად ითვლება, თუ კომისია სტუდენტის ნაშრომს შეაფასებს 20 და მეტი ქულით;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასებას წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და კომისიის საბოლოო შეფასების ჯამი, რომელიც ტოლია ან აღემატება 51 ქულას.
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია.

## სწავლის შედეგები

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

**ცოდნა და გაცნობიერება:**

- აღწერს რუსეთისმცოდნეობის სფეროს მთავარი პრინციპების, თეორიების, კონცეფციების არსს და განმარტავს მნიშვნელოვან საკითხებს უახლესი თეორიების საფუძველზე. აიდენტიციფირებს საკითხებს რუსეთის ეკონომიკური, პოლიტიკური, სამართლებრივი სტრუქტურებისა და ინსტიტუტების შესახებ;
- ღრმად და სისტემურად მსჯელობს რუსეთის ისტორიის ცალკეულ მნიშვნელოვანი ეტაპების შესახებ; განიხილავს და აანალიზებს სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში რუსეთში არსებული მდგომარეობის მიზეზებსა და შედეგებს.

**უნარი:**

- ახდენს რუსეთთან დაკავშირებული ზოგადი საკითხების ინტერპრეტაციას ეროვნულ, რეგიონალურ და მსოფლიო კონტექსტში; ურთიერთკავშირში განიხილავს რუსეთში მიმდინარე პროცესებს, აიდენტიფიცირებს პრობლემებს და განიხილავს მრავალი სხვადასხვა პერსპექტივით.
- კრიტიკულად აფასებს რუსეთისმცოდნეობის სფეროში მიღებულ ღრმა და სისტემურ ცოდნას, რომელიც მოიცავს სფეროს ზოგიერთ უახლეს მიღწევებს და ქმნის საფუძველს ინოვაციებისათვის, ახალი, ორიგინალური იდეების განვითარებისათვის.
- იძიებს უცნობ ან მულტიდისციპლინურ გარემოში რუსეთისმცოდნეობის სფეროს კომპლექსური რთული პრობლემების გადაწყვეტის ახალ, ორიგინალური გზებს და, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით კვლევას დამოუკიდებლად ახორციელებს (რეფერატი, სამაგისტრო ნაშრომი).
- კრიტიკულად აანალიზებს საარქივო/საბიბლიოთეკო, ინტერნეტ-რესურსებისა და ელექტრონული სამეცნიერო ბაზების გამოყენებით მოპოვებულ ინფორმაციას რუსეთის შესახებ და ახდენს მის ინოვაციურ სინთეზს, შეფასებას და აყალიბებს არგუმენტირებულ დასკვნებს.
- მონაწილეობს დისკუსიაში პროფესიულ დონეზე, წარადგენს საკუთარ დასკვნებს, არგუმენტებს და კვლევის შედეგებს ქართულ და უცხოურ (ინგლისურ/რუსულ/გერმანულ/ფრანგულ) ენებზე, როგორც აკადემიური ასევე, პროფესიული საზოგადოებისთვის აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით;

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:**

- ადაპტირდება ახალი სტრატეგიული მიდგომების მეშვეობით კომპლექსურ, არაპროგნოზირებად და მულტიდისციპლინურ სასწავლო ან/და სამუშაო გარემოში.
- ინტელექტუალურად და ეთიკურად აფასებს რუსეთის წარსულ და მიმდინარე მოვლენებს, ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებს; პატივისცემით ეპყრობა ქვეყნის ისტორიულ მემკვიდრეობას და კულტურულ ტრადიციებს; ტოლერანტულად აფასებს სოციალურ, ეთნო-ეროვნულ, რელიგიურ და კულტურულ განსხვავებებს.
- დამოუკიდებლად წარმართავს საკუთარ სწავლას რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით.

**დასაქმების სფეროები**

რუსეთისმცოდნეობის მაგისტრს შესაძლებლობა ექნება იმუშაოს:

- რეგიონმცოდნეობის, აღმოსავლეთ ევროპის, რუსეთის პრობლემატიკის შესწავლით დაინტერესებულ სასწავლო და კვლევით დაწესებულებებში;
- საჯარო სკოლაში (საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დამატებითი მოთხოვნების შესრულების შემთხვევაში), პროფესიულ სასწავლებელში და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში;
- საჯარო სამსახურში, მუზეუმში, ბიბლიოთეკაში, ტურიზმისა და ჟურნალისტიკის სფეროში;
- საერთაშორისო სტრუქტურებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, კერძო სექტორში და ა.შ.

მაგისტრს შეუძლია სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურის საფეხურზე სხვადასხვა მიმართულებით (მათ შორის: რუსეთისმცოდნეობა, აღმოსავლეთ ევროპის კვლევები, რეგიონული კვლევები, პოლიტიკური მეცნიერებები, საერთაშორისო ურთიერთობები, კულტურის კვლევები, ისტორია, ევროპისმცოდნეობა და ა.შ.).

| პროგრამის სახელწოდება | არაბისტიკა<br>Arabic Studies |
|---|---|
| **საფეხური** | სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** | • ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ენის დაუფლების დეტალურ სფეროში შემავალ კვალიფიკაციაში:<br>0231.1.18 არაბული ფილოლოგია / არაბისტიკა<br>Arabic Philology /Arabic Studies<br>0388 ინტერდისციპლინური დეტალური სფეროს კვალიფიკაცია:<br>0388.1.3 ახლო ან/და შუა აღმოსავლეთის კვლევები<br>ძველი კლასიფიკატორის მიმართულებათშორისი კვალიფიკაცია „აღმოსავლეთმცოდნეობა“<br>პროგრამაზე სწავლის გარძელების უფლება აქვს ასევე ბაკალავრს, რომელსაც გავლილი აქვს დამატებითი (minor) პროგრამა არაბისტიკაში/არაბულ ფილოლოგიაში;<br>• ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება;<br>• უცხოური ენის (ინგლისური/ გერმანული/ფრანგული) B1 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით (სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე B2 დონემდე ენის ცოდნის გაუმჯობესების პერსპექტივით);<br>• წერითი გამოცდა არაბულ ენაში. |
| **სწავლების ენა** | ქართული |
| **კვალიფიკაცია** | არაბისტიკის მაგისტრი<br>Master of Arabic Studies |
| **სწავლების ხანგრძლივობა** | 4 სემესტრი |
| **ECTS** | 120 ECTS კრედიტი |
| **სწავლების გადასახადი** | 2250 ლარი |
| **პროგრამის განხორციელების ადგილი** | თსუ სასწავლო კორპ. N1, ი. ჭავჭავაძის N1; სასწავლოს კორპ N5, ი.ჭავჭავაძის N36 |
| **პროგრამის განმახორციელებელი ერთეული** | აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი |
| **საკონტაქტო პირი** | პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი: პროფ. დარეჯან გარდავაძე |
| | ტელ.: +995 599744358 |

| | |
|---|---|
| | ელფოსტა: darejan.gardavadze@tsu.ge |
| **პროგრამის სტრუქტურა** | |
| **კომპონენტის სტატუსი** | ECTS-მოცულობა |
| სავალდებულო | 60 ECTS |
| არჩევითი | 30 ECTS |
| სამაგისტრო ნაშრომი | 30 ECTS |
| | |
| **პროგრამის მიზანი** | |
| არაბისტიკის სამაგისტრო პროგრამის მიზანია თანამედროვე შრომის ბაზრისა და აკადემიური სივრცის, ასევე დარგში საერთაშორისო სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისი ღრმა და სისტემური ცოდნით აღჭურვილი, კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულის მომზადება, რომელიც სასპეციალიზაციო დარგის ინტერდისციპლინურობის გათვალისწინებით ფლობს არაბული ქვეყნების შესახებ ისეთ კომპლექსურ ცოდნას, დარგობრივ და ზოგად ტრანსფერულ უნარებს, რომელთა მეშვეობით<br>1. პროფესიულ დონეზე გარკვეულია არაბული ენის ზოგადთეორიულ ასპექტებში, ენობრივი სისტემის არსებით მახასიათებლებსა და კვლევის ტრადიციულ და თანამედროვე მეთოდებში, არაბულ დიალექტთა გავრცელების არეალსა და არაბულ დიალექტთა კლასიფიკაციის პრინციპებში; აქვს არაბული ენის მაღალი დონის წერითი და ზეპირი კომუნიკაციური და მთარგმნელობითი უნარები და ეფექტურად იყენებს მათ პროფესიულ პრაქტიკულ თუ აკადემიურ-კვლევით საქმიანობაში, რაც მისი წარმატებული დასაქმების წინაპირობაა;<br>2. სიღრმისეულად სწვდება არაბულ სამყაროში მიმდინარე ენობრივი, ლიტერატურული, ისტორიულ-კულტურული და თანამედროვე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენებისა და პროცესების არსს, აანალიზებს მათ თანამედროვე სამეცნიერო კვლევის მეთოდების გამოყენებით.<br>3. აქვს ისლამის ფაქტორის აღქმისა და გააზრების უნარი არაბულ და ზოგადად, ახლო აღმოსავლეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში; აანალიზებს არაბულ-ისლამური საზოგადოების ისტორიულ-კულტურული განვითარების თავისებურებებს; მიღებული ცოდნისა და უნარების საფუძველზე წარმართავს ინტერდისციპლინურ და ინტერკულტურულ კვლევებს.<br>4. დარგობრივ სფეროში საკითხების კომპლექსურად შესწავლისა და გადაჭრის, ინფორმაციის ანალიზისა და სინთეზის, კრიტიკული შეფასებისა და სხვა ტრანსფერული უნარების, სასპეციალიზაციო არაბული ენის საკომუნიკაციო და აკადემიური მიზნებისთვის პროფესიულ დონეზე ცოდნის საფუძველზე წარმატებით საქმდება საგანმანათლებლო, სასწავლო თუ სამეცნიერო–კვლევითი პროფილის მქონე დაწესებულებებში, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საჯარო და კერძო სექტორში, ან აგრძელებს სწავლას სადოქტორო საფეხურზე ჰუმანიტარული და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა პროფილით.<br>5. გათავისებული აქვს ცოდნის მუდმივი გაღრმავებისა და საკუთარი პროფესიული დონის ამაღლების პასუხისმგებლობა, მაღალი აკადემიური და პროფესიული ეთიკა, აქვს კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული და კონფესიური | |

მრავალფეროვნების, განსხვავებული აზრის პატივისცემის უნარი; ახასიათებს ტოლერანტობა, მაღალი დემოკრატიული ღირებულებები.

**სწავლის მეთოდები**

სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფში მონაწილეობის, სემინარის, პრაქტიკულ მეცადინეობებზე საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, სამაგისტრო ნაშრომის, დასკვნითი გამოცდის და სხვ. ფორმატში იყენებს ვერბალურ, წიგნზე მუშაობის, ინდუქცია-დედუქციის, ანალიზისა და სინთეზის, ახსნა–განმარტებით, ჯგუფურ, დისკუსიასა და დებატებში მონაწილეობის, დემონსტრირების, როლური და სიტუაციური თამაშებისა და სხვა მეთოდებს. ამასთან, სწავლების პროცესში გამოყენებულია დემონსტრირების თანამედროვე ტექნოლოგიები.

**შეფასების სისტემა**

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით.
შეფასება ითვალისწინებს შუალედურ განმავითარებელ შეფასებას (60 ქულა) და დასკვნით გამოცდას (40 ქულა). შუალედური შეფასება ხორციელდება მინიმუმ სამი კომპონენტის მიხედვით. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები განსხვავებულია და მათი აღწერა მოცემულია კონკრეტული კურსის სილაბუსში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედურ შეფასებებში დაგროვებული აქვს მინიმუმ 21 ქულა. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდის (კომბინირებული - წერა/ზეპირი გამოცდის შემთხვევაში, თითოეული კომპონენტის) მაქსიმალური ქულის 50 %-ს.
სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:
(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:
ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი დამასრულებელ სემესტრში ამზადებს **სამაგისტრო ნაშრომს.** შესაბამისი მარეგულირებელი წესის თანახმად:

- ✓ სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთიანად დასკვნითი შეფასებით 100-ქულიანი სისტემით;
- ✓ რეცენზენტი წერს ნაშრომის შესახებ რეცენზიას და აფასებს სტუდენტის ნაშრომს მაქსიმუმ 60 ქულით. 31 ქულაზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე არ დაიშვება;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, საჯარო დაცვამდე სამაგისტრო ნაშრომი შემოწმებული უნდა იყოს Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით.
- ✓ ნაშრომი ფასდება კომისიის მიერ წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტი წარმოადგენს ნაშრომის შედეგებს პრეზენტაციის სახით, რომელიც ფასდება კომისიის თითოეული წევრის მიერ (მაქსიმუმ 40 ქულა). ამ კომპონენტში სტუდენტის საბოლოო შეფასება იანგარიშება კომისიის ყველა წევრის შეფასების საშუალო არითმეტიკულით. მიღებული შეფასება დადებითად ითვლება, თუ კომისია სტუდენტის ნაშრომს შეაფასებს 20 და მეტი ქულით;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასებას წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და კომისიის საბოლოო შეფასების ჯამი, რომელიც ტოლია ან აღემატება 51 ქულას.
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია.

**სწავლის შედეგები**

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება განათლების სამაგისტრო დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას (არაბისტიკა).
სწავლის შედეგებში ასახულია ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციები, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოს სამაგისტრო საფეხურის აღმწერისა და ენის ფლობის დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად.
არაბისტიკის სამაგისტრო პროგრამის მიზნების მისაღწევად გამოყენებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტები უზრუნველყოფენ შემდეგი შედეგების მიღწევას:

**ცოდნა და გაცნობიერება:**
პროგრამის კურსდამთავრებული არაბისტიკის მაგისტრი

1. ღრმად და სისტემურად მიმოიხილავს არაბული ენის ზოგადთეორიულ ასპექტებს, აღწერს არაბული ენათმეცნიერული ნააზრევის არსებით მახასიათებლებსა და კვლევის მეთოდებს, არაბულ საენათმეცნიერო საკითხებთან დაკავშირებულ თანამედროვე მიდგომებს; მსჯელობს მეორე სემიტური ენის (ებრაული) სტრუქტურის მახასიათებლებზე; განსაზღვრავს არაბულ დიალექტთა გავრცელების არეალსა და არაბულ დიალექტთა კლასიფიკაციის პრინციპებს, მათი კვლევის მეთოდებს; იყენებს არაბულ ენას მაღალი დონის წერითი და ზეპირი კომუნიკაციური და მთარგმნელობითი უნარებით; შესაბამისი ლექსიკურ-

ფრაზეოლოგიური და ტერმინოლოგიური აპარატის ადეკვატური გამოყენებით აანალიზებს პრესისა თუ პოლიტიკურ ტექსტებს; კითხულობს და ლინგვისტურ ანალიზს უკეთებს არაბულ ისტორიულ, ფილოლოგიურ და ლიტერატურულ წყაროებს.
2. არგუმენტირებულად მსჯელობს არაბულ ლიტერატურულ ძეგლთა მხატვრულ-გამომსახველობით და სტილისტურ საშუალებებზე, მათ კულტურულ კონტექსტზე; ახდენს ამ ძეგლთა სახისმეტყველების საერთო ტენდენციების ანალიზს, მიმოიხილავს მათი მეტაენის, კომპოზიციისა და სტრუქტურის კვლევის ტრადიციას; განსაზღვრავს ქრისტიანული არაბული ლიტერატურის ჩამოყალიბებისა და გავრცელების არეალს, აღწერს მისი განვითარების კანონზომიერებებს, კვლევის ფილოლოგიურ, ტექსტოლოგიურ და სხვ. მეთოდებს.
3. განიხილავს ყურანს, როგორც ლიტერატურულ ძეგლს და როგორც საღვთო წიგნსა და ისლამური იდეოლოგიის საფუძველს; აანალიზებს მას ენობრივ, მხატვრულ, ისტორიულ-პოლიტიკურ დონეებზე; მსჯელობს ისლამური სამართლის ძირითად დარგებზე შესაბამისი ტერმინოლოგიური აპარატის ადეკვატური გამოყენებით; აანალიზებს რელიგიური ფაქტორის როლს თანამედროვე არაბული ქვეყნების პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში; განსაზღვრავს ისლამისა და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთმიმართების ძირითადი საკითხებს; მიმოიხილავს არაბული ნაციონალიზმისა და ისლამიზმის ურთიერთმიმართების პრობლემატიკას, არაბულ-ისლამური საზოგადოების ისტორიულ-კულტურული განვითარების თავისებურებებს.

**უნარები:**
4. პროფესიულ დონეზე ამყარებს არაბულ ენაზე როგორც წერით, ისე ზეპირ ეფექტურ კომუნიკაციას სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან და აუდიტორიასთან შესაბამისი ენობრივ-კულტურული კონტექსტისა და ეთნოფსიქოლინგვისტური ასპექტების გათვალისწინებით; აანალიზებს არაბულენოვანი სამყაროს ისტორიულ-კულტურულ და საზოგადოებრივ გარემოსთან დაკავშირებულ ლინგვისტურ გამოწვევებსა და უახლეს ტენდენციებს.
5. კრიტიკულად აფასებს ენობრივი, ლიტერატურული, ისტორიულ-კულტურული და თანამედროვე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენებისა და პროცესების არსს, აანალიზებს მათ თანამედროვე სამეცნიერო კვლევის მეთოდების გამოყენებით. სწავლისა და კვლევის პროცესში ახდენს საჭირო ინფორმაციის/წყაროების/ტექსტური მასალის სინთეზს, სტრუქტურირებას, არგუმენტირებასა და კომენტირებას, ინტერპრეტაციასა და კონტექსტუალიზაციას სხვადასხვა პერსპექტივიდან.
6. ავლენს პრობლემის გადაჭრის, ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის, ეფექტიანი კომუნიკაციის, პრეზენტაციისა და ინტერაქციის უნარებს შესაბამისი გარემოს, კულტურათაშორისი განსხვავებებისა და კულტურათა თავისებურებების გათვალისწინებით; ავითარებს შესასწავლი და საკვლევი პრობლემის მიმართ ინოვაციურ მიდგომებს და წარუდგენს აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით. სწავლა-კვლევისას ეფექტურად იყენებს თანამედროვე ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს და ევროპული ენის ცოდნას დარგობრივი კვლევითი და აკადემიური მიზნებისთვის.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:**
7. აღიარებს და იცავს პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს; ავლენს კულტურათაშორისი

| |
|---|
| განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმის, განსხვავებული კონფესიების, კულტურებისა და აზრის ადეკვატური გაგებისა და პატივისცემის უნარს.<br>8. ზრუნავს პროფესიული ცოდნის მუდმივ განახლებაზე, ავლენს დამოუკიდებლად სწავლა-კვლევის, თვითორგანიზებისა და ნაცნობ და უცნობ (არაპროგნოზირებად, სტრესულ), მათ შორის, ინტერდისციპლინურ და ინტერკულტურულ გარემოში დროის ეფექტურად მართვისა და შრომის მაღალ  დონეზე ორგანიზების უნარს, რითიც წვლილი შეაქვს სასპეციალიზაციო სფეროს დარგობრივი ცოდნის განვითარებაში. |
| **დასაქმების სფეროები** |
| არაბისტიკის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შეძენილი მრავალმხრივი დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) უნარების დახმარებით, კურსდამთავრებული შესაძლებელია დასაქმდეს საქართველოს  ყველა სახელმწიფო თუ არასამთავრობო საზოგადო-ებრივ დაწესებულებაში, კერძოდ:<br>• საგანმანათლებლო, სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი პროფილის მქონე ორგანიზაციებში (სამაგისტრო განათლების შესაბამის პოზიციებზე);<br>• ბიბლიოთეკებში, არქივებსა და მუზეუმებში;<br>• დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და მისიებში, საერთაშორისო კომპანიებში თარჯიმნის პოზიციაზე;<br>• სათარჯიმნო და სანოტარო ბიუროებში;<br>• კულტურის სფეროს დაწესებულებებში;<br>• ტურიზმის სფეროში;<br>• საგამომცემლო დაწესებულებებსა და რედაქციებში;<br>• მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში (პრესა, ტელევიზია, რადიო, ინტერნეტ–გამოცემები და სხვ.);<br>• საჯარო და კერძო სექტორში სასპეციალიზაციო და ზოგადტრანსფერული უნარების საფუძველზე. |

| პროგრამის სახელწოდება | ასიროლოგია<br>Assyriology |
|---|---|
| საფეხური | სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა |
| პროგრამაზე დაშვების წინაპირობა | • კანდიდატს უნდა ჰქონდეს მიღებული ბაკალავრის ხარისხი:<br>ა) ასირიოლოგიის სპეციალობით (major/minor);<br>ბ) სხვა სპეციალობით, თუკი ბაკალავრიატში სწავლისას მან დააგროვა ასირიოლოგიის პროგრამიდან მინიმუმ 15 კრედიტი კონცენტრირებულად ასირიოლოგიის მაპროფილებელ დისციპლინებში;<br>• ერთიანი სამაგისტრო გამოცდა;<br>• წერითი გამოცდა სპეციალობაში ძველი აღმოსავლეთის ისტორიასა და რელიგიაში.<br>• უცხოური ენის (ინგლისურის/გერმანულის/ფრანგულის) B1 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით (სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე B2 დონემდე ენის ცოდნის გაუმჯობესების პერსპექტივით) |
| სწავლების ენა | ქართული |
| კვალიფიკაცია | ასიროლოგიის მაგისტრი<br>Master of Assyriology |
| სწავლების ხანგრძლივობა | 4 სემესტრი |
| ECTS | 120 ECTS კრედიტი |
| სწავლების გადასახადი | 2250 ლარი |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | თსუ სასწავლო კორპ. N5, ი. ჭავჭავაძის N36 |
| პროგრამის განმახორციელებელი ერთეული | აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი |
| საკონტაქტო პირი | პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი: ასოც. პროფ. მაია ღამბაშიძე |
| | ტელ.: +995 599960904 |
| | ელფოსტა: maia.ghambashidze@tsu.ge |
| პროგრამის სტრუქტურა | |
| კომპონენტის სტატუსი | ECTS-მოცულობა |
| სავალდებულო | 60 ECTS კრედიტი |
| არჩევითი | 30 ECTS კრედიტი |

| სამაგისტრო ნაშრომი | 30 ECTS კრედიტი |
|---|---|
| | |
| პროგრამის მიზანი | |

ასირიოლოგიის სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მომზადებას ასირიოლოგიის (შუმეროლოგია-აქადოლოგიის და ხეთოლოგიის) მიმართულებით.

**პროგრამის მიზანია**

- პროფესიონალი ასირიოლოგის აღზრდა და მომზადება შესაბამისი დარგობრივი და კვლევითი კომპეტენციებით, რასაც საფუძველი დაედო ასირიოლოგიის ბაკალავრიატის ოთხწლიანი კურსით: მაგისტრატურის პროგრამა წარმოადგენს ასირიოლოგიის ბაკალავრიატის კურსის ლოგიკურ გაგრძელებას ახალ, გაღრმავებულ დონეზე.
- პროგრამა მიმართულია ბაკალავრიატში შეძენილი ძველი წინა აზიურ ცივილიზაციათა ენების, მათი დამწერლობის, ლიტერატურის, ხელოვნების, ისტორიის საბაზისო ცოდნის გაღრმავებისაკენ და რეალურ საფუძველს შეადგენს ასირიოლოგიის დოქტორანტურის კურსისათვის.
- მაგისტრის მომზადებისას პროგრამა ხელმძღვანელობს სწავლებისა და კვლევის საერთაშორისო სტანდარტებით და გამოცდილებით,
- ასევე ორიენტირებულია პროგრამით მინიჭებული დარგობრივი კომპეტენციებითა და ტრანსფერული უნარებით აღჭურვილი მაგისტრის თანამედროვე ქართულ სამეცნიერო და აკადემიურ სივრცეში წარმატებით დასასაქმებლად.
  პროგრამა ასევე აძლევს მაგისტრს შანსს, სწავლა განაგრძოს უმაღლესი განათლების უფრო მაღალ საფეხურზე – დოქტურანტურაში ძირითადი ან მომიჯნავე სპეციალობით.

*ასირიოლოგიით – ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ენებით, ისტორიის, სოციალური ურთიერთობების საკითხებით, კულტურით, რელიგიის და არქეოლოგიის პრობლემატიკით ქართველ მეცნიერთა დაინტერესება ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისიდან იღებს სათავეს. ასირიოლოგიის კათედრა ივ. ჯავახიშვილის ინიციატივითა და ხელშეწყობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებისთანავე შეიქმნა. დიდი ქართველი მეცნიერი იმთავითვე გრძნობდა ამ დარგის შესწავლის აუცილებლობას და ძველაღმოსავლურ საზოგადოებებთან ქართველურ ტომთა უძველესი ისტორიულ-კულტურული კავშირების ძიება საშურ საქმედ მიაჩნდა. აღნიშნული მიმართულება ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მხოლოდ პეტერბურგსა და თბილისში, ხოლო ევროპასა და ამერიკაში წამყვან უნივერსიტეტებში არსებობდა და დღესაც არსებობს. კათედრას მჭიდრო ურთიერთობა აქვს მსოფლიოს უნივერსიტეტებში არსებულ ასირიოლოგიისა და ძველაღმოსავლური ცივილიზაციების ცენტრებთან, რაც კვლევათა ინტერნაციონალიზაციისთვის კარგი საფუძველია.*

**სწავლის მეთოდები**

პროგრამა აგებულია ინტერაქტიულ სწავლებაზე. ლექციის, სამუშაო ჯგუფებში მუშაობის, პრეზენტაციების, დისკუსიების, შუალედური და ფინალური შეფასებების ფორმატში გამოიყენება სხვადასხვა ტიპის სტრატეგიები: სტრატეგია “ექსპერტი/გაზიარება”;

| |
|---|
| სტრატეგია "ვენის დიაგრამა"; სტრატეგია "321" ; სტრატეგია "იფიქრე – დაწყვილდი – გაუზიარე"; სტრატეგია "შედარება–შეპირისპირების დიაგრამები"; სტრატეგია "სემანტიკური მონაცემების სქემა"; სტრატეგია "პრეზენტაცია". |
| **შეფასების სისტემა** |
| სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით.<br>შეფასება ითვალისწინებს შუალედურ განმავითარებელ შეფასებას (60 ქულა) და დასკვნით გამოცდას (40 ქულა). შუალედური შეფასება ხორციელდება მინიმუმ სამი კომპონენტის მიხედვით. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები განსხვავებულია და მათი აღწერა მოცემულია კონკრეტული კურსის სილაბუსში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედურ შეფასებებში დაგროვებული აქვს მინიმუმ 21 ქულა. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდის (კომბინირებული - წერა/ზეპირი გამოცდის შემთხვევაში, თითოეული კომპონენტის) მაქსიმალური ქულის 50 %-ს.<br>სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.<br><br>შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:<br>(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;<br>(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;<br>(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;<br>(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;<br>(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;<br><br>არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:<br>ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;<br>(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.<br><br>სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი დამასრულებელ სემესტრში ამზადებს **სამაგისტრო ნაშრომს.** შესაბამისი მარეგულირებელი წესის თანახმად:<br>✓ სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთიანად დასკვნითი შეფასებით 100-ქულიანი სისტემით;<br>✓ რეცენზენტი წერს ნაშრომის შესახებ რეცენზიას და აფასებს სტუდენტის ნაშრომს მაქსიმუმ 60 ქულით. 31 ქულაზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე არ დაიშვება;<br>✓ სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, საჯარო დაცვამდე სამაგისტრო ნაშრომი შემოწმებული უნდა იყოს Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით. |

- ✓ ნაშრომი ფასდება კომისიის მიერ წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტი წარმოადგენს ნაშრომის შედეგებს პრეზენტაციის სახით, რომელიც ფასდება კომისიის თითოეული წევრის მიერ (მაქსიმუმ 40 ქულა). ამ კომპონენტში სტუდენტის საბოლოო შეფასება იანგარიშება კომისიის ყველა წევრის შეფასების საშუალო არითმეტიკულით. მიღებული შეფასება დადებითად ითვლება, თუ კომისია სტუდენტის ნაშრომს შეაფასებს 20 და მეტი ქულით;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასებას წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და კომისიის საბოლოო შეფასების ჯამი, რომელიც ტოლია ან აღემატება 51 ქულას.
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია.

**სწავლის შედეგები**

ცოდნა და გაცნობიერება:

ასირიოლოგიის მაგისტრატურის სრული კურსის გავლის შედეგად მაგისტრი ასირიოლოგიის სამეცნიერო კვლევათა სფეროს ყველა მიმართულების შესახებ (ძველი წინა აზიის ენები: აქადური, შუმერული, ხეთური; მათი დამწერლობა, ისტორია, ლიტერატურა, ხელოვნება, რელიგია) ღრმა და სისტემური ცოდნის საფუძველზე:

- დამოუკიდებლად ამუშავებს ძველი წინა აზიის ენებზე (აქადური, შუმერული, ხეთური) შესრულებულ სხვადასხვა შინაარსის ნებისმიერი სირთულის ტექსტებს – ადგენს მათ ტრანსლიტერაციას, თარგმანს და უკეთებს ისტორიულ–ფილოლოგიურ ანალიზს.

ამუშავებს არქეოლოგიური გათხრებით აღმოჩენილ ლურსმული დამწერლობით შესრულებული თიხის ფირფიტებს; ქმნის დამუშავებული მასალის ელექტრონულ ვერსიებს და ამზადებს მათ საერთაშორისო მიმოქცევისათვის.

**უნარები:**

- ფლობს და იყენებს დარგში აპრობირებულ კვლევით მიდგომებსა და მეთოდებს; მეცნიერულ კვლევა-ძიებას წარმართავს კონკრეტულ სამეცნიერო პრობლემაზე ისტორიულ–ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევის მეთოდების გამოყენებით.
- ავლენს საკვლევი მასალის კრიტიკული ანალიზისა და სინთეზის საფუძველზე განზოგადებული დასკვნების დამოუკიდებლად გამოტანის უნარს.
- აქვს საჯარო გამოსვლების, სამეცნიერო მოხსენებების, დისკუსიების წარმართვისა და პრეზენტაციების ჩატარების უნარი; დარგის ყველა მნიშვნელოვან პრობლემაზე მაღალპროფესიული დაკომპეტენტური ურთიერთობის შესაძლებლობა როგორც ქართველ, ისე უცხოელ კოლეგებთან, აკადემიურ წრეებში.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:**

- მაგისტრს აზროვნების პროცესსა თუ პროფესიული ცოდნის პრაქტიკული გამოყენებისას გათავისებული აქვს აკადემიური

ეთიკის ნორმები; განვითარებული აქვს სხვისი აზრის პატივისცემის, შემწყნარებლობის უნარი; ასირიოლოგიის მაგისტრი არის ზოგადჰუმანისტური ფასეულობების მატარებელი მოქალაქე.

- ამჟღავნებს დამოუკიდებლად სწავლისა და დროის მართვის უნარს. წარმართავს პრობლემური საკითხების დამოუკიდებლად კვლევა-ძიებას.

| დასაქმების სფეროები |
|---|
| უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს, რომელსაც აქვს ასირიოლოგიის მაგისტრის ხარისხი, საშუალება აქვს, სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში;<br>დასაქმდეს ჰუმანიტარული მეცნიერებების, კულტურისა და განათლების სხვადასხვა სფეროში (საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული, სარედაქტორო); იმუშაოს სასწავლო დაწესებულებებში, სახელმწიფო სტრუქტურებში, არქეოლოგიურ გათხრებზე, არქივებში, მუზეუმებში, ბიბლიოთეკებში, ტურისტულ ორგანიზაციებში, ადმინისტრაციულ სტრუქტურებსა და ორგანიზაციებში, გამომცემლობებში. ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალურ სასწავლებლებში;<br>იყოს ექსპერტი ორიენტალური სიძველეების განხრით. |

| პროგრამის სახელწოდება | ირანისტიკა<br>Iranian Studies |
|---|---|
| საფეხური | სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა |
| პროგრამაზე დაშვების წინაპირობა | • ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ენის დაუფლების დეტალურ სფეროში შემავალ კვალიფიკაციაში:<br>0231.1.17 სპარსული ფილოლოგია/ ირანისტიკა Persian Philology/Persian Studies<br>0388 ინტერდისციპლინური დეტალური სფეროს კვალიფიკაცია:<br>0388.1.3 ახლო ან/და შუა აღმოსავლეთის კვლევები<br><br>ძველი კლასიფიკატორის მიმართულებათშორისი კვალიფიკაცია „აღმოსავლეთმცოდნეობა"<br><br>პროგრამაზე სწავლის გარძელების უფლება აქვს ასევე ბაკალავრს, რომელსაც გავლილი აქვს დამატებითი (minor) პროგრამა ირანისტიკაში/სპარსულ ფილოლოგიაში;<br>• ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება;<br>• უცხოური ენის (ინგლისური/ გერმანული/ფრანგული) B1 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით (სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე B2 დონემდე ენის ცოდნის გაუმჯობესების პერსპექტივით);<br>• წერითი გამოცდა სპარსულ ენაში. |
| სწავლების ენა | ქართული |
| კვალიფიკაცია | ირანისტიკის მაგისტრი<br>Master of Persian Studies |
| სწავლების ხანგრძლივობა | 4 სემესტრი |
| ECTS | 120 ECTS კრედიტი |
| სწავლების გადასახადი | 2250 ლარი |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | თსუ სასწავლოს კორპ N5, ი.ჭავჭავაძის N36 |
| პროგრამის განმახორციელებელი ერთეული | აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი |
| საკონტაქტო პირი | პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი: ასოც. პროფ. მარინა ალექსიძე |
| | ტელ.: +995 599482032 |
| | ელფოსტა: marine.aleksidze@tsu.ge |

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| **კომპონენტის სტატუსი** | ECTS-მოცულობა |
| სავალდებულო | 60 ECTS კრედიტი |
| არჩევითი | 30 ECTS კრედიტი |
| სამაგისტრო ნაშრომი | 30 ECTS კრედიტი |

**პროგრამის მიზანი**

პროგრამის მიზანია, დარგის ტრადიციებისა და თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, მოამზადოს ღრმა და სისტემური დარგობრივი ცოდნით აღჭურვილი სპეციალისტი, რომელიც ფლობს საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრულ ღრმა დარგობრივ ცოდნას, კომპეტენციებსა და უნარებს, რომელთა საფუძველზე:

- საფუძვლიანად ერკვევა ირანული ენების ლინგვისტურ მახასიათებლებში, მათი ერთმანეთთან და სხვა ისტორიულ კონტაქტირებად ენებთან ურთიერთობის საკითხებში. აქვს ენობრივი მომზადების მაღალი დონე სპარსულში და შეუძ მისი ეფექტური პრაქტიკული გამოყენება საქმიან კომუნიკაციებში, პროფესიულ საქმიანობაში ან შემდგომი სწავლის პროცესში.
- ავლენს ძველი, საშუალო, კლასიკური და თანამედროვე ეპოქის ირანულ სამყაროში მიმდინარე ენობრივი, ლიტერატურუ რელიგიური და ისტორიულ-კულტურული პროცესების ღრმა და სისტემურ ცოდნას და მათი ანალიზის უნარს.
- საფუძვლიანად ერკვევა ირანის ისტორიული განვითარების თავისებურებებში; აქვს სპარსული ისტორიოგრაფიის განვითარე კანონზომიერებისა და თავისებურებების საბაზისო ცოდნა; შეუძლია სპარსული ისტორიული წყაროების კრიტიკუ შეფასება; აქვს მათი დედანში კითხვისთვის აუცილებელი ენობრივი მომზადება.
  ერკვევა ისლამურ სამართალში და სასამართლო სისტემაში და აცნობიერებს რელიგიური ფაქტორის როლს თანამედროვე ირა პოლიტიკურ ცხოვრებაში.
- განსაზღვრავს ირანისტიკის დარგის ძირითად პრობლემებს და უსადაგებს მას ირანისტიკის სფეროში დამკვიდრებულ ძირით მეთოდოლოგიურ პრინციპებსა და თანამედროვე მიდგომებს. მიღებული თეორიულ ცოდნის გამოყენებით ახორციელ კომპლექსურ კვლევას პროფესიულ საქმიანობას.
- აქვს მაღალი ავტონომიური უნარები პრაქტიკულ და კვლევით საქმიანობაში, კარგად გაცნობიერებული პროფესიული, სოციალუ და ეთიკური პასუხისმგებლობები; აქვს კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქ ადეკვატური გაგებისა და პატივისცემის უნარი.

**სწავლის მეთოდები**

სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფში მონაწილეობის, სემინარის, პრაქტიკულ მეცადინეობებზე საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, სამაგისტრო ნაშრომის, დასკვნითი გამოცდის და სხვ. ფორმატში იყენებს ვერბალურ, წიგნზე მუშაობის, ანალიზისა და სინთეზის, ახსნა–განმარტებით, ჯგუფურ, დისკუსიასა და დებატებში მონაწილეობის, დემონსტრირების, როლური და სიტუაციური თამაშებისა და სხვა მეთოდებს.

ენის დაუფლების დახვეწისა და სრულყოფის მიზნით პროგრამა სტუდენტებს ხელს უწყობს ენობრივ სტაჟირებებში ირანის ისლამურ რესპუბლიკაში.
სასპეციალიზაციო სფეროს ცოდნის გაღრმავების მიზნით ყოველწლიურად ეწყობა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები, მუშაობს სტუდენტთა სამეცნიერო წრეები. სტუდენტები ინფორმირებული და ჩართული არიან აღმოსავლეთმცოდნეობის ს/ს ინსტიტუტის მუდმივმოქმედი სამეცნიერო სემინარის მუშაობაში.

**შეფასების სისტემა**

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით.
შეფასება ითვალისწინებს შუალედურ განმავითარებელ შეფასებას (60 ქულა) და დასკვნით გამოცდას (40 ქულა). შუალედური შეფასება ხორციელდება მინიმუმ სამი კომპონენტის მიხედვით. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები განსხვავებულია და მათი აღწერა მოცემულია კონკრეტული კურსის სილაბუსში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედურ შეფასებებში დაგროვებული აქვს მინიმუმ 21 ქულა. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდის (კომბინირებული - წერა/ზეპირი გამოცდის შემთხვევაში, თითოეული კომპონენტის) მაქსიმალური ქულის 50 %-ს.
სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:
(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:
ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი დამასრულებელ სემესტრში ამზადებს **სამაგისტრო ნაშრომს.** შესაბამისი მარეგულირებელი წესის თანახმად:
- ✓ სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთიანად დასკვნითი შეფასებით 100-ქულიანი სისტემით;
- ✓ რეცენზენტი წერს ნაშრომის შესახებ რეცენზიას და აფასებს სტუდენტის ნაშრომს მაქსიმუმ 60 ქულით. 31 ქულაზე ნაკლები

შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე არ დაიშვება;

- ✓ სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, საჯარო დაცვამდე სამაგისტრო ნაშრომი შემოწმებული უნდა იყოს Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით.
- ✓ ნაშრომი ფასდება კომისიის მიერ წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტი წარმოადგენს ნაშრომის შედეგებს პრეზენტაციის სახით, რომელიც ფასდება კომისიის თითოეული წევრის მიერ (მაქსიმუმ 40 ქულა). ამ კომპონენტში სტუდენტის საბოლოო შეფასება იანგარიშება კომისიის ყველა წევრის შეფასების საშუალო არითმეტიკულით. მიღებული შეფასება დადებითად ითვლება, თუ კომისია სტუდენტის ნაშრომს შეაფასებს 20 და მეტი ქულით;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასებას წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და კომისიის საბოლოო შეფასების ჯამი, რომელიც ტოლია ან აღემატება 51 ქულას.
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია.

**სწავლის შედეგები**

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება განათლების სამაგისტრო დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას (ირანისტიკა).
სწავლის შედეგებში ასახულია ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციები, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოს სამაგისტრო საფეხურის აღმწერისა და ენის ფლობის დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად.
ირანისტიკის სამაგისტრო პროგრამის მიზნების მისაღწევად გამოყენებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტები უზრუნველყოფენ შემდეგი შედეგების მიღწევას:

**ცოდნა და გაცნობიერება:**

პროგრამის კურსდამთავრებული ირანისტიკის მაგისტრი

- ახდენს სპარსულენოვან აკადემიურ სივრცეში მიღებული სხვადასხვა ტიპის ტექსტების სპარსულ ენაზე აკადემიური სპარსულით ფორმულირებას, ეფექტურად აყალიბებს ძირითად მოსაზრებებს სპარსულად არგუმენტებისა და კონტრარგუმენტების ტექნიკის გამოყენებით მთელი რიგი წერილობითი და ზეპირმეტყველების მიზნებისათვის.
- სწორად განსაზღვრავს სპარსულიდან ქართულად სათარგმნი ტექსტის სემანტიკურ-სტილისტიკურ სპეციფიკას და აანალიზებს თარგმანის ადეკვატურობის ხარისხს.
- აღწერს ირანულ ენათა ჯგუფში შემავალი ენების მორფოლოგიურ-სინტაქსურ მახასიათებლებს და გამოკვეთს მათი ერთმანეთთან და სხვა ისტორიულად კონტაქტირებად ენებთან ურთიერთობის საკითხებს;

**უნარები:**

- მიმოიხილავს და აანალიზებს ირანის ძველი რელიგიების (ზოროასტრიზმის, მითრაიზმის, მანიქეიზმის), ასევე რელიგიურ-ფილოსოფიური მიმდინარეობის - სუფიზმის მახასიათებლებს, გამოკვეთს ქრისტიანულ სამყაროსთან, განსაკუთრებით, საქართველოსთან მათ კავშირს და განსაზღვრავს თანამედროვე სამყაროში მათ ადგილს;
- კრიტიკულად კითხულობს და ამუშავებს ირანის ისტორიის ძირითად სპარსულ, ევროპულ და ქართულ წყაროებს და ახდენს მათი მონაცემებისეჯერება-შეფასებას;
- აღწერს ოფიციალური კულტურული და რელიგიური პოლიტიკის როლს თანამედროვე ირანის პოპულარული კულტურის სხვადასხვა სფეროში (მასმედია, მუსიკა, ქუჩის ხელოვნება - „სტრიტ-არტი“ და სხვა) განვითარების საქმეში, აანალიზებს მასობრივ კულტურაში არსებულ სტერეოტიპებსა და უცხოურ გავლენებს.
- განსაზღვრავს თანამედროვე სპარსული პროზაული ჟანრების ადგილს მსოფლიო ლიტერატურული პროცესების პრიზმაში, გამოკვეთს მათ კავშირს როგორც ტრადიციულ სპარსულ ლირიკულ ჟანრებთან, ისე თანამედროვე დასავლურ ნოველასთან;
- თავისუფლად ოპერირებს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა ტიპის სპარსულენოვანი ტექსტებით, თარგმნის, განმარტავს და ახდენს მათ სინთეზს.
- თანამედროვე ფილოლოგიური და ისტორიული კვლევის მეთოდების გამოყენებით ატარებს ირანისტიკის სხვადასხვა პრობლემის კომპლექსურ კვლევას, საკვლევი პრობლემატიკის თეორიულ საფუძვლად იყენებს როგორც დარგის დამკვიდრებულ ძირითად მეთოდოლოგიურ პრინციპებს, ისე თანამედროვე მიდგომებს; ამ კვლევის შედეგების დემონსტრირებას ახდენს პროფესიულ საზოგადოებასთან ზეპირი და წერილობითი ფორმით;
- დამოუკიდებლად მოიძიებს, კითხულობს და კრიტიკულად აანალიზებს უახლეს დარგობრივ სამეცნიერო ლიტერატურას და იყენებს მათ კომპლექსურ მულტიდისციპლინურ კვლევებში;

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:**

- აკადემიური ეთიკის დაცვით და მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით წარმართავს კომპლექსურ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას და ახდენს აკადემიური კეთილსინდისიერების დემონსტრირებას.
- ავლენს ირანის ეთნიკურ-კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემას და უცხო ენობრივ-რელიგიური სამყაროსადმი ტოლერანტულ მიდგომას.

**დასაქმების სფეროები**

ირანისტიკის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შეძენილი მრავალმხრივი დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) უნარების დახმარებით, კურსდამთავრებული შესაძლებელია დასაქმდეს საქართველოს ყველა სახელმწიფო თუ არასამთავრობო საზოგადო-ებრივ დაწესებულებაში, კერძოდ:

საქართველოს სახელმწიფო და კერძო სტრუქტურები:

- საგარეო საქმეთა სამინისტრო;

- საქართველოს საელჩო ირანის ისლამურ რესპუბლიკაში;
- შინაგან საქმეთა სამინისტრო;
- თავდაცვის სამინისტრო;
- სახელმწიფო უშიშროების სამსახური;
- ეროვნული თავდაცვის აკადემია;
- ანალიტიკური და სტრატეგიული კვლევების ცენტრები;
- ენის სახელმწიფო დეპარტამენტი;
- ეროვნული მუზეუმი;
- კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;
- უნივერსიტეტები;
- საჯარო სკოლები;
- ტურისტული კომპანიები;
- სანოტარო და სათარჯიმნო ბიუროები;
- ენის შემსწავლელი ცენტრები;
- სავაჭრო პალატები;
- გამომცემლობები.

საერთაშორისო სახელმწიფო და კერძო სტრუქტურები:

- საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩო;
- საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს კულტურის განყოფილება;
- საქართველოში მოქმედი ირანული სავაჭრო, სამშენებლო, ტურისტული და სხვა კომპანიები.

| პროგრამის სახელწოდება | თურქოლოგია<br>Turkology |
|---|---|
| საფეხური | სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა |
| პროგრამაზე დაშვების წინაპირობა | • ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ენის დაუფლების დეტალურ სფეროში შემავალ კვალიფიკაციაში:<br>0231.1.16 თურქული ფილოლოგია/ თურქოლოგია Turkish Philology/Turkish Studies<br><br>0388 ინტერდისციპლინური დეტალური სფეროს კვალიფიკაცია:<br>0388.1.3 ახლო ან/და შუა აღმოსავლეთის კვლევები<br><br>ძველი კლასიფიკატორის მიმართულებათშორისი კვალიფიკაცია „აღმოსავლეთმცოდნეობა“<br><br>პროგრამაზე სწავლის გარძელების უფლება აქვს ასევე ბაკალავრს, რომელსაც გავლილი აქვს დამატებითი (minor) პროგრამა თურქოლოგიაში/თურქულ ფილოლოგიაში;<br>• ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება;<br>• უცხოური ენის (ინგლისური/ გერმანული/ფრანგული) B1 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით (სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე B2 დონემდე ენის ცოდნის გაუმჯობესების პერსპექტივით);<br>• წერითი გამოცდა თურქულ ენაში. |
| სწავლების ენა | ქართული |
| კვალიფიკაცია | თურქოლოგიის მაგისტრი<br>Master of Turkology |
| სწავლების ხანგრძლივობა | 4 სემესტრი |
| ECTS | 120 ECTS კრედიტი |
| სწავლების გადასახადი | 2250 ლარი |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | თსუ სასწავლოს კორპ N5, ი.ჭავჭავაძის N36 |
| პროგრამის განმახორციელებელი ერთეული | აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი |

| | |
|---|---|
| **საკონტაქტო პირი** | პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი: პროფ. მარინა ჯიქია, ასოც. პროფ. ელისაბედ ბჟალავა |
| | ტელ.: +995 555231437; +995 577947490 |
| | ელფოსტა: marika.jikia@tsu.ge; elisabed.bzhalava@tsu.ge |
| **პროგრამის სტრუქტურა** | |
| **კომპონენტის სტატუსი** | ECTS-მოცულობა |
| სავალდებულო | 60 ECTS კრედიტი |
| არჩევითი | 30 ECTS კრედიტი |
| სამაგისტრო ნაშრომი | 30 ECTS კრედიტი |
| | |

**პროგრამის მიზანი**

თურქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა, რომელიც ორგანული გაგრძელებაა საბაკალავრო major პროგრამის, თავისი არსითა და დანიშნულებით ორიენტირებულია როგორც საქართველოს დასაქმების ბაზარზე ისე საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებაზე. პროგრამაში ჩართული რიგი სასწავლო კურსები იკითხება თურქულ ენაზე, რომლის მიზანია ერთი მხრივ ქართველ სტუდენტებს გაუღრმავოს დარგობრივი ცოდნა პრაქტიკული ენობრივი კომპეტიენციის გაუნჯობესებით, ხოლო მეორე მხრივ უპასუხოს გაცვლითი პროგრამების (Mevlana; Erasmus+) ფარგლებში ჩამოსული სტუდენტების საჭიროებებს.

თურქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მიზანია:

- სტუდენტს მისცეს ღრმა და ფუნდამენტური თეორიული და პრაქტიკული ცოდნა თურქოლოგიის დარგში რათა მან შეძლოს საკუთარი წვლილის შეტანა დარგის განვითარებაში;
- უზრუნველყოს პროგრამის კურსდამთავრებულის მაღალი ენობრივი მომზადების დონე, აღჭურვოს მაგისტრი თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ცოდნით თურქული ენის ზოგადთეორიული ლინგვისტური ასპექტებისა და თურქულენოვანი ლიტერატურის განვითარების, თურქულენოვანი სამყაროს სოციოკულტურული მახასიათებლების (თურქეთის ისტორიის, რელიგიის, ყოფითი კულტურის და სხვ.) შესახებ;
- მისცეს კომპლექსური ცოდნა საქართველოსა და ქართველების შესახებ ოსმალურ საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით, თურქეთელ ქართველებზე, დიასპორაზე და მიგრაციაზე მეორე და მესამე კულტურის ქვეყნებში; ისლამსა და გენდერზე ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, რელიგიასა და პოლიტიკაზე თანამედროვე ახლოაღმოსავლეთში;
- გამოუმუშავოს სამაგისტრო სწავლების დონისათვის გათვალისწინებული კვლევითი და ანალიტიკური უნარ-ჩვევები.

აღჭურვოს მაღალი პროფესიული პასუხისმგებლობის გრძნობით; გამოუმუშავოს კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემის უნარი.

| სწავლის მეთოდები |
| --- |
| ლექციები და მეცადინეობები ინტერაქტიულია და ორიენტირებულია სტუდენტების აქტიურ ჩართულობაზე. გამოიყენება ვერბალური (ინტერაქცია, დიალოგი); პრაქტიკული; ჯგუფური მუშაობის; ევრისტიკული; ინდუქცია/დედუქციის, ანალიზ-სინთეზის და ელექტრონული სწავლების მეთოდები, ასევე, დისკუსია/დებატებისა და კითხვა-პასუხების ინტერაქტიული პრაქტიკა. |
| **შეფასების სისტემა** |
| სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით.<br>შეფასება ითვალისწინებს შუალედურ განმავითარებელ შეფასებას (60 ქულა) და დასკვნით გამოცდას (40 ქულა). შუალედური შეფასება ხორციელდება მინიმუმ სამი კომპონენტის მიხედვით. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები განსხვავებულია და მათი აღწერა მოცემულია კონკრეტული კურსის სილაბუსში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედურ შეფასებებში დაგროვებული აქვს მინიმუმ 21 ქულა. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდის (კომბინირებული - წერა/ზეპირი გამოცდის შემთხვევაში, თითოეული კომპონენტის) მაქსიმალური ქულის 50 %-ს.<br>სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.<br><br>შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:<br>(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;<br>(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;<br>(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;<br>(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;<br>(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;<br><br>არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:<br>ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;<br>(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.<br><br>სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი დამასრულებელ სემესტრში ამზადებს **სამაგისტრო ნაშრომს.** შესაბამისი მარეგულირებელი წესის თანახმად:<br>✓ სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთიანად დასკვნითი შეფასებით 100-ქულიანი სისტემით;<br>✓ რეცენზენტი წერს ნაშრომის შესახებ რეცენზიას და აფასებს სტუდენტის ნაშრომს მაქსიმუმ 60 ქულით. 31 ქულაზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე არ დაიშვება; |

- ✓ სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, საჯარო დაცვამდე სამაგისტრო ნაშრომი შემოწმებული უნდა იყოს Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით.
- ✓ ნაშრომი ფასდება კომისიის მიერ წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტი წარმოადგენს ნაშრომის შედეგებს პრეზენტაციის სახით, რომელიც ფასდება კომისიის თითოეული წევრის მიერ (მაქსიმუმ 40 ქულა). ამ კომპონენტში სტუდენტის საბოლოო შეფასება იანგარიშება კომისიის ყველა წევრის შეფასების საშუალო არითმეტიკულით. მიღებული შეფასება დადებითად ითვლება, თუ კომისია სტუდენტის ნაშრომს შეაფასებს 20 და მეტი ქულით;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასებას წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და კომისიის საბოლოო შეფასების ჯამი, რომელიც ტოლია ან აღემატება 51 ქულას.
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია.

**სწავლის შედეგები**

თურქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი იძენს უახლეს კვლევებზე დამყარებულ ცოდნას, თურქული ენისა და ლიტერატურის ნორმების, ეთიკის, ყოფითი კულტურის, რელიგიის, თურქულ ქართული ურითიერთობების სოციალ- ეკონომიკურ და კულტურის საკითხებში.
სტუდენტს აქვს შემეცნებითი საქმიანობის მარეგულირებელი ისეთი ღირებულებები, როგორიცაა მკვლევრის კეთილსინდისიერება, ობიექტურობა და აზროვნების ღიაობა.
პროგრამის კურსდამთავრებულები კარგად არიან მომზადებული, როგორ პრაქტიკულ სფეროში დასაქმებისათვის, ისე სწავლების შემდგომ საფეხურზე კარიერის გაგრძელებისთვის.

**ცოდნა და გაცნობიერება:**

კურსის გავლის შედეგად კურსდამთავრებული:

- ავლენს სასპეციალიზაციო თურქულ ენაში მაღალი ენობრივი მომზადების დონეს, სიღრმისეულად და სისტემურად აღწერს თურქული ენის, ლიტერატურის და დიალექტოლოგიის კვლევის თეორიულ საფუძვლებს და მეთოდოლოგიას;აღწერს და მიმოიხილავს საქართველოსა და ქართველებს ოსმალური საარქივო დოკუმენტების მიხედვით;
- აღწერს და ადარებს თურქეთელი ქართველების მიგრაციას მეორე და მესამე კულტურის ქვეყნებში.

**უნარები:**

კურსდამთავრებული

- კრიტიკულად იაზრებს და აანალიზებს აღლოაღმოსავლეთის რეგიონში მიმდინარე რელიგიურ და პოლიტიკურ პროცესებს;
- წარმატებით იყენებს პრაქტიკაში თურქულ საზოგადოებაში დაწესებულ სამეტყველო ეტიკეს და ოფიციალურ საქმიან ურთიერთობაში დამკვიდრებულ ტერმინოლოგიას;
- დამოუკიდებლად ირჩევს აქტუალურ საკვლევ თემატიკას განსაზღვრავს და არგუმენტირებულად ასაბუთებს შერჩეული კვლევის მეთოდოლოგიასა და თეორიულ ჩარჩოს, აგებს კვლევის დიზაინს, გამოკვეთს კვლევის ღირებულებას დარგის განვითარების თვალსაზრისით;

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:**

- იცავს აკადემიური ეთიკის პრინციპებს: განვითარებული აქვს მეცნიერთა მოსაზრებების დამოწმების კულტურა და არ მიმართავს პლაგიატს.
- დამოუკიდებლად წარმართავს თურქოლოგიის სფეროში განათლების მუდმივი გაღრმავებისა და საკუთარი პრო-ფესიული დონის ამაღლების პროცესს უახლესი ინფორმაციის ავტონომიურად მოძიებისა და საერთაშორისო თუ ადგილობრივ აკადემიურ წრეებთან პროფესიული კონტაქტების დამყარების საშუალებით.

**დასაქმების სფეროები**

კურსდამთავრებული შესაძლებელია დასაქმდეს: უმაღლეს საწავლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის დამხმარე-ტექნიკური საქმიანობისთვის; სამეცნიერო დაწესებულებებში (კერძოდ, აღმოსავლეთმცოდნეობის, ხელნაწერთა, ენათმეცნიერების, ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტებში); გამომცემლობებში; მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სისტემებში; ბიბლიოთეკებში; არქივებსა და მუზეუმებში; სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში ყველა იმ თანამდებობაზე სამუშაოდ, რომელიც გათვალისწინებულ იქნება მაგისტრის ხარისხის მქონე სპეციალისტთათვის. მათ შეუძლიათ, აგრეთვე, იმუშაონ დიპლომატიურ სარბიელზე საელჩოებსა და საგარეო საქმეთა სამინისტროში, ასევე თარჯიმნებად, რისი მოთხოვნილებაც დღევანდელი საქართველოს შრომით ბაზარზე საკმაოდ მაღალია.

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | თარგმანი და კულტურათშორისი ურთიერთობები (ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე)<br>Translation and Intercultural Studies (based on Georgian and English Languages) |
| საფეხური | სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა |
| პროგრამაზე დაშვების წინაპირობა | • საერთო სამაგისტრო გამოცდა;<br>• ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი სწავლის ფართო სფეროებში: ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები; სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია; ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართალი. შესაძლებელია გავლილი ჰქონდეს დამატებითი (minor) საბაკალავრო პროგრამა ინგლისურ ფილოლოგიაში;<br>• ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით.<br>• წერითი გამოცდა სპეციალობაში (თარგმანის თეორია);<br><br>უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა ხდება საერთო სამაგისტრო გამოცდის გარეშე კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, რომელიც გულისხმობს ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღებად მათ მიერ ქართული ენის გამოცდის B2 დონეზე ჩაბარებას. |
| სწავლების ენა | ქართული |
| კვალიფიკაცია | თარგმანმცოდნეობის მაგისტრი<br>Master of Translation Studies |
| სწავლების ხანგრძლივობა | 4 სემესტრი |
| ECTS | 120 ECTS კრედიტი |
| სწავლების გადასახადი | 2250 ლარი |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | თსუ სასწავლო კორპ. N4, ი. ჭავჭავაძის N14; სასწავლოს კორპ N5, ი.ჭავჭავაძის N36 |
| პროგრამის განმახორციელებელი ერთეული | დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი |
| საკონტაქტო პირი | პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი: პროფ. ინესა მერაბიშვილი |
| | ტელ.: +995 599 500 570 |
| | ელფოსტა: inesa.merabishvili@tsu.ge |

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| **კომპონენტის სტატუსი** | ECTS-მოცულობა |
| სავალდებულო | 55 ECTS კრედიტი |
| არჩევითი | 35 ECTS კრედიტი |
| სამაგისტრო ნაშრომი | 30 ECTS კრედიტი |

**პროგრამის მიზანი**

პროგრამის მიზანია ფართო პროფილის მთარგმნელის (ინგლისურიდან ქართულ ენაზე და ქართულიდან ინგლისურ ენაზე, აგრეთვე თარგმანის თეორეტიკოსისა და თარგმანის კრიტიკოსის) მომზადება.
შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნების შესაბამისად კურსდამთავრებულების აღჭურვა ქართული სკოლის ტრადიციებსა და საერთაშორისო კომპეტენციებზე დაფუძნებული ღრმა სისტემური ცოდნითა და უნარებით, რომ მათ შეძლონ:

7. თარგმანისა და კულტურათაშორისი კომუნიკაციის მიმართულებით ინტერდისციპლინური კვლევების ჩატარება: ინგლისის კულტურისა და ქართულ-ინგლისური კულტურული ურთიერთობების კვლევაში თანამედროვე ტექნოლოგიებისა და სამეცნიერო მეთოდოლოგიის გამოყენება;
8. სასწავლო და კვლევითი კომპონენტი მიზნად ისახავს სტუდენტს მისცეს დარგის ღრმა და სისტემური ცოდნა, ინტენსიური საერთაშორისო ურთიერთობების პირობებში დააკმაყოფილოს მოთხოვნა წარმატებულ მთარგმნელზე, მოამზადოს კონკურენტუნარიანი მთარგმნელი, თარგმანის თეორეტიკოსი და კრიტიკოსი, ამასთანავე, სტუდენტს შესაძლებლობა აქვს, სწავლა გააგრძელოს შესაბამის და მომიჯნავე სპეციალობებზე;
9. პროგრამით გათვალისწინებული სტუდენტზე ორიენტირებული, კომპლექსური სწავლება მიზანმიმართულია სტუდენტის მრავალმხრივი ინტერესებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებისაკენ, მისთვის პიროვნული და აკადემიური თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ჩამოყალიბებისაკენ;

**სწავლის მეთოდები**

სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, სემინარის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, თარგმანის, სამაგისტრო ნაშრომის (ან თარგმანის), დასკვნითი გამოცდის და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს:

1. ვერბალური მეთოდი;
2. წერითი მუშაობის მეთოდი;
3. პრაქტიკული მეთოდი;

4. შემთხვევის ანალიზი (Case study);
5. ინდივიდუალური მუშაობა;
6. ჯგუფური მუშაობა;
7. ევრისტიკული მეთოდი;
8. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება;
9. ქმედებაზე დაფუძნებული სწავლება;
10. თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება;
11. ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი;
12. ახსნა-განმარტებითი მეთოდი;
13. წიგნზე მუშაობის მეთოდი;
14. გამოცდილებით (experiential) სწავლება.
15. პრეზენტაციის მომზადება

**შეფასების სისტემა**

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით.
შეფასება ითვალისწინებს შუალედურ განმავითარებელ შეფასებას (60 ქულა) და დასკვნით გამოცდას (40 ქულა). შუალედური შეფასება ხორციელდება მინიმუმ სამი კომპონენტის მიხედვით. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები განსხვავებულია და მათი აღწერა მოცემულია კონკრეტული კურსის სილაბუსში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედურ შეფასებებში დაგროვებული აქვს მინიმუმ 21 ქულა. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდის (კომბინირებული - წერა/ზეპირი გამოცდის შემთხვევაში, თითოეული კომპონენტის) მაქსიმალური ქულის 50 %-ს.
სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:
(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:
ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და

ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი დამასრულებელ სემესტრში ამზადებს **სამაგისტრო ნაშრომს.** შესაბამისი მარეგულირებელი წესის თანახმად:

- ✓ სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთიანად დასკვნითი შეფასებით 100-ქულიანი სისტემით;
- ✓ რეცენზენტი წერს ნაშრომის შესახებ რეცენზიას და აფასებს სტუდენტის ნაშრომს მაქსიმუმ 60 ქულით. 31 ქულაზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე არ დაიშვება;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, საჯარო დაცვამდე სამაგისტრო ნაშრომი შემოწმებული უნდა იყოს Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით.
- ✓ ნაშრომი ფასდება კომისიის მიერ წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტი წარმოადგენს ნაშრომის შედეგებს პრეზენტაციის სახით, რომელიც ფასდება კომისიის თითოეული წევრის მიერ (მაქსიმუმ 40 ქულა). ამ კომპონენტში სტუდენტის საბოლოო შეფასება იანგარიშება კომისიის ყველა წევრის შეფასების საშუალო არითმეტიკულით. მიღებული შეფასება დადებითად ითვლება, თუ კომისია სტუდენტის ნაშრომს შეაფასებს 20 და მეტი ქულით;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასებას წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და კომისიის საბოლოო შეფასების ჯამი, რომელიც ტოლია ან აღემატება 51 ქულას.
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია.

**სწავლის შედეგები**

თარგმანისა და კულტურათშორისი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებული

***ა) ცოდნა და გაცნობიერება***

- სისტემურად და სიღრმისეულად ადარებს, ინტერპრეტირებას უკეთებს, განიხილავს, აჩვენებს და არჩევს ემპირიულ (თარგმანის) მასალას;
- გამომუშავებული აქვს თარგმნის პრაქტიკული ჩვევები ინგლისური ენიდან ქართულად და ქართული ენიდან ინგლისურად. ახდენს დარგობრივი ტექსტის დეკოდირებას, დიფერენცირებას და მეორე, მიმღებ/რეციპიენტ ენაზე გადატანას;
- აღწერს და განმარტავს, კრიტიკულად განიხილავს თარგმანისა და კულტურათაშორისი კომუნიკაციის დარგობრივი კვლევის მეთოდებსა და მიდგომებს.

*ბ) უნარები*

- თარგმანმცოდნეობისა და კულტურათაშორისი ურთიერთობების სფეროში მთავარი კონცეფციების, დარგის უახლესი თეორიების და კვლევითი პარადიგმების (პრინციპების და მეთოდების) იდენტიფიცირებისა და ანალიზის საფუძველზე, იყენებს თარგმანმცოდნეობისა და კულტურათაშორისი ურთიერთობების სფეროში არსებულ მეთოდებს, უსადაგებს მათ რეალურ სიტუაციებს.
- კრიტიკულად აფასებს თარგმანმცოდნეობისა და კულტურათაშორისი კომუნიკაციის სფეროში არსებულ ემპირიულ კვლევებს და ახდენს მათ სინთეზირებას, იძიებს პრობლემების გადაწყვეტის ახალ და ორიგინალურ გზებს.
- თარგმანმცოდნეობისა და კულტურათაშორისი ურთიერთობების სფეროში იყენებს კვლევით მეთოდებს და პროცედურებს.
- იყენებს თარგმანმცოდნეობაში მიღებულ რელევანტურ ღრმა და სისტემურ ცოდნას, ახდენს პრობლემების/საკითხების იდენტიფიცირებას და სთავაზობს კვლევებზე დაფუძნებულ რეკომენდაციებს (კონსულტაციებს), რაც გულისხმობს თარგმანის თეორიული და პრაქტიკული მასალის, თარგმანმცოდნეობის, როგორც სამეცნიერო დარგის, ანალიზსა და დაუფლებას.
- პროფესიული საქმიანობით თავისი წვლილი შეაქვს თარგმანისა და თარგმანმცოდნეობის განვითარებაში.
- იყენებს საინფორმაციო ტექნოლოგიებს პროფესიული და სამეცნიერო მიზნებისთვის.
- ეფექტურად გადასცემს რთულ ინფორმაციას დარგის სპეციალისტებსა და ფართო საზოგადოებას.

*გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა*

- ავითარებს სწავლის უნარებს იმისთვის, რომ დაგეგმოს აკადემიური კარიერა, გაიღრმავოს და გაავრცელოს ცოდნა (აკადემიურ და ფართო საზოგადოებაში).
- დამოუკიდებლად გეგმავს და მართავს სწავლის პროცესს.
- პროფესიული საქმინობისას იცავს აკადემიური ეთიკის ნორმებს და ახდენს აკადემიური კეთილსინდისიერების დემონსტრირებას. ეცნობა და იცავს ინტელექტუალური საკუთრების პრინციპებს.
- გამომუშავებული აქვს ენობრივ-კულტურული მრავალფეროვნების ადეკვატური აღქმის უნარი. ასევე კრიტიკული, შემოქმედებითი და პროგრესული აზროვნება.
- პროგრამა უზრუნველყოფს კურსდამთავრებულისთვის მაღალი დარგობრივი ავტონომიური უნარების გამომუშავებას, რაც მას აძლევს შესაძლებლობას, დაგეგმოს დარგობრივი ცოდნის განახლება პრაქტიკაში ან გაგრძელოს სწავლა შემდგომ საფეხურზე.

**დასაქმების სფეროები**

მაგისტრი დასაქმდება, როგორც მთარგმნელი, თარგმანის თეორეტიკოსი, რომელსაც სამეცნიერო მუშაობასთან ერთად შეეძლება ითანამშრომლოს რედაქციებთან და გამომცემლობებთან, როგორც მთარგმნელმა და თარგმანის კრიტიკოსმა, აგრეთვე, როგორც სტილისტ-რედაქტორმა, იმუშაოს საერთაშორისო ორგანიზაციებში და უზრუნველყოს სათანადო თარგმანი. კერძოდ, პროგრამის კურსდამთავრებულის დასაქმების სფეროებია:

* სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და ცენტრები;
* საელჩოები;
* სხვადასხვა პროფილის სახელმწიფო დაწესებულებები;
* მთარგმნელობითი ბიუროები;
* ფონდები;
* კომპანიები;
* სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები;
* ბიბლიოთეკები;
* გამომცემლობები;
* მასმედია;
* ტურიზმის სფერო და სხვ.

| პროგრამის სახელწოდება | კულტურული მემკვიდრეობა და თანამედროვეობა<br>Cultural Heritage and Modernity |
|---|---|
| საფეხური | სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა |
| პროგრამაზე დაშვების წინაპირობა | • საერთო სამაგისტრო გამოცდა;<br>თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამაზე „კულტურული მემკვიდრეობა და თანამედროვეობა დაშვების წინაპირობებია:<br><br>• ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ხელოვნებათმცოდნეობაში; ასევე ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სწავლის ფართო სფეროში:<br>02 ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები<br>Arts and Humanities<br>სწავლის ვიწრო სფეროებში:<br>0322.2.1 მუზეუმმცოდნეობა Museology<br>0388.1.1 ევროპისმცოდნეობა European Studies<br>0388.1.2 ამერიკისმცოდნეობა American Studies<br>0314.1.4 კულტურის კვლევები Cultural Studies<br>• 0314.1.6 ეთნოლოგია Ethnology<br>ან დამატებითი პროგრამის დასრულება „ხელოვნებათმცოდნეობაში“;<br><br>• სასპეციალიზაციო წერითი გამოცდა<br>• უცხოური ენის (ინგლისურის/გერმანულის/ფრანგულის) B1 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით (სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე B2 დონემდე ენის ცოდნის გაუმჯობესების პერსპექტივით) |
| სწავლების ენა | ქართული |
| კვალიფიკაცია | ხელოვნებათმცონდეობის მაგისტრი/ მუზეუმთმცოდნეობის მაგისტრი<br>Master of Art History and Theory |
| სწავლების ხანგრძლივობა | 4 სემესტრი |
| ECTS | 120 ECTS კრედიტი |
| სწავლების გადასახადი | 2250 ლარი |

| | |
|---|---|
| პროგრამის განხორციელების ადგილი | თსუ სასწავლო კორპ. N1, ი. ჭავჭავაძის N1; სასწავლოს კორპ N8, ი.ჭავჭავაძის N13 |
| პროგრამის განმახორციელებელი ერთეული | ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სასწავლო-სამეცნიერო ისტიტუტი |
| საკონტაქტო პირი | პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი: პროფ. ზაზა სხირტლაძე |
| | ტელ.: +995 599904334 |
| | ელფოსტა: zaza.skhirtladze@tsu.ge |
| პროგრამის სტრუქტურა | |
| კომპონენტის სტატუსი | ECTS-მოცულობა |
| სავალდებულო | 50 ECTS კრედიტი |
| არჩევითი | 40 ECTS კრედიტი |
| სამაგისტრო ნაშრომი | 30 ECTS კრედიტი |
| | |
| პროგრამის მიზანი | |

სამაგისტრო პროგრამის კულტურული მემკვიდრეობა და თანამედროვეობა მიზანია თანამედროვე შრომის ბაზრისა და აკადემიური სივრცის, ასევე დარგში საერთაშორისო სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისი ღრმა და სისტემური ცოდნით აღჭურვილი, კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულის მომზადება, რომელიც სასპეციალიზაციო დარგის ინტერდისციპლინურობის გათვალისწინებით ფლობს კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კომპლექსურ ცოდნას, დარგობრივ და ზოგად ტრანსფერულ უნარებს.

სამაგისტრო პროგრამა იყოფა სამ მოდულად:

1. ძველი ხელოვნება
2. ახალი და თანამედროვე ხელოვნება
3. სამუზეუმო საქმე

სამაგისტრო პროგრამის საერთო მიზანია:

1. მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მომზადება ხელოვნების ისტორიისა და თეორიის, აგრეთვე სამუზეუმო საქმის სფეროში.
2. სტუდენტისთვის ღრმა და სისტემური დარგობრივი ცოდნის გადაცემა სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სალექციო და პრაქტიკული კურსების გავლის შედეგად.
3. სტუდენტის მიერ კვლევის თანამედროვე მეთოდების ათვისება და პრაქტიკაში გამოყენება კულტურული მეკვიდრეობის

შესწავლასა და დაცვასთან დაკავშირებით; აგრეთვე კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციასთან დაკავშირებული პროექტების ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით განხორციელება;
4. პროფესიულ საქმიანობაში ეთიკურ ნორმების დაცვა; კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების კვლევისა და დაცვისას წინააღმდეგობრივი საკითხების განხილვა სამართლიანობის, ტოლერანტობის, პლურალიზმისა და ობიექტურობის პრინციპების საფუძველზე.

ამასთანავე, მოდულების მიხედვით პროგრამის მიზნებია:

I მოდული - ძველი ხელოვნება

მისცეს სტუდენტს ღრმა და სისტემური ცოდნა ძველი და შუა საუკუნეების არქიტექტურისა და ხელოვნების უმთავრესი ისტორიული ტენდენციების, ხუროთმოძღვრული, იკონოგრაფიული და სტილისტური მახასიათებლების შესახებ;

გამოუმუშაოს ძველი და შუა საუკუნეების არქიტექტურისა და ხელოვნების ნიმუშთა შესწავლის სპეციფიკური ჩვევები სახელოვნებათმცოდნეო მეთოდოლოგიის გამოყენებით ძეგლის დახასიათებისა და მხატვრულ-სტილისტური თავისებურებების შეფასების საფუძველზე.

II მოდული - ახალი და თანამედროვე ხელოვნება

მისცეს სტუდენტს ღრმა და სისტემური ცოდნა ახალ და თანამედროვე ხელოვნებაში მიმდინარე პროცესების შესახებ, იდეურ-მსოფლმხედველობრივი და ისტორიულ-კულტურული კონტექსტის გათვალსწინებით;

თანამედროვე სახელოვნებათმცოდნეო მეთოლოგიის შესაბამისად ჩამოუყალიბოს სტუდენტს ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნიმუშების მხატვრულ-სტილისტური ანალიზის საფუძველზე მხატვრული ღირებულებების განსაზღვრის და შეფასების პროფესიული ჩვევები.

III მოდული - სამუზეუმო საქმე

მისცეს სტუდენტს ღრმა და სისტემური ცოდნა სამუზეუმო და საგამოფენო სივრცეში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვისა და ექსპონირების შესახებ, აგრეთვე ექსპონატების კონსერვაცია-რესტავრციის თანამედროვე მიდგომებისა და მეთოდების თაობაზე;

თანამედროვე მეთოლოგიის გათვალისწინებით შეასწავლოს სტუდენტს კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშთა ექსპონატების სამუზეუმო სივრცეში დაცვის, განთავსებისა და წარმოჩენის უმთავრესი პრინციპები.

| სწავლის მეთოდები |
| --- |
| სწავლის შედეგების მისაღწევად სამაგისტრო პროგრამა „კულტურული მემკვიდრეობადა თანამედროვეობა" ლექციის, სემინარის, სამუშაო ჯგუფის, პრაქტიკული მეცადინეობის, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, დასკვნითი გამოცდის, სამაგისტრო ნაშრომის და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს და აქტივობას:<br>• ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი;<br>• პრაქტიკული მეთოდი;<br>• წიგნზე მუშაობის მეთოდი;<br>• წერითი მუშაობის მეთოდი;<br>• ელექტრონული სწავლება;<br>• დემონსტრირება;<br>• ევრისტიკული მეთოდი;<br>• დისკუსია/დებატები;<br>• ჯგუფური მუშაობა;<br>• ინდუქციური და დედუქციური მეთოდები;<br>• ანალიზი და სინთეზი;<br>• გუნდური მუშაობა;<br>• დამოუკიდებელი მუშაობა;<br>• სხვა აქტივობები. |
| **შეფასების სისტემა** |
| სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით.<br>შეფასება ითვალისწინებს შუალედურ განმავითარებელ შეფასებას (60 ქულა) და დასკვნით გამოცდას (40 ქულა). შუალედური შეფასება ხორციელდება მინიმუმ სამი კომპონენტის მიხედვით. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები განსხვავებულია და მათი აღწერა მოცემულია კონკრეტული კურსის სილაბუსში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედურ შეფასებებში დაგროვებული აქვს მინიმუმ 21 ქულა. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდის (კომბინირებული - წერა/ზეპირი გამოცდის შემთხვევაში, |

თითოეული კომპონენტის) მაქსიმალური ქულის 50 %-ს.
სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:
(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:
ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი დამასრულებელ სემესტრში ამზადებს **სამაგისტრო ნაშრომს.** შესაბამისი მარეგულირებელი წესის თანახმად:

- ✓ სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთიანად დასკვნითი შეფასებით 100-ქულიანი სისტემით;
- ✓ რეცენზენტი წერს ნაშრომის შესახებ რეცენზიას და აფასებს სტუდენტის ნაშრომს მაქსიმუმ 60 ქულით. 31 ქულაზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე არ დაიშვება;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, საჯარო დაცვამდე სამაგისტრო ნაშრომი შემოწმებული უნდა იყოს Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით.
- ✓ ნაშრომი ფასდება კომისიის მიერ წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტი წარმოადგენს ნაშრომის შედეგებს პრეზენტაციის სახით, რომელიც ფასდება კომისიის თითოეული წევრის მიერ (მაქსიმუმ 40 ქულა). ამ კომპონენტში სტუდენტის საბოლოო შეფასება იანგარიშება კომისიის ყველა წევრის შეფასების საშუალო არითმეტიკულით. მიღებული შეფასება დადებითად ითვლება, თუ კომისია სტუდენტის ნაშრომს შეაფასებს 20 და მეტი ქულით;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასებას წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და კომისიის საბოლოო შეფასების ჯამი, რომელიც ტოლია ან აღემატება 51 ქულას.
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია.

| |
|---|
| **სწავლის შედეგები** |
| პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება განათლების სამაგისტრო დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას.<br><br>სწავლის შედეგებში ასახულია ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციები, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოს სამაგისტრო საფეხურის აღმწერის შესაბამისად.<br><br>სამაგისტრო პროგრამის „კულტურული მემკვიდრეობა და თანამედროვეობა" მიზნების მისაღწევად გამოყენებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტები უზრუნველყოფენ შემდეგი შედეგების მიღწევას:<br>**ცოდნა და გაცნობიერება:**<br><br>პროგრამის კურსდამთავრებული<br><br>1. განსაზღვრავს კულტურული მეკვიდრეობის ძეგლის რაობას, მის უმთავრეს მახასიათებლებს და თავისებურებებს, მხატვრულ და ისტორიულ ღირებულებას.<br>2. თეორიულად აყალიბებს კულტურული მემკვიდრეობის კვლევასთან, დაცვა-ადაპტაციასთან და პოპულარიზაციასთან დაკავშირებულ თანამედროვე შეხედულებებსა და პრინციპებს.<br>3. განასხვავებს სხვადასხვა კულტურული არეალისა და დარგის კუთვნილ ნიმუშთა სპეციფიკას, გეოგრაფიული, ისტორიული და სხვა რეალიებით განპირობებულ მახასიათებლებს.<br>4. აფასებს კულტურული მემკვიდრეობის კვლევისა და დაცვის როლს და მნიშვნელობას, აგრეთვე მუზეუმების როლს საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე;<br><br>გარდა ამისა, მოდულების მიხედვით პროგრამის კურსდამთავრებულს გააჩნია შემდეგი კომპეტენციები:<br><br>I მოდული - ძველი ხელოვნება<br><br>ღრმად და სისტემურად მსჯელობს ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ხუროთმოძღვრებისა და სახვითი ხელოვნების განვითარების ძირითად ტენდენციებზე აღმოსავლეთისა და დასავლეთის ფართო ისტორიულ-კულტურულ კონტექსტში;<br>განიხილავს და აანალიზებს არქიტექტურის, ლითონმქანდაკებლობის, მონუმენტური ფერწერისა და ხატწერის ნიმუშებს, მათ ტიპოლოგიურ, იკონოგრაფიულ და მხატვრულ-სტილისტურ თავისებურებებს როგორც ქრონოლოგიური, ისე რეგიონალური და ეთნოკულტურული ფაქტორების გათვალისწინებით.<br><br>II მოდული - ახალი და თანამედროვე ხელოვნება |

ღრმად და სისტემურად მიმოიხილავს XIX-XXI საუკუნეების არქიტექტურისა და ხელოვნების განვითარების ძირითად ტენდენციებს, აცნობიერებს და კრიტიკულად აფასებს თანამედროვე ევროპული ხელოვნების პრობლემატიკის საკითხებს;
აანალიზებს არქიტექტურასთან და სახვით ხელოვნებასთან იდეოლოგიის მიმართების ასპექტებს, თანამედროვე ხელოვნების სხვადასხვა დარგში მისი ასახვის ხერხების თავისებურებებს და იდეის ხორცშესხმის გზებს.

III მოდული - მუზეუმმცოდნეობა
ღრმად და სისტემურად მიმოიხილავს სამუზეუმო და საგამოფენო სივრცეში კულტურული მეკვიდრეობის ძეგლების დაცვისა და ექსპონირების სპეციფიკას, ხუროთმოძღვრებისა და სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგის კონსერვაცია-რესტავრციისადმი თანამედროვე მიდგომებს.
აანალიზებს კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშთა ექსპონატების სამუზეუმო სივრცეში დაცვის, განთავსებისა და წარმოჩენის უმთავრეს პრინციპებს.

**უნარები:**
1. მოიპოვებს და აანალიზებს კულტურული მემკვიდრეობის, თანამედროვე ხელოვნების და მუზეუმმცოდნეობის სფეროში ინფორმაციას; იაზრებს თანამედროვე საზოგადოებაში კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და მისი პოპულარიზაციის მნიშვნელობას.

1. სპეციალური ტერმინოლოგიის გამოყენებით წარმოადგენს კვლევის შედეგებს წერილობითი და ზეპირი ფორმით როგორც პროფესიული, ისე ფართო საზოგადოების წინაშე;
2. გეგმავს და ახორციელებს კვლევას შესაბამისი სახელოვნებათმცოდნეო მეთოდებისა და დადგენილი აკადემიური სტანდარტების გამოყენებით;

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:**
1. პატივს სცემს სხვადასხვა ქვეყნებისა და ერების განსხვავებულ ღირებულებებს, იდეებს, შეხედულებებსა და კულტურას, როგორც მსოფლიო ფასეულობათა ნაწილს; იცავს ეთიკურ ნორმებს;
2. სფეროსათვის აქტუალური ინფორმაციის სინთეზირებითა და აკადემიური ეთიკის ნორმების დაცვით, წერს სამეცნიერო ნაშრომს და შეაქვს წვლილი დარგში არსებული ცოდნის განვითარებაში.
3. ავლენს ინტელექტუალური საკუთრების პატივისცემას, იცავს აკადემიურ ეთიკას და შესაბამისი პრინციპების საფუძველზე წარმართავს პროფესიულ საქმიანობას.

**დასაქმების სფეროები**

სამაგისტრო პროგრამის „კულტურურლი მემკვიდრეობა და თანამედროვეობა" კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს საქართველოს ყველა სახელმწიფო თუ არასამთავრობო საზოგადოებრივ დაწესებულებაში, კერძოდ:
- ზოგადსაგანმანათლებლო (საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დამატებითი მოთხოვნების შესრულების

შემთხვევაში), პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში

- სამეცნიერო–კვლევითი პროფილის მქონე ორგანიზაციებში (სამაგისტრო განათლების შესაბამის პოზიციებზე);
- საჯარო სამსახურში;
- კულტურის სფეროს დაწესებულებებში;
- მუზეუმებსა და არქივებში;
- სახელმწიფო და კერძო გალერეებში;
- აუქციონებსა და ხელოვნების ნიმუშების შეფასების ავტორიტეტის მქონე ორგანიზაციებში (მათ შორის - საბაჟოებში)
- ბიბლიოთეკებში;
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და კვლევასთან დაკავშირებულ დაწესებულებებში;
- საერთაშორისო სტრუქტურებში;
- ტურიზმის სფეროში;
- საგამომცემლო დაწესებულებებსა და რედაქციებში;
- მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში (პრესა, ტელევიზია, რადიო, ინტერნეტ–გამოცემები და სხვ.);
- საჯარო და კერძო სექტორში სასპეციალიზაციო და ზოგადტრანსფერული უნარების საფუძველზე.

ამას გარდა, ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრს შეუძლია სწავლის გაგრძელება შემდგომ საფეხურზე - დოქტორანტურაში, სხვადასხვა მიმართულებაზე.

| პროგრამის სახელწოდება | სახვითი ხელოვნება<br>Fine Arts |
|---|---|
| **საფეხური** | სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** | • საერთო სამაგისტრო გამოცდა;<br>• ნებისმიერი მიმართულების/დარგის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი;<br>• სასპეციალიზაციო გამოცდა შემოქმედებითი ტურის სახით<br>• უცხოური ენის (ინგლისურის/გერმანულის/ფრანგულის) B1 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით (სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე B2 დონემდე ენის ცოდნის გაუმჯობესების პერსპექტივით) |
| **სწავლების ენა** | ქართული |
| **კვალიფიკაცია** | სახვითი ხელოვნების მაგისტრი<br>Master of Fine Arts |
| **სწავლების ხანგრძლივობა** | 4 სემესტრი |
| **ECTS** | 120 ECTS კრედიტი |
| **სწავლების გადასახადი** | 2250 ლარი |
| **პროგრამის განხორციელების ადგილი** | თსუ სასწავლო კორპ. N1, ი. ჭავჭავაძის N1; სასწავლოს კორპ N5, ი.ჭავჭავაძის N36 |
| **პროგრამის განმახორციელებელი ერთეული** | ვიზუალური ხელოვნების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი |
| **საკონტაქტო პირი** | პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი: ასოც. პროფ. ლევან სილაგაძე; ასოც. პროფ. ირაკლი ბრაჭული |
| | ტელ.: +995 577400727 ; +995 5957024 57 |
| | ელფოსტა: levan.silagadze@tsu.ge ; irakli.brachuli@tsu.ge |
| **პროგრამის სტრუქტურა** | |
| **კომპონენტის სტატუსი** | ECTS-მოცულობა |
| სავალდებულო | 70 ECTS კრედიტი |
| არჩევითი | 20 ECTS კრედიტი |
| სამაგისტრო ნაშრომი | 30 ECTS კრედიტი |
| | |
| **პროგრამის მიზანი** | |

| |
|---|
| სახვითი ხელოვნების სამაგისტრო პროგრამის მიზანია თანამედროვე შრომის ბაზრისა და აკადემიური სივრცის, სახვითი ხელოვნების სფეროში საერთაშორისო სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისი, ფართო შემოქმედებითი დიაპაზონის, ღრმა სისტემური ცოდნისა და ერუდიციის მქონე, კონკურენტუნარიანი მაღალკვალიფიციური პრაქტიკოსი-სპეციალისტის მომზადება, რომელიც სასპეციალიზაციო დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, ფლობს ვიზუალური და მატერიალური კულტურის ნამუშევრების შექმნის მაღალი პროფესიული დონის ხელოვნებას და პრაქტიკულ-შემოქმედებითი ამოცანების შესრულების უნარებს, როგორც მხატვრობის ტრადიციული მეთოდებით, ასევე თანამედროვე შემოქმედებითი პრაქტიკის და აზროვნების ბაზაზე; პრაქტიკულ-შემოქმედებითი და ინტელექტუალური მუშაობის სინთეზის შედეგად გამომუშავებული კომპლექსური ცოდნის, დარგობრივი და ზოგად ტრანსფერული უნარების მეშვეობით<br>პროგრამის მიზანია,<br>1. გამოუმუშავოს მაგისტრს მხატვრობის, ტრადიციული მეთოდების მეშვეობით გამომსახველობითი საშუალებებით ოპერირების, ასევე თანამედროვე შემოქმედებითი პრაქტიკის და აზროვნების გამოცდილების გამოყენებისა და სინთეზის უნარები, სახვითი ხელოვნების ორიგინალური პროდუქტის შექმნისათვის.<br>2. შესძინოს მას მხატვრული პროდუქციის, ობიექტის ან მოქმედების მხატვრული იერ-სახის დადგენისა და განხორციელებისთვის აუცილებელი კომპოზიციური აზროვნება, პრაქტიკული ოსტატობა და უნარები.<br>3. შემოქმედებითად ამუშაოს დაზგურ მხატვრობაში განსხვავებული ჟანრის, სტილის, თემის და მხატვრული ამოცანის რთულ კომპოზიციებზე.<br>4. დიფერენცირებულად გაააზრებინოს თანამედროვე ხელოვნების პრობლემებს, ცნებებსა და ძირითად მეთოდოლოგიურ მიდგომებს, რომლითაც განიხილება ხელოვნება და მისი განვითარების პროცესი,<br>5. შეადარებინოს და აახსნევინოს ფილოსოფიის, ფსიქოანალიზისა და სემიოტიკის თანამედროვე ტენდენციებზე აგებული ვიზუალური კულტურისა და გამოყენებითი ესთეტიკის მიდგომები.<br>6. შესძინოს კონკრეტული შემოქმედებითი პროექტის სრული სახით, თეორიული და პრაქტიკულ-მხატვრული ნაწილის, განხორციელებისთვის საჭირო კომპლექსური უნარები, რის საფუძველზეც შეეძლება სახვითი ხელოვნების შერჩეულ დარგში შემოქმედებითი ციკლის გააზრება, თემის ინდივიდუალურად შერჩევა და გარკვეული ჟანრის, სტილის გათვალისწინებით მისი ანალიზი, დაგეგმვა და პრეზენტაცია. |
| **სწავლის მეთოდები** |
| სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა იყენებს ვერბალურ, წიგნზე მუშაობის, ინდუქცია-დედუქციის, ანალიზისა და სინთეზის, ახსნა–განმარტებით, ჯგუფურ, დისკუსიასა და დებატებში მონაწილეობის, დემონსტრირების (სხვადასხვა ხასიათის მხატვრულ კომპოზიციებზე მუშაობისას, შესრულების თითოეულ ეტაპზე პედაგოგი განსხვავებული ფორმებით, პრაქტიკულად აჩვენებს სტუდენტს შესრულების ტექნიკურ ხერხებს და კომპოზიციური გადაწყვეტის ვარიანტებს), პრაქტიკული მეთოდები. ასევე სწავლების პროცესში გამოყენებულია ვიზუალური მასალის დემონსტრირების თანამედროვე ტექნოლოგიები. |
| **შეფასების სისტემა** |
| |

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით.
შეფასება ითვალისწინებს შუალედურ განმავითარებელ შეფასებას (60 ქულა) და დასკვნით გამოცდას (40 ქულა). შუალედური შეფასება ხორციელდება მინიმუმ სამი კომპონენტის მიხედვით. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები განსხვავებულია და მათი აღწერა მოცემულია კონკრეტული კურსის სილაბუსში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედურ შეფასებებში დაგროვებული აქვს მინიმუმ 21 ქულა. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდის (კომბინირებული - წერა/ზეპირი გამოცდის შემთხვევაში, თითოეული კომპონენტის) მაქსიმალური ქულის 50 %-ს.
სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:
(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:
ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი დამასრულებელ სემესტრში ამზადებს **სამაგისტრო ნაშრომს.** შესაბამისი მარეგულირებელი წესის თანახმად:

- ✓ სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთიანად დასკვნითი შეფასებით 100-ქულიანი სისტემით;
- ✓ რეცენზენტი წერს ნაშრომის შესახებ რეცენზიას და აფასებს სტუდენტის ნაშრომს მაქსიმუმ 60 ქულით. 31 ქულაზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე არ დაიშვება;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, საჯარო დაცვამდე სამაგისტრო ნაშრომი შემოწმებული უნდა იყოს Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით.
- ✓ ნაშრომი ფასდება კომისიის მიერ წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტი წარმოადგენს ნაშრომის შედეგებს პრეზენტაციის სახით, რომელიც ფასდება კომისიის თითოეული წევრის მიერ (მაქსიმუმ 40 ქულა). ამ კომპონენტში სტუდენტის საბოლოო შეფასება იანგარიშება კომისიის ყველა წევრის შეფასების საშუალო არითმეტიკულით. მიღებული შეფასება დადებითად ითვლება, თუ კომისია

სტუდენტის ნაშრომს შეაფასებს 20 და მეტი ქულით;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასებას წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და კომისიის საბოლოო შეფასების ჯამი, რომელიც ტოლია ან აღემატება 51 ქულას.
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია.

**სწავლის შედეგები**

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება განათლების სამაგისტრო დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას (სახვითი ხელოვნება).
სწავლის შედეგებში ასახულია ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციები, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოს სამაგისტრო საფეხურის აღწერისა და დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად.
სახვითი ხელოვნების სამაგისტრო პროგრამის მიზნების მისაღწევად გამოყენებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტები უზრუნველყოფენ შემდეგი შედეგების მიღწევას:

**ცოდნა და გაცნობიერება:**
1) სისტემურად მიმოიხილავს და ადარებს ერთმანეთს სახვითი ხელოვნების სახეობებს, დარგების დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს, ამოცანებს, სტილისტიკის და ჟანრობრივ თავისებურებებს.
2) განიხილავს ალტერნატიული და არატრადიციული მხატვრული აზროვნების განსხვავებულ ვარიანტებს, ინდივიდუალურად და შემოქმედებითად გადაწყვეტს ორიგინალურ მხატვრულ იდეებს განსხვავებული ამოცანის და სტილის კომპოზიციებში.
3) სისტემურად განიხილავს და აკავშირებს ერთმანეთთან ფერის, პლასტიკის, სივრცის და სასურათე სიბრტყის ურთიერთდამოკიდებულებას; კონკრეტულ მხატვრულ იდეას თემატიკასთან, ჟანრთან და შემოქმედების საბოლოო პროდუქტთან მიმართებაში.
4) სტუდენტი ახასიათებს უახლესი დროისა და თანმედროვე ხელოვნების განვითარების ძირითად, ისტორიულ ეტაპებსა და ტენდენციებს; განსაზღვრავს უახლესი დროის ხელოვნების მიმდინარეობათა გონით საფუძვლებს, როგორც ამ მიმდინარეობათა ფარგლებში არსებულ სახეობათა და დარგთა შორის ორგანული კავშირის წყაროს.
5) მიმოიხილავს ხელოვნების ფუნდამენტურ პრინციპებს, ახდენს სხვადასხვა ეპოქისა და მსოფლმხედველობის ფარგლებში გაჩენილი ხელოვნების ნაწარმოების ლანდშაფტური ანალიზს; ესთეტიკურის მრავალმხრივობას უკავშირებს შემოქმედების მეთოდს და სტილს; კონკრეტული არტეფაქტის მაგალითზე, ახდენს ეპოქის კულტურის რეკონსტრუირების ინტერპრეტაცირებას.

**უნარები:**

1) ნებისმიერი სირთულის კომპოზიციაზე მუშაობისას, შემოქმედებითად იყენებს მხატვრობის გრაფიკულ და ფერწერულ გამომსახველობით საშუალებებთან დაკავშირებულ ტექნიკურ ხერხებს; კომბინირებულად იყენებს მხატვრული კომპოზიციური სქემების გადაწყვეტის ვარიანტებს, სხვადასხვა დარგში და მასალაში სტილისტური და მიზნობრივი დატვირთვის გათვალისწინებით – ორიგინალურად გადაწყვეტს კომპოზიციურ მხატვრულ ამოცანას.

2) მხატვრული პროდუქციის იდეიდან და თემატიკიდან გამომდინარე, იყენებს არაერთგვაროვან კომპოზიციურ სვლებს, თანამედროვე საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიების მეშვეობით მოძიებული ვიზუალური მასალის ანალიზისა და სელექციის საფუძველზე, არჩევს სიუჟეტის გახსნის კონკრეტულ მხატვრულ ხერხებს და მანერას; მანიპულირებს კომპოზიციის სივრცითი გადაწყვეტისა და განსხვავებული ელემენტების ურთიერთკომბინაციებით.

3) შემოქმედებით პროექტზე მუშაობისას, კრიტიკული მიდგომის, მხატვრული ტრადიციისა და ნასესხობის მნიშვნელობის, კონცეფციის და იდეის როლის გათვალისწინებით, განსაზღვრავს თემის აქტუალურობასა და ეფექტურობას, შეუსაბამებს მას თანამედროვე სახელოვნებო პროცესებს.

4) აკავშირებს უახლესი დროის ხელოვნების პრობლემატიკას საკუთარ ესთეტიკურ პრიორიტეტებთან, ახდენს მის შემოქმედებითად ინტერპრეტაციასა და სინთეზს, იმპლემენტაციას მხატვრულ პროცესში.

ირჩევს ორიგინალურ შემოქმედებით მეთოდს არტეფაქტისა და პროექტების მხატვრული ღირებულების ექსპერტიზისათვის; იყენებს ჰერმენევტიკული გაგების, ინტერპრეტაციის, ტრანსპოზიციის, ინტროსპექციის, რეფლექსიის, თვითშეფასების და კრიტიკული თვითცნობიერების მეთოდებს მხატვრული შემოქმედების დამოუკიდებლად წარმართვისათვის.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:**

1) აღიარებს და იცავს პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს; პატივს სცემს შემოქმდებით საქმიანობაში ინდივიდუალური და საავტორო ფორმის მნიშვნელობას.

2) ავტონომიურად განსაზღვრავს შემდგომ შემოქმედებით გეგმებს, ინდივიდუალური მხატვრული ამოცანებისა და ინტერესების, ასევე კონკრეტული მხატვრული პროდუქციის ხასიათისა და კომპოზიციური ამოცანების დაბალანსების გათვალისწინებით.

**დასაქმების სფეროები**

სახვითი ხელოვნების სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შეძენილი მრავალმხრივი დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) უნარების დახმარებით, კურსდამთავრებულისთვის , დარგობრივი სპეციფიკიდან და მოქმედი სტანდარტიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა თავისუფალი და შემოქმედებითი პროფესიის სპეციალისტის თვითდასაქმებას დამოუკიდებელი ხელოვანის რანგში.

ასევე შესაძლებელია დასაქმდეს საქართველოს ყველა სახელმწიფო თუ არასამთავრობო საზოგადოებრივ დაწესებულებაში, კერძოდ:

- კულტურის სფეროს დაწესებულებებში;
- ბიბლიოთეკებში, არქივებსა და მუზეუმებში;

- საგამომცემლო დაწესებულებებსა და რედაქციებში;
- მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში (პრესა, ტელევიზია, რადიო, ინტერნეტ–გამოცემები და სხვ.);
- საჯარო და კერძო სექტორში სასპეციალიზაციო და ზოგადტრანსფერული უნარების საფუძველზე. საზოგადოებრივ და ბიზნეს სექტორში, ყველგან სადაც ვიზუალური ფაქტორის ესთეტიზაცია და დახვეწა- ჩამოყალიბებაა საჭირო.
- ნებისმიერ სფეროში, სადაც პროდუქციის, ობიექტის და პერფორმანსის მხატვრული გაფორმება არის საჭირო.

| პროგრამის სახელწოდება | კულტურის კვლევები<br>Cultural Studies |
|---|---|
| **საფეხური** | სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** | • საერთო სამაგისტრო გამოცდა;<br>• ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი კულტურის კვლევებში, ასევე ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში და მათ დარგებში/ქვედარგებში, განათლებაში, ზოგიერთ მიმართულებათშორის დარგში რეგიონმცოდნეობითი პროფილით (ამერიკისმცოდნეობა, აღმოსავლეთმცოდნეობა, კავკასიოლოგია...); ან შესაძლებელია გავლილი ჰქონდეს დამატებითი (minor) პროგრამა კულტურის კვლევებში.<br>• სასპეციალიზაციო წერითი გამოცდა<br>• უცხოური ენის (ინგლისურის/გერმანულის/ფრანგულის) B1 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით (სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე B2 დონემდე ენის ცოდნის გაუმჯობესების პერსპექტივით) |
| **სწავლების ენა** | ქართული |
| **კვალიფიკაცია** | კულტურის კვლევების მაგისტრი<br>MA in Cultural Studies |
| **სწავლების ხანგრძლივობა** | 4 სემესტრი |
| **ECTS** | 120 ECTS კრედიტი |
| **სწავლების გადასახადი** | 2250 ლარი |
| **პროგრამის განხორციელების ადგილი** | თსუ სასწავლო კორპ. N2, ი. ჭავჭავაძის N3 |
| **პროგრამის განმახორციელებელი ერთეული** | კულტურის კვლევების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი |
| **საკონტაქტო პირი** | პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი: პროფ. ნინო ჩიქოვანი |
| | ტელ.: +995 599247815 |
| | ელფოსტა: nino.chikovani@tsu.ge |
| | **პროგრამის სტრუქტურა** |
| **კომპონენტის სტატუსი** | ECTS-მოცულობა |
| სავალდებულო | 65 ECTS კრედიტი |

| | |
|---|---|
| არჩევითი | 25 ECTS კრედიტი |
| სამაგისტრო ნაშრომი | 30 ECTS კრედიტი |
| | |
| **პროგრამის მიზანი** | |

პროგრამის მიზანია, მაგისტრანტს მისცეს ღრმა ცოდნა კულტურათა კვლევების სფეროში, მოამზადოს სპეციალისტი, აღჭურვილი იმ დარგობრივი კომპეტენციებითა და უნარებით, რომლებიც რომელიც კონკურენტუნარიანი იქნება შრომის ბაზარზე.

პროგრამა აგრძელებს საუნივერსიტეტო ტრადიციებს და ავითარებს მათ ინოვაციური კვლევებითა და სწავლებით. იგი მიზნად ისახავს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრებას, კერძოდ, კულტურული მრავალფეროვნების პოზიტიური აღქმის ხელშეწყობას, კულტურათაშორისი დიალოგის პრინციპების დამკვიდრებას, რაც გულისხმობს სხვა კულტურების გაცნობას, კულტურათაშორისი განსხვავებების გაცნობიერებას, განსხვავებული კულტურული ტრადიციების პატივისცემას; სტერეოტიპების, ქსენოფობიის და რასიზმის პრევენციას; მრავალფეროვან კულტურულ გარემოში ორიენტაციის, წარმატებული კომუნიკაციისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაზაზე მოქმედი კულტურის კვლევების სამაგისტრო პროგრამა ორგანული გაგრძელებაა ძირითადი საბაკალავრო (major) პროგრამისა კულტურის კვლევებში. სამაგისტრო პროგრამა მოიცავს როგორც თეორიულ საკითხებს, ასევე კულტურათა კონკრეტული კვლევის მეთოდებსა და მაგალითებს (case studies). სტუდენტმა უნდა გაიაზროს ემპირიული მასალის თავმოყრისა და ანალიზის წესი და მიზანი კულტურის კვლევათა სფეროში. ფართო და მრავალფეროვანი თეორიული მიდგომების საფუძველზე, სტუდენტი უნდა დაეუფლოს კულტურის ფენომენის ანალიზის ხერხებსა და მეთოდებს, გაიაზროს კულტურის კვლევის ინტერდისციპლინური ხასიათი. პროგრამის სავალდებულო და არჩევითი კურსები, ასევე სამაგისტრო ნაშრომი სტუდენტს საშუალებას აძლევს, გაიფართოოს თეორიული თვალსაწიერი, განავითაროს და დახვეწოს ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარი, შეიძინოს და განამტკიცოს დამოუკიდებელი კვლევის ჩვევები. პროგრამის სავალდებულო და არჩევითი კურსები საერთოა სხვადასხვა სამაგისტრო პროგრამასთან. ეს უზრუნველყოფს კულტურის კვლევათა სფეროსათვის აუცილებელ მრავალმხრივ და ინტერდისციპლინურ ცოდნას.

პროგრამა ამზადებს სტუდენტს შემდგომი კვლევისა და პრაქტიკული საქმიანობისათვის. იგი უნდა ჩამოყალიბდეს ანალიტიკოსად და პრაქტიკოსად კულტურის კვლევათა სფეროში.

პროგრამა განკუთვნილია სტუდენტებისათვის, რომლებიც დაინტერესებული არიან ცოდნის გაღრმავებით თეორიულ სფეროში, მისი გამოყენებით კონკრეტულ კულტურათა კვლევასა და პრაქტიკულ საქმიანობაში.

**სწავლის მეთოდები**

სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, სემინარის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, თარგმანის, სამაგისტრო ნაშრომის (ან თარგმანის), დასკვნითი გამოცდის და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ვერბალური მეთოდი, ვიზუალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, ანალიზი და სინთეზი, ახსნა – განამარტებითი მეთოდი, ჯგუფური მუშაობა და სხვ.).

**შეფასების სისტემა**

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით.
შეფასება ითვალისწინებს შუალედურ განმავითარებელ შეფასებას (60 ქულა) და დასკვნით გამოცდას (40 ქულა). შუალედური შეფასება ხორციელდება მინიმუმ სამი კომპონენტის მიხედვით. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები განსხვავებულია და მათი აღწერა მოცემულია კონკრეტული კურსის სილაბუსში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედურ შეფასებებში დაგროვებული აქვს მინიმუმ 21 ქულა. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდის (კომბინირებული - წერა/ზეპირი გამოცდის შემთხვევაში, თითოეული კომპონენტის) მაქსიმალური ქულის 50 %-ს.
სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:
(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:
ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი დამასრულებელ სემესტრში ამზადებს **სამაგისტრო ნაშრომს.** შესაბამისი მარეგულირებელი წესის თანახმად:

- ✓ სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთიანად დასკვნითი შეფასებით 100-ქულიანი სისტემით;
- ✓ რეცენზენტი წერს ნაშრომის შესახებ რეცენზიას და აფასებს სტუდენტის ნაშრომს მაქსიმუმ 60 ქულით. 31 ქულაზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე არ დაიშვება;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, საჯარო დაცვამდე სამაგისტრო ნაშრომი შემოწმებული უნდა იყოს Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით.
- ✓ ნაშრომი ფასდება კომისიის მიერ წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტი წარმოადგენს ნაშრომის შედეგებს პრეზენტაციის სახით, რომელიც ფასდება კომისიის თითოეული წევრის მიერ (მაქსიმუმ 40 ქულა). ამ კომპონენტში სტუდენტის საბოლოო შეფასება იანგარიშება

კომისიის ყველა წევრის შეფასების საშუალო არითმეტიკულით. მიღებული შეფასება დადებითად ითვლება, თუ კომისია სტუდენტის ნაშრომს შეაფასებს 20 და მეტი ქულით;

- ✓ სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასებას წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და კომისიის საბოლოო შეფასების ჯამი, რომელიც ტოლია ან აღემატება 51 ქულას.
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია.

**სწავლის შედეგები**

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კულტურის კვლევების სამაგისტრო პროგრამის ერთიანი სწავლის შედეგები შეიძლება შემდეგნაირად აღიწეროს:

**ცოდნა და გაცნობიერება:**

კულტურის კვლევების სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული თეორიული და პრაქტიკული სასწავლო დისციპლინების მასალის ათვისების საფუძველზე კულტურის კვლევების მაგისტრი

- იძენს დარგობრივი სფეროს ღრმა და სისტემურ ცოდნას, რომელიც განათლების პირველ საფეხურზე მიღებული ცოდნის გაღრმავების და კვლევის კონტექსტში მისი გამოყენების, ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას იძლევა.
- თეორიული მიდგომების დაუფლების, სასწავლო კურსების შესწავლის საფუძველზე, მაგისტრანტი ეუფლება მეცნიერული კვლევის მეთოდებს, იღრმავებს წარმოდგენას კულტურის კვლევის ინტერდისციპლინურ ხასიათზე, ეცნობა ძირითად პრობლემებს და განვითარების ტენდენციებს თანამედროვე კულტურის მეცნიერებებში. ამ ცოდნას იგი იყენებს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში.

**უნარები:**

კულტურის კვლევების მაგისტრი

- ახდენს კულტურის კვლევათა სფეროში პრობლემების იდენტიფიცირებას, მათ გააზრებას სინქრონულ და დიაქრონულ ჭრილში და მათ გადაჭრას დარგში მიღებული კვლევის მეთოდების გამოყენებით;
- აანალიზებს ემპირიული მასალასა და მონაცემებს დარგობრივი სფეროსათვის შესაბამისი სტანდარტული და ინოვაციური მეთოდების გამოყენებით; ახდენს მათ ინტერპრეტაციას, საკითხებს განხილვას სხვადასხვა პერსპექტივით, ახდენს საკვლევი საკითხის კონტექსტუალიზაციას, კვლევის მეთოდისა და თეორიული ჩარჩოს ადეკვატური განსაზღვრასა და დასაბუთებას, მოიძიებს მასალას და ახდენს მათ სისტემატიზაციას, აყალიბებს მკაფიოდ არგუმენტირებულ დასკვნებს, ახდენს კვლევის შედეგებს პრეზენტაციას ზეპირი და წერილობითი ფორმით.
- მონაწილეობს სხვადასხვა ტიპის პროფესიულ დისკუსიაში, დასკვნებსა და არგუმენტებს აზიარებს აკადემიური, სამეცნიერო და პროფესიული წრეებისთვის ქართულ და უცხოურ ენებზე, აქტიურად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო

ტექნოლოგიებს, ეფექტურად ურთიერთობს სასწავლო თუ სამუშაო ჯგუფში.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**

- სწორად და რაციონალურად გეგმავს და აორგანიზებს სამუშაო დროს; სამუშაოს დაწყებამდე ადგენს სამუშაო გეგმას, გამოყოფს პრიორიტეტებს, მუშაობის პროცესში მოიძიებს და იყენებს საჭირო რესურსებს. მას ესმის ცოდნის გაღრმავების აუცილებლობა; მართავს საკუთარი სწავლის პროცესს, თანმიმდევრულად და მრავალმხრივად აფასებს მას, ადგენს შემდგომი სწავლის საჭიროებებს. მუშაობს საკუთარ თავზე და ახდენს მაგისტრატურაში სწავლის მანძილზე მიღებული ცოდნისა და უნარების დამოუკიდებლად სრულყოფას პრაქტიკული საქმიანობის პროცესში; მუშაობს დამოუკიდებლად; სამეცნიერო დარგობრივ ლიტერატურაზე დამოუკიდებელი მუშაობით ახდენს ცოდნის განახლებას; მას აქვს განათლების შემდგომ (სადოქტორო) საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.
- კულტურის კვლევების მაგისტრს კარგად აქვს გაცნობიერებული პროფესიული პასუხისმგებლობა, აკადემიური და ეთიკური ნორმები; იცავს ინტერპერსონალური ურთიერთობების ეთიკას; აქვს კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმის, ადეკვატური გაგებისა და პატივისცემის უნარი; ახასიათებს ტოლერანტობა, განსხვავებული აზრის, განსხვავებული კულტურებისა და რელიგიების პატივისცემა; პატივს სცემს დემოკრატიულ ფასეულობებს.

**დასაქმების სფეროები**

კულტურის კვლევების მაგისტრის ხარისხის მქონეს შესაძლებლობა აქვს, იმუშაოს კულტურის პრობლემატიკით დაინტერესებულ სასწავლო და კვლევით დაწესებულებებში. როგორც ექსპერტი, იგი შეიძლება დასაქმდეს სახელმწიფო, არასამთავრობო და კერძო სტრუქტურებში. მისი კომპეტენციის სფერო მოიცავს კულტურის სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრას, მედიაპოლიტიკას კულტურის სფეროში, რეგიონული კონფლიქტების კულტურული საფუძვლებისა და მათი მოგვარების გზების ანალიზს, კულტურათა ურთიერთობის გამოცდილების გათვალისწინებას პოლიეთნიკურ, მრავალკონფესიურ და მულტიკულტურულ საზოგადოებაში.

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | კულტურული და სოციალური ანთროპოლოგია<br>Cultural and Social Anthropology |
| **საფეხური** | სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** | • საერთო სამაგისტრო გამოცდა;<br>• კულტურული და სოციალური ანთროპოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს: ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ან მათ დარგებსა და ქვედარგებში, განათლებაში, ფსიქოლოგიაში, სამართალში, ხელოვნებაში, ჯანდაცვაში, ეკონომიკაში და მიმართულებათშორის დარგებში მინიჭებული ბაკალავრის (ან მასთან გათანაბრებული-დიპლომირებული სპეციალისტის) ხარისხი, ან შესაძლებელია გავლილი ჰქონდეს დამატებითი (minor) საბაკალავრო პროგრამა ეთნოლოგიაში.<br>• შიდა შესარჩევი კონკურსი, რომელიც გულისხმბს:<br>➢ ერთ-ერთი ევროპული ენის (ინგლისური/ გერმანული/ფრანგული) B1 დონეზე ცოდნის დადასტურებას გამოცდით, ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით. (სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე B2 დონემდე ენის ცოდნის გაუმჯობესების პერსპექტივით). (აპლიკანტებს, რომლებსაც საბაკალავრო საფეხურზე განათლება მიღებული აქვთ ინგლისურ ენაზე, უცხო ენის გამოცდის ჩაბარება არ მოეთხოვებათ).<br>➢ სასპეციალიზაციო წერითი გამოცდის ჩაბარებას. (საგამოცდო პროგრამა, მისაღები გამოცდების საკითხები და ლიტერატურა განთავსებულია თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებგვერდზე).<br>საერთო სამაგისტრო გამოცდის გარეშე სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც გულისხმობს ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღებად მათ მიერ ქართული ენის გამოცდის B2 დონეზე ჩაბარებას. |
| **სწავლების ენა** | ქართული |
| **კვალიფიკაცია** | ანთროპოლოგიის მაგისტრი<br>MA in Anthropology |
| **სწავლების ხანგრძლივობა** | 4 სემესტრი |
| **ECTS** | 120 ECTS კრედიტი |

| | |
|---|---|
| **სწავლების გადასახადი** | 2250 ლარი |
| **პროგრამის განხორციელების ადგილი** | სასწავლო კორპ. N1, ი. ჭავჭავაძის N1; სასწავლოს კორპ N8, ი.ჭავჭავაძის N13 |
| **პროგრამის განმახორციელებელი ერთეული** | თსუ ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი |
| **საკონტაქტო პირი** | პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი: პროფ. ქეთევან ხუციშვილი |
| | ტელ.: +995 595457007 |
| | ელფოსტა: keteva.khutsishvili@tsu.ge |
| **პროგრამის სტრუქტურა** | |
| **კომპონენტის სტატუსი** | ECTS-მოცულობა |
| სავალდებულო | 50 ECTS კრედიტი |
| არჩევითი | 40 ECTS კრედიტი |
| სამაგისტრო ნაშრომი | 30 ECTS კრედიტი |
| | |
| **პროგრამის მიზანი** | |

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კულტურული და სოციალური ანთროპოლოგიის ეთნოლოგიის სამაგისტრო პროგრამა მოამზადებს თანამედროვე შრომითი ბაზრისთვის კონკურენტუნარიან ფართო პროფილის მქონე სპეციალისტებს პრაქტიკული კვლევების გამოცდილებით.

პროგრამის მიზანია:

- კულტურული და სოციალური ანთროპოლოგიის შესახებ თანამედროვე მეცნიერული ინფორმაციის მიწოდება;
- ანთროპოლოგიური კვლევის მეთოდოლოგიური და ემპირიულ-კვლევითი პარადიგმების საბაზისო პრინციპების გაცნობა და მათი გააზრება პრაქტიკული საქმიანობის კონტექსტში;
- უახლესი ემპირიულ/კვლევით სტრატეგიათა კრიტიკული სწავლება, ფართოდ გამოყენებადი კვლევითი ტექნოლოგიების დაუფლებას;
- სოციოკულტურული კვლევის დაგეგმვისა და დიზაინის აზისური პრინციპების, მონაცემთა მოპოვების, მათი ანალიზისა და ინტერპრეტაციის სწავლება,
- ანალიტიკური, დისკუსიური, პრეზენტაციისა და სხვა, პრაქტიკული საქმიანობისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავება;
- ადამიანისა და საზოგადოების, სოციალური ორგანიზაციის ფორმების განვითარების ლოგიკური ჯაჭვის შესახებ ცოდნის გადაცემა, მსოფლიო ხალხების კულტურული მრავალფეროვნებს გაცნობიერების მიზნით;
- კვლევის სტრატეგიათა და მეთოდთა გამოყენების წვდომის გაღრმავება, პრობლემის დასმის და კვლევის დაგეგმვის,

სხვადასხვაგვარი მეთოდების გამოყენებით მოპოვებული მონაცემების ინტერპრეტაციის უნარების განვითარება;

- პროფესიული და კვლევის ეთიკის კონტექსტში დისკუსიური და პრეზენტაციის უნარების გამომუშავება;
- კონკრეტული კვლევითი საქმიანობის სწავლება.

**სწავლის მეთოდები**

სწავლების შედეგები მიიღწევა სალექციო-სასემინარო მუშაობისას აქტიურობის, შუალედური შეფასების, ტესტების, პრეზენტაციის, ესეების წარმოდგენის, დისკუსიებში მონაწილეობის, დასკვნითი გამოცდის, სამაგისტრო ნაშრომის და საველე საექსპედიციო მუშაობაში ჩართვის გზით.ზემოთჩამოთვლილ ფორმატში გამოყენებული იქნება სხვადასხვა მეთოდი (ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, ანალიზი და სინთეზი, ახსნა –განმარტებითი მეთოდი, ჯგუფური მუშაობა და სხვ.)

**შეფასების სისტემა**

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით.
შეფასება ითვალისწინებს შუალედურ განმავითარებელ შეფასებას (60 ქულა) და დასკვნით გამოცდას (40 ქულა). შუალედური შეფასება ხორციელდება მინიმუმ სამი კომპონენტის მიხედვით. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები განსხვავებულია და მათი აღწერა მოცემულია კონკრეტული კურსის სილაბუსში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედურ შეფასებებში დაგროვებული აქვს მინიმუმ 21 ქულა. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდის (კომბინირებული - წერა/ზეპირი გამოცდის შემთხვევაში, თითოეული კომპონენტის) მაქსიმალური ქულის 50 %-ს.
სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:
(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:
ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი დამასრულებელ სემესტრში ამზადებს **სამაგისტრო ნაშრომს.** შესაბამისი მარეგულირებელი წესის თანახმად:

- ✓ სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთიანად დასკვნითი შეფასებით 100-ქულიანი სისტემით;
- ✓ რეცენზენტი წერს ნაშრომის შესახებ რეცენზიას და აფასებს სტუდენტის ნაშრომს მაქსიმუმ 60 ქულით. 31 ქულაზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე არ დაიშვება;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, საჯარო დაცვამდე სამაგისტრო ნაშრომი შემოწმებული უნდა იყოს Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით.
- ✓ ნაშრომი ფასდება კომისიის მიერ წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტი წარმოადგენს ნაშრომის შედეგებს პრეზენტაციის სახით, რომელიც ფასდება კომისიის თითოეული წევრის მიერ (მაქსიმუმ 40 ქულა). ამ კომპონენტში სტუდენტის საბოლოო შეფასება იანგარიშება კომისიის ყველა წევრის შეფასების საშუალო არითმეტიკულით. მიღებული შეფასება დადებითად ითვლება, თუ კომისია სტუდენტის ნაშრომს შეაფასებს 20 და მეტი ქულით;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასებას წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და კომისიის საბოლოო შეფასების ჯამი, რომელიც ტოლია ან აღემატება 51 ქულას.
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია.

**სწავლის შედეგები**

სამაგისტრო პროგრამის გავლის შემდეგ კურსდამთავრებულს აქვს სოციალურ და კულტურულ ანთროპოლოგიაში აქტუალური თემატიკის ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც მოიცავს ამ სფეროსთვის აუცილებელ ტერმინოლოგიურ/ცნებით აპარატს, ანთროპოლოგიურ თეორიებს, კლასიკურ და თანამედროვე სოციალურ-თეორიულ მიდგომებს, კულტურის გამოყენებითი ასპექტების გააზრება, რაც მაგისტრს აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას; აქვს ცოდნა სოციოკულტურული ფაქტორების ზემოქმედების კანონზომიერებების, აგრეთვე სოციალური ინსტიტუტების, პიროვნებისადა, ზოგადად, სოციალური და კულტურული ფენომენების სპეციფიკური ასპექტების შესახებ, სოციალური ცვლილების პროცესთა კულტურულ ვარიაციებზე, ინოვაციისა და ტრადიციის ურთიერთმიმართებაზე თანამედროვე პრაქტიკის კონტექსტში. აცნობიერებს აბსტრაქტული მონაცემებისა და კონცეფციების საჭიროებისამებრ ტრანსფორმაციის და პრობლემის გადაჭრის გზების მოძების საჭიროებას. მაგისტრს აქვს ერთ-ერთი ევროპული ენის (ინგლისურის/ გერმანულის /ფრანგულის) ცოდნა B2 დონეზე მისი დარგობრივ სფეროში სასწავლო და კვლევითი მიზნებისთვის გამოსაყენებლად.

***ა) ცოდნა და გაცნობიერება***

- ფლობს და იყენებს კულტურულ და სოცალურ ანთროპოლოგიაში აქტუალური თემატიკის ღრმა და სისტემურ ცოდნას,

რომელიც მოიცავს ამ სფეროსთვის აუცილებელ ტერმინოლოგიურ/ცნებით აპარატს, ანთროპოლოგიურ თეორიებს, კლასიკურ და თანამედროვე სოციალურ-თეორიულ მიდგომებს;

- აცნობიერებს კულტურის გამოყენებით ასპექტებს;
- შეიმუშავებსახალ, ორიგინალურ იდეებს;
- აცნობიერებს სოციოკულტურული ფაქტორების ზემოქმედების კანონზომიერებებს, აგრეთვე სოციალური ინსტიტუტების, პიროვნების ადა, ზოგადად, სოციალური და კულტურული ფენომენების სპეციფიკურ ასპექტებს, სოციალური ცვლილების პროცესთა კულტურულ ვარიაციებს, ინოვაციისა და ტრადიციის ურთიერთმიმართებას თანამედროვე პრაქტიკის კონტექსტში;
- აცნობიერებსაბს ტრაქტული მონაცემებისა და კონცეფციების საჭიროებისამებრ ტრანსფორმაციის და პრობლემის გადაჭრის გზების მოძების საჭიროებას;
- იყენებს ეთნოგრაფიული კვლევის ემპირიულ მეთოდებს და აწარმოებს საველე სამუშაობს;
- იყნებს დაკვირვების, ინტერვიურება-ანკეტირების, ტიპოლოგიის მეთოდებს, მასალის ფიქსაციისას იყენებს წერილობითი მეთოდებს: დღიურების, თემატური ბარათების, ანგარიშების სახით. იყნებს ვიზუალური ფიქსაციის მეთოდებს ტექნიკური საშუალებების გამოყენებით;
- ახორციელებს პრაქტიკულ კვლევებს, ახდენს ეთნოგრაფიული ფაქტების რეკონსტრუციას, მოვლენების პროგნოზირებას;
- შეიმუშავებს რეკომენდაციებს სოციო-კულტურულ საკითხებთან მიმართებაში.

*ბ) უნარები*

- იყენებს კვლევის დარგობრივი მეთოდებს და თანამედროვე სტრატეგიებს კვლევის დამოუკიდებლად განხორციელებისათვის;
- აქვს ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედების უნარი;
- აქვს ცოდნის ინტეგრირების უნარი; კონკრეტული სფეროს საკვლევად ადეკვატური პრინციპების ანალიზის, საკვლევი საკითხის ფორმალიზების, გამოსაყენებელ მეთოდთა შერჩევის, კვლევით მოპოვებული მასალის დამუშავების ჩვევები;
- ახდენს სასპეციალიზაციო სფეროში კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირებას და გადაჭრის მათ სათანადო ცოდნისა და მეთოდების გამოყენებით.
- აანალიზებს კრიტიკულად სფეროსათვის დამახასიათებელ რთულ და არასრულ ინფორმაციას და აყალიბებს დასაბუთებულ დასკვნებს;
- უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ახდენს ინფორმაციის ინოვაციურ სინთეზს;
- დარგობრივი სფეროსათვის შესაბამისი როგორც სტანდარტული ისე ინოვაციური მეთოდების გამოყენებით ახდენს განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზს;
- აყალიბებს დასაბუთებულ დასკვნებს მკაფიო არგუმენტებით დაზუსტი ფორმულირებით;
- აცნობიერებს პრობლემას სინქრონიაში და დიაქრონიაში და აქვს სისტემის (სტრუქტურის) შემადგენელი ცალკეული ელემენტების ურთიერთზეგავლენის გააზრების, სიტუაციაში ადაპტირების და მინიმალური დახმარების პირობებში

გადაწყვეტილების მიღების უნარი;

- ერთვება დისკუსიაში პროფესიულ დონეზე, მსჯელობს კულტურული და სოციალური ანთროპოლოგიასთან დაკავშირებულ თემებზე, აყალიბებ საზრებსა და შეხედულებებს ზეპირდ და წერილობითი სახით; წერს სამეცნიერო ანგარიშს;
- აყალიბებს არგუმენტებს სხვადასხვა შეხედულებების საწინააღმდეგოდ ან მხარდასაჭერად. აქვს საჯაროგამოსვლის ტექსტის, სამეცნიერო ნაშრომის ქართულ და უცხო ენაზე შექმნის უნარი აკადემიური ნორმებისა და სტანდარტების დაცვით; აქვს ქართულ დ უცხოენაზე პრეზენტაციის წარმართვის უნარი;

*გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა*

- აცნობიერებს პროფესიულ სოციალურ და ეთიკურ პასუხისმგებლობებს და მოქმედებს სათანადო აკადემიური და ეთიკური ნორმების დაცვით.
- იცავს აკადემიური პატიოსნებისა და ეთიკის სტანდარტებს; ინტერპერსონალური ურთიერთობების ეთიკას;
- ადეკვატურად აღიქვამს კულტურულ მრავალფეროვნებას და პატივს სცემს კულტურათაშორის განსხვავებებს
- ახასიათებს ტოლერანტობა, განსხვავებული კონფესიების, კულტურებისა და აზრის პატივისცემა; დემოკრატიული ფასეულობების პატივისცემა;
- აფასებს ღირებულებებისადმი საკუთარ და სხვების დამოკიდებულებას და წვლილი შეაქვს სამოქალაქო ღირებულებების დამკვიდრებაში.

**დასაქმების სფეროები**

კულტურული და სოციალური ანთროპოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს შეუძლიათ იმუშაონ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, ადგილობრივ და საერთაშორისო სტრუქტურებში, სამეცნიერო/კვლევითი ორგანიზაციებში და ცენტრებში, რომელთა ინტერესები მოიცავს სოციალური და კულტურული ცხოვრების სხვადასხვა სფეროს დინამიკის შესწავლას; თანამედროვე ეთნიკური, სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემების გადაჭრას. კურსდამთავრებულს შეუძლია იმუშაოვოს ისეთ ადგილებში, როგორიცაა: მასობრივი მედიის საშუალებები; ტურისტული სააგენტოები; კულტურული სპეციფიკის შემსწავლელი ორგანიზაციები, სამუზეუმო დაწესებულებები. მაგისტრატურის კურსდამთავრებულს ექნება საფუძველი დოქტურანტურაში სწავლის გასაგრძელებლად. პროგრამის დასრულების შემდეგ ახალგაზრდები შეძლებენ საქმიანობა გააგრძელონ სამეცნიერო–კვლევითი და სასწავლო დაწესებულებებში; ეთნოლოგიური პროფილის დაწესებულება-ორგანიზაციებში.

კურსდამთავრებულებს შეეძლებათ სწავლის გაგრძელება სწავლის სადოქტორო საფეხურზეანთროპოლოგიის სპეციალობით. სურვილის შემთხვევაში და იმ პირობით, თუ სხვა პროფილის პროგრამები დაუშვებენ წინაპირობებში ანთროპოლოგიის მაგისტრის მიღებას, მაგისტრატურაში მიღებული კომპეტენციები კურსდამთავრებულს აძლევს საშუალებას სწავლა გააგრძელოს სხვა სპეციალობებითაც როგორც საქართველოს, ისე უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

| პროგრამის სახელწოდება | სკანდინავისტიკა<br>Scuandinavian Studies |
|---|---|
| საფეხური | სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა |
| პროგრამაზე დაშვების წინაპირობა | • საერთო სამაგისტრო გამოცდა;<br>• ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი<br>• ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით (აპლიკანტებს, რომლებსაც საბაკალავრო საფეხურზე განათლება მიღებული აქვთ ინგლისურ ენაზე, უცხო ენის გამოცდის ჩაბარება არ მოეთხოვებათ).<br>• სასპეციალიზაციო გამოცდა „სკანდინავიისმცოდნეობის საფუძვლები“.<br><br>უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა ხდება საერთო სამაგისტრო გამოცდის გარეშე კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, რომელიც გულისხმობს ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღებად მათ მიერ ქართული ენის გამოცდის B2 დონეზე ჩაბარებას. |
| სწავლების ენა | ქართული |
| კვალიფიკაცია | სკანდინავისტიკის მაგისტრი<br>Master of Scandinavian Studies |
| სწავლების ხანგრძლივობა | 4 სემესტრი |
| ECTS | 120 ECTS კრედიტი |
| სწავლების გადასახადი | 2250 ლარი |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | თსუ სასწავლო კორპ. N2, ი. ჭავჭავაძის N3 |
| პროგრამის განმახორციელებელი ერთეული | სკანდინავისტიკის ცენტრი |
| საკონტაქტო პირი | პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი: პროფ. კახაბერ ლორია |
| | ტელ.: +995 577575455 |
| | ელფოსტა: kakhaber.loria@tsu.ge |
| **პროგრამის სტრუქტურა** | |

| კომპონენტის სტატუსი | ECTS-მოცულობა |
|---|---|
| სავალდებულო | 75 ECTS კრედიტი |
| არჩევითი | 15 ECTS კრედიტი |
| სამაგისტრო ნაშრომი | 30 ECTS კრედიტი |

**პროგრამის მიზანი**

პროგრამის მიზანია,

- შეასწავლოს მაგისტრანტს ნორვეგიული ან/და ფინური ენა საშუალო დონეზე (B1).
- მისცეს სტუდენტს სკანდინავიის ქვეყნების (ფინეთი, შვედეთი, ნორვეგია, დანია, ისლანდია) ლიტერატურათა ისტორიის ღრმა და სისტემური ცოდნა.
- მისცეს მაგისტრანტს ღრმა და სისტემური ცოდნა სკანდინავიის რეგიონის ქვეყნების ისტორიისა და კულტურის შესახებ,
- მისცეს მაგისტრანტს ღრმა და სისტემური ცოდნა სკანდინავიის ქვეყნების ძირითადი პოლიტიკური პარტიების და ამ სახელმწიფოთა გენდერული, ეკონომიკური, ჯანდაცვისა და სოციალური პოლიტიკის შესახებ.
- გამოუმუშაოს მაგისტრანტს პროგრამის განმავლობაში შეძენილი ცოდნის გამოყენების უნარ-ჩვევები;
- მისცეს მაგისტრანტს ცოდნა სკანდინავისტიკის ინტერდისციპლინური კვლევის მეთოდების შესახებ; გააცნოს მას კვლევითი ნაშრომის დაგეგმვის, აგებისა და წარმოდგენის პრინციპები.
- სკანდინავისტიკის დარგში ფართო ცოდნის მინიჭებასთან ერთად მოამზადოს კადრი აღჭურვილი იმ დარგობრივი კომპეტენციებითა და უნარებით, რომლებიც უზრუნველყოფს მის შრომით დასაქმებასა და მომავალ აკადემიურ წინსვლას.

პროგრამა ითვალისწინებს სკანდინავისტიკის სწავლებისა და კვლევის თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებს და მსოფლიოში სკანდინავისტური სასწავლო თუ კვლევითი ცენტრების გამოცდილებას, სადაც დღითიდღე იზრდება ინტერესი ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების მიმართ, რასაც განაპირობებს ამ ქვეყნების მზარდი და მრავალმხრივი პოტენციალი. სასწავლო პროგრამები სკანდინავისტიკის სფეროში არსებობს მსოფლიოს მრავალ და ევროპის თითქმის ყველა წამყვან უნივერსიტეტში. სკანდინავიის მცირერიცხოვანი, გეოგრაფიულად განაპირა ევროპული ერების სულიერი და საზოგადოებრივი ცხოვრების გამოცდილება მრავალმხრივ საყურადღებოა ჩვენს, გეოგრაფიულად ასევე განაპირა, ევროპულ და მცირერიცხოვან ქვეყანაში თანამედროვე ტიპის დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისათვის.
თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სკანდინავისტიკის სამაგისტრო პროგრამა ქართულენოვანია, მაგრამ პროგრამის შედარებითი სიახლიდან და იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ პროგრამა აუცილებელ წინაპირობად არ ითვალისწინებს ბაკალავრის ხარისხს მხოლოდ სკანდინავიურ ფილოლოგიაში და, შესაბამისად, რომელიმე სკანდინავიური ენის ცოდნას, პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო მასალის დიდი ნაწილი ინგლისურენოვანია. ეს კი, თავის მხრივ, განსაზღვრავს პროგრამაზე ჩაბარების წინაპირობად ინგლისური ენის შედარებით მაღალ დონეზე (B2) ცოდნას. სამაგისტრო პროგრამის გავლისას სტუდენტი შეისწავლის

სკანდინავიის ქვეყნების მინიმუმ ერთ ენას. თსუ-ს სკანდინავიური ფილოლოგიის ძირითადი/დამატებითი პროგრამის კურსდამთავრებულებს, გამომდინარე იქედან, რომ მათ უკვე ნასწავლი აქვთ ნორვეგიული ენა შესაბამის დონეზე, სკანდინავისტიკის სამაგისტრო პროგრამაში შეუძლიათ აირჩიონ მხოლოდ ფინური ენა. სხვა სტუდენტებს კი შეუძლიათ სავალდებულო ენად აირჩიონ ფინური ან ნორვეგიული ენა, ხოლო სურვილის შემთხვევაში არჩევით საგნად/ საგნებად გაიარონ მათ მიერ სავალდებულო ენად არარჩეული სხვა (მეორე) სკანდინავიის ქვეყნის ენა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკანდინავიური მოდგმის ენებიდან ნორვეგიული ე.წ. შუა ენაა და მის მცოდნეს არ უჭირს შვედურისა და დანიურის კითხვა და გაგება.

## სწავლის მეთოდები

სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, პრაქტიკული მეცადინეობის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, თარგმანის, საკონტროლო წერის, დასკვნითი გამოცდის, სამაგისტრო ნაშრომის და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს:

- ვერბალური მეთოდი,
- წიგნზე მუშაობის მეთოდი,
- ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი,
- ჯგუფური მუშაობა,
- ევრისტიკული მეთოდი,
- როლური და სიტუაციური თამაშები,
- დისკუსია/დებატები,
- ახსნა-განმარტებითი მეთოდი,
- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება,
- წერითი დავალებები და სხვ.

პროგრამის განხორციელებისას გამოიყენება სწავლების სხვადასხვა მეთოდი. ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. სწავლების მეთოდები მითითებულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება დროის მართებულ განაწილებას და სწავლების მეთოდების სწორად შერჩევას სამუშაო ჯგუფებში, პრაქტიკულ მეცადინეობებსა და პრეზენტაციებისას, რადგან სწორად დაგეგმილი და განხორციელებული ზეპირი კომუნიკაცია სააუდიტორიო მუშაობას უფრო ეფექტურს ხდის.

## შეფასების სისტემა

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით.
შეფასება ითვალისწინებს შუალედურ განმავითარებელ შეფასებას (60 ქულა) და დასკვნით გამოცდას (40 ქულა). შუალედური შეფასება ხორციელდება მინიმუმ სამი კომპონენტის მიხედვით. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები განსხვავებულია და მათი აღწერა მოცემულია კონკრეტული კურსის სილაბუსში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის

უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედურ შეფასებებში დაგროვებული აქვს მინიმუმ 21 ქულა. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდის (კომბინირებული - წერა/ზეპირი გამოცდის შემთხვევაში, თითოეული კომპონენტის) მაქსიმალური ქულის 50 %-ს.
სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:
(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:
ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი დამასრულებელ სემესტრში ამზადებს **სამაგისტრო ნაშრომს.** შესაბამისი მარეგულირებელი წესის თანახმად:

- ✓ სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთიანად დასკვნითი შეფასებით 100-ქულიანი სისტემით;
- ✓ რეცენზენტი წერს ნაშრომის შესახებ რეცენზიას და აფასებს სტუდენტის ნაშრომს მაქსიმუმ 60 ქულით. 31 ქულაზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე არ დაიშვება;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, საჯარო დაცვამდე სამაგისტრო ნაშრომი შემოწმებული უნდა იყოს Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით.
- ✓ ნაშრომი ფასდება კომისიის მიერ წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტი წარმოადგენს ნაშრომის შედეგებს პრეზენტაციის სახით, რომელიც ფასდება კომისიის თითოეული წევრის მიერ (მაქსიმუმ 40 ქულა). ამ კომპონენტში სტუდენტის საბოლოო შეფასება იანგარიშება კომისიის ყველა წევრის შეფასების საშუალო არითმეტიკულით. მიღებული შეფასება დადებითად ითვლება, თუ კომისია სტუდენტის ნაშრომს შეაფასებს 20 და მეტი ქულით;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასებას წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და კომისიის საბოლოო შეფასების ჯამი, რომელიც ტოლია ან აღემატება 51 ქულას.
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში

დაუშვებელია.

| სწავლის შედეგები |
| --- |
| სკანდინავისტიკის სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:<br>**ა) ცოდნა და გაცნობიერება**<br>1. მიმოიხილავს და აანალიზებს ჩრდილოეთ ევროპის რეგიონისა და სკანდინავიის ხალხების ისტორიას და კულტურას პრეისტორიული პერიოდიდან თანამედროვე ეპოქის ჩათვლით. განსაზღვრავს, აღწერს და მიმოიხილავს სამიზნე რეგიონის ისტორიულ და კულტურულ საკითხებთან დაკავშირებულ საკვანძო და აქტუალურ თემებსა და უახლეს პრობლემატიკას, კვლევის უახლეს მეთოდებსა და თანამედროვე მიდგომებს.<br>2. ავლენს ნორვეგიულ ან/და ფინურ ენასთან, შესაბამის სოციოლინგვისტურ და სოციოკულტურულ გარემოსთან დაკავშირებულ ღრმა და სისტემურ ცოდნას.<br>3. მიმოიხილავს და აანალიზებს სკანდინავიის ქვეყნებისა და ხალხების ლიტერატურულ ტრადიციებს, საერთო ლიტერატურულ ძირებს და ეროვნული ლიტერატურების წარმოშობას. განასხვავებს სკანდინავიის ქვეყნების ეროვნულ ლიტერატურათა განვითარების გზებს და მათ განმსაზღვრელ ფაქტორებს. აფასებს სკანდინავიის ქვეყნების ლიტერატურებს შედარებით პერსპექტივაში.<br>4. სკანდინავიის ქვეყნებისთვის აქტუალური სოციალურ-პოლიტიკური საკითხების ღრმა და კომპლექსური ცოდნის საფუძველზე განსაზღვრავს, აღწერს და მიმოიხილავს გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ისტორიულ და თანამედროვე ტენდენციებს, სკანდინავიური ქვეყნების ჯანდაცვის, სოციალურ და ეკონომიკურ პოლიტიკას, „კეთილდღეობის სახელმწიფოს“ მართვის ე.წ. სკანდინავიურ მოდელს, ამ საკითხებთან დაკავშირებულ საკვანძო და აქტუალურ თემებსა და უახლეს პრობლემატიკას, კვლევის უახლეს მეთოდებსა და თანამედროვე მიდგომებს.<br><br>**ბ) უნარები**<br>5. იყენებს ნორვეგიულ ან/და ფინურ ენას როგორც წერითი, ისე ზეპირი კომუნიკაციისა და თარგმანის დროს, სხვადასხვა მიზნისა და აუდიტორიისთვის, უცხოური ენის სწავლისა და სწავლების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს ენობრივი კომპეტენციის B1 დონის შესაბამისად.<br>6. აყალიბებს შერჩეულ სასპეციალიზაციო თემაზე კვლევის სტრატეგიას, გეგმავს ნაშრომის სტრუქტურას და აგებულებას. კვლევის უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით დამოუკიდებლად ქმნის აკადემიური სტანდარტების შესაბამის სამეცნიერო ნაშრომს.<br>7. კვლევის პროცესში ახორციელებს მულტიდისციპლინური წყაროების ანალიზსა და სინთეზს.<br>8. თავისუფლად ორიენტირებს სხვადასხვა თემატიკის სამეცნიერო ბაზებში, ბიბლიოთეკებსა და ოფიციალურ წყაროებში; მასალის მოძიებისას იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიურ საშუალებებს.<br>9. ახდენს კვლევის შედეგებისა და საკუთარი არგუმენტირებული მოსაზრების დემონსტრირებას, საინფორმაციო-საკომუნიკაციო |

ტექნოლოგიების გამოყენებით ამზადებს პრეზენტაციას სკანდინავისტიკასთან დაკავშირებული მეცნიერების სხვადასხვა დისციპლინის საკითხთა შესახებ. მონაწილეობს პროფესიულ დისკუსიებში.

**გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**

10. ამჟღავნებს დამოუკიდებლად სწავლის, კვლევისა და მუშაობის უნარს, რითიც წვლილი შეაქვს სფეროს დარგობრივი ცოდნისა და პროფესიული პრაქტიკის განვითარებაში;
11. ავლენს ნაცნობ და უცნობ სასწავლო და სამუშაო გარემოში, სტრესულ ვითარებაში ფიქრის, მსჯელობისა და წერის, სწავლის, კვლევისა და მუშაობის უნარს;
12. ეყრდნობა დემოკრატიულ პრინციპებსა და ღირებულებებს; აღიარებს კულტურათშორისი განსხვავებებისა და კულტურათა მრავალფეროვნების მნიშვნელობას; ამჟღავნებს ტოლერანტობას განსხვავებული აზრის, კულტურებისა და კონფესიების მიმართ.

**დასაქმების სფეროები**

სკანდინავისტიკის დარგში პედაგოგიური, სამეცნიერო-კვლევითი, საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული, სარედაქტორო, სარეფერენტო, საარქივო, მეთოდიკური, მხატვრულ-მთარგმნელობითი და მხატვრულ-კრიტიკული საქმიანობა. საქმიანობა ბიზნეს-ფირმებში; სხვადასხვა სახის საქმიანობა დიპლომატიურ სამსახურში საელჩოებსა და საგარეო საქმეთა სამინისტროში, არასამთავრობო სექტორში; საქმიანობა საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მასმედიის სფეროში, მუზეუმებსა და ტურისტულ ფირმებში; სხვადასხვა კომპანიებში. ყველა იმ პოზიციაზე, რასაც პასუხობს მაგისტრის ხარისხი.